

# ისინდი

ლიტერატურული ჟურნალი

№2

2017

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი  
დავით არახამია  
ციალა არდაშელია  
ბონდო არველაძე  
ნინო ბაქანიძე  
ლევან ბებურიშვილი  
აკაკი ბრეგაძე  
ლაშა გვასალია  
ერეკლე სალლიანი  
დალი კახიანი  
მარსიანი  
სევარიონ ნადირაძე  
გიგი ხორნაული  
რუსუდან ჭანტურიშვილი

მხატვარი

რეზო ემილიანე ადამია

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამარ სტეფნაძე

## შინაარსი

<b>რედაქტორის წინათქმა .....</b>	<b>5</b>
კრიტიკა	
<b>იკა ქადაგიძე – თანამედროვე ქართული პოეზიის ზოგადი ტენდენციების შესახებ .....</b>	<b>7</b>
კულტურულ ფასეულობათა სადარაჯოზე	
<b>ბონდო არველაძე – კვლავ ქართული ეკლესიების შესახებ .....</b>	<b>17</b>
პოეზია	
<b>ქეთევან დოლიძე – ახალი ლექსები .....</b>	<b>21</b>
არდავინყება პოეტისა	
<b>ნუნუკა გურაღია – ლექსები.....</b>	<b>22</b>
პროზა	
<b>ვანო გელაშვილი /თორელი/ – სამაგიერო.....</b>	<b>23</b>
უცნობი შტრიხი	
<b>მირზა გელოვანის უცნობი ლექსი ტერენტი გრანელზე.....</b>	<b>26</b>
ესეისტიკა	
<b>რეზო ემილიანე ადამია – ტერენტი გრანელზე .....</b>	<b>26</b>
თარგმანი	
<b>რუსუდან ქანტურიშვილი – პოლონური პოეზია .....</b>	<b>27</b>
ერთი ლექსის გაელვება	
<b>დარეჯან ლომთაძე .....</b>	<b>31</b>
ემიგრანტული პოეზია	
<b>მარინა ხუჭუა – ლექსები.....</b>	<b>32</b>
ღირსსახსოვარნი	
<b>ლერი ალიმონაკი – „ხვედრმა უნდობარმა“ (გიორგი ნიშნიანიძის ხსოვნას).....</b>	<b>34</b>

პუბლიცისტიკა	
<b>მარსიანი – „გოგის მეომრის ვნებანი“</b> .....	38
პოეზია	
<b>ერეკლე საღლიანი – ლექსები</b> .....	49
ლიტერატურათმცოდნეობა	
<b>რამაზ ქურდაძე – რეცენზია მანანა ჩიტიშვილის წიგნზე</b> .....	50
პოეზია	
<b>გიორგი შიშნიაშვილი – ლექსები</b> .....	53
პუბლიცისტიკა	
<b>ციალა არდაშელია – „ძე–შეცთომილი“</b> .....	54
პროზა	
<b>ნინო ბაქანიძე – ფლავის სურნელი</b> .....	61
თარგმანი	
<b>დალი კახიანი – რუსი პოეტები</b> .....	66
ხელოვნებათმცოდნეობა	
<b>ლელა ხორნაული – ჰოკუსაი</b> .....	67

### რედაქტორის წინათქმა

ახალი ჟურნალის დაბადებას წინ ყოველთვის განსაკუთრებული სამზადისი უძღვის. წლების მანძილზე ნალოლიავეები ოცნების განხორციელება მუხლჩაუხრელი შრომის, დაძაბული ფიქრისა და ერთ მუშტად შეკრული საიმედო ბირთვის ძალისხმევის სასურველი შედეგია. „ისინდი“ სწორედ ეროვნული ცნობიერების განსამტკიცებლად დაარსდა და რადგან ჟურნალის პროფილი მწვავე, სისხლხორცეულად მტკივნეული საკითხების მიუკერძოებელ ანალიზს დაეყრდნო, სადაც კრიტიკასა და პუბლიცისტიკას წამყვანი როლი დაეკისრა, საზოგადოების მხრიდან გამოვლენილი საპასუხო აქტიურობა ბუნებრივი გამოდგა.

ჩვენთვის ორმაგად სასიხარულია ფაქტი, რომ ჟურნალმა სიმართლემონწყურებული პუბლიკის იმედი სავსებით გაამართლა, რაც მიმდინარე მოვლენებზე სათანადოდ აისახა.

დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკის ამსახველი ჟურნალი, რომელიც ცენზურისა და კლანების მიერ დაწესებულ წესებს არ ემორჩილება, უფრო მეტიც, დინების სანინალმდეგო გეზს ირჩევს, მწერლებისგან პროფესიონალიზმის პარალელურად გამოკვეთილ მოქალაქეობრივ შეგნებასა და გაბედულებას უპირობოდ ითხოვს. ამ თვალსაზრისითაც გამოცდა ღირსეულად ჩავაბარეთ. ეს მოცემულობა გვაიმედებს, რომ კეთილსინდისიერი კოლეგებისა და მკითხველების მხრიდან მიუდგომელი მხარდამჭერები არასდროს მოგვაკლდება. მართალი სიტყვა ხომ გამოსავალის ძიების საუკეთესო საშუალებაა და ღირებული ფასეულობების შენარჩუნების საპირწონედ თითოეული ჩვენთაგანისგან მარადიულ სიფხიზლესა და მოუდუნებელი პასუხისმგებლობის უნარის უწყვეტ დადასტურებას საჭიროებს.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ თავბრუდამხვევი სტარტის წყალობით „ისინდის“ ტირაჟი სწრაფად გაქრა; ეს ფაქტი მეტყველებს, რომ საზოგადოებამ ჟურნალის სარედაქციო პოზიცია გაიზიარა და სწრაფად აიტაცა. ცხადი, „ისინდი“ პუბლიკამ აღიარა. არ გამოვრიცხავთ, ამგვარი დაინტერესება სამომავლოდ საიმედო ხელმომწერებს შეგვძენს, რაც ჟურნალის გამოცემას სათანადოდ უზრუნველყოფს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გამომცემლობა „მერიდიანის“ ხელმძღვანელის, ბ-ნ კახა რუსიძის წვლილი, რომლის კეთილი ნებითაც „ისინდის“ 50 ეგზემპლარი უსასყიდლოდ, საჩუქრად გამოიცა. ეს სასიხარულო პრეცედენტი გულისხმიერი და ეროვნულად მოაზროვნე გამომცემლის საქველმოქმედო უნარზე მიუთითებს, რაც ქართულ სივრცეში საკმაოდ იშვიათი მაგალითია. ვისურვებდი ესოდენ კეთილშობილური ჟესტი ამ სფეროში მოღვაწე დანარჩენ კოლეგებსაც გადაეღოთ და ეროვნული მწერლობის მხარდასაჭერად არა ოდენ ციფრებით, არამედ უანგარო ზრახვებით ეღვანათ. აქვე უპრიანია მხურვალე მადლობა გადავუხადო ემიგრაციაში მყოფ ორ შესანიშნავ ქალბატონს. მათ საკუთარი სურვილით თავს იდეს ახალდაარსებული ჟურნალის გარკვეული ნომრები შეესყიდათ და ეროვნული მწერლობის განვითარებას უანგაროდ შენეოდნენ. მარინა ხუჭუასა და ნინო მარგველაშვილის სახით „ისინდმა“ საიმედო ქველმოქმედები შეიძინა, რაც ცხადყოფს, რომ ქართული ცნობიერება სამშობლოს საზღვრებს გარეთაც ისევე ქმედითია, როგორც მის წიაღში და რომ მსგავსი მსოფლმხედველობის მქონე ადამიანების ჯანსაღი თანამშრომლობა წარმატების საწინდარია. დიდი მადლობა ცნობილ მწერლებს ერეკლე საღლიანსა და მარინა თექეთმანიძეს, „ისინდის“ გამოჩენას ტელევიზიისა და ვირტუალური სივრცის მეშვეობით დადებითად რომ გამოეხმაურნენ, აგრეთვე სახელოვან ფერმწერს, რეზო ემელიანე ადამიას, რომელიც ჟურნალის დაბადებას საგანგებო წერილით მიესალმა. მნიშვნელოვანი საქმის წამოწყებისას მწერლური სოლიდარობის თემა მუდამ გადამწყვეტი ფაქტორია და რადგან „ისინდი“ მიუკერძოებელ სიმართლეს ფაქტების მეშვეობით ასახავს, მედლის ორივე მხარის გაშუქება აუცილებელია. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მოულოდნელი გამოდგა წონიანი ეროვნული მწერლებისა და ლიტერატორების მხრიდან გამოვლენილი ორ-

განიზებული დუმილი; მით უფრო, რომ მათთან მრავალწლიანი ურთიერთობისას საიმედო მოკავშირის მოვალეობას მუდამ პირნათლად ვასრულებდი; შესაბამისად, ეროვნული მწერლობის დასაცავად უკან არასდროს დამიხევია და დროული დახმარება არც რომელიმე მათგანისთვის დამიმადლებია. შესაბამისად, ღრმადპატივცემული კოლეგების საპასუხო რეაქცია მძიმე ეჭვსა და საფიქრალს აღძრავს. მათი სახელები საქვეყნოდაა ცნობილი და თუ აქ ამჯერად არ ჩამოვთვლი, ვიმედოვნებ, მკითხველი ისედაც მიხვდება, ვის ვგულისხმობ. სამწუხაროა, რომ ეროვნული მწერლობის ავანგარდში მყოფი გავლენიანი ფიგურები „ისინდის“ გამოჩენას არათუ მიესალმნენ და გზა დაულოცეს, შეუსრულებელი დაპირებების ფონზე ჟურნალს რატომღაც აუხსნელი იგნორირება დაუხვედრეს. არადა, მათ ხელში არსებული ბერკეტები ახალდაარსებული ჟურნალის პლატფორმის წარმოსაჩენად მკაფიო სოლიდარობის გამოხატულება იქნებოდა. როგორც იტყვიან, ჩვენ ერთი დროშის ქვეშ საერთო საქმის საკეთილდღეოდ ვიბრძვით და ფრიად უხერხულია, სატელევიზიო გადაცემებისა და ჟურნალების რედაქტორებისგან მონაბერი მტრული და გულგრილი დუმილის დემონსტრირება. აქვე აღსანიშნავია, ყველა თავის სინდისს სხვის დაუხმარებლად განკარგავს. ცხადია, ამგვარი საქციელი უპირველესად მათსავე რეპუტაციას ვნებს და ორმაგ სტანდარტს შეზრდილი მოღვაწეების არსს შეულამაზებლად წარმოაჩენს. „ისინდი“ სწორედ ის ჟურნალია, რომელიც სადღეისოდ სამწერლო სივრცეში არსებულ მწვავე დანაკლისს პროფესიულად და გაბედულად ავსებს; მისი შემადგენლობა ღვანღმოსილი მოღვაწეებისა და მწერლების სოლიდურ ბირთვის მოიცავს, რომელთაც ქართული მწერლობის გადასარჩენად მუდამ წონიანი სიტყვა ეთქმით და ამ ფონზე იმავე მსოფლმხედველობის მქონე კოლეგებისგან მხარდაჭერის ნაცვლად ყრუ კედლის აღმართვა ზუსტად იმ ამოუვსებ დაქსაქსულობაზე, საზიანო მონოპოლიზმსა და მზაკვრულ კოლაბორაციონიზმზე მიუთითებს, რის დასაძლევადაც ჟურნალის დაარსება განვიზრახეთ. ფაქტია, წილი ნაყარია და მომავალში სალიტერატურო პროცესების გაშუქებისა და ანალიზის დროს მეტნაკლებად აქტიური მწერლის, ლიტერატურათმცოდნისა თუ ჟურნალის რედაქტორის ქმედება სათანადოდ შეფასდება და განიხილება.

დასასრულ, ისლა დამრჩენია ჩვენი ჟურნალის წარმატებული სტარტის სათანადოდ გაგრძელება ვისურვო. რა თქმა უნდა, „ისინდი“ მკაფიო ეროვნულ კურსს კვლავ განუხრელად მიჰყვება და ქართული მწერლობის დასაცავად მუდამ გეგმაზომიერად იბრძოლებს.

ცალკე გამოსარჩევია მისტიკური დამთხვევა, რომელიც გამოჩენილმა მწერალმა და მთარგმნელმა, ლერი ალიმონაკმა ჟურნალის წარდგინებაზე სიტყვით გამოსვლისას საგანგებოდ გამოკვეთა. სახელდობრ ის ფაქტი, რომ „ისინდი“ ცისფერყანწელთა ორდენის ჟურნალის დაარსებიდან ზუსტად ასი წლისთავზე იშვა, რაც ეროვნული მემკვიდრეობის უწყვეტობის შესანარჩუნებლად ჭეშმარიტად ღრმადსიმბოლურ მნიშვნელობას იძენს!

იკა ქადაგიძე

**თანამედროვე ქართული პოეზიის ზოგადი ტენდენციების შესახებ**

დღეს მონოდებასავით ხშირად გაისმის, რომ ნამდვილი პოეზია თითქმის აღარ იქმნება. თანამედროვე ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს თუ გადავხედავთ, დამამედებელი პროგნოზის გამოსატანად გამბედაობა გვიმტყუნებს. ნიაღვარივით წამლევავ „ლექსებს“ შორის ნამდვილ პოეტურ ნიმუშს მართლაც იშვიათად წააწყდები. შესაბამისად, პოეზიაზე მსჯელობისას უმეტესად ძველ მგოსანთა ნამუშაკევის გახსენებას ეთმობა ყურადღება.

ახალი საუკუნის წარმოჩენისას გარდასულ დროს იშველიებენ. ხსნას წარსულის გამოსხმობით ელიან, რადგან თანამედროვე ეპოქამ პოეზია უძრავ საგნად, ისეთ ავტომატურ ხმად გარდაქმნა, რომელმაც ულტრამოდურ მობილურ ტელეფონში „ჩასამონტაჟებლად“ საკმარისი ქულეები ვერ დააგროვა.

სინამდვილეში სამყარომ რა ხანია პოეზია ბრძოლაში გამოიწვია. დროის დინამიკას გამოდევნებულმა ფეხმარდმა საზოგადოებამ რალაც მანქანებით ნევრასთენიკთა რიტმი შეიმუშავა და თუ პოეზიას კვლავ კულტურის ავანგარდში ყოფნა ნებას, დროა მსოფლიოს მოდურ ძრავად გააცნოს თავი. ჭეშმარიტი ხელოვნების გასათავისებლად ამგვარი „მანიფესტი“ გამოუსადეგარ, თუმცა თანამედროვეობის შესატყვის მონოდებად ჟღერს. და აჰა, პოეტთა რიგში ჩასანერად უამრავი სტერილური ხელოსანი მოექანება. მათ ნაცოდვილარს ბუნებრიობის არაფერი სცხია. სამაგიეროდ შემოქმედებითი გულ-გრძნეულება ტექნიკური მიღწევებით ჩაანაცვლეს და ვაიექსპერიმენტულ ვაირეფორმატორული ცრუქიმერებით დაბნეულ მკითხველს ერთჯერადი, იაფფასიანი და უგემური შეჭამანდი შესთავაზეს. სწორედ ამგვარ მედროვეთა დამსახურებაა, რომ პოეზიას თავისი მრეველი შემოაკლდა. ეგოცენტრიზმითა და გრაფომანიით დაავადებულმა უნიჭო, მაგრამ გავლენიანმა მოჭანჭიკეებმა (ფსევდოპოეტებს ვგულისხმობ) მკითხველი პირნიმინდად გაჭურდეს. ათასგზის ნაოპერაციები პროდუქციის შემოსაღებაში მათ ბადალი არ მოეპოვებათ. მედროვეების ამოსავალი მუდამ კომერციული ჩარხის ასამოქმედებლად არის მიმართული. ამ სფეროში მათი ზეაქტიური ენერჯია შესაშურად იხარჯება. გავლენიანთა (მათ არც უსახელო თვითმარქვეები ჩამორჩებიან) დაულავი მცდელობით პლაგიატი დაკანონდა. მოჭანჭიკე „ხელოვანები“ დღენიანთა თვინათ „შედევრებს“ უნანავებენ, ორიენტაციადაკარგულ მკითხველს თანამედროვე თემატიკის უპირატესობის მტკიცებით გულს უწყალებენ, რათა ვინმეს ხელი არ წაუცდეს და შემთხვევით რეკლამის მიღმა მიჩქმალული ჭეშმარიტი პოეტური ნიმუშების დასაგემოვნებლად არ მოიცალოს (გულმა გაუწიოს მეთქი, ამ ძველმოდური გამოთქმისგან თავს საგანგებოდ ვიზღუდავ). აქედან გამომდინარე, ის, ვინც ამ აღრული ტენდენციების შეფასებასა და დახარისხებას შეებდავს, მავანთავან „არამკითხე მოამბის“ მსგავსად ლიტერატურული ტეროროზმის წარმომადგენლად მიჩნეული. ცალკე საკითხია, ავგიასის თავლის და-



სუფთავების მოსურნეს კულუარებსა თუ საჯარო მასკარადებზე რა ხვედრი ელის. ამაზე მოგვიანებით ვიმსჯელოთ, დროის მოკვლის უნივერსალურ ხერხს მოცალეობის ჟამს მხოლოდ გამოცდილი, ღრმაზროვანი და რისკიანი ადამიანები ფლობენ.

საყოველთაო განუკითხაობის ფონზე პოეზიის საზღვრები უკიდურესად შევიწროვდა. ზოგჯერ შიში მიჰყრობს, ძველმოდური ავგაროზივით უსარგებლო ლექსი გულგრილობით ჩაჟანგებულ-დაგირავებული მუზეუმებით ერთ მშენიერ დღეს არ გააუქმონ; რომ ჩავუკვირდეთ, მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფის კვალდაკვალ პოეტური აზროვნების კატასტროფის შედეგსაც ვიძიებ. ძალ-ღონე არ მოგვედეს იმის გასარკვევად ამ საყოველთაო კრიზისს რა განაპირობებს; კერძოდ, რა შიდაგანანესი დაედო საფუძვლად განსაზღვრებას, თითქოს პოეზიის დანიშნულება ამოიწურა. ამაზე დიდი მკრეხელობა წარმოუდგენელია! სანამ ხმელეთზე თუნდაც ერთი სრულფასოვანი პიროვნება იარსებებს, სიტყვის ლექსად გარდათქმის მოთხოვნილებას ყავლი არასდროს გაუვა. საკამათო ოდინდელი საკითხია: ჭიდილი მუდმივ ღირებულებასა და მოდურ, დროებით გაბატონებულ ტენდენციას შორის.

ვიმედოვნებ, მკითხველი მომიტევეს, რომ შესავალი ჩემი ძველი წერილიდან „ვისესხე“, რომელიც ზუსტად ათი წლის წინ დაინერა და ჩემს პირველ პუბლიცისტურ-ესეისტურ კრებულში“ ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“ (2009) გამოქვეყნდა სათაურით: „პოეზია სულიერების განაჩენი და სისპეტაკე.“ საზაფხულო არდადეგების დროს ელექტრონული სახელმწიფოს თვალშისაცემი ზედაპირულობის გასარღვევად ეს პუბლიკაცია ინტერნეტ-სივრცეში განავთავსე. სოლიდურმა გამოხმაურებებმა და არაერთმა გაზიარებამ დამარწმუნა პოეტების ქვეყანაში რაოდენ მწვავედ დგას პოეზიის რაობის საკითხი. წლების მდინარების მიუხედავად სასიკეთოდ არაფერი იცვლება და დიდი ხნის მანძილზე დაგროვილი გადაუჭრელი თემების გადაწყვეტას საშველი არ ადგას. ამიტომ არ გვებზრდება რიტორიკული რეპლიკებით საკუულირება, რომ მოჯადოებულ წრეს თავი ვერ დავაღწიეთ, მხოლოდ თეორიულ ქიმერებს ვახვავებთ, პრაქტიკულად უძრავ დეკორაციას ავბედიითი კონსერვატიულობით ვიცავთ და

ა. შ. ფაქტია, კრიტიკული უნარით გამორჩეული მწერალი თანამედროვე ტენდენციებზე მსჯელობას გვერდს ვერ აუქცევს და რადგან უახლეს ლიტერატურულ პროცესებში მონაწილეობას თავიდანვე მივეჩვიე (ჩემი სამივე კრიტიკულ-ესეისტური წიგნი სწორედ ამ სახიფათო ტენდენციის მაუწყებელია), უპრიანია თანამედროვე ქართული პოეზიის შესახებ ჩემი უფრო ანალიზი წარმოვადგინო. აქვე დავაზუსტებ, ეს ტენდენციები უახლეს მოვლენებს ზოგადად ასახავს, რადგან თემის მასშტაბურობა ერთი, თუნდაც ვრცელი პუბლიკაციის საზღვრებს ამომწურავად ვერ შემოწერს. ქართული კრიტიკისა და ეროვნული ჟურნალ-გაზეთების დახასიათების შემდეგ როგორც იქნა თანამედროვე ქართული პოეზიის ჯერიც დადგა. მიმდინარე საკითხთან შეჭიდების წინ მცირედი იუმორისტული პასაჟი ნამდვილად არ გვანყენს: აქამდე თუ ჩემი ორლესული კრიტიკით ძირითადად მწერლები გადავიმტერე (რასაკვირველია მათ რიცხვში პოეტებიც ბლომად ურევია), ამჯერად, სტატიის სპეციფიკის გათვალისწინებით, მარტოოდენ სუფთა შემადგენლობის მგოსნებს „დავერევი“, სხვა რა გზაა. კაცმა არ იცის ვისი გადასახადია, (ვის სინდისზე ძვეს მეთქი, ამ ხმამალა განაცხადს საგანგებოდ ვერადები...) გაქცევა რომ არ მომდგამს და შეკაზმულ ცხენს შორს განავარდების შესაძლებლობას ვუზღუდავ...

მოკლედ, სანამ თანამედროვე პოეზიის მშობლიურ შამბნარს შევერევი, სული მძლევს ევროპეისაციის მოსურნე საზოგადოებას ერთი საგულისხმო ამონარიდი მივანოდო, რომლის ავტორი ცნობილი ფრანგი სოციოლოგი პიერ ბურდიეა. ნობელიანტ მწერალ გიუნტერ გრასთან სატელევიზიო დისპუტის დროს (ეს 1999 წელს განხორციელდა და შესაბამისად, გარკვეულწილად მეოცე საუკუნის დასასრულის შემაჯამებელი ფაქტია) იგი ლიტერატურის წინაშე არსებულ გამოწვევებზე გულახდილად მსჯელობს. „პარადოქსულია, მაგრამ დღეს, როგორც ჩანს, ადამიანებს, რომელთაც საქმე აქვთ სიტყვასთან, სრულებით წართმეული აქვთ სიტყვის წარმოებისა და გავრცელების საშუალებები. თუ ჩვენ მოვისურვებდით რამე გვეთქვა ფართო საზოგადოებისთვის დიდ არხებზე, დაუყოვნებლივ შეგვანწყვეტინებდნენ ლაპარაკს ცენზურის გამო.“

ფრანგი სოციოლოგისა და გერმანელი მწერლის დისკუსია საერთაშორისო ლიტერატურულ ტენდენციებს აამკარავებს, რომლის მიხედვითაც ციფრული ეპოქის რელსებზე გადასულ კაცობრიობას სიტყვის მსახურების დასაშორებლად კვლავ ცენზორი ესაჭიროება. აქვე დავძენ: თუ მანამდე ცენზორს (მე მას შინამტანჯველს ვუსწოდებ) მხოლოდ რედაქციებსა და გამომცემლობებში „ასაქმებდნენ“, ტექნიკის განვითარების ფონზე ლიტერატურული ჟანდარმის სამოქმედო არეალი გაცილებით გაფართოვდა; მან ტელესამყაროსა და მედიის სფეროშიც საპატიო ადგილი დაიკავა და გაბედული ხელოვანების ნააზრევის გაკონტროლებისა და შეზღუდვის უნივერსალური ბერკეტები ხელთ იგდო. ევროპის მიღმა თუ კისერს გავწვართავთ, ამ ერთი შეხედვით უხილავი ზემოქმედების წნეხის უზარმაზარ ძალმოსილებას მთელი სისრულით შევიგრძნობთ. ცენზურა, როგორც წესი, ნომენკლატურული იდეოლოგიის გატარებას ემსახურება. 90-იანი წლებიდან

მოკიდებული ჩვენში შემოჭრილმა ნეოლიბერალიზმმა ეს სამაგალითოდ დაამტკიცა, როდესაც „ახალი“ იდეოლოგიის განსამტკიცებლად საბჭოური დექტატით სულგამწარებულ ეროვნულ მწერლებს ჯვაროსნული ომი გამოუცხადა მათ საპირწონედ დრეკადი ელემენტები, ე.წ. ავანგარდები ალაზევა, რომელთა ლიტერატურული „ღირსებები“ სახეზეა და საზოგადოების დიდ ნაწილს სამართლიანად აღაშფოთებს. ის დეტალი, რომ ეს კასტა იდეოლოგიის პარალელურად მხატვრულადაც სამარცხვინოდ მოიკოჭლებს, სადღეისოდ კამათს აღარ ექვემდებარება. ვინც ამ მალალანზღაურებადი ცენზორების მიერ ხელდასმული“ დიდბოეტების“ იდეოლოგიური ნიჰილიზმით შეკმაზულ მხატვრულად უსუსურ ტექსტებს თუნდაც ზედაპირულად იცნობს, მისთვის ცხადია, რომ ეს ათას ეშელონსა და ნაირგვარ ინტრიგაში გამოჯეჯგილი ადებტები ნომენკლატურული იდეოლოგიის მსახურებად კომერციული გარიგების გამო ცალკე ირჯებიან და უკუღმართი აზროვნების მომგებიანი დაბანდებით ფულთან ერთად ცნობადობის სტატუსს გულმოდგინედ იხვეჭენ. პროზაში ნომენკლატურის საფირმო კერძად პოსტმოდერნიზმი გაფორმდა. რომლის დანიშნულებაზე მის ეპიგონებს მხოლოდ შორეული წარმოდგენა გააჩნიათ და ამ გაკოტრებული მიმდინარეობის რეინკარნაციას მოდიდან გადასული ფილოსოფოსებისა და მწერლების ნაგვიანევი თარგმანების დახმარებით და გამოზულად ტენდენციური კომენტარების აქტიური რეკლამირებით ენევიან. ჩვენებურ მაჩანჩალა პოსტმოდერნისტებს სიტყვა არაერთხელ „შევაწი“ და ამიტომ უპრიანია ამჯერად პოეზიაში გაბატონებულ ტენდენციებზე გავამახვილო ყურადღება. ზემოთ აღვნიშნე, რომ მწერლობის დესაკრალიზაცია 90-იანი წლებიდან იღებს სათავეს. ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ სიტყვა ეროვნული ცალსახად ნეგატიურ ტერმინად იქცა, რამაც ეროვნული ცნობიერების აღმოფხვრის მცდელობის პარალელურად საყოველთაო ნიჰილიზმს მისცა გასაქანი. მასხოვს, ახალბედა ავტორმა ჩემი ნაწერები ერთ-ერთ რედაქციაში ბ-ნი მიხო მოსულიშვილს რომ მივეუტანე (მას იმჟამად როსტომ ჩხეიძის სალონურ თავყრილობებზე ვხვდებოდი და ეს იდეა თავად დაეხდა), გამოცდილმა მწერალმა გულახდილად განმიცხადა, რომ ამგვარ პოეტურ და მხატვრულ პროზას გასავალი აღარა აქვს და პოპულარობის მოსაპოვებლად თანამედროვე სტილი, კერძოდ, ჟარგონისა და ეროტიზმის ნაზავი უნდა ამეთვისებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი ძველმოდურობა უკან დამხევდა. ეს „რჩევა“ – თანამედროვე პოეზიის განმსაზღვრელი ტენდენციის სიგნალის ასოციაციად გაისმა და იმდენად ღრმად გამიჯდა ტვინში, ჩემი ნააზრევით ბ-ნი მწერალი (ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია, მოგვიანებით ბ-ნი მოსულიშვილის ერთ-ერთ პიესას პრესაში დადებითად გამოეხმაურებოდი) აღარასდროს შემინუხებია. ეპოქის ხისტ ულტიმატუმს ჩემ თვალწინ მწერლების უმრავლესობა აჰყვა. პოსტსაბჭოთა ქვეყანაში მორიგი პარადოქსი დამკვიდრდა: სავალდებულო სოცრეალიზმს, რომელსაც თანამედროვე ლიტმცოდნეები და მეცნიერები სასურველი გრანტის აზარტით დღეს ერთსულოვნად აკრიტიკებენ, არანაკლებ სავალდებულო მიმდინარეობა – პროზაში პოსტმოდერნიზმი, ხოლო პოეზიაში – ვერლიბრი ჩაენაცვლა. აქ იმის ახსნა ზედმეტია,



ვერლიბრს მსოფლიო ან თუნდაც ჩვენს ლიტერატურაში რა ადგილი უჭირავს (ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და ამაზე არ შეეჩერდები). ნეოლიბერალიზმის გაბატონებამ ვერლიბრი წინა პლანზე იმიტომ წამოსწია, რომ მას ეროვნული მუხტით გაჯერებული ნაწარმოებები სრული უპირატესობის აპლომბით კომპეტენტურად მოემთო; თითქოს ყველა ფრონტზე გაკოტრებული მგოსნები ურპატრიოტულ ტექსტებში თუ სამშობლოს სახელით გულზე მუშტებს იბაგუნებდნენ, ეს სალი აზროვნების მაუწყებელი გამოდგა და ამით რაიმე სასიკეთოდ შეიცვალა! ფაქტია, ტრადიციული საზომის, ვერლიბრისტიკის საყვარელი გამოთქმისა არ იყოს, კონვენციური ლექსის აკრძალვით ცენზორებმა და მისმა ფავორიტებმა ხელი გვარიანად მოითბეს. რაც არ უნდა იყოს, რითმიანი ლექსი თვით ყველაზე წყალნაღებული დილეთანტისგანაც ელემენტარულ მუსიკალურ სმენასა და მოკრძალებულ სალექსო ტექნიკას მოითხოვს, რისი უნარიც ე.წ. ვერლიბრისტებს აკვნიდანვე ატროფირებული აქვთ და სახიფათო ბორკილებისგან გათავისუფლებას პრომეთეზე მეტად ამიტომ ესწრაფვიან. ვერლიბრი მათი მწყალობელი და მხსნელი თეზესია, რომელმაც ეს უნიჭო, გავლენიანი კასტა რითმის განსაცდელისგან უყოყმანოდ იხსნა და მსუყე პრემია-ვოიაჟებისკენ გზა ფართოდ გაუხსნა. მკითხველს არ ეგონოს, ვერლიბრის ოსტატებს ვმტრობდე. ნიჭს რომ ვერსიფიკაციულ ჩარჩოებში ვერ გამოამწყვედე, ეს ახალი აღმოჩენა არ გახლავთ. მადლობა ღმერთს, ამ განხრით დიდოსტატები არ გვაკლია. მე ნომენკლატურის ნებადართულ ეპიგონებზე ვსაუბრობ, რომელთა რიგებშიც, სამხუნუაროდ, პირადი კეთილდღეობის მოსახვეჭად დამეცადინებული ნიჭიერი პოეტებიც ურევია, რაც ამ სახიფათო მოცემულობას უაღრესად ამძიმებს. ფაქტია, ის ტენდენცია, რომელიც საბჭოთა რედაქციებში მომუშავე ლიტერატორსა და პოეტს საშუალებას აძლევდა ყოველმხრივ ღირებული მხატვრული ნაწარმოები როგორმე ხალხმადე მიეტანა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცენზურისგან ოსტატურად (ხშირად ფარული შეთანხმების საფუძველზე) გაეპარებინა, სადღესოდ წარსულს ჩაბარდა. სამთავრობო დოტაციაზე მყოფ ჟურნალ-გაზეთებს ვინ დაექმბს, როცა ამგვარ პოლიტიკას ის რედაქციებიც ვეღარ მისდევენ, დამოუკიდებლად სხვა წყაროებიდან რომ ფინანსდებიან და წესით თავისუფალი არჩევანის პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდნენ. შინაგანი მზაობის გაქრობის კვალდაკვალ აქ ფულის დიქტატურისა და გავლენის სფეროების გადანაწილებისას გამოვლენილი კლანური შეთანხმების მრავალფეროვანი ინტერესები დომინირებს, უმრავლესობისთვის ეროვნული მწერლობის არსებობას ოდენ სიტყვიერი რიტორიკის ფასადური მხარე ამართლებს, სინამდვილეში კი გადაბირებული სექტა (საკმაოდ მრავალრიცხოვანი სპექტრის დამრტყმელი ძალა) მის მოსალონიერებლად და დასაცავად თითსაც არ გაანძრევს. ვისაც ჩემს ნათქვამში ეჭვი ეპარება, მაშინ საფუძვლიანად დამისაბუთოს ამ გაგანია დემოკრატიის აყვავების ხანაში რალა მაინცდამაინც ეროვნული მიმართულების ჟურნალ-გაზეთები გაჩერდა და დაიხურა?! ამ თემას ახლახან საგანგებო წერილით გამოვეხმაურე და განმეორებას რომ თავი ავარიდო, მოკლედ მოეჭრი: ამგვარი სტაგნაცია, ეროვნული ცნობიერების უსიტყვო აკრძალვა და გეგმა-

ზომიერი დადამბლავება, ქართულ მწერლობას რა ხანია აღარ მოსწრებია და ეს მზაკვრული პოლიტიკა ტყვიავაუმტარი დუმილის თანხლებით გეზმიმართულად ხორციელდება. ამ ავბედით ცვლილებებს ერთეულთა გარდა არავინ ახმაურებს, ათას ყოფით პრობლემაში ჩათრეულ მწერლებს პირდაპირ ფაქტების წინაშე აყენებენ, მათ არავინ არაფერს ეკითხება. სამაგიეროდ ამ ფონზე ნომენკლატურული ჟურნალების მაღალბიუჯეტოანი პროექტებისა და მსუყე ჰონორარების ალღუმი გამაღიზიანებლად თვალშისაცემია. მათი პატრონაჟით გამართული კონკურსების ლაბრინთში მოგზაურობა პირამიდების ხუროთმოძღვართა უკიდევანო წარმოსახვას დიდად არ ჩამოუვარდება; ამ ყბადაღებული კონკურსების იერარქიული სტრუქტურა ისევე რთულია და ძნელადგასათავისებელი, ვთქვათ, როგორც „ულისეს“ ავტორის სამწერლო ენა, მკითხველთა მესხიერებისა და აზროვნების დონის გასაავრჯიშებლად თავსატეხთა არსენალს რომ არასდროს მოისაკლისებს. რასაკვირველია, კონკურსებს თავიანთი მარადიული გამარჯვებულები ამშვენებენ, რომლებიც თავიანთ პროდუქციას ყველგან გამალებით ჩურთავენ და სოცრეალიზმის, უკაცრავად, ვერლიბრის ზეობის ჟამს წყალწყალა, ხშირად უგემოვნო და და მონოტონური ტექსტების საფასურად სოლიდურ გასამრჯელოს ამაყად ითხოვენ. ეს ცალკე თემაა და როდესაც თქვენმა მონა-მორჩილმა ამ მარადიული გამარჯვებულების მადის შესაკვეცად წინადადება წამოაყენა, სახელდობრ, კონკურსის მესვეურებს ურჩია მინიმუმ სამი წლით გამარჯვებულთათვის შევბულება გამოენერა, ადვილი წარმოსადგენია, ჩემს მოსაზრებას (ამას ეძღვნება ჩემი წერილების საგანგებო ციკლი, კერძოდ, საკონკურსო ვარიაციები) კულუარებში რაგვარი გნისა და კბილთა ღრჭენა მოჰყვას!

ფაქტია, ვერლიბრის (სინამდვილეში კონკურსებში გაბატონებულ „ვერლიბრს“ ამ საზომთან არაფერი ესაქმება, თუმცა ეს უდღეური ტექსტები არც ნორმალურ პროზაულ ტესტებად გამოდგება) დომინანტობას სწორედ ნომენკლატურული ულტიმატუმის თანმდევი დაჟინებული მოთხოვნა განაპირობებს. აქვე აღსანიშნავია, რომ სამთავრობო კონკურსების პარალელურად კლანურად შეკავშირებული მწერლები ახალ-ახალ ადგილობრივ კონკურსებს დაუზარლად იგონებენ, სადაც კუთხური სეპარატიზმის იმგვარი რიტმი დულს, თემური წყობილების ხანაში გეგონება თავი. მთიელები მეგრელებს უღრენენ ან პირიქით. ვაჟას მიმდევრები აკაკის მხარდამჭერ იმერლებს ერკინებიან და ა.შ. ცხადია, ამგვარი შეგნება მწერლების მსოფლმხედველობრივ დაქსაქულობას შეუღამაზებლად აამკარავებს, მკითხველს კი საფიქრალს უჩენს, ამდენ ბანაკად დაყოფილ და ურთიერთმოქიშპე ძალებს ნამდვილი მწერლობის ღირსების დასაცავად როდისლა სცალიათ?!

სანამ ათას დრომოჭულ ორგანიზაციაში გადანაწილებული უთვალავი პოეტ-მწერალი გავლენისა და ფინანსური კეთილდღეობის მოსაპოვებლად დაუღალავად იბრძვის, ნომენკლატურის ფავორიტები ყველასგან შერისხულ ეროვნულ მწერლობას ცინიკური წიაღსვლებითა და მაღალჩინოსან ცენზორთა ურყევი მხარდაჭერით თამამად ჯიჯგნიან; თავიანთი „შედეგების“ დაუბრკოლებელი გამოქვეყნებით კლასიკოსებსა და მაღალმხტვრულ

ღირებულებებს გეზმომართულად განაქიქებენ. პოეზიაში ამ რევიზიონისტურ მტურმს იათაშვილი, შამუგია, დე-ისაძე, და მათ კვალში ჩამდგარი უამრავი საეჭვო ზნის ავანტიურისტი მედგრად ახორციელებს. ცნობადობის თავბრუდამხვევი ხიბლი აქ გადამწყვეტია, თუმცა ამ კატეგორიის „პოეტთა“ რიცხვი იმდენად მზარდია, მეეჭვება გამოცდილმა ქართველთმოძულე ვეტერანებმა თავიანთი პოზიციები ახალუხლებს იოლად დაუთმონ და გლამურული პოპულარობის პალმა კონკურენტებს უბრძოლველად გადაულოცონ. ჟურნალი „ახალი საუნჯე“ ამ ჭრელი კონგლომერატის ნამდვილი ბუდეა, რომლის რედაქტორი, ეროვნული მწერლობის გაბიაბრუებაში საკმაოდ გამობრძმედილი ავანგარდი შოთა იათაშვილი, თანამედროვე ქართული პოეზიის სტაჟიანი „მებაირახტრე“, ცხადია, ვის პოლიტიკას ატარებს და უხარისხო, ვადაგასული მაკულატურით სპეკულაციის პირობებში მსუყე ჰონორარებს რა პრინციპით ანანილებს. კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ჟურნალის ფინანსური დანახარჯის არცთუ მოკრძალებული ნუსხა მწერლების დაუსრულებელი ვნებათაღელვის საგანია. ის გარემოება, რომ აქაური მეგობრების გარდა რედაქტორი უცხოელი კოლეგების გულისმოსაგებადაც ფრიად უშურველად იხარჯება, ცალკე თემაა; ჩვენ აქ ეკონომიკურ დარღვევებზე მეტად უპირველესად ის ლიტერატურული პროდუქცია გვინტერესებს, ავ თვალს რომ არ ენახებოდა და შინ მოყვარეს და გარეთ მტერს გულს უხეთქავს. სიმართლე რომ ითქვას, კულტურის სამინისტროს ბუდეურში დაფრთიანებულ-წარჩინებული მგოსნების მარგალიტების გადასარჩევად ერთი სიცოცხლე არ გვეყოფა. საერთოდაც, ვისაც ლიტერატურაზე გული შესტკივა, აქ დაბეჭდილ მაკულატურას კომპეტენტური პირის გარეშეც იოლად დააგემოვნებს. ერთს დაჰქენ: იოსებ გრიშაშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, იათაშვილის ჟურნალში ჩამწყრივებულ უბადურებს სულ მცირე, ყარაჩოხელების ლუკმად აქცევდა, ჩვენი სვეუბედური დედაქალაქის „შესაფერისად შემკობისათვის“. აქ შარშან კურიოზსაც ჰქონდა ადგილი. ბატონი იათაშვილი „ბავშვურად“ განანწყენდა თბილისისადმი მიძღვნილი ლექსი დღესასწაულზე საჯაროდ რომ არ ნააკითხეს და უბალ ჩე გევარას ნილაზს ამოეფარა: არიქა, ჩემს მშობლიურ დედაქალაქზე დანერლი ჰიმნის გამომზეურებას მიკრძალავენო. არადა ეს ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი გონივრული გადაწყვეტილება იყო. ვინც იათაშვილის პოეზიას იცნობს, მიხვდება რას ვგულისხმობ და იმ თბილისელებისა თუ დანარჩენი დაბა-სოფლების მკვიდრთა სახეებსაც ნათლად წარმოიდგენს, „ახალი საუნჯის“ რედაქტორის ჰიმნს დოლ-გარმონისა და ტრადიციული კერძების თანხლებით საკუთრივ რომ დააგემოვნებდა. ასეა, მადა ჭამაში მოდის. როდესაც კაცს ესოდენ ძვირადღირებული ჟურნალის რედაქტორობას უყოყმანოდ მიანდობ, ვითომ საჯაროდ ავანგარდული ჰიმნის ნაკითხვას წინ რა უდგას?! თუ შამუგია მთელი ქვეყნიერების ჯიბრზე გლამურულად იგინება და ეს ელვარე ნიჭის ამოფრქვევადაა მიჩნეული (შამუგიას ლექციების მოსმენა ახალგაზრდებთან მართლაც ერთ რამედ ღირს!), იათაშვილი მასზე ნაკლები ბლენძია, შამუგია ჯერ სად იყო, ჩვენი რედაქტორი თბილისის ლანძღვისა და ტალახის ღვართქაფს რომ უგზავნიდა? ენა ვის მოუ-

ბრუნდება სტაჟიანი პოეტს დედაქალაქის სიტყვამდულარე აბაზანები დააყვედროს?! მოკლედ, ზოგის ბამბაც ჩხრი-ალეხს და ზოგის კაკალიც არა! გრიშაშვილი რომ ამ ამბავს მოსწრებოდა, თბილისი რა ლაზათიან მუშტი-კრივს იზიემებდა! აბა სახალხო დღესასწაული ეს იქნებოდა და არა უსისხლო ტექსტების უაზრო რახარუხის ნაძალადევი ყურისგდება. ფაქტია, ფავორიტებიც შერჩევითი სამართლის პრინციპს ემორჩილებიან დროდადრო. მართალია ჩვენს ავანგარდს სადღესასწაულო ტრიბუნა არ არგუნეს, სამაგიეროდ სხვა ბეჭდვით ორგანოში გაბრწყინება წარმატებით მოახერხა. აბა, საკუთარ ლექსებს თავის ჟურნალში ხომ არ გაუშვებდა, საამისოდ ფრიად მოკრძალებულია და „ლიტ. გაზეთში“ გამოყოფილი ერთი გვერდი დიდის პატივით შეიფერა; ჩაისა და ყავაზე შეთხზული ვითომლექსი ნაზად გვაჯახა. ვაჰ, ეს ვითომლექსები ვითომპოეტების არსენალიდან სოლიდური შინაარსის შავ-თეთრ გაზეთს გაბოლშევიკებით, უკაცრავად, განითლებით ნაღდად არ ემუქრება! ეს ვითომლექსი კიდეც იმას მისტირის, რომ ჩვენი რედაქტორის ღრმა დაკვირვების საფუძველზე დღეს ნამდვილი პოეტები ჩაიზე და ყავაზე ხშირად წერენ. აფსუს, რას ვიგუშანებდი, თურმე კალამი იმიტომ უნდა გადავდო, იათაშვილის დირექტივა რომ არ შევისმინე და ჩაის ვინ დაეძებს, (ბოლო-ბოლო ექსპრეზიდენტის გამოსობით ეს მრავალგზის ნაქები სასმელი უკვე რევოლუციური მონაპოვარის სიმბოლოდ გაფორმდა), ხოტბა ყავის მისამართითაც არ აღმივლენია; არადა, ჩემ მეგობრებს თუ დაეკითხებით, ყავას ჩემსავით სხვა ვერავინ ადულებს; ეგ არის ეს ჯადოქრული უნარი პოეტურ სტრიქონებში დასამინებლად აშკარად დამენანა! ჩვენს ნათელმზილველ რედაქტორს ისიც არ გამოჰარვია, ქართულ პოეზიას ბულბული რატომ შემოსწყრა. ამ კაემნიან „გაუგებრობას“ არც მეტი, არც ნაკლები, თრიაქის ნაკლებობას მიანერს, აბა, ჩარკვიანის ბიუსტი ვის დაუდგეს თუ არა ნომენკლატურის ზურნაზე მოჭყვიტინე პრემირებულ მგოსნებს?! სამწუხაროდ, ვითომლექსში ამაზე არაფერია ნათქვამი. მოკლედ, „მარტო ბულბული კი არ დააკლდა ქართულ პოეზიას, ყვავ-ყორნებიც დააკლდნენ, რა გვექნა, საშველი არ იყო ქართული პოეზიისო“ გოდებს ავტორი. თუ ყურს მომაპყრობს, უფასოდ დავამშვიდებ: „არის საშველი!“ ედგარ ალან პოს ყორნის ადგილი რა ხანია შევსებულა და მისი თამადაობით ძალიანაც რომ იყაყაშონ მაგ ვითომლექსების მთხვევებმა, ამირანის გულ-ღვიძლის ერთჯერადი მკორტნელის ვაკანტურ თანამდებობასაც ვერ გამოჰკრავენ ხელს ქართულ პოეზიაში, გარანტიას ვაძლევ!

„ახალ საუნჯესა“ და „არილს“ რომ იგივე ბედი ელის, რაც პროლეტმწერლების უხარისხო ნაცოდვილარს ხვდა ნილადა, ამას ყვავ-ყორნის ყრანტალის გარეშე ბავშვიც კი მიხვდება. აქ გამოქვეყნებული თანამედროვე პოეზიის უმრავლეს ნიმუშთაგან მკითხველი დარწმუნდება როგორ არ უნდა დაიჩემოს პოეტობა იმან, ვისაც სიყრმისას ლევიათანმა, უკაცრავად, ბეჭემოთმა შემთხვევით ყურზე ფეხი დააბიჯა. არ იყო საშველი ქართული პოეზიისო, რომ გავაშუნათებს პატივცემული იათაშვილი, მერედა ვინ ოხერტალმა დაუმალა, რომ ეს მაკულატურა მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის თუნდაც ჩრდილოვანი და ნაკლები სახეა? პასუხი იმათ მოეთხოვებათ, ვინც ეს

ადეპტები საპასუხისმგებლო პოსტებზე საავტორო ნამოჭ-  
იმა და ფინანსური ხელშეწყობის სანაცვლოდ ქართული  
პოეზიის დესაკრალიზაცია ცალსახად დაუკვეთა! ამგვარ  
ძალადობას კვლავ ნომენკლატურული იდეოლოგიის სათ-  
ავეებთან მივყავართ, რომელიც ნამდვილ ფასეულობათა  
წინააღმდეგ სუროგატს ნერგავს და აძლიერებს.“ ძალ-  
ადობა, რომელიც ახლა ხორციელდება, ნეოლიბერალ-  
ური პოლიტიკით ევროპასა თუ სამხრეთ ამერიკაში და  
სხვა მრავალ ქვეყანაში, იმდენად დიდია, როგორც ჩანს,  
მხოლოდ თეორიული ანალიზის დახმარებით შეუძლებე-  
ლი ამას გაუმკლავდე.“ – კვლავ პიერ ბურდიეს დასკვნას  
ვეხლებით. ის, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდიდან გა-  
მოსვლისთანავე ნეოლიბერალური იდეოლოგიის ექსპლუ-  
ატაციის არეალში მოვექცით, მონუმბს, გლობალიზაციის  
შეტევის ფონზე იმპერიულ წნეხში გამოტანჯული ქვეყანა  
ახალ გამოწვევებთან შესარკინებლად რამდენად დაუცვე-  
ლი და მოუშზადებელია.

ესოდენ სახიფათო ტენდენციის მიმოხილვის დროს  
უფროსთაობელი პოეტების თემა ცალკე გამოყოფას  
მოითხოვს. დასამალი არ არის, რომ ლიბერალური ტორ-  
ნადოს შემოჭრისთანავე ინტელიგენციამ ფლუგერის  
როლი ოსტატურად მოიხდინა და თვალსადახელშეა ერთი  
ხელმწიფის ნავიდან მეორეში ოპერატიულად გადაბრძან-  
და. ცნობილი პოეტების მარადიული გამარჯვებულების  
რანგში აღქმა იმ სინამდვილის გამოძახილია, რომელმაც  
ცხადყო, რომ პრივილეგიებული კასტა უწინარესად პი-  
რად კეთილდღეობაზეა ორიენტირებული და საქვეყნო  
ინტერესს თვითნებური გულგრილობითა და ვინრო პრაგ-  
მატიზმით ეკიდება. 90-იანი წლების ქართველების დროს  
ინტელიგენციის საბედისწერო როლმა ათასი განსაცდელ-  
ით დაუძლურებული საქართველო არშემდგარ სახელმ-  
წიფოებრივ წარმონაქმნად აქცია, რომლის ფორმალური  
დამოუკიდებლობის მიღმა სრული უმწეობისა და ქო-  
სის დამლას აღმოფხვრა ლამის აღარ უწერია. უპატრო-  
ნო ქვეყნისთვის თანმდევმა გაუთავებელმა სიძნელებმა  
ვერც მწერლობა დატოვა დაუზიანებელი. ის პოეტები,  
მანამდე პატრიოტიზმს რომ მჭექარედ შესტროფდნენ,  
ჟამთასვლამ უცბად გარდაქმნა და ერთეულების გარდა  
უსიამო მეტამორფოზას დაუქვემდებარა. აქედან გამომ-  
დინარე, წარმატებული, მჭექარე პოეტის იმიჯი ვინც  
შეინარჩუნა, ახალი კადრის მოზიდვისა და გამომწვრთნის  
პატივიც მან მიისაკუთრა. კონკრეტულ მაგალითს თუ მო-  
ვიშველიებთ, უფროსთაობელთაგან ტარიელ ჭანტურია  
ამის ქრესტომათიული მაგალითია. მის მიერ რუსთაველის  
პრემიების გაცემისას გამოვლენილი „საგმირო საქმენი“  
საყოველთაოდაა ცნობილი, ისევე როგორც გალაკტიონ-  
ისადმი ახდელი მტრობა, რაც ახალგაზრდა ამბიციურ  
მემკვიდრეებს ესტაფეტასავით გადაულოცა. (მკითხველს  
ვურჩევ ცნობილი კრიტიკოსის, თ.დოიამვილის წიგნს  
„ტარიელის ანდერძს“ გაეცნოს, სადაც ტ.ჭანტურიას შეს-  
ახებ არაერთი საყურადღებო ფაქტია მოხმობილი; ბოლო  
დროს ტ.ჭანტურიას პოეზიის შესახებ ძალზე საინტერე-  
სო მოსაზრებები გამოთქვა მარსიანმა ვრცელ სტატი-  
აში „მსოფლმხედველობათა და გემოვნებათა ომი“ ბოლო  
დროს იგი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსაც“ თავისებუ-  
რი ანგლობით წაეპოტინა, რაც მონუმბს, რომ ეს მარა-  
დიული გამარჯვებულები თავს კლასიკის დამახინჯებ-

ით იმკვიდრებენ და ახალ თაობას იმ მოლოპული გზის  
უკადრის საიდუმლოებებს ასწავლიან, რომლის მეშვეო-  
ბითაც ნამდვილი მწერლობის საპირწონედ ფსევდოლირე-  
ბულებების წახალისებითა და აღზევებით ნამდვილ ლიტ-  
ერატურას ფასი ეკარგება. ცალკე საკითხია ჭანტურიას  
ისედაც ფრივოლურ და არცთუ ღრმაზოვან ლექსებში  
ნებადართული უხამსობის ჭარბი დემონსტრირება ვისი  
კარნახითაა განპირობებული. ფაქტია, ფრიად ჭარმაგი  
კალმოსანი სოლიდურ ასაკს სრული „გათანამედროვების“  
ხარჯზე „ანახევრებს“ და შამუგიების დასს მძვინვარე ორ-  
თაბროლაში იწვევს, აქაოდა ბებერი ხარის რქების ძალა  
არ გამოგეპართო. დასანანია, როდესაც ცნობილი პო-  
ეტი თავის აღიარებას ესოდენ თვითმიზნურად იყენებს და  
ჰგონია, რომ კლასიკაზე თავდასხმა მას ახალგაზრდების  
თვალში მეამბოხის სტატუსს შესძენს, არადა პირიქი-  
თაა. ვახტანგ კოტეტიშვილისა არ იყოს, რომელმაც გარ-  
დაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე „მოუკრეფავის“  
გამოცემით საუცხოო მთარგმნელის პრესტიჟი დარტყ-  
მის ქვეშ დააყენა. ცხადია, ეს სახიფათო კოზირი პირუკუ  
ეფექტს იძლევა. მახსოვს აღშფოთებულ საზოგადოებას  
შესანიშნავი თარგმანების მიერ მოგვრილი ესთეტიკუ-  
რი სიამოვნება რბილად რომ ვთქვათ, ამ მოუზომავმა  
საქციელმა როგორ ჩაამწარა. ბენვის ხიდზე სიარული  
დიდოსტატს ორმაგი პასუხისმგებლობით მოეთხოვება  
და როდენ დასანანია, როდესად სიბერის ჟამს ასაკის  
შეუფერებლად ამჩატებული უფროსთაობელები თავს  
ზედმეტის უფლებას აძლევენ და საკუთარ პრესტიჟს თა-  
ვადვე ასამარებენ. „ნუთუ მუდამ ასე იყო? ამ თაობის ვერ  
გავიგე: მოხუცები ჭაბუკობენ, ჭაბუკი კი ბერიკაცობს!“  
(შილერი) სკაბრეზის დასაცავად დარაზმულ კოლეგებს  
ვურჩევ, სანამ ადვოკატობას დაიჩემებენ, ზემოთხსენ-  
ებული კრებული კიდევ ერთხელ გულდასმით გადაი-  
კითხონ, დაუკრეფავში გადასვლას ნუ იჩქარებენ, რადგან  
უცენზურო სტრიქონების მეშვეობით უძველესი სალო-  
ცავების შემბლავი „ლექსები“ ძალიან მძიმე და უსია-  
მო ნასაკითხია. პარადოქსია, რომ ცხოვრების მიმწუხრს  
გამოცდილ ხელოვანებს ზომიერების გრძნობა რატომღაც  
ლაღატობთ. ოდნავაც არ ანაღვლებთ, რომ მათი „თავ-  
ბრუდამხვევი ექსპერიმენტების“ გაექსკრემენტება ახალ-  
თაობელთათვის იმაზე მეტის მიმანიშნებელია ვიდრე თა-  
ვად საზღვრავენ. ნოვატორობის აზარტით ატაცებულებს  
სშირად ავიწყდებათ, რომ ხელოვნების მსახურებისას გინ-  
და არ გინდა ზნეობრიობის უგულებელყოფის ჟინმა თუ  
გძლია, მხატვრულ ოსტატობასთან ერთად დამოუკიდებე-  
ლი არჩევანის შესაძლებლობას ავტომატურად კარგად და  
მალაღანაზღაურებად ლაქათა კოჰორტას ნებაყოფილო-  
ბით უერთდები; ამდენად, უფლება აღარ გააჩნია, მომ-  
დევნო თაობებს გზა უჩვენო, რადგან ნამდვილი მწერალი  
ადამიანის ზნობრივი სანყისის გასაუმჯობესებლად იხარ-  
ჯება და არა ოდენ საეჭვო გზით მოპოვებული სახელის  
ჩრდილს დაჰკანკალებს. პროზასთან შეჭიდებული ცნო-  
ბილი პოეტის, ბესიკ ხარანაულის ქაოტური-სკაბრეზული  
სინტაქსი ზუსტად ნეოლიბერალური იდეოლოგიის მიერ  
შემოღებული ტენდენციის უშუალო გამოძახილია. დასკვ-  
ნა: ისინი, ვინც მისაბამ მაგალითს უნდა სახავდნენ, ახალი  
დროის ზურგის ქარს უმტკივნეულოდ აჰყენენ ... არადა  
გული გწყდება, ცდუნება გძლევეს შემოუძახო: სწორდით,

ძველებო, ახლებს ღირსეული მაგალითი უჩვენეთ, რამ დაგავინწყათ, რომ „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვიტკირსა!“ მაგრამ პოპულარობას ადევნებულ ვეტირანებს ღირსეული თავდაჭერა რატომღაც აღარ გამოსდით. ამ მხრივ უფროსთაობელ პოეტთაგან ვახტანგ ჯავახაძეს გამოვარჩევდი, სხვებით გატყეპნილ ბილიკს რომ უგანა და ბოლოდროინდელი ლექსებით საზოგადოების სიმპატია დაიმსახურა. ამის მკაფიო ილუსტრაციაა მისი მოზრდილი ლექსი „ყელსაბამი“, რომელიც მოწმობს, რომ თუ გული გულბოს, „ძველმოღურ“ განცდებს გააღმენება არ უნერია!

და კიდევ ერთი საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი ცნობილი პოეტი, რომლის არსებობა საქართველომ იოლად დაივიწყა. არადა მან, ავბედით 90-იან წლებში ეროვნული ცნობიერების გადასარჩენად სახლი გაყიდა და საკუთარი ხარჯით სიყალბის საპირწონედ ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ გაზეთს გამოსცემდა, რომელიც უსამართლობით დაბეჩავებულ ქართველობას ბრძოლის უნარს უნარჩუნებდა. ნოდარ ჯალალონიას ვგულისხმობ, რომლის 80 წლის იუბილემ ფაქტიურად შეუმჩნევლად ჩაიარა (ორიოდე მისალოცი სტატიის გამოქვეყნება (მათ შორის თქვენი მონა-მორჩილის) სამწუხაროდ სამარცხვინო ვითარებას არსებითად არ ცვლის!). დღეს საზოგადოებისთვის უცნობია, რომ ეს პატიოსანი და თავის დროზე მეტრძოლი პოეტი შინიდან იშვიათად გამოდის, თავყრილობებს კეთროვანივით უფრთხის, კოლეგებს აღარ ხვდება, რაც ჩვენი ტარდიციული გულგრილობისა და უმადურობის ლოგიკური შედეგია. 90-იან წლებში, სამხედრო დაპირისპირების დროს ნოდარ ჯალალონია ტარიელ ჭანტურისა ბრძოლის ალში გახვეულ რუსთაველზე გადაეყარა. (ამ სიმბოლურ შეხვედრაზე ჯალალონია თავის უაღრესად საინტერესო პუბლიცისტიურ კრებულში „სინჯარის პოლიტიკოსები“ ჩვეული გულახდილობით მოგვითხრობს) დაღვრემილ პოეტს კოლეგის გაცისკროვნებული სახე ეპოქალური კონტრასტის ორპირივან სიმბოლოდ დააჩნდა. ერთის მწუხარების ფონზე მეორის საზეიმო განწყობა იმ ორმაგი სინამდვილის გამოძახილია, რომელიც საბედისწერო არჩევანთან მიდის, მოგვიანებით სისხლით მორწყულ რუსთაველზე ცნობილ პოეტს „კუთვნილ“ პრემიას უყოყმანოდ ხელში რომ ააღებინებს. 21-ე საუკუნის თანმდევი პრაგმატულ-ცინიკური დასკვნა რელიეფურად იკვეთება: ჯილდო ცნობილ პოეტებს, პატიოსნებს – სრული იგნორირება. პოეტების ქვეყანაში გამოტანილი განაჩენი რევიზიას (არც კასაცის) არ ექვემდებარება. და კვლავ დაუკითხავად ირთვება კადრი: რუსთაველზე ორი განსხვავებული მრწამსის პოეტი საქართველოს ბუნდოვან მომავალს თავისებურად განიცდის...

„ჩამჭრელი კითხვის“ არსი შემდეგში მდგომარეობს: პრივილეგირებული კასტის პოლიტიკამ, ჩვენს შემთხვევაში მწერლების „უნებლიე“ მეტამორფოზამ ლიტერატურას რა არგო? მეტ გულახდილობას თუ გამოვიჩინეთ და ინტელიგენციის ფსიქოლოგიურ განწყობას შეუღამაზელად გავაშიშვლებთ, უფროსთაობელთა საეჭვო მუტაციის სურათი დამამიდებელი პროგნოზის გამოსატანად (ჭანტურისა ოცდამეერთე საუკუნეში შეთხზული ლექსების უხამსი ტექსტების გათვალისწინებით) ნამდვილად არ გამოდგება. არადა ახალ დროებს მიტმანნილი ნებიერი

ინტელიგენცია საკუთარი უპირატესობის განსამტკიცებლად „ვეფხისტყაოსნის“ განმაქიქებლებსა და ზემდგომთაგან ნებადართულ თვითმარქვია, უტიფარ ინტერპოლაციორებს ნავიც ვექილად უდგება. ამასაც არ სჯერდება, ჭანტურია და გოგი გაჩეჩილად რუსთაველის პოემის ახალ მაგინებელს პაატა შამუგიას მხსნელივით ეგებებიან და აღშფოთებული საზოგადოების რეაქციის საპასუხოდ „გაბედულ მემბოხეს“ კბილებით იცავენ. ყურმოკვრით მსმენია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ გალაშქრების ოდინდელი პატივი ნოდარ ნათაძეს ეკუთვნის, რომლის „გამოკვლევა“ თავის დროზე ჟურნალ „ცისკრიდან“ ამოიღეს და ოპერატიულად გააქრეს. ბ-ნი ნათაძე ალბათ შამუგიას ბედს შენატროდა, როდესაც ამ უკანასკნელს „ვეფხისტყაოსნის“ იდეალებზე თავდასხმა კარიერული წინსვლითა და ფინანსური ინსინუაციების თაიგულით გვარიანად დაუფასდა. თურმე დრონი მეფობენ და არა მეფენი! ის, რაც 60-იან წლებში მკრეხელობად მიიჩნეოდა, ნეოლიბერალიზმის გაბატონების ჟამს სავალდებულო ხარკად იქცა. მოკლედ, ნათაძის ბოპოქარი, დაუდგრომელი მემბოხის მშფოთვარე სული შამუგიაში ჩასახლდა და როცა მისი პოემა 2008 წელს აღ-ორბელიანის სალონში ამერიკაში მოღვაწე მეცნერის, დოდონა კიზიარასთან გამართულ შეხვედრაზე კამათის საგნად იქცა, თქვენმა მონა-მორჩილმა ცნობილ კრიტიკოსებს პირდაპირ მიახალა, რომ არცერთ ქვეყანაში თავიანთ უკვდავ და საამაყო ნაწარმოებს ფეხქვეშ არავის გაათელინებდნენ საქართველოს გარდა, რომ დროა ელიტარულმა ინტელიგენციამ იმ მწერლების ნაზრევიც დააგემოვნოს, ვინც სულმნათი წინაპრების ღვანლს უარყოფის ნაცვლად იცავს და ქომაგობს. მე და მაკა ჯოხაძე მაშინ ლევან ბრეგაძეს შევეწინააღმდეგეთ. იგი შამუგიას „ეპატაჟური გამოსტომის“ გამართლებას ცდილობდა. ცნობილმა კრიტიკოსმა ჩემი პროტესტის შემდეგ უმაღლეს შემომთავაზა იმ ჟურნალში მიმეტანა ჩემი პუბლიკაციები, რომელსაც თავად რედაქტორობდა. რა თქმა უნდა ესოდენ ხელსაყრელი წინადადებით არ მისარგებლია. არ მინდოდა ცნობილ კრიტიკოსს ეფიქრა, რომ ჩემი რეაქცია ოდენ პოპულარობის მოსახვეჭი გავრცელებული ფანდი იყო, რასაც საკმაოდ ხშირად მქუხარე სახელის შესანარჩუნებლად თავგამოდებული „ცნობადი“ თანამოკალმეები დაუზარლად მიმართავდნენ. ჩემი მოწოდება: ქუდზე კაცი „ვეფხისტყაოსნის“ დასაცავად შფოთისა და მოსალოდნელი საფრთხის გამო გულიდან ამოხეთქილმა ტკივილმა განაპირობა და არა მომგებიან სარეკლამო პიარზე გათვლილი პრაგმატული თვითრეკლამის წყურვილმა. წლების შემდეგ, როდესაც ჩემს შემოქმედებაზე დაწერილი აღმატებითი ხარისხის შემცველი ვრცელი წერილები ჟურნალ „აფრაში“ სწორედ ლევან ბრეგაძის რედაქტორობისას დაიბეჭდა, დავრწმუნდი, რომ სტერეოტიპი: ცნობილი მწერლის (ლიტერატორის) ყბადაღებული იმიჯი კეთილსინდისიერ პროფესიონალსა და პიროვნებას დამოუკიდებელი არჩევანის უნარს ვერ ართმევს; რომ ძალზე იშვიათად საზოგადოებაში მიღებული გავლენიანი თანამოკალმე გაბატონებული ტენდენციების მიღმა არსებულ სინამდვილეს უფრო მასშტაბურად ჭვრეტს ვიდრე მოღურ მიმართულებებს აყოლილი კასტა, ვისთვისაც მთავარი ნომენკლატურული დამლაა, რის გამოც მძლეთამძლე კლანის უპირობო მხ-

არდაჭერით გამყარებული „უცხო გარიყულის“ მწერლურ შესაძლებლობებს ოდენ მომხმარებლური კრიტიკიუმის მიხედვით აფასებს.

ვისურვებდი მწერლობისა და ადამიანისადმი ამგვარი სალი მიდგომა უფრო გახშირებულიყო, ნიჭით გამოჩენულ ახალგაზრდებს ლიტერატურულ ჯუნგლებში თავის დამკვიდრება რომ გაიოლებოდათ. არადა ახლა მოდაშია გამოთქმა, რომ ოცნებას კაცი არ მოუკლავს. სწორედ ამის გამო მსგავსი პრეცედენტის არსებობა ორმაგად მისასალმებელია.

კლანი ვახსენე და შერეული შემადგენლობის სექტა-საც ძალდაუტანებლად მივადექით. პოლიტიკაში დამკვიდრებული კოჰაბიტაციის პრინციპი არც მწერლებს დაუწუნიათ. მკითხველს შევასხენებ, წლინახევრის წინ კულტურის სამინისტროს ეგიდით წამოწყებული პროექტი „ცოცხალი წიგნები“ ხალხის მისაზიდად რეგიონებში ახალი სტახანოველების მოგზაურობის ფასიან ეპოპეად იქცა (პროექტში მონაწილე პოეტების გასამრჯელო 500 ლარს უკაკუნებდა). საზოგადოების გასაკვირად ამ ახალმა, ფრიად ჭრელი შემადგენლობის კლანმა სრულიად განსხვავებული მიმართულებისა და მსოფლმხედველობის პოეტები იმდენად მჭიდროდ შეაკავშირა, კვლავ რუსთაველის ცნობილი პასაჟი (ბიბლიური ელფერით) თხისა და მგლის შეხმატკბილება მომაცონა. ათას კონკურსგამოვლილი და პრემიანათქვლეფი ძველგაზრდებისა და ახალწვეულების ადგილობრივმა ტრიუმფალურმა ექსკურსიებმა მთელი საქართველო მოიცვა. ვისაც პროექტში მონაწილე ფავორიტების თავგადასავლები აინტერესებს, მარიფათიანი მწერლებისა და მგოსან-საქმოსნების სავლე დღიურებს დაეწაფოს, და თუ ყველაფრის მიუხედავად ვინმეს ეჭვი კლანქს პოეტურად გაჰკრავს, ჩემი ვრცელი სტატია მოიძიოს, რომლის გამოქვეყნების შემდეგაც პროექტის კურატორის, შამუგაია-იათაშვილ-ხვედელიძესთან ელიტარულად დაძმობილებული საბავშვო მწერლის მარიამ ნიკლაურისა და მისი ახალი კლანის მესვეურების მხრიდან თქვენს მონა-მორჩილზე გახშირებული ათასგვარი ღია თუ ფარული თავდასხმების ისტორიას დანვრილებით შეიტყობს. ამ კლანში გაერთიანებული პოეტების გლობალური „გავერლიბრისტება“ მოწმობს, ეპოქის ხარკს ადევნებული პოეტები კომერციული ტექსტების კვალდაკვალ ოსტატობას დაუფიქრებლად როგორ თმობენ და თავიანთ ნახელავს კონვეირული წარმოების შეუქცევად პრინციპს უმორჩილებენ. საკითხავია ეს ექსეროვნულები ტყუპისცალელებით ვეტერან ავანგარდებს როდის დაემსგავსნენ და ერთფეროვანი ტექსტების უღიმღამო გადამღერებით კომერციული საამქროს მგზნებარე გამარჯვებულებად რაოდენ ცალსახად ჩამოყალიბდნენ. გასაგებია, რომ ზემდგომთა მხარდაჭერით გაღაღებულ რჩეულებს ლიტერატურული პროდუქციის ხარისხი ოდნავაც აღარ ადარდებთ. მათ ურყევი თავდაჯერებულობით უწყიან, რომ ყველგან თვითონ იმარჯვებენ და ჯილდოვდებიან (იმ კონკურსებშიც კი, რომელსაც თვითონ აფუძნებენ, პირველი პრემიები რასაკვირველია მათივე ჯიბეში ჰპოვებს განსასვენებელს. მერე რა თუ გახშირებულ ფაქტებს სხვები აპროტესტებენ, ეს არსებულ ვითარებას მაინც არ ცვლის. ამდენად რაღაა სანერვიულო, მთავარი მაღალ ემელონებში შეღწევა და ნანატრი გავლენისა და პრივილე-

გიების მისაკუთრებაა, რაც თავის მხრივ, წვრილფეხა კოლეგების მართვის შესანიშნავი საშუალებაა. ასეა, როცა მხატვრულ ლიტერატურაზე წინ სხვა ლირებულებებს აყენებ და ინტრიგის ლაბირინთში დანთქმული მწერლობისთვის განკუთვნილ დროს გაცოლებით პრაგმატულად ხარჯავ. ცნობისთვის, მარადიული გამარჯვებულების შემოქმედებით დაინტერესებულ პირებს თავისუფლად შეუძლიათ ამ კლანის წევრთა მწერლური ნამუშაკევი შესწავლონ, გინდა არ გინდა, ჟურნალ-გაზეთები და ინტერნეტსივრცე თუ გამოცემლობები მათი ნაზრევი-თაა დატბორილი. კიდევ ერთი „უმნიშვნელო დეტალის“ გახმაურება ფრიად საშური საქმეა: ამ კლანის საფორმო კოზირი პოლიეთილენის პარკისადმი აღვლენილი ჰიმიანია. სიმბოლო, რომელიც დაუფარავად მოწმობს, კულტურის სამინისტროს ფრთებქვეშ ნებივრად გამოზამთრებულ-გამოზაფხულებული ფავორიტები ლიტერატურას, კერძოდ, თანამედროვე პოეზიას რა ჭრილში აღიქვამენ და მკითხველს როგორ პროდუქციას სთავაზობენ. ჰა, ბურთი და მოედანი სწორედ ამათხეა ნათქვამი, ვარდულებულიანს ამრებით რომ უყეფენ და პოლიეთილენის პარკს ლამის ვენერა მილოსელის ღირსებებს მიანერენ! გონებადამჯდარი დამკვირვებელი უმტკივნეულოდ შენიშნავს ესოდენ თავბრუდამხვევი სასტარტო პირობებისა და უწყვეტი წარმატების ფონზე ელიტარები თვალშისაცემ რეგრესს რომ განიცდიან და „ბრწყინვალე ლიტერატურული მარცხის“ უვალო დემონსტრირებით ამტკიცებენ, რომ თურმე ფასეული მხატვრული ლიტერატურის (ამ შემთხვევაში პოეზიის) შესაქმნელად თვით სოლომონ ბრძენის სიმდიდრე რომ ცხვირწინ დაგვიპირქვაკონ, ეს სრულებითაც არ კმარა მწერლობას ღირსეული კვალი დაამწიო. მოკლედ, როცა ვერც შემოქმედებითი განხრით და ვერც პიროვნული თვისებებით ვერ „ქაჩავ“, იყო გამორჩეული, უმჯობესია მყიფე პრეტენზიულობის დასაოკებლად სულ მცირე ყველა სახის კონკურსში მონაწილეობაზე ზრდილობისთვის მაინც განაცხადო უარი, თორემ მოარული ფრაზა: „ფული მჭირდება!“ აქ ოდნავ ტრაგიკომიკურად ჟღერს და ჭრელ კონგლომერატში ჩახარშული სექტანტების არსს შეულამაზებლად ააშკარავებს.

ლიტერატურული ჟურნალების შეჩერების ფონზე ათასი ჯურისა და მიმართულების პოეტის წიგნების ჩქაროსნულ-შეუფერხებელი გამოცემა მორიგ პარადოქსს ადასტურებს. საქმეში ჩახედული მკითხველი უმაღლესი საუკუნის მჩქეფარე სამწერლო პროცესთან გაავლებს პარალელს, როდესაც გალაკტიონისა და ცისფერყანწელების შემოქმედების საპირწონედ საკმაოდ უგემოვნო და მდარე ხარისხის პროდუქცია იქმნებოდა და შეუფერხებლად ვრცელდებოდა. ამას არც არავინ უარყოფს, (ცუდი რომ არა, კარგის ფასს ვერასდროს შეიმეცნებ!) ერთი „უმნიშვნელო დეტალი“ რომ არა: ცენზორების დიქტატის მიუხედავად კონიუნქტურული მარწუხებისგან გულშეღონებული მწერლების შემოქმედებას უმძიმესი პოლიტიკური რეპრესიების დაწყებამდე პროფესიონალი სტილისტები შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ. დღეს ეს მოცემულობა პრაქტიკულად დასამარებელია. აქედან გამომდინარე, ლაგამმიშვებულთა აღღუმზე ვისაც არ ეზარება, პროფესიონალის სტატუსს უტიფრად იჩემებს და ეპოტინება. მოკლედ, გამოცემლების ტენდენციური

არჩევანის კვალდაკვალ ფსევდოპროფესიონალების თემას მივადექით. ის გარემოება, რომ პოპულარულ გამოცემლობებს უნარი არ შესწევთ მიუკერძოებლად დაადგინონ თანამედროვე ავტორი რა კრიტიკიუმის მიხედვით ფასდება, კიდევ ერთხელ ცხადყოფს დილეთანტიზმს რაოდენ ღრმად გაუდგამს ფესვი და ნატურალისტური ტექსტების უპირობო შერჩევით მაღალმხატვრული ლიტერატურის ცალსახა იგნორირების დაკანონებისას მხოლოდ მავანთა კომერციული ინტერესებია გათვალისწინებული. თანამედროვე პოეზიის სერიის პროდუქცია სწორედ წინასწარ დადგენილი კლიშეს დემონსტრირების ბრმა გამოძახილია. გამონაკლისი საერთო ვითარებას სასიკეთოდ ვერ ცვლის, რადგან ბაკურ სულაკაურისა და მის თარგზე გამოქვრილ გამოცემელთა გათვლა ოდენ ფინანსურ-კონიუნქტურულ სპექტრს შემოწერს, რომლის ულტრასონობური მსოფლმხედველობითა და გემოვნებით გამოქვეყნდნენ სამოფლობელოში „თამაშარე მდგომარეობაში“ მყოფი პოეტი (მწერალი) ვერასდროს შეაღწევს. ბოლო დროს ამ გამოცემლობამ საკუთარ თავსაც გადააჭარბა და უკვე ინტელექტური პროდუქციის წარმოებასაც მგზნებარე საგანმანათლებლო პათოსით მოჰკიდა ხელი, აქაოდა საყოველთაო ტენდენციებს არ ჩამოვრჩეთ, ემანდ არაფერი დაშავდება ბავშვებს „ნოვაციური“ სტანდარტის გათვალისწინებით აკრძალული ხილის სიყვარულს თუ ინტელექტუალურად, გავლდევით. ამგვარი კურსი მოწმობს დინების სანინალმდევოდ მცურავი პოეტი (ზოგადად ხელოვანი) საყოველთაო იზოლაციაში რატომ ექცევა და მის აღიარებას უახლოეს პეროდში საშველი რომ არ დაადგება. ამ სამწუხარო ტენდენციის ქრესტომათიულ მაგალითად სადღეისოდ უნიჭიერესი, მრავალმხრივი ხელოვანი მარსიანი მესახება, რომლის პოეზია საზოგადოებისთვის პრაქტიკულად მიუწვდომელია (ლიზოგრაფის წესით გამოცემული საკმაოდ მცირე ტირაჟის პოეტური კრებული ამ მოცემულობას ვერ აქარწყლებს). ხშირია შემთხვევა, როდესაც სხვა ფანრში წარმატებული მოღვაწეობა მორიგი კლიშეს გამყარებას ემსახურება. ვთქვათ, კრიტიკის სფეროში აქტიურობ, რაც იმის სანინდარია, რედაქტორებმა და გამოცემლებმა ცალსახად ამ ამბულაში გაღიარონ და შენი შემოქმედების სხვა მხარე გეზმიმართულად უარყონ. საკითხისადმი ესოდენ ეგოისტური, გაუმართლებელი მიდგომა თავადაც არაერთგზის ვინვნიე, როდესაც 16 წლის მანძილზე ჩემი ლექსების გამოქვეყნება ვერსად მოვახერხე მაშინ, (ნავსი ახლახან „ლიტერატურული გაზეთის“ მეშვეობით გატყდა, რისთვისაც გაზეთის რედაქტორს დიდ მადლობას ვუთვლი!) როდესაც მწვავე პუბლიცისტურ წერილებს შეუფერხებლად მიბეჭდავენ. ე. წ. ამოჩემების სინდრომი საკმაოდ ძვირად და უსიამო, მითუფრო თუ რედაქტორებისა და გამოცემლების ჭირვეულ არჩევანს კიდევ ერთი, არანაკლებ სახიფათო ფაქტორი ზურგს უმაგრებს. კერძოდ, კოლეგების დამოკიდებულება შენი შემოქმედებისადმი, რომლებიც უპირობოდ დაეჩვივნენ კრიტიკოსის ამბულაში, მხოლოდ მათ მაქებარ სუბიექტად აღგიქვან და რატომღაც ესიკვდილებათ შენი პოეტური ნაზრევი იმის სანახევრო მიუკერძოებლობით შეაფასონ, რასაც შენგან უწყვეტად ლებულობენ და მოელიან. ეს ძალზე მტკივნეული თემაა და მხოლოდ ის გაიგებს, ვინც ანალოგიურ უღელშია შებმული და

თანამედროვე კოლეგების ტენდენციურობას საჭიროზე ხშირად ეხლება. ამ დროს ფსიქოლოგიური კომპლექსის მასშტაბურობის გააზრება ერთ რამედ ღირს! უნიჭოთაგან მსგავსი ხუშტურები ჯანსაღ ადამიანს უმეტესად სასაცილოდაც არ ყოფნის (თუ მედროვეთა ორგანიზებული შეტევა სახიფათო და აგრესიულ თავდასხმაში არ გადაიზარდა!), მაგრამ როდესაც საკმაოდ ნიჭიერი და ღირსეული პოეტი (მწერალი) ფასეულ ნაწარმოებებს ხაზგასმულ იგნორირებას უხვედრებს, ეს ორმაგად საზიანო და მტკივნეული, სამარცხვინოდ შენიღბული აკრძალული დარტყმაა! ის, ვისაც თვითონ წესით „კონკურენციის“ შიში არ უნდა უნელებდეს მაღალმხატვრულ ჰორიზონტსა და გემოვნებას, ანაზდად ყველაზე შეუვალ ცენზორად ნებაყოფლობით თუ მოგვევლინა, მტრისას! ამგვარი ქმედების ოდენ მხატვრული ნაზრევის კონტესტში გასიგრძეებანება სიმართლეზე თვალის მოხუჭვის უსარგებლო მცდელობაა. უსუფთაო ადამიანური ვნებების ინტენსივობის უგულვებლყოფა აქ ნამდვილად არ ეგების და რადგან ლიტერატურული ჯუნგლები ანალოგიური შემთხვევების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის, უნიჭიერესი კოლეგის მიერ თვალსაჩინო იგნორირების თემა ადრე თუ გვიან შესაბამის გამომხატურებას აუცილებლად ჰპოვებს. უბრალოდ, დასანანი, რომ ამ მანკიერ ტრადიციას ვერაფრით შეველიეთ სამომავლოდ უფრო პათეტიკურად რომ შევიცხადოთ თურმე გამორჩეულ პოეტებს რა უსულგულოდ ვამინებდით! ფაქტია, ცენზორის მრავალნახნაგოვნება პოეტის, რედაქტორისა და გამოცემლის (ერთად ან ცალ-ცალკე აღებული, ამას მნიშვნელობა არა აქვს) მძლეობამდე ამბულაში უშურველად ვლინდება, ამიტომ მოუთმენლად ველი მისაბაძ პრევენდენტს, რომელიც ჩვენს თანამედროვეებს სოლომონის ყავლგაუსვლელ სიბრძნეს თამამად ამოათქმევინებს: „რა კარგია დროულად ნათქვამი სიტყვა!“

სახიფათო ტენდენციის პარალელურად სასიამოვნო გამონაკლისს თუ არ შევხვებით, ჩვენი მსჯელობა ნაკლებად დამაჯერებელი იქნება და მკითხველის საფუძვლიან ეჭვს გამოიწვევს, რადგან რწმენის გარეშე ვითარების გაჯანსაღება და სამერმისო წინსვლა შეუძლებელია; ამდენად, ჩრდილის აღწერისას გამონათებასაც უნდა დაუთმო ყურადღება, შეზღუდულ აზროვნებაში რომ არ „გამოგიჭირონ!“ პოეტების სახელდებას თავი განგებ ავარიდე, რადგან განაწყენებულების არმიაზე მეტად ჩემგან შექებული კოლეგების უმადურობას არანაკლები სიმძაფრით შევჯახებოვარ! და მაინც, აქვე დავეძენ, გულწრფელად მიხარია, გიორგი ლობჯანიძის სახით გამონაკლისი რომ არსებობს. ცნობილი პოეტისა და მთარგმნელის მაგალითი მოწმობს, რომ „მიეცი ნიჭსა გზა ფართო“-ს პრინციპის გათვალისწინებით ღირსეული შემოქმედის დაფასებასა და აღიარებას წინ არაფერი ელობება! გამორჩეული პოეტებისა თუ მწერლების ჯიუტი და გაუმართლებელი დუმილის პარალელურად პროფესიონალებისა და დილეთანტების თემასაც მორიდებით მივუკაკუნოთ. სიმართლე რომ ითქვას, ამ მხრივ შემანუხებელი აქტიურობის უცვლელ სამიზნედ ვიქეცი და ეს სტატუსი მას შემდეგ გამყარდა, რაც ელექტრონულ სივრცეში შევავიჯე და იქაურთა სამწერლო ტენდენციების ანალიზს ჩემეული პირდაპირობით შევუდექი. უპრიანია სრული სურათის შესაქმნელად ამ

თემას ყურადღება მივაპყროთ.

ინტერნეტპოეზიის ყველაზე სერიოზული ნაკლი „დალაიქების“ თვალსაზრისიდან გამომდინარეობს, როდესაც მხატვრული ნაწარმოების ლირსებას ნაცნობ-მეგობართა სიმრავლე წყვეტს და არა შეფასების მიუდგომელი კრიტიკის ამოქმედების პრინციპი. ჟურნალ-გაზეთებში მოკალათებული ნაფიცი ცენზორებისგან განსხვავებით აქაური შინამტანჯველები თითქოს გაცილებით პრიმიტიულები და ზედაპირულები არიან, რაც ელექტრონულ სივრცეში განფენილი პროდუქციის აღქმისას შესაბამისად აისახება. უამრავი კლანის განშტოება აქაც ძალუმადაა გაფურჩქნული. სამაგიეროდ პლაგიატის თემა იმდენად მძაფრია, დღე არ გავა, პოეტებმა ერთმანეთს ამ საკითხზე მძაფრი სტატუსები ცხვირწინ არ უფრიალონ და ერთერთი ქურდობაში ლიად არ დაადანაშაულონ. ცალკე თემაა პლაგიატის შემთხვევაში დაზარალებული ავტორის კომპეტენტურობა ლიტერატურული პროცესის თანმდევ მოთხოვნებს რამდენად აკმაყოფილებს. ფაქტია, ფესვ-გადგმული პლაგიატის ირგვლივ წარმოებულ ბატალიებს ბოლო არ უჩანს და ამ მიზნით მკითხველთა სამსჯავროს ჩამოყალიბების ფონზე პროფესიონალი კრიტიკოსების პასიურობიდან გამომდინარე ფსევდოკრიტიკოსების აქტიურობა თვალმისაცემია. ეს ერთგვარი ლინჩის წესი დაუსრულებელი განუკითხაობის უშუალო გამოძახილია და რთულია ხელალებით ის მხარე დაადანაშაულო, რომელიც არასახარბიელო ვითარების განსამუხტად საკუთარი ძალების ამარა ირჯება. ჩვენში დარჩეს, პროფესიონალი კრიტიკოსები მსგავს ფაქტებს გვერდს რატომ უვლიან, ეს დამატებით საფიქრალს აღძრავს. ერთი შეხედვით მოტივაცია ძალიან მარტივი ასახსნელია: ამ კატეგორიასთან დაჭიდებას ბაყბადევიც ძნელად გარისკავდა, დაპირისპირებისას იმგვარ ოდიოზურ გამოხტომებს აქვს ადგილი. ლიტერატურული დისკუსიის კულტურულ კონტექსტში წარმართვა ისეთივე აუხდენელი ოცნებაა, როგორც ავადსახსენებელი კომუნისტური მირაჟის მაცდური ხატება. მოკლედ, ვისაც პლაგიატორებისა და დილტანტებისგან არ მოხვედრია, ვურჩევ, ამ თემაზე სიტყვა არ დაასველოს. ესოდენ მდიდარ გამოცდილებას ფსიქიატრებისთვის ფასდაუდებელი მასალის მნიშვნელობა ენიჭება და ოდესმე, მოცალეობის ჟამს თავს გადახდენილ კიბერშეტევების სერიას ავკინძავ, დავხარისხებ და გამოვამზეურებ, ამაში ეჭვი არავის შეეპაროს!

აი, მაშინ, კვაზიკრიტიკოსები, მათ შორის ზეენერგიული დამრტყმელი ძალა – ბ-ნი ზაურ ნაჭყებია, რომელიც მკითხველისა და ლიტერატურის შემფასებლის ჯორჯოზე ერთობ საეჭვოდ კორიკაობს, პროვოკაციულ გამოთქმებს კრიტიკის არარსებობის თაობაზე შეეშვება (თავად რომ წერის ნიჭი არ მომადლებია, ამიტომ სხვის ნაზრევს ატრიბუვებს!) და ტენდენციურ დასკვნებს ოდენ იმ აუდიტორიას შეაღებს, ვინც მისი „სიმართლისმოყვარეობა“ და „პრინციპულობა“ დაიჯერა და ცრუბელადს (გამომცემლის სახელი ცალკე რომ მოიხვეჭა და კლიენტებს (ძირითადად საქმეში ჩაუხედავ პროვინციულ მანდილოსნებს აიძულებს წიგნის წინასიტყვაობებს მისი სახელი და გვარი უყოყმანოდ წაანერონ!) შეუმიწმებლად ენდო. საკუთარი ამბიციისა და გავლენის უკიდევანო გაფართოებით შეპყრობილ ენთუზიასტს როგორც ცნობილი, ასევე მე-

ბრძოლი კრიტიკოსები რატომღაც თვალში ეპატარავენ, თითქოს ჩინეთის მკვიდრი გახლდეთ და მრავალრიცხოვან მეომრებს შორის ლირსეულის ამორჩევის დილემა თვალსაწიერს უხშობდეს. მას არც ციალა არდაშეღიას ნაღვანის თაობაზე სმენია ხეირიანად, არც ბონდო არველადის ნაშრომები წაუკითხავს (ან თუნდაც ზრდილობის გამო გადაუკითხავს!), ლევან ბრეგაძისა და თეიმურაზ დოიშვილის შესახებაც საეჭვოდ დუმს, ხოლო ლევან ბეზურიშვილსა და თქვენს მონა-მორჩილს თავისი ჭკუით ტაბუ დაადო; აქაოდა მის დევნასა და შემოთავაზებებს რომ არ დავთანხმდით, სამწერლო პროცესების ანალიზის უფლება გადანყვეტილად ჩამოგვართვა და ეგ არის! ფაქტია, კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო მუდამ ძალაშია და პროფესიონალების ავტორიტეტის წინააღმდეგ მებრძოლი კრიტიკანების გაუთავებელ პროვოკაციებს უწყვეტად კვებავს. აქ ნამდვილად არც ადგილია და მოცულობა, ამ სუბიექტის „საგმირო საქმეებს“ თანმიმდევრულად მივყვე. ერთს დავძენ, როდესაც „კრიტიკოსი“ ცენზორის როლს სიამოვნებით ითავსებს და თავყრილობებზე „არასასურველ კონკურენტებს“ სიტყვით გამოსვლას საგანგებოდ უზღუდავს და რაც უფრო უარესია, ქაღებზე საცემრად განუღო პლაგიატორს თავგამოდებით იცავს, ცხადია, უძაღლო ქვეყანაში კატებს რა მიზნით აყეფებენ!

დროა ინტერნეტსივრცის უპირატესობაზე ყურადღება გავამახვილო, რომელიც კონიუნქტურული იდეოლოგიისგან განსხვავებით იმ პოეტებს სწყალობს, სავალდებულო ვერლიბრისგან დევნილ ტრადიციულ საზომს რომ ერთგულობენ და მკითხველს მხატვრული ნაწარმოებების კვალდაკვალ ეროვნული ნიჰილიზმისგან თავის დაღწევაში ეშველებიან. ამ თვალსაზრისით თინათინ მღვდლიაშვილი დომინირებს. მისი რთული ბიოგრაფია და მებრძოლი სულისკვეთება ხალხის სიმპათიისა და მხარდაჭერის ნათელი მაგალითია. სევარიონ ნადირაძის დახვეწილი პოეზია გამოყვანილი გემოვნებით დაჯილდოებულ საზოგადოებას ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის. საერთოდაც, ამ ფრონტზე მანდილოსანი პოეტების (სქესის მიხედვით შემოქმედთა დაყოფა არ მახსიათებს, მაგრამ სტატისტიკა ამას მოითხოვს) აქტიურობა თვალმისაცემია, რაც პუბლიკის შესაბამის რეაქციას განაპირობებს. მარინა თექთუშანიძის, თეა ხასაიას, ზეინაბ მეტრეველისა და მეგი მოლოდინის სახით მკითხველი იმ ნოსტალგიურ განწყობას უღრმავდება, რომელიც ბომონდმა ხაზგასმით აითვალწუნა და კანონგარეშედ გამოაცხადა. ის, რაც ადამიანებს ბედის ნებიერი ინტელიგენციისგან აკლიათ, იმის საზღაურს „იატაკქეშეთში“ ეძებენ და ენაფებიან. მწვავე სტატუსების ინტენსივობა ერთგვარ ხალხოსნურ მოძრაობასთან ასოცირდება. ეს მაშინ ხდება, როდესაც ოფიციალისა და ხალხის (და არა მასის) აზრი საპირისპირო პოლუსებზეა და მსოფლმხედველობა და გემოვნება ცალსახად გამიჯნულია, ინტერნეტი ამ მხრივ ძალიან საგულისხმო და საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა; ვირტუალური სინამდვილე ამავდროულად აქტიური ქმედების საიმედო სარბიელია. ამაში განსაკუთრებით მაშინ დავრწმუნდი, როდესაც აკრძალული წერილები აქ დაუბრკოლებლად გავასაჯაროვე და სოლიდური და გემოვნებიანი პუბლიკის მყარი მხარდაჭერა რეკორდულად მცირე დროში მოვიპოვე. ელექტრონული

სამყაროს ხელმისაწვდომობა. იგივე მრავალგანფენილობა (რაც საზღვრების მიღმა გაჭრას გულისხმობს) მართლაც უნივერსალურ შესაძლებლობებს უხსნის გზას თუკი „პანდორას ყუთს“ დანიშნულებისამებრ იყენებ და ზერელობასა და ყალბ მასკარადებს ცალსახად ემიჯნები. ფაქტია, შეუზღუდავი და მიუკერძოებელი სიმართლის გამოსამზერებლად მას ვერაფერი შეეძრება და ჩანაცვლებს, თუკი დუმილის ალტემას არ ემონები და კონფორისტების ლეგიონთან არა ხარ შეკრული.

მოკლედ, ელექტრონულ სივრცეში პოეტური ნიმუშების იმდენად ფართო არჩევანია, ზოგჯერ ყველაფრის ერთბაშად დაგემოვნება საგრძნობლად ჭირს, თუმცა აქ გაბატონებული ლიტერატურული ტენდენციები ავტონომიური შინაარსისაა და დამოუკიდებელ ანალიზს მოითხოვს, რაც სამომავლო საქმედ მესახება.

წერილის დასასრულს ხანგრძლივი მსჯელობით გადაღლილ მკითხველს იუმორისტულ პასაჟს „შევიშხაპუნებ“. იმ შემთხვევას გავისხენებ, ჩემი საპროტესტო გამოსვლებით მოხიბლულმა ერთ-ერთმა პოეტმა მანდილოსანმა საჯაროდ, კოლეგების თანდასწრებით რომ შემომღალადა, ორლესული კალმით გამემთარახებინა. გულიანი სიცილის ფონზე გავაცნობიერე, ბასრ კალამს ჯადოსნური გამოსხივების ძალა რომ მოსდგამს, თუკი მას ბოროტად არ მიმართავ და მხოლოდ მანკიერი ტენდენციების გამოსაშკარავებლად არ იყენებ. ანაზღად მეხსიერებაში უნივერსალური ფრაზა ძალდაუტანებლად გახმიანდა: „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ის ფაქტი, რომ ყველაფრის მიუხედავად ადამიანები თავიანთი განცდების გადმოსაცემად პოეტურ საზომს ირჩევენ, ძალაუნებურად გვარწმუნებს, რომ სამყაროს პროზაული აღსასრული არ უნერია.

პოეტისა და კრიტიკოსის კალამს ფასი მაშინ ედება, როდესაც შესაფერის დროს დანარჩენების დასტურითა და მხარდაჭერით კი არ გამოელი, არამედ სხვების დაუხმარებლად, სავსებით დამოუკიდებლად აღიქვამ და დადგენილი ტენდენციების მიუდგომელი ანალიზით სასურველი პრეცედენტის შექმნა გნადია, რომელსაც დრო ვერაფერს დააკლებს, ისევე როგორც ნამდვილ პოეზიას, რომლის მაღალი დანიშნულება თვით გაუსაძლის პირობებშიც მარადყამ შეუმუსრავია!

### 13. 12. 2016.

პ. ს. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ამ წერილის შემდგომი თავგადასავლის ხვედრზეც ზუსტად აისახა. კერძოდ, დაკაბადონებული სტატია ჟურნალ „აფრის“ მორიგე რედაქტორმა (მკითხველს შევახსენებ, რომ პუბლიკაცია სწორედ მისი თხოვნით დაინერა), გიორგი ლობჯინიძემ ბოლო წამს გააჩერა და მტკიცე პირობის მიუხედავად (გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებული რედაქტორის უკანდახევა, სხვაგვარად სიტყვის გადათქმა, ცხადია, ცენზურის უპირობო ზენოლაზე მეტყველებს) მისი გამოქვეყნება ველარ გარისკა. მისი აღმატებულების-ცენზურის კლანჭმა დროულად აქაც მიწა (უკვე მერამდენედ!) ჩვენ შორის გამართული გულახდილი დიალოგი ცალკე თემაა, რომელიც მომდევნო წერილს „ვივა ცენზურას!“ დაედო საფუძვლად და თანამედროვე სარედაქციო პოლიტიკის უბერებელი საბჭოური კურ-

სის ნიველირებულ არსს შეულამაზებლად წარმოაჩენს. ფაქტია, 21-ე საუკუნის ოცნლეულში დამოუკიდებლად მოაზროვნე რედაქტორის თავისუფალი არჩევანი ჯერ კიდევ მიულწველ ოცნებას ეთანადება, რაც კლანური გავლენის სახიფათო სიძლიერის საპირწონედ მწერლობის ჯანსაღ განვითარებას წინ გეგმაზომიერად ეღობება. რა თქმა უნდა, კოლეგის მცდელობას გაგებით ვეკიდები, (მან „აფრაში“ ამ მძაფრი სტატიის ნაცვლად სხვა წერილი გამოაქვეყნა, რაც ჩემდამი მის კეთილგანწყობას მოწმობს; ამისთვის დიდ მადლობას ვუთვლი) მაგრამ ფაქტებს პიროვნულ კეთილგანწყობასთან არაფერი ესაქმებათ და თქვენი მონა-მორჩილი იძულებულია მძიმე სინამდვილეს თვალის მიუკერძოებლად გაუსწოროს. სხვაგვარად, ის დანეროს, რაც მოხდა. თავად „მცირე დეტალი“, რომ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორთა ნება მთლიანად ნომენკლატურულ სივრცეზეა დამოკიდებული, ცენზურის მოურეველ ძალაზე ღიად მეტყველებს, რაც მასთან ბრძოლას იმდენად ართულებს, შემდგომი პერიპეტეიების გაშუქება ოპტიმისტური ტალღის ეფექტს პრაქტიკულად გამოირიცხავს.

მორიგი მოულოდნელობა საკუთარი ლექსის სახით წამომენია, რომელიც ამ უხერხულად მწვავე სტატიის დაწერიდან სამი თვის თავზე შეიქმნა და სოციალურ ქსელში რეკორდულად (900-მდე გაზიარება ამის დასტურია) გახმაურდა. ბედის განჩინებით, თითქოს განგებამ იმ უსაფუძვლოდ ამბიციურ კოლეგებსა უმადლო ადამიანებზე შური ტრიუმფალურად იძია, ჩემს პოეზიას წლობით გვერდს საგანგებო გულგრილობით რომ უვლიდნენ და ოდენ კრიტიკოსის სტატუსს ტენდენციური სიკერით ცალმხრივად მანებებდნენ, აქაოდა, ჩვენი შემოქმედების განხილვის გარდა სხვა საქმით დაკავება არ გაბედოო; ხალხის ერთსულოვან აღიარებასა და ელვისებურ პოპულარობას საფრთხე მუდამ განუყრელ თანამგზავრად ახლავს და როდესაც მოძმეს (ახალი ლექსის სახელწოდებაა) არნახული წარმატების კვალდაკვალ პლაგიატი დაემუქრა, აქ ახალგაზრდა, კეთილსინდისიერი და გულისხმიერი შემოქმედისა და მკითხველის, გიორგი შიშინაშვილის ჯანსაღმა და აქტიურმა რეაქციამ ანონიმ ავისმსურველებს ლექსის მითვისებას რომ ცდილობდნენ, გზა დროულად გადაუკეტა. მოძმის თავბრუდამხვევი თავგადასავალი ცალკე სტატიას ითხოვს, ისევე როგორც სალიტერატურო სივრცეში ახალდაბადებული, მკაფიო ეროვნული მიმართულების გამომხატველი ჟურნალი „ისინდი“, რომლის სარედაქციო პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეზეა ორიენტირებული და სოლიდურ და ღვანღმოსილ, მეტძოლ ბირთვთან ერთად თანამედროვე სალიტერატურო პროცესების ობიექტური ასახვის პარალელურად ქართული მწერლობის ღირსების თანმიმდევრულ დაცვას მიზნად ისახავს. აქედან გამომდინარე, სიმბოლურია ფაქტი, რომ ეს აკრძალული წერილი საქვეპირების ჩარევის გარეშე სწორედ აქ, ამ დამოუკიდებლად გამოცემულ ჟურნალში შეუმოკლებლად და უცვლელად ქვეყნდება, რაც მოწმობს, რომ დადგა დრო, საქართველოში ცენზურამ უკან დაიხიოს და მართლამა სიტყვამ საზოგადოებამდე შეუფერხებლად მიაღწიოს!

12. 07.2017.



**კვლავ ქართული ეკლესიების შესახებ**

„ისეთი ოსტატობა და ოინბაზობა არ დაეფიცება იმათ, ვინც ძველს ქვას აცლის ძველ მონასტერს, ან ქართულ წარწერას ჰფხეკს და ზედ სომხური ასოებით გამოჰყავს, ან თვითონ ქვას იპარავს...“

ილია

აღმოსავლელ დამპყრობლებს გამორიდებული სომეხი ლტოლვილები საუკუნეების მანძილზე ტალღა-ტალღად შემოედინებოდა საქართველოში და თავშესაფარს ჰპოულობდა. გუშინდელი ბოგანოები ნივთიერად მომაგრდებოდნენ თუ არა, მაშინვე საკუთარ რელიგიურ აღმსარებლობაზე იწყებდნენ ზრუნვას და განსაცდელის ჟამს მიტოვებულ ქართულ ეკლესიებს ისაკუთრებდნენ. ამგვარად ასეულობით ქართული ეკლესია სომხურად აქციეს, ეს ფალსიფიკაციის პროცესი საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და ამ სათაკილო გზით მოამრავლეს „სომხური“ ეკლესიები საქართველოში. ამავე დროს აშენებდნენ საკუთარ ეკლესიებსაც, მაგრამ საკითხავია, სამართლებრივად რამდენად კანონიერი იყო მათი აშენება თავის დროზე. ეკლესიის აშენებას სჭირდებოდა ქართველი მეფის ნებართვა – ქალაქად, ფეოდალს თავის მამულში არავის ნებართვა არ სჭირდებოდა.

ანალოგიური ნებართვა, სიგელი დღემდე ნანახი არ არის, ამდენად, თბილისსა და სხვა ქალაქებში აშენებული „სომხური“ ეკლესიები ქართული კანონის დარღვევით არის აგებული ე. ი. უკანონოა. ეს ერთი; მეორე – ქართველი მეფის ნების გარეშე მტრისგან გავერანებული რომელიმე ქართული ეკლესიის გადაკეთება, რისამე დაშენება ან მიშენება და სომხურად ქცევა არასამართლებრივი აქციაა და მიიჩნევა მიტაცებად. ამიტომ, საქართველოს საპატრიარქო უფლებამოსილია ამგვარი „სომხური“ ეკლესიები შეხედულებისამებრ განკარგოს და აღადგინოს მათზე თავისი კანონიერი იურიდიული უფლება.

ეს მცირე ისტორიული წილსვლა იმისთვის გაკეთდა, რომ ზოგიერთი სომეხი მეცნიერი საქართველოში არსებული სომხური ეკლესიების რიცხვს ქართული ეკლესიების მისაკუთრების ხარჯზე ზრდის. ამ მხრივ ტიპურია ისტორიკოს სამველ კარაპეტციანის რუკა-ცნობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში“ (სომხურ ენაზე, ერევანი, 1995). მასში არც მეტი და არც ნაკლები, 653 „სომხური“ ეკლესიაა. საუბრისათვის წერილი არ იძლევა საშუალებას ეს ე. წ. სომხური ეკლესიების ადრინდელი ქართულობა სათანადო წყაროების საფუძველზე დაყრდნობით დავასაბუთოთ. ერთს კი ვიტყვით: 653 „სომხური“ ეკლესიიდან სულ მცირე ოთხმოცი პროცენტი ქართული ეკლესიისა გასაღებულია სომხურად. ამიტომ, ვარჩიეთ, სომხურად ქცეული რამდენიმე ქართული ეკლესიის ისტორიის მაგალითზე ძირითადი მიზეზები ვაჩვენოთ. ს. კარაპეტციანის მიერ ქართული ეკლესიების მისაკუთრების გულსატკეპნი რუკა-ცნობარის მიხედვით თბილისის სურბ-ნშნის (ქართულად – წმ. ჯვრის) ეკლესია



სომხურად არის მიჩნეული. ვახუშტი კი გვაუწყებს – „არს კუალად დაბალსა ციხესა შინა ეკლესია გუმბათიანი და ცარიელი და სხვანი გუმბათიანი უპყრავთ სომეხთა. უგუმბათო ალაშენა კარის საყდრად დედოფალმან მარიამ. კუალად ალაშენა მეფემან ვახტანგ ორი გუმბათი, დედოფალმან როდამ ალაშენა ერთი უგუმბათო – კუალად უგუმბათო ოთხი ან უპყრავთ სომეხთა („ქართლის ცხოვრება“ 1979, ტ. IV, გვ. 336), აქ ხაზგასმით არის ნათქვამი – „ან უპყრავთ სომეხთა“ ე. ი. თბილისის შვიდი ეკლესია ადრე იყო ქართული და XVIII საუკუნეში „უპყრავთ“ სომეხებს. ვახუშტის ამ ცნობას კომენტარი გაუკეთა და დააზუსტა პლ. იოსელიანმა: – თბილისში სომეხებმა შვიდი ქართული ეკლესია დაისაკუთრეს, ერთ-ერთი მათგანია – „Сурб-Ншан, бывшая в руках православных, во имя св. Николая Чудотворца“ („Опис. Др. Гор. Тифлиса“, 1860, стр. 258).

თბილისის სურბ-ნშანის – წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესიის (XVI-XVII სს.) ქართულობის შესახებ ცნობებს გვანჯდის – ზ. ჭიჭინაძე, გ. ალაიანცი, თ. კვიციანი და სხვა მკვლევარები. (დანვრილებით იხ. ჩვენი ნაშრომი – „თბილისის წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის (სურბ-ნშანი) ეკლესია“, ყურნ., სამი საუნჯე“, 2011, №1, გვ. 55-66).

ს. კარაპეტციანმა თბილისის ბეთლემის ტაძარი სომხურად გამოაცხადა, რომელიც თურმე, 1990-91-იან წლებში გაქართულდა. ბეთლემის სომხურობის თავგამოდებული დამცველია ა. მურადიანი, რომლის მტკიცებულება საეჭვო წყაროებს ეყრდნობა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, თბილისის ბეთლემი დაარსებულია ვახტანგ გორგასლის მიერ (VI-ში). ასევე მის სახელთან არის დაკავშირებული თბილისის სიონის, მეტეხის, წმ. ჯვრის, გოლგოთის, წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიების აშენება („თბილისი“, 1989, გვ. 69).

მეიდანის თავზე მდებარე ტაძარი – სურბ-გევორგი თავიდან იყო ქართული მართლმადიდებლური ტაძარი, რა მიზეზით გახდა სომხურ-მონოფიზიტური, აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენი მოსაზრებითა და ყველა ისტორიული მონაცემებით ეს ტაძარი თავიდან იყო ქართული. მონღოლების შემოსევის შემდეგ ჩანს სომხური (იხ.

ჩვენი – „ქართული ეკლესიების მისაკუთრება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება... 2006, გვ. 13-15).

ამ ჯადოსნურ რუკა-ცნობარშია – „დეშეთის წმ. გიორგის ეკლესია, ტყეშია. XIX ს.“ ეს რომ ქართულია, არის ცნობა პლ. იოსელიანის „Описание города Душети“. 1860. ჩვ. 58), მაგრამ მისი მიტაცება უფრო დეტალურად არის აღწერილი „Кавказ“-ის ფურცლებზე 1897, იანვარი).

პლ. იოსელიანი ერთგვარი ირონიით შენიშნავს: „Армяне, которые любят воспоминания своего могущества, присваивают себе начало Ахталы, по случаю ее соседство с Ахпатом и Санаином, хотя нечем не могут доказать такой претензии“ („Путевые записки от Тифлиса до Ахтали“, 1850, გვ. 27).

არათუ მაშინ – საუკუნე ნახევრის წინ, აგერ მეოცე საუკუნის ბოლოს სომხური ახპატ-სანანის მეზობლობის გამო შეიტანა ალბათ ს. კარაპეტიაძე რუკა-ცნობარში ახტალის ქართული ტაძარი (სხვაგვარი „მეცნიერული“ ახსნა არ მოეძებნება ამ თაღლითობას).

რუკა-ცნობარს თუ დავუჯერებთ, თელეთის წმ. გიორგის ეკლესია ადრიდანვე სომხური ყოფილა.

კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაერთა ინსტიტუტში დაცულ ზ. ჭიჭინაძის პირად ფონდში მოვიძიეთ ასეთი ცნობა: „...სომხებმა დაიჩემეს თელეთის წმ. გიორგის საყდარი, თავისი დიდი მამულებით და დიდი ქართული მრევლით. ამ დაჩემების დროს 1796 წ. ამ თელეთში მოინათლა 40 ათასი ქართველი სომხურად. შავნაბადის ეკლესიაც უდავოდ ქართული არის, მაგრამ ისიც გასომხებული იქნა თავისი მრევლით“ (გვ. 33).

საყურადღებო ფაქტია, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველოს თავზე დამტყდარი ყოველი უბედურების შემდეგ სომხები, როგორც წესი, ქართულ ეკლესიებს ისაკუთრებენ. 1796 წელს ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდეგ მიისაკუთრეს თელეთის წმ. გიორგის, წავკისის, შავნაბადას ეკლესიები. უფრო მეტი – თელეთის წმ. გიორგის ეკლესია ქართველთა სომხურ გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მოტყუებით გადაყვანის ერთ-ერთ ცენტრად გადააქციეს. აბა, მოვუსმინოთ ზაქარია ჭიჭინაძეს: „თელეთის წმ. გიორგის სახელობის საყდარი, რომელიც ადრე ქართველების იყო და სომხებმა ჩაიგდეს ხელში, 1796 წელს იგი სომხური გახდა. ამ საყდრის სომხის ტერტერას 1820 წელს ტფილისში ჰყავდა დაქირავებული ექვსი მკითხავი, კახეთში ათი მკითხავი. სომხის მკითხავები ეუბნებოდნენ გაჭირვებულ ქართველებს, თქვენი ყმანგილი თუ თელეთში არ მოინათლა, უამისოდ ის არ იცოცხლებს და არ გაიზრდებაო, ამიტომ ქართველი თავის შვილს ნათლავდა ან უკვე სომხის საყდარში და ამგვარად იგი ეკარგებოდა ქართველობას, მისი ბავშვი სომხად იზრდებოდა. ასე და ამგვარად ამ მკითხავების დახმარებით 1801 წლის შემდეგ 1860 წლამდე ქართველი ერის და უფრო გლეხკაცობის, გასომხებული არის 200 ათასზე მეტი ქართველი. მარტო ტფილისის მკითხავების დახმარებით, ისიც მარტო ერთ-

თადერთ თელეთში (იხ. „სომხის სამღვდელოების გველური სჯულის ოსტატური ემბაკობა ქართველი ერის გასომხებისთვის“ (კ.კეკელიძის სახ. ქართ. ხელნაწ. ინსტი-ი, ზ. ჭიჭინაძის ფონდი).

თელეთის ქართული წმ. გიორგის სომხურად ქცეული ეკლესიის ეს მოკლე ისტორია ტიპიურია ევზიმიანის აგრესიული პოლიტიკისა ქართული ეკლესიისა და ერის მიმართ (იხ. ჩვენი „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?! 1996, გვ. 52-54).

სომხურ ეკლესიად არის გატანილი ბოლნისის რაიონის სოფელ რატევანის XVI-XVII სს. წმ. გიორგის ეკლესია. ამ ეკლესიის ქართულობის შესახებ იხ. („ჩვენი ქართული ეკლესიების მისაკუთრება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება...“ 2006, გვ. 21-23. ასევე პოლიევქტოს კარბელაშვილის „კათალიკონის და მღვდელთ-მთავარნი“, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ბ. არველაძემ, 2011, გვ. 3-11).

საინტერესოა, ს. კარაპეტიაძე საიდან „აღმოაჩინა 849 წელს აშენებული სომხური ეკლესია სოფელ ჩაილურში. აქ მხოლოდ XX საუკუნეში აშენებული წმ. გიორგის ეკლესიაა.

ესეც კიდევ ერთი სიყალბე იმ მრავალთაგან, რასაც ს. კარაპეტიაძე ეწევა!

კიდევ ამ ზღაპრულ რუკა-აღწერაში შავით თეთრზე წერია – ზუგდიდში იყო სომხური ეკლესია XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ჩვენ ამ ცნობით განსაკუთრებით დავინტერესდით – სამეცნიერო და საარქივო კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ამ წლებში ზუგდიდში ორიოდე სომხური ოჯახი ცხოვრობდა. არავითარი სომხური ეკლესია ამ დროს იქ არ იყო. შეიძლება ამ ოჯახების წევრებს შინ ჰქონოდათ მონყობილი სომხური სალოცავი, მაგრამ არა ეკლესია.

სამცხე-ჯავახეთში 1829 წლამდე, ვიდრე ერთ-ერთი სომხები შემოასახლებდნენ, 95 პროცენტი ქართველები იყვნენ. ამის შემდეგ დემოგრაფიული, რიცხობრივი უპირატესობა გადაიხარა შემოსახლებული სომხების სასარგებლოდ. ასეთივე მდგომარეობა იყო წალკაში. ამ მხარის ძველი ქართული საეპისკოპოსო ტაძარიც კი – კუმურდო (X ს.) სომხურად არის გამოცხადებული.

სამცხე-ჯავახეთის სომხურად ქცეული ეკლესიების ისტორიას ვერ განვიხილავ, მაგრამ მივმართავ რიცხობრივ მონაცემებს. ამ სასწაულებრივი რუკა-ცნობარის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში სულ არის 127 სომხური ეკლესია. აქედან 40 აშენებულია 1800 წლამდე. 1800-1900 წლებში – ასი წლის მანძილზე სომხებს 87 ეკლესია აუშენებიათ. გამოდის, სულ ცოტა ერთ ეკლესიას აშენებდნენ წელიწადში. საგულისხმოა, რომ ეს ეკლესიები მკვიდრად ნაგები ფუნდამენტური ნაგებობებია და არა ნაჩქარევად აგებული ხუხულები. ამდენი ეკლესიის აგება ჩოჩიალა ურმითა და შიშველი ხელით წარმოუდგენელია. ამავე დროს დარღვეულია სომხური ეკლესიის კანონი, რომლის მიხედვით სომხური ეკლესია უნდა შენდებოდეს ზუსტად შვიდი წლის განმავლობაში.

რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ 1830-31 წლებში ერზერუმში, მათ რუსის მთავრობის მიერ მკვიდრი, განდევნილი ქართველების სოფლებში ნახეს მიტოვებული ქართული ეკლესიები. ეს ეკლესიები გადააკეთა-გადმოაკეთეს, მიაშენ-მოაშენეს, დააშენეს და დაისაკუთრეს. ეს სამარცხვინო პროცესი დაფიქსირებული აქვს ექ. თაყაიშვილს, ს. ჯიქიას, ნ. ბერძენიშვილს, ივ. გვარამაძეს, ივ. როსტომაშვილს, გ. ბოჭორიძეს და სხვ.

აი, ამ მიზეზის შედეგი იყო ნაწილობრივ ამოშლილი სოკოებივით რომ მოეფინა XIX საუკუნეში „სომხური“ ეკლესიები სამცხე-ჯავახეთს. ეს ეკლესიები ქართულია, მაგრამ ს. კარაპეტციანი და არა მარტო ის, ამას არ დაგიდევნენ და ჰაიპირად შეაქვეთ სომხური ეკლესიების რიცხვში.

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ბიძინა ივანიშვილი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ერევანში. მან გაკეთა განცხადება – როგორც ქართულ, ისე სომხურ სადავო ეკლესიებს ჩემი საქველმოქმედო ფონდი ჩაუტარებს რესტავრაციას.

აქვე აღვნიშნავ – საქართველოს სომხურ ეპარქიას ამჟამად პრეტენზია აქვს ოთხ ეკლესიაზე – სურბ-ნშანი (წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედი), სურბ-გევორგი, ნორაშენი, მოლნიის სურბ-გევორგი და სურბ-მინასი.

სომხეთში – ლორე-ტაშირის ქართული ეკლესიები – ახტალა (სომხური წირვა-ლოცვა მომდინარეობს), ქობარი, ჰნევანქი, ოსკიპარი. მაგრამ სომხეთში მეცნიერებმა კატეგორიული უარი განაცხადეს – ლორე-ტაშირში არავითარი ქართული ეკლესიები არ არისო. ეს ეკლესიები ადრიდან იყო სომხური მონოფიზიტური, თუ გარკვეულ პერიოდში ისინი ქალკედონურ ეკლესიად გადააკეთეს, ეს მათ სომხურობას არ ნიშნავს. ქართული წარწერები მათზე ქალკედონური პერიოდის არისო.

ვიკვლევდით, მაგრამ ვერ დავადგინეთ ლორე-ტაშირის ქართული ეკლესიების დღევანდელი მდგომარეობა.

საქართველოს სახელმწიფოს უშიშროების მდივანმა ქალბატონმა ირინე იმერლიშვილმა ერევანში ოფიციალური ვიზიტით ყოფნისას ქართველ ჟურნალისტებთან ინტერვიუში განაცხადა: „ერევანში ძალიან კმაყოფილები და მადლობლები არიან, რომ ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის ფონდი რესტავრაციას უტარებს სომხურ ეკლესიებს თბილისში“. აღდგენითი სამუშაოები დაუწყიათ შეიძინის თავზე სურბ-გევორგის ტაძარში. შემდეგი აღბათ იქნება სურბ-ნშანი (XVI-XVII სს-მდე იყო ქართული მართლმადიდებლური), ნორაშენი (არის ვარაუდი, რომ აშენებულია ძველი ეკლესიის ადგილზე), თბილისის მოლნიის სურბ-გევორგის (დანგრეულია), არსებობს მოსაზრება, რომ აშენებულია ქართული ეკლესიის საფუძველზე) და სურბ-მინასი, ამ ჩამონათვალს ემატება ახალციხის სურბ-სანანის ეკლესია, რომელიც იყო ქართული.

ასეთია მოკლედ ძველი ქართული ეკლესიების მდგომარეობა – როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ.

ერთი კი ნათელია – მათ სჭირდებათ დროულად მზრუნველი ხელი და პრინციპული დაცვა.

აქვე მოგვყავს სომხური მხარის ტენდენციური განცხადება:

Armenia today [26.03.2014] პოლიტიკა, საზოგადოება, სომხეთი, საქართველო, თურქეთი:

**თურქეთმა გადაწყვიტა საქართველოს საჩუქრად გადასცეს ტაოში მდებარე დასავლეთ სომხეთის კუთვნილი 300 ისტორიული ძეგლი.**

ამის შესახებ განცხადება გააკეთეს საზოგადოებრივი საბჭოს, დიასპორის, რელიგიისა და საერთაშორისო ინტეგრაციის საკითხების კომისიის წევრებმა ვაჰან ტერ-ლზარიანმა, აშოტ მანუჩარიანმა და ყასმინ ასრიანმა.

„დღეს თურქეთი აცხადებს, რომ ჰაიკ დიდის დროინდელი სომხური ძეგლები საქართველოს კუთვნილი ისტორიული ძეგლებია. მთლიანობაში ამ ისტორიული ძეგლების რაოდენობა 2000 მოიცავს. ჩვენს წინაშე დგას პრობლემა, რომ ჩვენს მიერ აგებული რამდენიმე ათეული ქალკედონური ტაძარი სალდება, როგორც ქართული მხოლოდ იმის გამო, რომ მათზე არსებობს ქართული წარწერები“ – თქვა საზოგადოებრივი საბჭოს წევრმა აშოტ მანუჩარიანმა.

სომეხმა სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ ტაძრები ოშკე ვანქი და იშხანი სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლებია, ისინი სომხური არქიტექტურის ყველა ელემენტს მოიცავენ, მით უფრო, მათ აქვთ სომხური სახელწოდება. ტაოს ეკლესიების არქიტექტურა ეჩმიადინის მონასტრისა და ზვარტნოცის ტაძრის ზუსტი გამეორებაა. ერზერუმის პროვინციაში განლაგებული ოშკე ვანქი და იშხანი, თავიანთი აგებულებით მძლავრი და მსხვილი კომპლექსებია“ – დაამატა საზოგადოებრივი საბჭოს წევრმა ვაან ტერ-ლზარიანმა.

აშოტ მანუჩარიანის აზრით, თურქეთის ხელი-სუფლება ცდილობს ოშკევანკისა და მის შორიასლოს მდებარე იშხნის ეკლესია მიაკუთვნონ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას. „თურქეთი კვლავ მიმართავს თავის ავანტიურისტულ პოლიტიკას იმის მცდელობით, რომ ვნება მიაყენოს მეზობელი ქვეყნების, სომხეთისა და საქართველოს მეგობრულ ურთიერთობებს, ეს ამტკიცებს, რომ თურქეთი არ ღალატობს თავის ანტი-სომხურ პოლიტიკას. ქართველები კი არანაკლებ აგრესიულად არიან განწყობილნი და რჩებიან მომთხოვნები ამ საკითხების მიმართ“ – განაცხადა მან.

ქვეკომისიის თავმჯდომარემ ყასმინ ასრიანმა განმარტა, რომ ეს ეკლესიები ან სამოციქულოებია, ანდა სომხურ-ქალკედონური. ბიზანტიური ზენოლის შედეგად, ეს ეკლესიები ქალკედონურად გადაიქცა, მაგრამ ისტორიულად ისინი სომხურ ტარებს წარმოადგენენ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. „ქალკედონურ ტაძრებში ტარდებოდა რელიგიური ნეს-ჩვეულებები, ამასთან სომხურად და არა ქართულ და ბერძნულ ენებზე. ამ მემკვიდრეობის პატრონები სომხები არიან“, – თქვა ყასმინ ასრიანმა. მისი თქმით, ძნელია რამის წამოწყება, უიმედოა კულტურის სამინისტროზე დაყრდნობა. მისი აზრით, აქცენტი უნდა გაკეთდეს

საერთაშორისო ორგანიზაციების კონვენციებზე, კერძოდ კი იუნესკოს კონვენციაზე.

#### კომენტარი:

ეს ინფორმაცია ინტერნეტში რომ წავიკითხე, ერთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ნათქვამი გამახსენდა – „სომეხ მეცნიერებს ავადმყოფური ისტორიზმი სჭირთ“. პათოლოგიური ახირებაა, აბა რა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას, მათ მკვიდრ ქართველებს სომხურ ეთნოსს რომ მიაკუთვნებენ და ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლებს სომხური ხუროთმოძღვრების ნიმუშებად აცხადებენ. სწორედ აცხადებენ, რადგან ამის არავითარი მეცნიერული საფუძველი არა აქვთ. იმის შესახებ კი, თითქოს „თურქეთმა გადაწყვიტა საქართველოს საჩუქრად გადასცეს ტაოში მდებარე დასავლეთ სომხეთის კუთვნილი 300 ისტორიული ძეგლი“ სიცრუეა. ამ ძეგლებს გადასაცემი არაფერი სჭირთ, მათგან 95 პროცენტი ისტორიული ქართული ძეგლებია (იხ. აკად. ს. ჯანაშია, „ისტორიული სიმათლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ“, 1947 წ., თბილისი, რუს. ენაზე, ქართულად ითარგმნა და გამოიცა 2003 წ.).

საზოგადოებრივი საბჭოს, დიასპორის, რელიგიისა და საერთაშორისო ინტეგრაციის კომისიის წევრის – ვაჰან ტერ-ლაზარიანის, ამორ მანუჩარიანისა და ჟასმინ ასრიანის განცხადებები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და აი, რატომ:

აქ ამოტ მანუჩარიანი აღნიშნავს – „დღეს თურქეთი აცხადებს, რომ ჰაიკ დიდის დროინდელი სომხური ძეგლები საქართველოს კუთვნილი ისტორიული ძეგლებია“.

კარგი, თურქეთის წარმომადგენელმა ეს განაცხადა, მას სომხეთის ისტორიის და არქიტექტურის ღრმა ცოდნას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ სომეხმა სწავლულმა ამოტ მანუჩარიანმა მშობლიური ქვეყნის ისტორია საშუალო სკოლის მოსწავლის დონეზე ხომ მაინც უნდა იცოდეს. ქრისტეს დაბადების შემდეგ, სომხეთს ასეთი მეფე – ჰაიკ დიდი არ ჰყოლია. ამდენად, ამ „მეფის“ დროინდელ სომხურ ძეგლებს საქართველოს კუთვნილად როგორ გამოაცხადებს თურქეთი?!

#### მცირე ინფორმაცია:

მიჩნეულია, რომ ჰაიკი იყო სომეხთა წინაპარი – ეთნარქი. ჰაიკისაგან წარმოსდგება სომეხთა ეთნიკური სახელი – ჰაი – ჰაიასტან. მის შესახებ დაცულია ცნობა ძველი სომეხი მწერლის მოვსეს ხორენაცის ისტორიაში (ცალსახად არ არის დადგენილი V, VII თუ IX საუკუნეებში ცხოვრობდა), მაგრამ უნდა ითქვას, რომ სომეხი და უცხოელი მეცნიერების მტკიცებით ჰაიკის შესახებ ზღაპარი, ლეგენდა თუ ამის მსგავსი რამ შეთხზა, გამოიგონა მოვსეს ხორენაცმა (იხ. მხითარისტი ანტონ გარაგაშიანი, „სომეხი ხალხის კრიტიკული ისტორია“, პორფ. გრიგორ ხალათიანცი „სომეხთა ეპოსი მოვსეს ხორენაცის ისტორიაში“ და სხვ.).

ამდენად, ამოტ მანუჩარიანის განცხადება – ჰაიკ დიდის დროინდელი ძეგლების საქართველოსთვის გა-

დაცემის შესახებ უვიცობაა თუ გაუგებრობა, ძნელი სათქმელია.

მივყვეთ ამოტ მანუჩარიანის განცხადებას – ეს ქალკედონური ტაძრები, რომელთა რიცხვი 2000 შეადგენს, ქართულად ცხადდება თურმე იმიტომ, რომ მათზე ქართული ეპიგრაფიკაა წარმოდგენილი. ეს არის უვიცობა! მართო ამ ქართული წარწერების გამო კი არ არის ისინი ქართული, არამედ მათი მხატვრულ-არქიტექტურულ-მეცნიერული ანალიზი, ქართული და უცხოური საისტორიო წყაროები ადასტურებენ, რომ ქართული ძეგლებია, ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრების განვითარების ეტაპს წარმოადგენენ (იხ. ვ. ბერიძე, „ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა“, თბ., 1981 წ., რუს. ენაზე; ასევე ჩვენი „ქვანი კვლავ ღაღადებენ...“, თბ., 2004 წ.).

ვაჰან ტერ-ლაზარიანის საპასუხოდ უნდა ითქვას, ოშკისა და იზხანის ქართულობას დამტკიცება არ სჭირდება. ქართველ მეცნიერებს რომ თავი დავანებოთ, უცხოელ ხელოვნებათმცოდნეებში მათი ქართულობა ეჭვს არ იწვევს. სადავოა მათი პათოლოგიური ისტორიზმით შეპყრობილი მეცნიერებისა და მათ მიერ მოსყიდული რუსი ტოკარსკისთვის, რომელსაც გამანადგურებელი პასუხი გასცა ზემოთ აღნიშნული ნაშრომით აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ.

ოშკი-ვანქ ამ მხარეში გვიან მოსული სომეხი მოსახლეობის შერქმეულია. ძველ ქართულ წყაროებში მას ჰქვია ოშკი.

კომისიის წევრი ჟასმინ ასრიანი აცხადებს: – „ამ ქალკედონურ ტაძრებში ტარდებოდა რელიგიური წეს-ჩვეულებები, ლოცვები სომხურ და არა ქართულ და ბერძნულ ენებზე. ამ მემკვიდრეობის პატრონები სომეხები არიან“, – დაასკვნის იგი.

ძნელია ედავო ამ ქალბატონს, რადგან ამ საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის მინიმუმსაც არ იცნობს და ჰაერზე აკეთებს მაგარ-მაგარ განცხადებებს. მას რომ წაეკითხა ეს ლიტერატურა, გაიგებდა, რომ ამ ქალკედონურ-ქართულ ტაძრებში რელიგიური წეს-ჩვეულებანი, წირვა-ლოცვა და ა. შ. სრულდება არა სომხურად, არამედ ქართულად, რაც თავის დროს დაამტკიცა ამ საკითხებში მსოფლიო მნიშვნელობის ავტორიტეტმა ნ. მარმა (იხ. Н. Марр, „Житие св. Григория Хандзтийского“. Грузинский текст, введение, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшетию и Кларджетию, 1911 г.).

ჟასმინ ასრიანს იმედი აქვს იუნესკოს კონვენციის, რათა თურქეთის მიერ საქართველოსთვის ე. წ. სომხური ტაძრების გადაცემა შეაჩეროს.

ვფიქრობ, იუნესკოს საკმაოდ უნდა იყოს ინფორმირებული ამ ტაძრების ქართულობის შესახებ. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ქართველი მეცნიერები კიდევ ერთხელ დაამტკიცებენ მათ ქართულობას, მაგრამ პათოლოგიური ისტორიზმით და მისაკუთრების სენით დაავადებულ ზოგიერთ სომეხ მეცნიერს შეასმენენ თუ არა, ამის თქმა ძნელია.

#### ბონდო არველაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**ქეთევან დოლიძე**

**ახალი ლექსები**

**ფოტოზა**

ფოტოზე, სადაც შენ მიღებ სურათს,  
დარდის ნამსხვრევიც არ ჩანს...  
ბედნიერების წამია სულაც  
და შეშლილია მაჯა.

თვალეში მნათობს მზის ორი სხივი —  
ჩემი და შენი წილი...  
და ამოფრენილ გულიდან ღიმილს  
არ უწერია ძილი.

ვერ დაიჯერებ, ცხრა მთის გადაღმა  
დარდის ლოდი რომ ვზიდე  
და სიყვარული როცა გადახმა,  
ცხრა ცრემლის კაბა ვცვივით.

როგორ მიპოვე მსხვრეული სურა,  
როგორ მაქციე არჩვად?..  
ფოტოზე, სადაც შენ მიღებ სურათს,  
დარდის ნამსხვრევიც არ ჩანს.

**მზის ათინათთან**

ჯერ არნახული დადგა სიცივე,  
რომელიც ადრე სულ არ ყოფილა,  
ჩემს სულში როგორ ჩამოიწვიმე  
პირველყოფილი უარყოფიდან.

ზამთარში თვლიდი ლექსებს — წინილებს,  
მე რომ დარდები გამაღლობინა,  
წუთისოფელი თუკი მიწილე,  
ველარ ამკუნავეს ხმალი ორპირა.

როგორც ირემი შენთან ვინყვილე,  
ყინვამ სამყაროს ფიფქი მოჰფინა,  
მზის ათინათთან გული იძინებს  
და მზის სხივებით შემოღობილა.

**შახვედრა**

შევიბნევ სიცოცხლის ამქარად  
ასკილებს — უწითლეს მაქმანებს,  
ლობესთან სიცივე ჩამდგარა  
და უკვე ზამთარი ამოქნარებს.

მალე ჩამოგვირწნევს აკვანად  
ბუნების უთეთრეს აკვარელს,  
თოვლში შემეყრები ნაქარალს...  
და გზა აერევათ მანქანებს...



**ჩემს ბედისწერას**

ჩემი დედუღეთი შენა ხარ,  
ჩემი მამული და სამშობლო...  
მაქციე დახუნძლულ ვენახად,  
მითხარი, საიდან რა ვშობო...

როგორ მოგეფერო დეკებით,  
როგორ გიყვავილო მთის ქვები?!  
და ვიცი, რომ წავილეკები,  
უფსკრულის პირამდე მიგყვები.

და შენ გადამარჩენ, ისევ რომ  
ავკრიფო სიცოცხლის ძარღვები...  
უარი ნიცშეს და ციცერონს  
და ჩემს ბედისწერას წავყვები.

**შენ და ალუბლები**

გულში აყვავილდით შენ და ალუბლები  
და მერე გულშივე იმწიფეთ...  
მომეცით უფლება, მომეცით უფლება,  
დახუნძლულ ტოტებზე მივფრინდე...

ნაყოფს ვესურნელო, ფრთები დავიკეცო,  
ალუბლის ბაღებში აღვიკვეცო...

**რა მოგიტანო**

არხოტისაკენ გაუყევი  
გზასა და ბილიკს...  
და მომენატრე... როდის გავა  
სამი თეთრი დღე...

მესამე ლამეც თავს მემლება  
თივის ბულულად...  
ჩამომიტანე არხოტის მზის  
ოქროს კულულა.

**ნუნუკა გურალია****დადუმდა ქნარი**

დადუმდა ქნარი, მოჰკლეს ილია,  
მთვარეს გასცვივდა სხივთა ბულული.  
ამოაცალეს გული ჩვენს მამულს,  
სასიყვარულოდ ამღერებული.

მზემ ვერ დაფერა ზეცის თავანი  
და ვარსკვლავებმა სევდა აკინძეს,  
ჩუმად მოსთქვამდა ბაზალეთის ტბა,  
ყვარლის მთებმა კი ძაძა ჩაიცვეს.

სანთლებმა დაბლა დახარეს თავი,  
ცრემლები ღვარეს თვალთაგან უხვად.  
გოდებდა მტკვარი და ქართლის დედა,  
ხოლო სამრეკლო დუმდა და დუმდა.

დადუმდა ქნარი, მოჰკლეს ილია,  
მთვარეს გასცვივდა სხივთა ბულული.  
ამოაცალეს გული ჩვენს მამულს,  
სასიყვარულოდ ამღერებული.

**ყველგან ირონია**

ირგვლივ სიჩუმე და ღამის ჰარმონია,  
ფიქრმა უღმობელმა სად არ მარონია,  
სად არ მატარა და სად არ მარონია,  
მყუდრო საბუდარი ვერსად მაპოვნია.

ზეცას ვენვიე და მიწას დავენარცხე,  
ყველგან სიყალბე და ყველგან ირონია.  
ფიქრმა უღმობელმა აღარ შემობრაღა  
სად არ მატარა და სად არ მარონია.

სული ბობოქარი ველარ დავაოკე,  
შვება ვერსაიდან ველარ მიპოვნია.  
ვხვდები, ეს ცხოვრება არის ირონია,  
მხოლოდ ირონია, ბედის ირონია.

ირგვლივ სიჩუმე და ღამის ჰარმონია,  
ირგვლივ სიჩუმე და ღამის ჰარმონია,  
ფიქრმა უღმობელმა აღარ შემობრაღა,  
სად არ მატარა და სად არ მარონია.

**ტარინტი ბრანაულს**

ისე, ვითარც კელაპტრები წმიდა,  
დღე და ღამე იღვენთება თითქოს,  
მერე ჩუმად დაგუბდება ერთად  
ურვისფერი სტრიქონების სითბო.

დაფლეთილი სული, სიფრიფანა,  
წარამარა საშველად რომ გიხმობს,  
შენ კი ლექსებს მიაგებებ კრძალვით  
და გადალლილ ოცნებებზე ფიქრობ.

სტრიქონები სათნო და ფაქიზი,  
შუალამის ლოცვებს ჰგვანან თითქოს,  
მერე ჩუმად დაგუბდება ერთად  
ურვისფერი სტრიქონების სითბო.

**ვილოცოთ ისევ**

ჩამოვიფაროთ თვალებზე რიდე,  
რომ არ ვუცქიროთ ჭალარა ნისლებს,  
გაზაფხულს შევხვდეთ გაღიმებული  
და სიყვარულზე ვილოცოთ ისევ.

\*\*\*

ლამპარივით მინდა ენთოს ჩემი ლექსი,  
და უჩუმრად მინათებდეს გზებს.  
მუხლს მოვიდრეკ პოეზიის წინაშე და  
დავუჩოქებ მხოლოდ ღამაზე ლექსს.

**მე იისფერი მხიბლავს ძალიან**

მე იისფერი ღრუბლები მომწონს,  
ცაჯ იისფერი მხიბლავს ძალიან.  
ოცნებები კი იისფერი ხომ  
ფაქიზია და უფრო ნაზია.

ამიტომ იებს დავეძებ ჩუმად  
და მათთან ერთად ვხვდები განთიადს.  
სტრიქონებში კი ყველგან იების  
მორიდებული ნატერფალია.

როცა ზეცაში მაღლა და მაღლა  
მზის იისფერი სხივთა კვალია,  
მაშინ დღეები უფრო და უფრო  
მიმზიდველია და ფრთამალია.


მე იისფერი ღრუბლები მომწონს,  
ცაჯ იისფერი მხიბლავს ძალიან.  
ამიტომ იებს დავეძებ ჩუმად  
და მათთან ერთად ვხვდები განთიადს.

ვანო გელაშვილი /თორელი/

## სამაგიერო

ნოველა ეძღვნება საქართველოს ტელევიზიის ხალხური თვითშემოქმედების მთავარი რედაქციის ყოფილ მთავარ რედაქტორს, სოლომონ ლაფაურს

თბილისი  
2008 წელი



„НЕ ПОЛОЖЕНО“ – ეს სიტყვები ეკუთვნოდათ იმ რუს ჯარისკაცებს, რომლებიც სოფელ აწყურთან, სამცხეში, ახალციხისკენ მიმავალ გზას კეტავდა და აქ საგუშაგო, „შლაგბაუმს“ რომ ეძახიან, მოეწყობო. აქ გავლა, სპეციალური საშვის გარეშე, შეუძლებელი იყო. იქითა მხარეზე თუ ვინმეს, ახლობელი, ნათესავი გარდაეცვლებოდა ან დაქორწინდებოდა და მიწვეული იყავი, ნურას უკაცრავად, თავისუფლად ვერ გახვიდოდი, უნდა გამოგეძახა იქითა მხრიდან ნდობით აღჭურვილი პირი; სათანადო სიის შედგენის შემდეგ, იქ მისულ ხალხს, პასპორტების მიხედვით, ცხვარივით მიითვლიდნენ. ასეთი სიმკაცრე და წესები იყო აქ გამეფებული.

სწორედ ასეთ პირობებში მოგვიხდა ჩამოსვლა, ჩვენ, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის, ხალხური შემოქმედების რედაქციის თანამშრომლებს, მთავარი რედაქციის რედაქტორის სოლომონ ლაფაურის ხელმძღვანელობით.

მოვედით და გაგვაჩერეს, „НЕ ПОЛОЖЕНО“ – და გათავდა, – თურმე მივლინებები რუსულ ენაზე უნდა შეგვევსო, თან ამავე დროს, უნდა გვექონოდა უშიშროების კომიტეტის სპეციალური საშვი, ვინაიდან აქედან თურქეთთან სასაზღვრო ზოლი იწყებოდა. გაგვაჩერეს, უკან ხომ არ გავბრუნდებოდით? – მე, როგორც ბორჯომელ კაცს, ხშირად მიხდებოდა აწყურში ასვლა, რადგან აქ ნათესავები მყავდა და იქაური მცხოვრები კუზმა ბარბაქაძის მემშვეობით შევდიოდი. კუზმა რუსების მიერ ნდობით აღჭურვილი პირი გახლდათ, რაღაც დამსახურებისთვის მედალიც კი ჰქონდა მიღებული, ჰოდა გამახსენდა კუზმა ბარბაქაძე.

– ბიჭებო, არის ხსნა, – გავძახე მე, – რანაირად? – რანაირად და თქვენ ცოტა ხანს მოერიდეთ აქაურობას, ჩადით მტკვარზე ჩამოსხედით, ყველაფერი მოგვარდება. სოლომონმა ოდნავი ირონიით ჩაიცინა, ერთი შემომხედა და ბიჭებს მდინარისკენ გაუძღვა.

იქვე ნაცნობს, რომელიც ბორჯომიდან აწყურში მიდიოდა ვთხოვე, სასწრაფოდ კუზმა მოეძებნა და აქეთ გამოეგზავნა, გადაეცი საქართველოს ტელევიზიის ჩამოსული და არ უშვებენთქო.

კუზმამაც არ დააყოვნა, ძალიან მალე მოვიდა, არ ეგონა თუ ტელევიზია მისით დაინტერესდებოდა. გამოგვართვა პასპორტები და საგუშაგოსთან მივიდა. მე ბიჭებს მოვუხმე, არიქა მოემზადეთ, ანდრო შევძახე მძლოლს, მანქანა დაქოქე გავდივართ, ბიჭები გაოცებულნი მიყურებდნენ, რა მოიმოქმედა ასეთიო? სოლომონს

ავუხსენი ყველაფერი. აბა შენ იციო, მაგრამ ახლა კუზმა მოექცა ჩიხში, ამ მოვლენების დროს დილის მესაზღვრეები შეუცვლიათ, სრულიად უცნობებით, კუზმას კი სიჩქარეში საბუთებიც და მედალიც დარჩენოდა სახლში.

კუზმას რუსი ეროვნების ცოლი ჰყავდა და რუსული კარგად იცოდა, ამავე დროს რუსების წინაშე, ჯარში ნამყოფი, ნაბრძოლი და დამსახურებული კაცი იყო, მაგრამ საბუთების და მედალის გარეშე, რომელიც რაღაც ნიშანს წარმოადგენდა, კუზმას არაფერი არ შეეძლო. ნდობა მხოლოდ იმ დოკუმენტებს და მედალს ჰქონდა. კუზმა ახლა აქეთ გვთხოვდა დახმარებას – კაცო, სახლში არავინ არის, არაყს ვხდი, ქვაბი ცეცხლზე მიდგას, არაყი წამოვა, ვაიმე, რა მეშველებაო. ნაბდის ქუდი, რომელიც თავიდან არ იცილებდა, ხელში ეჭირა და ჭმუჭნიდა, ზემოთ აპრეხილ უღვაძებს ორივე ხელით აწვალვდა და ურჯულო რუსის სერჟანტს რაღაცას უმტკიცებდა. სერჟანტი მხოლოდ სიტყვა „ვოტკას“ ხვდებოდა, ბოთლს რომ ვერ ხედავდა კუზმას ხელში, უკვირდა. რა უნდა ამ ბერიკაცს, თუ უნდა მომცეს ეს არაყი, მაგრამ რომ არა აქვსო – ფიქრობდა გაბრაზებული სერჟანტი, თანაც ავტომატის ლულით იგერიებდა აბეზარ „დედუშკას“.

რა ვქნა კაცო, ესენი სულმთლად გიჟები ყოფილან, ერთ ადგილზე წრიალებდა კუზმა და აქეთ-იქით იყურებოდა იქნებ ნაცნობ ვინმეს მოგვრა თვალიო. – გამარჯობა, კუზმა, რა გაგჭირვებია, – ვაჰ, შენ ავაშენა ღმერთმა, აგერ ტელევიზიის ბიჭები ჩამოვიდნენ, უნდა გავიყვანო, საბუთები და მედალი სიჩქარეში სახლში დამრჩა. ესენი სულ სხვები დაუყენებიათ, ვერა მცნობენ, თანაც არყის ქვაბი მაქვს შემოდგმული. დედაკაცი ნახე, საბუთები და მედალი არ დაგავინწყდეს და სასწრაფოდ აქ გაჩნდი, უკვე წასულ კარის მეზობელ ყორას მიაძახა. – თქვენ კი, – მოგვიტრიალდა ჩვენ და ხელების ფშვნეტი შემოგვცინა კუზმამ – ჯერ ჩემი სტუმრები იქნებით, არყის წინანვერს გაგასინჯებთ, მერე საქმეს მივხედოთ, მოშიებულნი იქნებით ალბათ. შიმშილზე რა მოგახსენოთ, დილიდან არაფერი გვიჭამია.

ყორამაც არ დააყოვნა, მალე მოვიდა, კუზმას საბუთები და მედალი გადასცა. კუზმამ მადლობა გადაუხადა, ბეჭებზე ხელი მოუთათუნა, ყორია შეიმშუშნა, ეტყობოდა არაყი გვარიანად გადაუხუხავს, – ოჰო, მოასწარი? შე ოხერო შენა, – შეუთათხანა კუზმამ. ყორა

უცნაურად დაილრიჭა, საგუშაგოსკენ მიტრიალდა და სწრაფად მიიმალა.

ჟორა ერთი ოხერი ვინმე ჩანდა, მის გაუპარსავ სახეზე კარგა გვარიანი გადმოფლანგული ყურები და სიცილის დროს გადმოყრილი კბილები, მისი არყისადმი მიდრეკილებაზე მეტყველებდა. – ეგ თქვენა გგონიათ სახლში წავიდა? არა! ჩემთან წავიდა, ეხლა ქვაბს ცეცხლს შეუკეთებს და არაყს მიეძალება, თუ არ ვიჩქარეთ, რაღაცას მოახდენს.

კუზმამ გულზე მედელი დაიბნია, საბუთები მოიმარჯვა და წინ გაგვიძღვა. კუზმა ჟორას გუნებაში კიდევც თათხავდა და კიდევც მადლობას ეუბნებოდა. ჯანდაბა მაგის თავს – ფიქრობდა კუზმა – განა რამდენს ჩაცეცხლავს. დედაკაცი გათათხავს, არყის ქვაბს ცეცხლს არ გაუნელებს, შეუკეთებს. გაბადრულმა და ნელში გამართულმა კუზმამ სერჟანტს შეუტია „а нука сынок, дай порог“ სახტად დარჩენილი სერჟანტი პირდაფრენილი, ფართოდ გახელილი თვალებით მისჩერებოდა ამაყად მიმავალ კუზმას, რომელსაც სიცილისგან გაგუდულები უკან მოვყვებოდით. ჩვენი მძლოლი, ანდრო, დიდხანს ვერ ახერხებდა მანქანის დაქოქვას, – ეს ვინ ყოფილაო, – კუზმაზე იძახდა და სიცილისაგან იმანჭებოდა. კუზმა კი მძლოლის გვერდით მოკალათებული ილიმოდა და ანდროს აჩქარებდა – ჰო, ნადი ახლა დროზე, თორემ ეგენი უკან მოგვებრუნებენ და მერე დაჯექი და უყარე კაკალი, მაგათ ჩემი გამოხდლი ქვაბი არაყი არ ეყოფათ გამოსასყიდად. – მართალიაო – აჩქარა ჯგუფის ხელმძღვანელმა სოლომონ ლაფაურმა, ანდრომ კიდევ ერთხელ შეხედა კუზმას, მის მედალს რა ძალა ჰქონიაო, ჩაილაპარაკა და ადგილიდან მოსწყვიტა მანქანა. იმ ღამეს კუზმას სახლი მაყრულითა და მრავალჯამიერით დავაყრუეთ. ჟორიას ემარჯვა, არაყი გამოეხადა, თვითონაც კარგა გვარიანად გამომთვრალიყო და იქვე ხის ტახტზე გაგორებულს ეძინა.

კუზმა ჩვენი ჯგუფის სრულუფლებიანი ნევრი გახდა, ის რაიონში ყველას იცნობდა და გვიადვილებდა მათთან კონტაქტში შესვლას. ჯერ აწყურის მეურნეობის ხელმძღვანელ გალაქტიონ სარჯველაძესთან დავგახლოვავ, რომელსაც, კარგი სიმღერის და ცეკვის ანსამბლი ჰყავდა და ღია ცის ქვეშ მასიური ღონისძიებების ჩასატარებლად, კარგი სტადიონიც ჰქონდა. შემდეგ ახალციხეში რაიონის ხელმძღვანელობასაც შევხვდით. კუზმამ სასტუმროში არ გაგვიშვა, მის სახლში დავიდეთ ბინა. შემოდგომის პირი იყო და მძლოლმა მანქანაში დავიძინებო, ხვრინვა ვიცი და შეგანუხებთო. ჩვენ სამ კაცს დიდი კომფორტი არ დაგვჭირვებია, – ეს კაცი, – ჩემზე მიუთითა, – ჩემი ახლობელია, მერედა აქ რა, ვერ მოისვენებთ თუ რაო? აი ჩემი მეუღლე დარია, მართალია რუსის ქალია, მაგრამ ქართულიც კარგად იცის და ისეთ „უკრაინულ ბორშს“ გააკეთებს, რომ თითებს ჩაიკვნეტო.

დავუფერეთ, დავთანხმდით კუზმას, დავრჩით. შემოვიარეთ რაიონის კულტურის სახლები, გაგვაცნეს სოფლების სიმღერის და ცეკვის ანსამბლები, სოლომონი ყურადღებით და გულმოდგინებით არჩევდა სიმღერებს,

უსწორებდა თავისი ლალი მოფერებითი იუმორით.

შეირჩა და დადგინდა პროგრამა. ერთ მშვენიერ დღეს, კუზმასთან სახლში დაბრუნებისას, სოლომონმა საიდუმლოდ გაგვანდო: – თქვენ ახლა კარგად მომისმინეთ, მინდა რუსებს სამაგიერო გადავუხადო... – როგორ კაცო – გაკვირვებით შემოგვხედა კუზმამ, – როგორ და იქ, ხელმძღვანელობასთან ყველაფერი შეთანხმებულია. ხერგილზე რომ გვაყურყუტეს მთელი დღე, არ უნდა ვაზღვევინოთ? სამაგიერო არ უნდა გადავუხადოთ?

ახლა – მომმართა სოლომონმა – შენ, როგორც რეჟისორს გევალება, მე კი დავავალე ანსამბლების ხელმძღვანელებს, მაგრამ შეამონმეო, ყველა იმ სოფლების, რომლებიც შევამონმეთ, რაც შეიძლება მეტი მამხალა დაამზადონ, კარგად გააყლინონ ნავთში, მერე გარკვეულ საათზე, ყველამ ერთდროულად აანთოს, გაიმართოს სიმღერა, ცეკვა-თამაში, ჩვენ კი მანქანით შემოვივრებთ და ფრაგმენტებად გადავივლებთ და ბოლოს შეერთებული, ყველა ანსამბლის ფერხულით აწყურის სტადიონზე დავასრულებთ ზეიმს... აქ ნახავთ, რა დავმართებად რუსებს, აშხელა ჭიაკოკონას რომ დაინახავნო, ირბენენ, ირბინონ რა? ხალხი ზეიმობს, იმათ კი რაღაც ეგონებათ, დაე იმტვრიონ თავი. აქ, ჩემო კუზმა, – რომელიც პირდაფრენილი და გაოგნებული იდგა, – პოლიტიკური არაფერია, შარს ვერ მოგვდებენ. სამაგიეროდ სანახაობა კარგი გამოგვივა და სატელევიზიო გადაცემაც, შესაბამისი ტექსტით, კარგი იქნება. – თვალი ჩამიკრა სოლომონმა. – შენ კი ანდრო, მანქანას მიხედე, არ გვიმტყუნოს, დღეს ყველა იმ ჩამოთვლილ სოფლებში, რეპეტიციას გავივლით, ყველაფერი უნდა დავაზუსტოთ, კამერა, ხმის აპარატურა გაამზადეთ. – არის – შესძახეს ბიჭებმა.

სოფლები თითო ორ-ორი კილომეტრით იყო დაშორებული ერთმანეთს. კუზმა სიხარულით ატოკდა, ჯერ სოლომონს შეხედა, მერე მე მომიტრიალდა და დაქანებით თქვა – აჰა, დედაც ეტირებთ, ისეთი კოცონი დავანთო, ავტომობილების ძველი საბურავებით, ისეთი, რომ ალი ცას სყვდებოდეს. ჰი-ჰი, – ჩაიციხა და წასასვლელად მოემზადა.

ანდრომ წესრიგში მოიყვანა მანქანა, გამართა, თვითონაც გაიარა რეპეტიცია, სოფლიდან სოფელში გადარბენას ხუთ-ათ ნუთს ანდომებდა. ოპერატორმა გენომ კინოკამერა შეამონმა, ცეცხლით გაშუქებული გარემო წინასწარ გაზომა და კმაყოფილი დარჩა. ხმის რეჟისორმა, ვიტალიმ, ისე მოფიქრებულად და მოხერხებულად განალაგა მიკროფონები, რომ ხმის ჩანერა ადვილი ყოფილიყო. მაშინ ხომ ძველი, ჯაბახანა გადამლები აპარატურით ვსარგებლობდით, სად იყო ვიდეოკამერები!

რეპეტიციები გავიარეთ, მამხალეები ზომაზე მეტი დაამზადეს, მთელი სოფელი იღებდა მონაწილეობას, მეზობელი სოფლის ახალგაზრდებიც გვეხმარებოდნენ. ყველაფერი მზად იყო ზეიმისთვის, ამინდიც ხელს გვიწყობდა. და აი, ზუსტად საღამოს შვიდ საათზე, ერთდროულად სამივე სოფელში მამხალეები აინთო, ამას ისეთი შეძახილი და ყიჟინა მოჰყვა, რომ გეგონებოდათ, ცა



ჩამოინგრაო, ამას მოჰყვა დოლ-გარმონის შეხმატკბილე-ბული, სასიამოვნო ხმა. ერთ სოფელში თუ ცეკვავენ, მეორეში – მესხური სიმღერები გუგუნებდა. ამუშავდა ჩვენი კამერაც, მძლოლი ანდრო დააგელვებდა მანქანას სოფლებს შორის. გადაძვლები ჯგუფი ჩემი და სოლომონის ხელმძღვანელობით, გააზრებულად და გეგმაზომიერად მუშაობდა. ამ იმპროვიზებულმა საველე კონცერტმა აპოგეას მიაღწია. პროგრამა ისე იყო სოლომონის მიერ აწყობილი და შერჩეული, რომ ნებისმიერ გენერალს, ბრძოლის ველზე, შემურდებოდა სამოქმედო სტრატეგია. სამარქაფოდ ადგილობრივი ბიჭები დაგვყვებოდნენ, ემანდ ანდროს არაფერი შეეშალსო. ეს იყო ზეიმი მესხეთის ამ ძირძველ მიწაზე, გაჩირალდებული სოფლების შუაგული მოედნები ხალხით იყო გადაჭედვით, ფინალი კი აწყურის სათანადოდ მოწყობილ და გაფორმებულ სტადიონზე შედგა. კუზმას სათანადო სიგნალის შემდეგ, სტადიონის ოთხივე მხარეზე, გარეთ იმხელა კოცონი დაენთო, რომ მართლაც ალი ცას სწვდებოდა. აქ ოპერატორი „ამზე კრანზე“ შეესვით, რათა ზემოდან კარგად გადაგველო მრავალი მოცეკვავისგან შეერთებული ჯგუფების ფერხული, გუნდთან ერთად, რომელიც ლოტბარმა ალთუნაშვილმა ქორეოგრაფ გიზოსთან ერთად ორ დღეში მოამზადა.

სტადიონი გადავსებული იყო ხალხით, ბრიალებდა ათასობით მაშხალა, სტადიონის პროექტორები, რომელნიც მეურნეობის დირექტორმა გალაქტიონ სარჯველაძემ სამხედროებს მოტყუებით, ამ დღისთვის გამოართვა.

რა ხდებოდა ამ დროს სამხედრო შტაბში და მესაზღვრეებში? სხვადასხვა სოფელში ერთდროულად ანთებულმა მაშხალებმა ფეხზე დააყენა ჯარის ნაწილი, გამოცხადდა განგაში, ალყაში აქცევდნენ ხან ერთ სოფელს, ხან მეორეს, მაგრამ როდესაც ხედავდნენ რომ იყო ცეკვა-თამაში, ცოტათი ცხრებოდნენ. ოღონდ იმაზე წყრებოდნენ, ჩვენ რომ კინოკამერით ვიღებდით, როგორ არ გაგვაფრთხილეთ, ეს რა ჩაიდინეთო, ჩვენ განგაში გამოვაცხადეთო და სხვა. ჩვენ ჯგუფს, საქმის კურსში ჩაყენებული გვყავდა რაიონის ხელმძღვანელობა, მაგრამ მათაც არ იცოდნენ თუ ზეიმი ამხელა გრანდიოზულ მასშტაბს მიიღებდა.

ზეიმი დილაძე გაგრძელდა, ბოლოს სარჯველაძემ სუფრასთან მიგვიწვია, ჩვენთან ერთად ნაწილის უფროსობაც, მაგრამ რუსებს მოლხენის და დროსტარების თავი სად ჰქონდათ? დალიეს, დათვრნენ და წავიდნენ.

მესამე დღეს, ჩვენი ჯგუფი მესაზღვრეებმა აიყვანეს. კუზმა სადღაც გაპარულიყო, ემანდ შარს არ გადამიკიდონო, ვინაიდან იგი მათთან თანამშრომლობდა და კონტაქტში იყო. ჩვენ ნაგვიკითხეს მორალი, რომ აქ თურქეთის საზღვარი ახლოა, რომ ყველაფერი საფრთხილოა, ზედმეტი მოქმედებებისგან, თუ რა შეიძლება და რა არა, თავი უნდა შევიკავოთ და ა.შ.

სოლომონი რისი სოლომონი იქნებოდა, რომ არ ეპასუხა, მხოლოდ ქართულად, თარჯიმნის მეშვეობით. მან მოუთხრო სამცხე-ჯავახეთის ისტორია, აუხს-

ნა, რომ ეს იყო შოთა რუსთაველის მხარე. ბოლოს კი გაგულსებულმა დააყოლა, რა გეგონათ აბა, მთელი დღე რომ საგუშაგოზე გვაყურყუტეთო. ამას კი არ ელოდა პოლკოვნიკი, გაბრაზდა, მაგრამ თავი შეიკავა „падно хватит, идите“-ო და ხელი ჩაიქნია.

ჩვენ გამარჯვებული იერით დავტოვეთ შტაბი, ანდრო კარში გვიცდიდა – ჰა, გამოგიშვეს? მე კი ვფიქრობდი, ხომ არ შევეუერთდე ჯგუფსო, მეც ხომ მონაწილე ვიყავიო. – კარგი რა – შესცინა სოლომონმა და ბეჭებზე ხელი დაჰკრა.

ჯგუფმა ისარგებლა შემთხვევით და რაიონის ხელმძღვანელობის მონვევით ასპინძის, ხერთვისის და თმოგვ-ვარძიის დათვალეიერება გადავწყვიტეთ. ეს ნატანჯი და ნაოხარი ძირძველი საქართველო გადავიღეთ. ვბრუნდებოდით უკან კმაყოფილი გამარჯვებული იერით, საგუშაგოზე გამოსვლისას, ყველამ ერთად მივაძახეთ – ხომ გადავიხადეთ სამაგიერო!

ტელევიზიის ხელმძღვანელობამ, მადლობის მაგიერ, საყვედურები აგვიკიდა. – რას იზამთო, მხრების აჩეჩვით მოგემართა გარდაფხადემ. სატელევიზიო მუსიკალურმა გადაცემამ „მე მესხეთ-ჯავახეთი“ რესპუბლიკის მასშტაბით დიდი მონონება დაიმსახურა, მოდიოდა და მოდიოდა მოლოცვის წერილები.

ეს ყველაფერი, კი იმ დროს ტელევიზია პირველი არხის, ხალხური შემოქმედების რედაქციის მთავარი რედაქტორის, სოლომონ ლაფაურის დამსახურება იყო. კაცი, რომელიც წლების განმავლობაში სათავეში ედგა ქართულ ცნობიერებას, ყოფას, სიტყვას, სიმღერას, ხალხურ შემოქმედებას. დღეს სოლომონ ლაფაური ცოცხალი აღარ არის, ნათელში იყოს მისი სული. მისი ხელმძღვანელობის დროს, დიდად ფასობდა როგორც ხალხური შემოქმედების რედაქცია, ისე ტელევიზიის მთელი მუსიკალური სამყარო. კიდევაც დაწერა წიგნი, ვრცელი მონოგრაფია „ცისფერი ეკრანი და მუსიკალური ხელოვნება“, რომლის პრეზენტაცია 2008 წლის 4 ოქტომბერს, ხელოვნების მუშაკთა სახლში შედგა, ყოფილ თანამშრომელთა დასწრებით. ოჯახმა და მისმა კოლეგებმა ჯეროვნად დააფასეს და პატივი სცეს მის ამაგს. სოლომონმა წიგნი შემდეგი სიტყვებით დაასრულა „წიგნს ვუძღვნი ჩვენი დიდი ოჯახის რადიო-ტელევიზიის თანამშრომლების ხსოვნა-სიყვარულს“ სოლომონ ლაფაური.

P.S. ქართული ტელევიზიის ჩამოყალიბების და განვითარების ისტორია, არ შეიძლება მხოლოდ წარსულის საარქივო მასალად განვიხილოთ, ის უპირველესად ტრადიციაა, რისი გათვალისწინების გარეშეც, შეუძლებელია ამ სფეროში, რაიმე ღირებულის შექმნა, რაც უკვე არაერთმნიშვნელოვნად გვაჩვენა დრომ.

ბატონი სოლომონის მოგონებათა წიგნი, მადლიერების გამოხატულებაცაა და იმის განმარტებაც, თუ რას ნიშნავს დარგობრივი პატრიოტიზმი. – რედაქციისგან

რეჟისორი ვანო გელაშვილი /თორელი/  
2.10.2008წ.

დაპირებისამებრ, გიგზანით მირზა გელოვანის გაუხმაურებელ ლექსს ტერენტი გრანელზე, დაბეჭდილს ლიტერატურის ინსტიტუტის ლექსმცოდნეობის მერვე სამეცნიერო სესიის კრებულში. ლექსი დაწერილია 1934 წელს – ტერენტის გარდაცვალების წელს და საგულისხმოა იმით, რომ ჯერ კიდევ ჭაბუკი მირზა ეპოქალურ ჭრილში ჭვრეტს თავისი დიდებული წინაპრის ტრაგიკულ პორტრეტს.

ულრმესი პატივისცემით  
ლერი ალიმონაკი  
31.3.2017

### მირზა გელოვანი

#### ტერენტი გრანელს

შენ ამ ქვეყანას ვერ შეეთვისე,  
და შენი გრძნობა ლექსში დაინვა.  
როგორც გალია, შენთვისაც ისე  
პატარა იყო ეს დედამინა.

ბაირონისებრ მოხეტიალევ,  
ვერსად დაიგე სულის კარავი  
და ხანძარივით უცებ იალე  
როგორც არც ერთი, როგორც არავინ.


ლოდინის ჩრდილში იდექით თქვენ და  
სისხლით ნაწერი Memento mori  
ფიქრთა შუბები სიმშვიდეს ხევდა,  
შენ და ლოდინი იყავით ორნი.

და დაიღუპეთ როგორც ბოგემა,  
როგორც ფიქრები საქართველოზე,  
შენი ლექსები რჩება მოგებად,  
მთელ პოეზიის გაშლილ მდელოზე.

დღეს კი აღარ ხარ და მტკივა გული,  
ცრემლები თვალთა უპეს ლესავენ  
ძმაო ტერენტი, შენ დალლილ სულით  
ჩემს დათალხულ სულს ენათესავე.

ჩვენს ხანას სურდა შენი ბოდიში,  
არ მოუხადე, რადგან ბნელია,  
და დაიღუპე, თუმცა ლოდინში  
შენი ლექსები კვლავ მას „ელიან“.

და მაინც ნახველ იმედით ალბათ  
ფიქრობ, ტანჯული იქ ბინას პოვებ  
და მიგიღებენ დარდისგან დამბალს,  
შენ – საქართველოს ჭეშმარიტ პოეტს.



მხატვარი რეზო  
ემილიანე ადამია

### რეზო ემელიანე ადამია

#### მსხვერპლი და დაბადება

(ექლვინება ტერენტი გრანელს)

ქალბატონ ზოზიას მოეჩვენა უმოწყალოდ განდევნილი ტერენტი შუბლისხლიანი, დაღარული და სანთლისფერი სახით ცისკენ მიფრინავდა, საფლავიდან კი შავი ფერის ჩონჩხები ამოიყარნენ და გაძევებულს კბილების ღრჭიალით და ხელის მტევნების ჩხაკუნით აცილებდნენ.

მერმე უფლის სიკეთის ეკლესია გაღურჯდა, სასაფლაოს ირგვლივ კი უცნაურნი წრეს უფლიდნენ და საშინელი უცხო ხმაური მოდიოდა მათგან.

შემდგომ თეთრი მხსნელი ანგელოზი ოქროს ჯვრით მათ სიახლოვეს გამოჩნდა და უმაღლ მოჩვენებები გაქრნენ. მერმე ირგვლივ იისფერი ნისლი ჩამონვა, მას ბინდი მოჰყვა საშინელი. სუნთქვაშეკრულ ზოზიას გული წაუვიდა და ულონოდ ჩაიკეცა. ვილაცამ: წყალიო, იკივლა და იქაურობა მწარედ შეიძრა. ზოზიას თავზე ბნელი სივრცე, აღელვებული მღვდელი და დიდი ჯვარი ადგა... ტერენტი – ადამიანთა ძვლების ნაკრები და ანგელოზი მათ სიახლოვეს არ ჩანდა, მიცვალებულის ფერშეპარულ ზოზიას მოძღვრის ლოცვის და ხალხის ნერვიული ფუსფუსი ჩაესმოდა და თან მიკნავლებული ხმით ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა.

– ძმა! – საცოდავი! – დაგკარგე!..

მოციქულივით გარინდულ და გაოგნებულ ეკლესიას უკვირდა, ამ ცოდვიან მიწაზე რომ იდგა...



მხატვარი მარსიანი

მარიამ ფილინასა და დანუტა ოსოვსკას


„პოლონელთა ბედი კავკასიაში“

2016 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პროფესორ მარიამ ფილინასა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და პროფესორ დანუტა ოსოვსკას (პოლონეთი, ვარმინო-მაზურის უნივერსიტეტი ოლშტინში) წიგნის – „პოლონელთა ბედი კავკასიაში“ | ნაწილი: „პოლონეთიდან გადმოსახლებულ პოეტთა „თბილისური ჯგუფი“. წიგნის სამეცნიერო რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ილონა ძნელაძე. თავფურცელზე აღბეჭდილია მხატვარ ვ. სტახოვსკის ნახატი „მეომრები მთებში“.

პროფ. მარიამ ფილინამ და პროფ. დანუტა ოსოვსკამ, თავდაპირველად, ზემოხსენებული წიგნი პოლონეთში პოლონურ ენაზე გამოსცეს 2007 წელს. 2016 წელს გამოცემული წიგნი სწორედ იმ პოლონურ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფიის რუსული თარგმანია, რომელიც დღემდე უცნობი საარქივო მასალებითაცაა შევსებული. მას ერთვის, აგრეთვე, კავკასიაში გადმოსახლებულ პოლონელთა შემოქმედების ამსახველი ანთოლოგია, რომელიც პირველად ქვეყნდება.

„პოლონელთა ბედი კავკასიაში“ გვაცნობს XIX ს-ის 30-50-იან წლებში პოლონეთიდან კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში პოლიტიკური ნიშნით გადმოსახლებულთა ბედსა და შემოქმედებას. გადმოსახლებულები ძალიან ახალგაზრდები იყვნენ. ძირითადად, თავად-აზნაურთა წრეს მიეკუთვნებოდნენ. ისინი პოლონეთის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. პოლონეთის პატრიოტთა აჯანყება რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ 1830 წლის 29 ნოემბერს დაიწყო და 1831 წლის ოქტომბერში მარცხით დამთავრდა. ეს აჯანყება პოლონეთის სამეფოში დაიწყო და გავრცელდა ლიტვის, დასავლეთ ბელორუსიისა და უკრაინის მარჯვენა ნაპირის ტერიტორიაზე. როდესაც რუსეთის არმიამ აჯანყება ჩაახშო, ნაწილი აჯანყებულების ციმბირში, ნაწილი კი – კავკასიაში გადაასახლა. კავკასიაში გადასახლებულები, იძულების წესით, უბრალო ჯარისკაცებად განაწესეს რუსეთის მიერ კავკასიის მთიელთა დასამორჩილებლად ნამოწყებულ ომში.

როგორც წიგნის ავტორები აღნიშნავენ: „სამეფო ბრძანებით პოლონელებს კავკასიაში ასახლებდნენ იმ მიზნით, რომ „პოლიტიკური დამნაშავენი“ დაესაჯათ, შედეგი კი საპირისპირო გამოვიდა – საოცარი სულიერი კავშირი დამყარდა გადმოსახლებულებსა და ქართული ინტელიგენციის ელიტას შორის, რამაც ამკარა შემოქმედებითი შედეგები გამოიღო. ეროვნულად მოაზროვნე ქართველები 1832 წლის შეთქმულების მოთავეები და მონაწილეები, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლ პოლონელ პატრი-



ოტებს სრულ მხარდაჭერას უცხადებდნენ, მათ ხომ საერთო მიზანი ამოძრავებდათ. მეტად რთულ სიტუაციაში იქმნებოდა ურთიერთობათა მთელი სისტემა – თარგმანები, პოლონელი ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების მიერ კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს შესწავლა გაცხარებული კავკასიური ომის დროს. თბილისში ორი ათეული წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა პოლონელ რომანტიკოსთა თავისებური „ფილიალი“ – პოლონელ „კავკასიელ“ პოეტთა ჯგუფი. კონკრეტული პიროვნებები ქმნიდნენ ურთიერთობათა მთელ ორგანიზმს, რომლის ინტენსივობაც უნიკალურია“.

„პოლონელთა ბედი კავკასიაში“ პოლონური ენიდან რუსულად თვითონ წიგნის ერთ-ერთმა ავტორმა – პროფ. მარიამ ფილინამ თარგმნა. მასვე ეკუთვნის წიგნში ჩართული ანთოლოგიის პოლონელ ავტორთა პროზაული ნაწარმოებების რუსული თარგმანები. ანთოლოგიის რამდენიმე პოლონური ლექსი რუსულ ენაზე თარგმნა ირენა კესკიულმა.

პოლონეთიდან კავკასიაში გადმოსახლებულ პოლონელ პოეტთა, ე.წ. „კავკასიელთა“ ლექსების ქართულ ენაზე თარგმნის დროს, ლექსების პოლონურ ორიგინალბთან ერთად, მარიამ ფილინას მიერ შემოთავაზებულ ამ ლექსების რუსულ პნკარედებსაც გავეცანი და ირენა კესკიულის რუსულ პოეტურ თარგმანებსაც, რის გამოც მათ დიდ მადლობას მოვასხენებ.

ლექსის პოეტური თარგმანი ორიგინალის სრული ასლი ვერ იქნება, მაგრამ შეძლებისდაგვარად ვცდილობდი შემენარჩუნებინა პოლონელ პოეტთა ლექსების მხატვრული სახეები და ლექსის არქიტექტონიკა.

რუსულდან ჭანტურიშვილი

### თადეუმ ლადა-ზაბლოცკი

თადეუმ ლადა-ზაბლოცკი დაიბადა 1813 წელს ვიტებსკის გუბერნიაში გალატაკებული აზნაურის ოჯახში. მისი საგვარეულო მდიდარი იყო ლიტერატორებით. ვიტებსკის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1831 წელს მან ვილნოს უნივერსიტეტში, ზოგიერთი მკვლევარის ცნობით კი მოსკოვის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა.

1833 წელს ვიტებსკის გიმნაზიის რამდენიმე გიმნაზისტს პოლიციამ მეფის მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსის ლექსი აღმოუჩინა. დაკითხვაზე გიმნაზისტებმა ლექსის ავტორად ლადა-ზაბლოცკი დაასახელეს. ამიტომაც გადაასახლეს იგი კავკასიაში. აი, ამ ლექსის ბოლო სტროფი:

„როგორც კი ღამის სიბნელე ქრება  
და განთიადი იწყებს ახალ დღეს,  
მჩაგვრელთა მიმართ კვლავ შიში ჩნდება,  
უცოდველ ჩაგრულს დაჰკრავენ სახრეს.  
საღდათად ღიახი თან არაერთი  
მიჰყავთ ციმბირის ქოფაკთ ბრძანებით.  
ჯოჯოხეთია მეფის რუსეთი  
სამეფო ტახტით და დარბაზებით.  
და ზის იმ ტახტზე ეშმაკი ახლა  
სახრჩობელის და წამების ღირსი.  
მისმინეთ ძმებო, სიკვდილი მტარვალს!

1837 წელს თადეუმ ლადა-ზაბლოცკი რიგით ჯარისკაცად გაამწესეს კავკასიის კორპუსში. ის და მისი მეგობრები სამხედრო ოპერაციების გამო თბილისში იშვიათად ხვდებოდნენ, მაგრამ ყოველი ჩამოსვლა თბილისში მათთვის ნამდვილი ზეიმი იყო. პროფ. ვანო შადურის აზრით, ზაბლოცკი ნამყოფი უნდა ყოფილიყო ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში. ეს ვარაუდი ბუნებრივია, ვინაიდან მისი „პოეზიის“ ტომზე ხელმომწერთა შორის იყვნენ ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები.

ზაბლოცკი განსაკუთრებით მეგობრობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიის მეგობართან — პოეტსა და მთარგმნელ მიხეილ თუმანიშვილთან. მისთვის საძულველი ომის ქარცეცხლში იგი თბილისიდან თბილ ნერილებს ღებულობდა მიხეილ თუმანიშვილისაგან და ასევე თბილად ეხმიანებოდა თავის ახალ ერთგულ მეგობარს. აი, ნაწყვეტი ზაბლოცკის 1839 წლის 25 ივლისს მიწერილი წერილიდან მიხეილ თუმანიშვილისადმი: „...თქვენი სული ჯერ კიდევ მაღალ ჰარმონიულ ნოტებზეა აწყობილი, ბედის რისხვას არ გაუწყვეტია მისი სიმები და იგი ამაღლებულად, საზეიმოდ ჟღერს! ჩემი სული კი არ გამოსცემს ხმებს და თუ მისი წიაღიდან კვნესა აღმოხდა, ის უფრო ყვირილს ჰგავს, კავკასიის კლდეზე მიჯაჭვული და არწივებისაგან შიგნულდაფლეთილი პრომეთეს ველურ, შემადრწუნებელ გმინვას მოგვაგონებს“.

მიხეილ თუმანიშვილმა ქართული ენაზე თარგმნა ზაბლოცკის ლექსი „ალაზნის ველი“, ზაბლოცკიმ

კი პოლონურ ენაზე თარგმნა მიხეილ თუმანიშვილის ლექსი „ფილა“. მიხეილ თუმანიშვილს ზაბლოცკი ქართული ენის შესწავლაში დახმარებასაც სთხოვდა. კრამესკისადმი მიწერილი წერილებიდან კი ირკვევა, რომ ქართული ლიტერატურის შესახებ ნარკვევის დაწერას აპირებდა.

კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში დაწერილ ლექსებს, თარგმანებსა თუ ჩანაწერებს ლადა-ზაბლოცკი არაღლეგალურად უგზავნიდა პოლონეთში სანდო გამომცემლებს და მის ბედქვემ მყოფ სხვა პოლონელ „კავკასიელებსაც“ ამ მხრივ გზას უკვალავდა.

ზაბლოცკი სულ სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდა, მაგრამ ვერ ეღირსა.

1846 წლის ბოლოს ვოიცევ პოტოცკის შუამდგომლობით კავკასიის მეფის ნაცვალმა მ.ს. ვორონცოვმა იგი მარილის წარმოების მმართველად განაწესა კულპებში (სომხეთი), რაც მისთვის საბედისწერო გამოდგა. 1847 წელს იგი იქ ქოლერით გარდაიცვალა.

### აჰ, დროა უკვე, დროა!

„მოსძაგდა ჩემს სულს სიცოცხლე, უნდა ვიგლოვო ჩემი თავი, უნდა ვილაპარაკო სულგამწარებულმა“.

„იობის წიგნი“, 10, 1

ძველო ზმანებავ, ძველი დროის, ნეტავი რატომ მეახლე ისევ, დგახარ კვლავაც ჩემს შიშველ სულთან! ცისკრის ნათელით აკიაფდა ბნელი სამყარო, დამამშვიდებელს მანვდი სასმისს და მოგაქვს

გულთან.

და სხივოსანი იმედები ისევ გუნდ-გუნდად რად მეხვევიან, ისევ რატომ მახვევენ თავბრუს? დრომაც ჩამოჰკრა, ჩემს დაღლილ სულს დაანვა

მტრულად

და სირინოზთა ხმის მოსმენაც არც სურს, არც ძალუქს.

დრომაც ჩამოჰკრა, გაფერმკრთალდა ნათელი კვალი იმ ანგელოზის, ჩემს მეგზურად ლალად რომ ფრენდა და ბევრჯერ, ბევრჯერ ამაცილა მოშურნის თვალი, ქარბუქს და ელჭექს ჩემი გზიდან უწყალოდ წმენდდა.

ახლა კი ბნელა და ჩემ ირგვლივ სიცივე სუფევს, განრისხებული მეხი გრგვინავს და ელვას ისვრის, მდინარე გმინავს და ყინულის საფარველს უტევს, აჰ, დროა უკვე სახლში წასვლის, გულიც ვერ იცდის.

გადავაბიჯო უნდა ზღურბლზე, აჰ, დროა, დროა! დროა ზღურბლს იქით რომ გადავდგა ნაბიჯი ერთი. მამ რატომღა თრთი სულო ჩემო, სიმშვიდე მოვა: იქ გაფრინდები სადაც სუფევს მაღალი ღმერთი.

ქსავერი პეტრაშკევიჩი

1838 წ.

ქსავერი პეტრაშკევიჩს (1814-1887), პოლონელ „კავკასიელთა“ ჯგუფში თადეუმ ლადა-ზაბლოცკის

გვერდით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. იმ ოთხეულში, რომელსაც თადეუმ ლადა-ზაბლოცკიმ თავისი „პოეზიის“ ტომი მიუძღვნა, ქსავერი პეტრამპევიჩი შედიოდა იანიშევსკისთან, სტემელინიცკისთან და ანჯეიკოვიჩთან ერთად, რომლებიც პოლონელ „კავკასიელთა“ ე.წ. ბირთვს წარმოადგენდნენ.

პეტრამპევიჩი თავად-აზნაურთა წრეს ეკუთვნოდა. 1835 წელს იგი კიევის უნივერსიტეტის ლიტერატურულ-ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. ზოგიერთი მკვლევარი კი მას ვილნოს უნივერსიტეტის სტუდენტად იხსენიებს.

მეგობრობდა ვინიციუსთან, ციხეში კი — სტემელინიცკის დაუახლოვდა. კავკასიის კორპუსში უბრალო ჯარისკაცად იგი დაახლოებით 1840-1845 წლებში იმყოფებოდა. ომში მძიმედ დაიჭრა და ამიტომ ადრე დააბრუნეს სამშობლოში, სადაც იგი დაოჯახდა და 9 შვილიც ეყოლა.

კავკასიაში ყოფნისას იგი „დლიურს“ აწარმოებდა. 1840 წლის ზამთარში თბილისიდან საქართველოს სამხედრო გზით მთაში საომრად მიმავალ მეომრებს ღამე მცხეთაში გაუთევიათ. ქსავერი პეტრამპევიჩს, დაღლილობის მიუხედავად, კარგად დაუთვალა იერებია მცხეთის მთავარი ტძარი („სვეტიცხოველი“), მეფეთა სამარხები, განსაკუთრებით ერეკლე II -ის საფლავი და დლიურშიც ჩაუწერია.

1841 წელს პოზნანის ერთ-ერთ ჟურნალში პეტრამპევიჩის „დლიურის“ ნაწყვეტებიც გამოქვეყნდა და მისი სონეტებიც. ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ მძიმე საომარ პირობებშიც კი, პოლონელი მეომრები ცდილობდნენ მათი ქვეყნისათვის მიეწოდებინათ ცნობები საქართველოსა და მისი კულტურის შესახებ.

პეტრამპევიჩის „დლიურიდან“ ისიც ცხადია, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდათ ბრძოლა მეომრებს. ერთგან იგი წერს: „საქართველოს სამხედრო გზით მივინვედით ზარბაზნებით, საათობით წელამდე თოვლში ვიდექით. დილით თვალები ამტკივდა, თოვლია ღამის დამაბრმავა, სახე მიხურდა; შევხედე ჯარისკაცებს, ბევრი მათგანი დაბრმავებულიყო, ერთმანეთს ეჭიდებოდნენ; უცებ მეც მთლად დაებრმავდი, ტკივილისაგან ვყვიროდი. მესამე დღეს ცხენზე შემსვეს და შეხვეული თვალებით, ბრმა ფორტუნასავით აღვირს ხელი ვუშვი და ცხენმა თავისით მიმიყვანა ვლადიკავკაზში, სადაც სხვა მეომრებიც მივიდნენ. თანდათან ამეხილა თვალი და მადლობა ღმერთს, საბოლოოდ განვიკურნე. მოგვიანებით გავიგე, რომ ბევრი ჯარისკაცი სამუდამოდ დაბრმავდა“.

საოცარია თავისთავად ის ფაქტი, რომ ასეთ არაადამიანურ პირობებში ადამიანი დლიურს აწარმოებდა. ამასთანავე, ისტორიიდან არაერთი მსგავსი ნიმუში ვიცით, როცა დლიური ერთგვარი მხსნელი ყოფილა. პეტრამპევიჩის „დლიურის“ ამ პატარა მონაკვეთის მიხედვით ვხედავთ თუ როგორი კავკასია დაინახეს გადმოსახლებულებმა და გასაგები ხდება, რომ

პოლონურ ლიტერატურაში კავკასია ვერ დარჩებოდა ეგზოტიკური ტროფობის წყაროდ.

**ლეკური**

ჩონგური, დაირა უკრავს ველურ მელოდიას მთების, ირგვლივ ტახტებიდან ხალხის მქუხარე ტაშისკვრა მესმის.

შუაში ქანდაკებად ვინ დგას? გარს ოქროს ფურცლები ეკვრის. მაჰმადის ნიმფაა იქნებ, სახელად უხმოზენ პერის.

ჯერ ხომ გაყურდება, იცდის და თუკი ესროლე მზერა, ისე ჩაგიქროლებს ცეკვით, თითქოს მთელ მსოფლიოს ზვერავ. თვალები ნაპერწკლებს ისვრის, თვალთ ელვა გაპყრობს და ლელავ. მერე წრეს დაარტყამს ისევ, გაგიჟებს ამ ცეკვის ცქერა.

ეს ტურფა ქართველი ქალი სული და გულია ქვეყნის, მასში პოეზია ბუდობს, ეს ცეკვა ლექსია, ლექსი. აი, პოეზია! გრძნობა, აზრი, ჰარმონია, ფიქრი, ხალხური სიმღერა, ცეკვა, სულ პოეზიაა — ვიტყვი.

და ცეკვავს ქართველი ქალი რა თავდავიწყებით, გზნებით, ლეკური ლექსია მართლაც, ნამდვილი ხალხური ლექსი.

**სტანისლავ ვინიცი**

სტანისლავ ვინიცი 1814 წელს დაიბადა. იგი თავად-აზნაურთა წრეს ეკუთვნოდა. 1835 წელს იგი კიევის უნივერსიტეტში ჩაირიცხა ქსავერი პეტრამპევიჩთან ერთად. ჟურნალ „რუსალკაში“ მისი ლიტერატურული დებიუტიც შემდგარა. ბევრ სხვა მემამოხეთა მსგავსად იყო შიმონ კონარსკის ორგანიზაციის წევრი. სიკვდილით დასჯა კავკასიის კორპუსში ჯარისკაცად განწესებით შეუცვალეს.

ვინიციუს ახლობელი, რომელმაც უკანასკნელად იგი კიევის სამეფო ბაღში ნახა, იგონებდა თუ რა ნაღვლიანად გაჰყურებდა პოეტი დნეპრის სანაპიროს. მას ძალიან ცუდი წინათგრძნობა ჰქონია, რაც სამწუხაროდ, გამართლდა.

გარდაცვლილი ვინიციუს რამდენიმე ლექსი თადეუმ ზაბლოცკიმ კრამევესკის გადაუგზავნა დასაბეჭდად და ძალიან თბილად მოიხსენია ეს უდროოდ დაღუპული ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა.

ვინიცი გროზნოს ჰოსპიტალში გარდაიცვალა 1842 წელს.

**ქართველი ქალი**

სიყვარულისთვის გაჩნდი ქვეყნად, მაგრამ მრისხანე კავკასიონმა შენს ნორჩ ფიქრებს ყინვა აპკურა,

ცეცხლი გულს მოსწყდა და თვალებში დაისადგურა.

შავი ნაწნავი მივამსგავსე ხეს აბანოზის,  
ქანდაკება ხარ კავკასიის თეთრ ანგელოზის!  
ტურფა, ლამაზი, მაგრამ გულით მსგავსი სალი კლდის.  
1842 წ.

### არისტარხ სოსნოვსკი

არისტარხ სოსნოვსკი (1811-1873 წწ.) დაიბადა კლემჩელაში, ბელსკის პოვიატში (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული პოლონეთსა და უკრაინაში მე-14-მე-19 სს.-ში) უნიატების თავადაზნაურულ ოჯახში. 1828 წელს ჩააბარა ვილენის (ახლანდელი ვილნიუსის) უნივერსიტეტში, შემდეგ კი სწავლა განაგრძო კიევის უნივერსიტეტში. მონაწილეობდა შ. კორჩარსკის შეთქმულებაში, თანამშრომლობდა პეტრაშევიჩთან. სიკვდილის განაჩენი კავკასიაში რიგით ჯარისკაცად გაგზავნით შეუცვალეს, სადაც იგი 1839 წელს მოხვდა.

ელისეს ციხე-სიმაგრის აღებაში მონაწილეობამ დაანერინა ჩანაწერები, რომლებიც 1847 წელს გამოუქვეყნეს.

1853 წელს ა. სოსნოვსკი გაანთავისუფლეს არმიიდან და თავადაზნაურული ტიტულიც დაუბრუნეს. ოჯახური გადმოცემით იგი გიორგის ჯვრით დააჯილდოვეს, რაზედაც მან უარი განაცხადა. სამშობლოში დაბრუნებული არისტარხ სოსნოვსკი დაოჯახდა და 9 შვილი ეყოლა.

სოსნოვსკის ლექსები იან მერლომ (სოსნოვსკის თანამებრძოლმა) 1842 წელს მუხრანიდან გაუგზავნა გამომცემელ კრაშევსკის გამოსაქვეყნებლად. ასე ზრუნავდნენ პოლონელი მეომრები და პოეტები ერთმანეთზე.

### ვარსკვლავს კავკასიიდან

ჩემო ვარსკვლავო ოქროსთმიანო!  
ცის კაბადონზე პირველად გიცან.  
დეენილს შენ უნდა შემეხმიანო  
ცა ცვარმარგალიტს რომ აფენს მიწას.

უფრო წმინდა ხარ ვით სუფთა ცრემლი,  
უფრო ქათქათა ვით თეთრი თოვლი,  
და როცა კვდება მზის სხივი ბოლო,  
ვარდისფერ ცაზე შენს ციაგს ველი.

ჩემო ვარსკვლავო ოქროსთმიანო!  
დასავლეთის ცის მანათობელო,  
ჩემთვისაც გულის გამათობელო,  
ცა შენით მიყვარს მნათო სვიანო.

თუ ახალი დღის მომელის ხილვა,  
გაბრწყინდი, მნათო ოქროსთმიანო!  
დასავლეთისკენ მივმართავ მზერას,  
რომ შენ და ზეცას შეგეხმიანო!

### იულიუმ მუჩლერი

იდეალებით არის მოცული იულიუმ მუჩლერის პიროვნება. იგი კავკასიაში თავისი სურვილით არ მოხვედრილა და თუმცა იმავე პერიოდში იმყოფებოდა იქ რა დროსაც გადმოსახლებული პოლონელები იმყოფებოდნენ, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ მათ წრეს მიეკუთვნებოდა. იულიუმ მუჩლერმა თავისი ლექსები აჩვენა ზაბლოცკის, როგორც ლიტერატორთა სულიერ მამას. ზაბლოცკიმ ლექსები მოიწონა და გამომცემელს გადაუგზავნა. იულიუმ მუჩლერის ორი ლექსი გამოქვეყნდა ჟ. „რუბონში“ 1846 წელს.

დაბეჯითებით იმის თქმა შეგვიძლია, რომ მუჩლერი მონაწილეობდა საომარ ექსპედიციებში. „კავკასიელთა“ მონაყოლიდან ცნობილია, რომ ამ უაღრესად შთაბეჭდილებიანმა ახალგაზრდამ თავი მოიკლა. თუ რა ვითარებაში და როდის მოხდა ეს შემზარავი ფაქტი, უცნობია.

### ცრემლი

რა ბროლს აფრქვევს ეს ქალწული  
ლამაზად და ასე გრძნობით?  
ეს ცრემლია სიყვარულის,  
სატრფოს რომ სდის.

იმ მატრონას, შვილით ხელში,  
ეს რა ცრემლი გადმოსცურდა?  
ამას ჰქვია დედის ცრემლი,  
რა თქმა უნდა!

ბერიკაცს კი, ქუჩა-ქუჩა  
ფუღს რომ ითხოვს, ძლივს რომ დადის,  
ხმელ ლანგებზე ცრემლი დასდის  
სილატაკის.

მეომარსაც, თუ სამშობლოს  
ულანძღავენ, უკვნესს გული.  
მისი ცრემლი სამშობლოა —  
ის ბედკრული.

1846 წ.

პოლონელ პოეტთა ბიოგრაფიები და  
ლექსები მარიამ ფილინასა და დანუტა ოსოვსკას  
წიგნიდან თარგმნა რუსუდან ქანტურიშვილმა

## დარეჯან ლომთაძე

## უდაბნოს ელგია

აღმობდების მზედ წუხდა შუადღის შიში  
 მგონი კორტნიდნენ ყორნები დამწვარ ქვიშას  
 ქარნი ხორშაკნი ვერ იოკებდნენ შიმშილს  
 გლეჯდნენ აკლდამებს გულარძნილობის ნიშნად  
 უდაბნოდ ვიჯექ უდაბნოსფერი ქალი  
 ალყა დამარტყა ხვადი ლომების სროვამ  
 ქვიშაში ჩაფლულს ზეცისკენ მქონდა

თვალი

წუთი რომ მგმობდა მარადისობის

მთხოვარს

მოდგნენ ლომები ამოიმართნენ ხომლით

ტანზე მზე დასდით, ნისლი დედდება

რისხვად

იღრიალეს და გამომიცხადეს ომი

მასკდება კვირტი და შიშის ნაყოფს ვისხამ

იქნებ ვეგონე ქალი მზედ შერაცხადი

ბნელ ღამეებში ვენთე სინათლის სვეტად

ველოდი ნიშანს და ბუნდოვანი ცხადი

ვით ღამის ყვავილს დაუნანებლად

მწყევტდა

უდაბნოდ ვიჯექ უდაბნოსფერი ქალი

დემონთ ფერხულში მწირი როკავდა ვინმე

დაგრიალეზდა არყოფნის ცხელი ქარი

ჩამომქცეოდა მხრებზე სალმობის მღვიმე

აღმობდების მზედ წუხდა შუადღის შიში

მწირი როკავდა და მოწიოდა ციდან

პირამიდები ამოპირთავდნენ ქვიშით

ამხობდათ ჟამი და მიწას ტანში ცრიდა

შეშლილი ზეცა მოვის პერანგებს იცვლის

ვარვარებს ქვიშა მყისიერებით ელვის

მოირღვა კიდე ხვატით ნაკერი სივრცის

ჩამოიშალა მიზიდულობის ველი

ქუხდნენ ლომები ზეცის უფსკრულთა

მიღმეთს

და ტანთ დაჰკრავდათ დამწვარი ოქროს

ალი

უდაბნოდ ვიჯექ და უდაბნოთ მისმე


ქვიშად წაშლილი უდაბნოსფერი ქალი

უდაბნოდ ვიჯექ და გადარჩენის ნიშნად

როკავდი შენ და უდაბნოიდან იშვი

მგონი კორტნიდნენ ყორნები დამწვარ ქვიშას

აღმობდების მზედ წუხდა შუადღის შიში.



## მარინა ხუჭუა

## ის პოეტი, მე მელექსა.....

ის პოეტი, მას სხვაგვარი სტანჯავს რითმები,  
რიკულეზიან ჩახვეული ნაყშებით ამკობს,  
ყოველდღიური უფერობის ფერის მიგნებით,  
სტროფის ალიზსაც უცნაური რუდუნით აშრობს.  
ის პოეტი, მის ნაწერებს დრო არ აცვიათ,  
მყვირალა ფრაზებს მისი ყური ვერასდროს წვდება,  
ის პოეტი, ჰო, პოეტი სულ სხვა კაცია,  
მიუხვედრელსაც მისი სული სინაზით სწვდება.  
ის პოეტი, გინდაც მთვრალი, გინდაც ფხიზელი,  
ან სად ნახულა პოეტი, ვინც ულექსოდ თვრება,  
ლექსის ომშია მისი ცხენი უფრო ფიცხელი,  
ყანას მარგლის და ლექსი თითქოს ნამარგლში წვება.  
მე მელექსე ვარ დღეის ლუკმა, ესეც მეყოფა,  
დარდებს სტროფებში ვაზიარებ ღიად, უბრალოდ,  
ის პოეტი, სტროფებს შორის უყვარს მეფობა,  
არც მისი სკიპტრა იკარგება ისე, უკვალოდ.  
ის პოეტი, ზოგჯერ მხოლოდ მუსიკით გესმის  
და მისი ლექსი ნოტებზე შვიდი გზისაა,  
ის პოეტი, სხვანაირი უჭედავს ლექსიც,  
ის პოეტი, უდროობის დროის ხნისაა.  
ის პოეტი, მე მელექსე, ერთი დარდი ვართ,  
მე ხიდზე ვრჩები, ის მეორე ბოლოს სტუმარი,  
ნუ შეაჩერებთ, ვერ გაფუგებთ, სხვა გზით წავიდა  
ხვალინდელია მისი ლექსი, მისი გუმანი...  
ის პოეტი, მე მელექსე...

## ლოცვა უთქმელი...

ქარები ღრუბლებს მიერეკება  
და მრჩება თითქოს ლოცვა უთქმელი,  
მთის წვერი ზეცას ისე ეხება  
სიტყვები მრჩება წარმოუთქმელი,  
იქ, ზევით, ცისფერს ირგებენ მხრებზე,  
და წვიმას ცრემლად გვაპკურებს ღმერთი,  
ის, რომ არაფრით მეტი ხარ სხვებზე,  
ის, რომ არა ხარ არც ერთით მეტი...  
ის, რომ ტირილი შევბაა შენი,  
და შეუმცდარი არც როს იქნები,  
რომ გადიტყაო მუხლები თმენით,  
რომ დაიღალო ღმერთის მიგნებით...  
რომ მძიმე ცოდვებს ვერ უძლებს მინა,  
ყველა ხელს ვიშვერთ სხვისკენ სასჯელად,  
რომ მინა ადამს საჭმელად მისცა,  
კაცის ცხოვრების გადასარჩენად...  
რომ უფრო მეტი არის სიმაღლე,  
ვიდრე შეწვდება სიმცირე ჩვენი,  
ზეცა ეშვება ზოგჯერ მინამდე,  
მინას კი მის წინ დაცემა შეენის...  
მთის წვერი ზეცას ისე ეხება,



როგორც ბერების ლოცვა ცის კიდეს,  
აყვავდა მინა ცოდვის ედემად  
და ჯვარზე გაკრულს ვატარებთ ქრისტეს.  
მე შემოდგომა თუ გამაგიჟებს...  
ზოგჯერ გაზაფხულს გვანან სახლები,  
უფლისწულები გვირგვინებს წნავენ,  
ნიავს ფანჯრებთან მოაქვთ ჰანგები,  
ცისარტყელები კამარას კრავენ...  
რიჟრაჟზე ზეცას მთვარის ნაკოცნით  
აჩნია მკრთალი ნათითურები,  
დილის მარგალიტს ცვარი ჩამოცლის,  
ლოცვას ჟღერტულებს, მზის, ბელურები...  
ზოგჯერ გაზაფხულს გვანან სახლები  
ზამთარს კი ზამთრის ეჭვი აგიჟებს,  
გადაათოვებს ფიფქის საბნებით  
და თეთრი ფერის გაფენს ხალიჩებს.  
შემცივულ ხეთა შიშველ საკინძეს  
ბროშად ჩიტების ადევს ჟღერტული,  
მე შემოდგომა თუ გამაგიჟებს  
და გაღვიძება შენი ჩურჩულით.

## მხოლოდ მის ვგავდი...

მხოლოდ მე ვიყო, მხოლოდ მე და სხვა არც არავინ,  
თუნდ ქოხი ვიყო, კედლებს ჰქონდეს ჩემი სურნელი,  
სასახლის თალებს არად უჩანთ სხვისი კარავი,  
თუმც ბრწყინვალეა ხომ ცისაა დროში ულევნი,  
დედამინაზეც ზოგი ბრწყინავს, ვით სხივი მზისა  
ზოგის სინათლეს ბედად ახლავს შუქი მთვარისა...  
უჩანს ციკაბო ზევით მავალს, ბილიკებს მთისას,  
მხოლოდ რომ დროში სიდიადემ ჰპოვოს გზა ხსნისა...  
მთის ძირიც იყოს, და ქოხს ჰქონდეს ჩემი სურნელი,  
ჩრდილებს მზის სხივი გამოექცეს საამოდ ჩემდა,  
სიყვარულით მყოს, ამას ვნატრობ, განუკურნელით,  
თუნდ შარბათივით გაუროს აქა – იქ სევდა.  
მხოლოდ მე ვიყო, მხოლოდ მე და სხვა არც არავინ...



**ინვის საქართველო...**

ინვის საქართველო, ორად გაყოფილი,  
 მკერდზე ალისფერი ცეცხლის აგონია,  
 არა, არ მინახავს, ასე არყოფილი,  
 დედა საქართველო რისიც გამგონია....  
 ვინ თქვა საქართველო მზიან – ლხინიანი,  
 მუდამ ჭირნახული, სულის მოთქმის ტოლა....  
 მერე ისევ ომი, შემუსრულ მტრიანი....  
 ალაგალაგ ბედმა ერთურთს შეგვატოლა....  
 ახლაც გაცრეცილი ღრუბლის ხილაბანდით,  
 ისე მილასლასებს, დარდის ამყოლია,  
 შვილთა დამკარგავი, უცხოის მიჰყავს ბანგით  
 დედა საქართველო რისი გამგონია....  
 ინვის საქართველო, გულმკერდდამანთული,  
 ჰოდა გაგვახსენდა ღმერთის განსასჯელი,  
 ახლა შიში გვიპყრობს ქვეყნის დასასრულის  
 ღმერთს კი სულ არ უკვირს ჩვენი განსაცდელი....  
 რაკი დავერიეთ ერთურთს შესაჭმელად....  
 მინა, მინა ინვის ცოდვის გასამხელად....

საგზლად გემატოს,  
 მრავალჯერ  
 დამცდა ცრემლები ბედთან,  
 მრავალჯერ დავრჩი ფიქრებთან მარტო....  
 და მაინც....  
 მაინც....  
 ვლოცულობ რადგან  
 წარსული, თურმე არც როს ხუნდება,  
 არავინ იცის ვის მეტი ცოდვა,  
 ვის მეტი ცოდვა  
 ერგო კურნებად...  
 ვლოცულობ....  
 შენზე...  
 ჩემზე...  
 შვილებზე...  
 ლოცვითა ჩემით გვეყოს  
 პატიება,  
 არავინ იცის, გარდა ღმერთისა  
 ვის რა ცოდვები  
 გვეპატიება....

**რით დავიჯერო...**

წარსული ზოგჯერ ღიმილს მიბევრებს,  
 და გული ცრემლებს არ ეთანხმება  
 მე ახლა უფრო მძალავს სიბერე,  
 მაგრამ არ ვიცი რა მემართება.....  
 რით დავიჯერო, დილის აისი,  
 როცა უფუნჯოდ მიხატავს ტილოს,  
 როცა შორიდან შენი ხმა ისმის,  
 მინდორში როცა ყვავის ღილილო....  
 მუსიკად, როცა წვეთები წვიმის,  
 ფოთლის კლავიშებს ელამუნება,  
 ბუდეში როცა ბარტყები წივის,  
 როცა სიცოცხლეს უმღერს ბუნება....  
 როცა ყოველ დღე ტვირთით დაღლილი,  
 მაინც ხვალინდელს ვუცდი სამეველად,  
 განცდებით, ლექსში სულ მთლად დაცლილი,  
 ვსუნთქავ იმედის გადასარჩენად....  
 რომც დავიჯერო წლების სიბერე...  
 სულის სიბერე ვეღარ ვიბევრე....

**უცხოა ახლა...**

მარტო ვარ ახლა, სრულიად მარტო  
 სახლი უცხო და ასე ნაცნობი,  
 კადრებს ვერ მირჩევს რადგანაც აწმყო,  
 წარსულს ვიზომავთ რადგან კაცობით....  
 მარტო ვარ ახლა და სველი თმებით,  
 შენი სახება სარკიდან მიცქერს,  
 თუ ამ თვალებში ეტევი სევდით  
 თუ გახსენება ძარღვებში მიჭერს....  
 რატომ ტირიან ზოგჯერ ღრუბლები,  
 მერე კი წვიმად რატომ მოდიან,  
 აქ ჩემს ორეულს ვესაუბრები,  
 და სველი თმები ისე მკოცნიან...  
 როგორც იმ ღამით, განუწულს წვიმით,  
 კოცნით გამშრალი მტკიოდა ბაგე,  
 მერე კი ვეღარ ვიცლიდი ღიმილს,  
 ღიმილს, რომელშიც შენ დამეკარგე....  
 რატომ გეძებენ ზოგჯერ ფიქრები,  
 ეს სარკეც ზოგჯერ როგორ მატყუებს,  
 ახლა მე ოთხჯერ მეტის ვიქნები,  
 პირველი კოცნა როცა დამტყუე....  
 მარტო ვარ ახლა და სველი თმები  
 ნაფერებ თითებს შენსას მაგონებს,  
 უცხოა ახლა ირგვლივ ეს ხმები,  
 დღეები წარსულს ისევ აგორებს.

**არავინ იცის, გარდა ღმერთისა...**

ვლოცულობ,  
 ყველა შენი ტკივილი,  
 იყოს მსუბუქი, ვით პატიება,  
 ამ ქვეყნად მხოლოდ ღმერთმა  
 თუ იცის,  
 ვის რა ცოდვები გვეპატიება....  
 ვლოცულობ,  
 როცა წარსდგები ღმერთთან,  
 ეს ჩემი ლოცვა

## ლერი აღიმონაკი

## ხვედრმა უნდობარმა

გოგი ნიშნიანიძის მეუღლის, ქალბატონ ვალიას და-კრძალვაზე რომ მივედით, გოგი გარდაცვლილი დაგვხვდა. თავზარი დაგვეცა.

23 მაისი იყო, რა დამავინწყებს, გოგის დაბადების დღე — გამთენიისას გარდაცვლილიყო.

რალაც შეუსაბამოს ჰგავდა ყველაფერი.


თავად გოგი, პროვიდენციის ხვეულებში ნავალი კაცი, ამას რა ახსნას მოუძებნიდა, არ ვიცი, მაგრამ განცდა, რამაც იმ წუთებში მომიცვა, აგერ ლამის ოცი წელიწადი გავიდა, არც დღეს გამწვანებია... მას აქეთ მრავალმა წყალმა ჩაიარა, მრავალი მეზი დაგვატყდა, მრავალმა ზაფრამ, პირადულმა თუ საქვეყნომ, აგვიმღერია მახსოვრობა, მაგრამ გოგის ხსოვნა ამ მახსოვრობიდან ვერაფერმა ამოშალა. არათუ ამოშალა, ან გარდასულთან, როგორც ცოცხალთან, ხშირად განმიცდია განსაცდელი.

უფალი ყოველს თავის ჯვარსა და ხვედრს არგუნებს, ოდეს მოავლენს. თუმცა ჯვარიც არი და ჯვარიც, ხვედრიცა და ხვედრიც.

გოგი ნიშნიანიძეს მწარე ხვედრი არგუნა ღმერთმა.

მის ძალუმ, მაგრამ ოდნავ ნახრილ მხრებში მაშვრალის ტვირთს შეამჩნევდა ყველა, ვინც ახლო იდგა მის განამებულ წუთისოფელთან. და დღეს, როცა უკვე აღარ არი, ბედისწერის სამზღვრებიდან ძნელი ასახსნელია, რა იყო ეს — წყალობა, ღვთით მობერილი, თუ სასჯელი?! ერთი რამ ცხადზე უცხადესია: ეს მონამეობა არწყულებდა მთელს მის ეგზისტენციალურ ბუნებას, ზეცით მიმადლებულ ნიჭიერებას, თანხმობასა თუ უთანხმობას შინა თუ მიღმიერ ყოფიერებასთან, იჭვსა თუ გულლიაობას, სინრფელესა თუ უნდობას ადამიანურ კავშირებთან, სიტყვასთან გონიერ, ამავდროულად, მისტიურ თანაზიარობას. და სწორედ ამ გზაბოძალზე იკვართებოდა მისი პიროვნული სახე, სახე რჩეული კაცისა... შეცდება ყველა, ვინც გოგი ნიშნიანიძის პიროვნული ფსიქოლოგიის ამოხსნას სტერეოტიპული რაკურსებიდან შეეცდებოდა. ამიტომ იყო მისი სიტყვაც რჩეული, შემოქმედებაში გაცხადებული, თავისუფალი, ყოველივე ცრუ-იზმების საფარისგან კანგაცვლილი, სიტყვა ძლიერი, პირველქმნილი, რწმენის ემბაზში ამონებული.

გოგი ნიშნიანიძე ჩემი მეგობარი იყო. მაგრამ ახლა, სწორედ ამ წუთებში, როცა მას ვიხსენებ, მეგობრობა რა შუაშია?! განა ეგების დავინწყებას მივცეთ კაცი, ვინც ლოგინს მივაჭვული საყვარელი ძით სასონარკვეთილი, ამოუთქმელი ვნებებით გულდაღლილი, გათენებამდე თავგამეტებით ერკინებოდა სიტყვას — იქით ინგლისურს, აქეთ ქართულს, და ასე ამოჰქონდა სულიერი სიღრმეებიდან ედგარ პოს, უოლტ უიტმენის, ემილი დიკინსონის, ტომას ელიოტის, ჯეფრი ჩოსერის, უილიამ შექსპირის, ჯონ მილტონის, უილიამ ბლეიკის, ჯორჯ ბაირონის, შელის, ოსკარ უაილდის, ჯონ კიტსის, სამუელ კოლერიჯის, რადიარდ კიპლინგის, ინგლისური ხალხური პოეზიის ქართულად ნაქრნი შედეგები?! ამ შედეგებს, თუ გვინდა ვეზიაროთ ქართული პოეტური სიტყვის ძალასა და



მადლს, გულს შემალწვევლ სიტყვის ცხინვარებას, დროდადრო გულისხმით უნდა ჩაველრმავდეთ, და უწინარესად, მომავალი თაობები... ასე ვსწავლობდით ჩვენც ჩვენი წინამორბედებისგან, ჩვენი უფროსი მეგობრებისაგან. და ვსწავლობდით არა მხოლოდ ლიტერატურას, ვსწავლობდით ცხოვრებას, კაცობას, კაცთა შორის ძმურ კავშირებს, ვსწავლობდით, თუნდაც, ქართულ სუფრაზე (დღეს ასე გაუდიერებულს) თავის დაჭერას.

ქართველებს ზომიერების გრძნობა რომ გვალატობს, არ ახალია, ძველია. ერთს თუ ოდებითა და ხოტბით ზეცამდის აღვამალლებთ, მეორეს, იმავ საქმითა და ღირსებებით შემკულს, ძაგებით მიწაში ჩავაძვრენთ.

რატომ?! — არ ვიცი.

რალაც მანკიერებასთან რომ გვაქვს საქმე, ეს კი აშკარაა.

ხშირად დროის კონტექსტისა თუ პერსპექტივის კარდინალური კანონების უგულვებლყოფას სუბიექტური მისტიფიკაცია, რადიკალური ეგზალტაცია სძლევს, რაც ზღუდავს ეპოქისეულ ფერისცვალებათა პროცესების შემეცნებას... მართალია, ფასეულობათა გადაფასების ეპოქაში გვინევს ცხოვრება, რაც, ერთი შეხედვით, ბუნებრივ პროცესადაც კი გამოიყურება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს — ჭეშმარიტ ღირებულებათა გამაუფასურებელ ხახაში ჩავეძახოთ ერთიანად ყველაფერს, ნიჰილიზმისა და ცინიზმის ფინლებით მივდგეთ წინამორბედთა და, არიქა, საბჭოთა პერიოდში უმოღვანიათო, ყველას ერთი კრიტერიუმით გამოუუტანოთ განაჩენი. ლიტერატურის „დამწესრიგებელთ“ უნდა უწყოდნენ, რომ განაჩენი დროს გამოაქვს (როგორც პროლეტკულტელებს და ბევრს სხვას გამოუტანა), არა სინედრიონელთა სკეპტიკურ დირექტივებს (კაპიტოლიუმის ძე მგლის ძუძუებს გამწარებით რომ ჩაძუქურებან), და ისინი ვერავითარ ვნებას ვერ მიაყენებენ იმათ, რომელთაც პირადული საფრთხის საზღაურად (ტოტალიტარული რეჟიმის მძვინვარებაში) წუთისოფელი წარუვალ ღირებულებათა მსახურებას შესწირეს.

გოგი ნიშნიანიძე ამ ფუნდამენტურ ღირებულებათა მსახური იყო. მარტო მის მიერ თარგმნილი ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობები“ რად ღირს. და დღეს, ორმოცი წლის შემდეგ, როცა ხელმეორედ ვკითხულობ ამ თარგმანებს, ისევ ისეთს ვხედავ გოგის — პოეტური გზნებით თვალემოელვარეს, სულით ახოვანს,

მისტიური ვიბრაციებით ათრთოლებულს, წარმავალ ყოფიერებაზე აღმატებულს. პირველმა, თუ ვინმემ უწყოდა, მან უწყოდა, რა ღირებულებებსაც მსახურებდა – თანამედროვეთათვისაც, მომავალთათვისაც.

დიახ, ის სულთ ხორცამდის პოეტი იყო.

გოგი ნიშნიანიძე წინა საუკუნის 60-იანი, 70-იანი წლების მთარგმნელთა სახელოვანი პლედის ერთ-ერთი ბრწყინვალე სახელია. და დღეს ჩვენ, ყველას ერთად, ვალად გვდევს ვიზრუნოთ მისი ნაღვანის კვლავამოცემისთვის.

რამდენ რამეს შევიძინეთ!

ეს ნაღვანი ხომ, როგორც მუდმივად ახალი, დღესაც ცოცხლობს, დღესაც ძალუმად ფშვენს ეპოქისეულ პროცესთა კონტექსტში.

ჩვენ ოცდაათწლიანი მეგობრობის განმავლობაში ხშირად მინახავს გოგი ტანჯვის ყრუ ბაკნიდან სადღეოზე გადმოსული – უძილარი, თვალეზამომწვარი, მიტკალივით გაფითრებული, ღამეულ კომპარებთან, სიტყვასთან ბრძოლით დაქანცული, განმინდნებული სახით, ამაღლებული, მარტვილი... ჩვენ ერთიმეორეში უთანხმოებაც მოგვსვლია. მაგრამ მხოლოდ შორით მაცქერალ ბრიყვს შეეძლო ერწმუნა ჩვენს შორის იმ უხილავი სიყვარულისა და თანაღმობის ძაფების დაწყვეტა, რითაც ნიადგა ვმონანიღობდით ერთიმეორის ბედსა თუ სულიერ ცხოვრებაში, რითაც ვასულდგმულვდით ერთიმეორეს, და რომლის ბოლოებიც უთანხმოების წუთებშიც კი ერთგულად გვეპყრა ხელთ, რაც უჩემრად ჩვენ ორმა ვიცოდით: მან და მე. ისე ვუფრთხილდებოდით მეგობრობას, როგორც ცეცხლზე შემოდგმულ რძეს... გარდაცვალების პირველ წლებში ხშირად ვნახულობდი სიზმრად: როგორც ჩანს, გაგვიჭირდა უერთმანეთობა, მის სულს – უჩემობა, ჩემსას – უიმისობა.

მე ის მიყვარდა. და მენატრება.

მიძიე კაცი იყო, არ იყო ადვილი მასთან ურთიერთობა. ნერვთა უწვლილესი რხევით გრძნობდა თანამოსაუბრის (ნაცნობისა თუ უცნობის) ეთიკურ განზომილებებს, ისე ჰმზერდა მის ფარულ მოტივაციებს, ვით რენტგენოლოგი – ფილტვების ფშვინვას. ეს სახიფათოც იყო – ეჭვიანი იყო და შესაძლებელია ყინულზე ფეხი დასცდენოდა... თუმცა იმდენად ჭარბობდა მასში პიროვნული ხიბლი, ისეთ კეთილშობილებას ასხივებდა, ისეთი მაგნეტიზმით გიზიდავდა, ახალგაზრდა თაობა (მთარგმნელობით კოლეგიაში) კაცთმოყვარეობით იძენდა მისგან ცოდნას, რასაც ის დაუნანებლად გასცემდა. ამიტომ დღესაც, წლების შემდეგ, სინანულითა და მადლიერებით იგონებენ მის სახელს.

მასხოვს, რა თავზარი დასცა თამაზ ბაძალუას, მისი ცოლისა და ანგელოზი გოგონას, ქალბატონ ნათელას – ბათუ დანელიას მეუღლის, ტრაგიკულმა დაღუპვამ, რა შეძრწუნებული დადიოდა ის დღეები.

თამაზი ხომ გოგის თვალწინ დგამდა პირველ ნაბიჯებს როგორც პოეტი, როგორც მთარგმნელი.

კაცის ამოჩემებაც იცოდა (არცთუ მთლად უმიზეზოდ).

ერთი კაცი მუშაობდა ჩვენთან, მთარგმნელობით კოლეგიაში, პოეტი, თანაც, პარტიზუროს მდივანი. ცოტას ნაიმედიდურებდა „თანამდებობით“. ერთხელ, ნამ-

ვიდნომბრებს, სამსახურში მისულს, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულობით, სხვათა თანდასწრებით, გაფხორვით მეუბნება:

– 7 ნომბრის პარადზე, ვაჟბატონო, რატომ არ ბრძანდებოდით!

ნახევარ-კაცებით არი ხიფათი... იცოდა ჩემი ფიცხი ხასიათი, მაინც ბრიყვულმა მედიდურობამ სძლია.

– ეგ ოთარ ნოდის არ უკადრებია ჩემთვის... შენ ვინ გეკითხება... ნადი, შენ შენს პარტიის წევრებს მიხედეთქი! – მივხახლე. 70-იანი-80-იანი წლებია, ჯერ კიდევ მყარად დგას კომუნისტური რეჟიმი. თურმე ამ კაცს „ნაჩაღნიკობის“ კომპლექსი სტანჯავდა, მე რა ვიცოდი.

გოგი შეესწრო ამ დიალოგს... იმ კაცმა მერე განცხადება დაწერა და კოლეგიიდან წავიდა.

გოგი ნიშნიანიძეს, საკუთარ თავთან მუდმივ კოლიზიებში მყოფს, ჰქონდა მიმადლებული სინანულის ნიჭი, რაც ასე ძვირფასია ყოველი ქრისტიანისათვის. არ შემხვედრია კაცი, ვისაც ამ ასაკში განითლება სცოდნოდეს, არც ვინმე სხვა, ასე კატეგორიულად ამკაცრებოდეს საკუთარ ცოდვებს, დაუნდობელი ეპითეტებით გაექირდოს თავი. თუმცა შეუვალცი იყო, ვაგლახად ვერვინ დაურღვევდა შინაგან წესრიგს, ვერვინ შებედავდა მოფათურებოდა მის შინაურ ტკივილებს.

კაცის ფასი იცოდა.

ადამიანი და ადამიანური ცხოვრება იყო მისთვის უპირველესი ღირებულება. სწორედ აქედან იღებდა დასაბამს მისი დემოკრატიული ბუნებაც. ამიტომ ლიტერატურა, ზოგადად შემოქმედება, მისეულ გნოსეოლოგიურ წარმოდგენებში არასოდეს ყოფილა საწუთროებაზე აღმატებული, ამ კატეგორიებით არასოდეს განუსაზღვრავს ცხოვრება. არ ვიცი, პოეზია მისთვის ეგებ გზაც იყო თვითდაუნჯებისა, გზა – ზეციერთან მიახლებისა.

სამზეოზე გადმოსულს, თავისი მარადმღვიძარე ცნობიერების წყალობით, შესწევდა ძალა გულის შორეულ ჯურღმულებში ჩაეტოვებინა თავისი დაუმცხრალი დარდი და იღუმალი ზრახვით ეგრძნო სხვისი ტკივილი, წრფელად ეთანაგრძნო მოყვასისთვის, დაუყვედრებლად ელხინა მეგობართან, გულლიად ეხუმრა, ეცინა... გამეტებული კაცი იყო, ჯიბეში ხელის ჩაყოფას ვერავინ დაასწრებდა... იუმორის, გროტესკის, კალამბურის საოცარი ნიჭი მოსდგამდა, რაც „კენტურბერიული მოთხრობების“ მთარგმნაშიც აშკარად ჩანს. რა მდიდარი სემანტიკაა, ნახეთ, ქართული ენის რა შრეებიდან აღარ შემოაქვს თხრობა, რა ორგანულად ქსოვს პოეტურ ტექსტს.

სიყალბე, მედიდურობა სძაგდა.

სტერეოტიპს სარკაზმით აცამტვერებდა.

მერე, ისევე მალულად გადაჩუმათდებოდა თავის ყრუ ბაკანში და, უფლის წინაშე მარტოდ დაშთენილი, თავადვე ედგა საკუთარ უნდობარ ხვედრს მესაიდუმლედ და თანამდგომლად. თუმცა ზოგჯერ ჩუმი ამბოხის ნამებიც მოახლებია და დაუმსხვრევია ამ ბაკნის ეგზისტენციალური სამოსახლო, მერე წამში სინანულით რომ აკონინებდა, რადგანაც არ ძალუძდა ყოფნა მის გარეშე, მის გარეშე არ ძალუძდა სიცოცხლე, სიყვარული... რატომ ასჯერ მაინც არ „ამოიმღერებდა“ სუფრაზე შექეიფიანებული გოგი სირინოზი დების იშხნელების ჰანგს: „ყველა სწეულებაზე სიყვარული ძნელია...“ დიახ, მას სწამდა

სიყვარულის იდუმალი, ღვთიური ძალისა... სიყვარულით ნამავდა თავის ჯვარს, დაითმენდა დასათმენელს, სიყვარულით შემოსილი გადავიდა იმ სოფლად, სიყვარულით ეზიარა კაცთაგან დაფარულ საუკუნო საუფლოს.

ლერი ალიმონაკი  
5 აგვისტო, 2017 წელი

## ედგარ ალან პო

### ჟორანი

ერთხელ, ზამთარში, უამურ ღამით, ჩემთვის როდესაც გარდასულ ჟამის სქელ ფოლიანტებს ვუჯექ და ღამის დავოსდი ძველი სიბრძნის წკვარამით, წამთვლიმა წამით და უმრუემსი ღამის დუმილში და სიჩუმეში ნათლად გაისმა კარზე უეცრივ კაკუნი ფრთხილი და შემპარავი. ალბათ, სტუმარი მენვია-მეთქი, ჰო, ვილაც ფრთხილი და შემპარავი, მხოლოდ სტუმარი და სხვა არავინ.

ის ღამე ახლაც მასხოვს თვალნათლივ:  
– მინავლულ ცეცხლზე უხმო ფარფატით ვით ეყრებოდა ლანდი პალატის იატაკსა და ქერს უთვალავი;  
დილა ვინატრე გულდანწყეტილმა, რაკი ვერ შევძელ ძველ წიგნებიდან ისეთი რამე ამომეკითხა, ვინძლო ჩამეკლა გულის ვარამი, მე ხომ მიყვარდა მარტოდენ ლენორ – ის იყო ჩემი გულის ვარამი, მარტოდენ ლენორ და სხვა არავინ.

უცებ ატლასის ფრია ფარდებმა – მენამულ ღრუბლის ორმა ფარტენმა – ლანდებთან იწყო აფარფატება და უმაღლ გაკრთა აზრი მარადი: კაცს ღამით თრგუნავს შიში მეტწილად.  
– ალბათ, სტუმარი-მეთქი მენვია, – გავიმეორე, რომ დამეძლია გაურკვეველობის შიში მზარავი, გავიმეორე სულანწილმა, რომ დამეძლია შიში მზარავი, სტუმარი-მეთქი და სხვა არავინ.

ძალა მომეცა, შიშით ნატორი გულიც აჩქროლდა და სულ სხვა ტონით ვთქვი: „ბატონი ხარო თუ ქალბატონი, უნდა შემინდოთ, რომ შესაფერი არა ვარ თქვენი მე მასპინძელი – დაღლილი მხოლოდ წამით მივწევი და ვერ გავიგე ხმა, გეფიცებით – სქელია კარი და დარაბები – და ამ სიტყვებით მოვაფრიალე ერთბაშად კარიც და დარაბებიც: მხოლოდ წყვილი, სხვა არავერი.

ვიდექ შემკრთალი და ვუყურებდი: ოდენ წყვილი და უკუნეთი! ბოლოს შევეჭვდი: განათუ-მეთქი მართლა გაცოცხლდა სული ზღაპრების? შემომეხვია ფიქრი მუმილივით, ვერ მოვითმინე და ეს დუმილი და მდუმარება ათას მუმიის მე დავარღვიე ერთი სახელით, „ლენორ“, წყვილადმი ჩავიჩურჩულე ჩემთვის ძვირფასი ერთი სახელი, მარტოდენ „ლენორ“, სხვა არავერი.

ბოლოს შევბრუნდი შინ გულნაკლული, რომ დამეთრგუნა მანიაკური აზრი და ისევ ატყდა კაკუნი უფრო ძალუმაღ და გამძაფრებით.  
– არა, ფიცი და მტკიცე რად მინდა, – ვთქვი, – სტუმარია-მეთქი ნამდვილად, წელან მეხუმრა და მომატყვილა, შორს მისტიკა და შორს არაკები! – დასტურ მაშინვე გავაღე კარი – შორს მისტიკა და შორს არაკები! – მარტოდენ ქარი, სხვა არავერი.

და უცებ ქუში, როგორც ყომრალი, შემოდის ფრთების გაუგონარი ტლაშუნით დიდი, შავი ყორანი, ძველთა დღეთაგან გადმონაფრენი, ჰოდა, გარეშე ყველა თავაზის, ვით სეფე-კაცი ანთუ თავადი გულგოროზი და ამპარტავანი დაახტა ბიუსტს როგორც ქვაფენილს, ათინას ღამაზ ბიუსტზე დახტა, ზედ დააფრინდა როგორც ქვაფენილს, დახტა და ვითომ აქ არავერი.

ფრინველმა თავის გონჯი მიმიკით შემცბარს დამტყუა მალე ღიმილი და ისე გაჰქრა ის სიმძიმელი, თითქოს ყველაფერს ყავლი გასვლოდეს, ვკითხე: რა გქვია, რას გინოდებენ კეთილის მამრძოლს და მათებელს იქ, წარწყმედილი სადაც ჰგოდებენ და უნასები სად უნასობენ?! ვკითხე: ავბედიტს რას გინოდებენ იქ, უნასები სად უნასობენ? ხოლო ყორანმა: „ალარასოდეს“.

მართალი გითხრათ, დია განვცვიფრდი, მოჩვენება რომ ბჭობდა კაცივით, მაგრამ ვერაფრით ჩავწვდი მაცილის სიტყვას, გაჩხრეკილს ბოლო ასომდე; განა სად ხდება ღმერთის წინაშე, რომ შუალამით რაღაც მირაჟი გამოგეცხადოს უცებ ბინაში, ბიუსტზე დაჯდეს და ბაასობდეს,

ყორანი იყოს გინდა მირაჟი  
ბიუსტზე დაჯდეს და ბაასობდეს  
და თანაც ერქვას „ალარასოდეს“?

ეს ერთი სიტყვა იყო ყორანის,  
ალბათ, გული და სული მყოვარი,  
განძი-რამ სისხლით მონაპოვარი  
და შეგდებული ბედის სასწორზე,  
რაკი მის გარდა არრას ამბობდა,  
ბოლოს მე თვითონ ვარქვი ამბოკარს,  
რომ ჩემს სახლს ბევრი მდგომური ამკობდა  
და დღეს-კი ჭვრეტენ ცის დარბაზონებს,  
სულ მალე-მეთქი შენც მიმატოვებ,  
შენც მიაშურებ ცის დარბაზონებს,  
ხოლო მან ბრძანა: „ალარასოდეს“.

ეს სიტყვა-მეთქი ჩემმა ხიზანმა  
გაიგო, ალბათ, ვილაცისაგან,  
ვინც დაილაღა და დაიზაფრა,  
უთუოდ მისგან უნდა ახსოვდეს,  
რკინის ჯოხით და რკინის კვერთხით  
ვისაც მსახვრალი ბედი დევნიდა,  
ვისაც გარდახდა ჭირი ბევრი და  
ვინც არ დაინდეს და არ დაზოგეს,  
ვინც წუთისოფლის მოჰკლა ამბოხმა  
და ახლობლებმაც აღარ დაზოგეს,  
ვინც სულ ამბობდა: „ალარასოდეს“.

მან ისევ შემკრა ჯადო-თილისმით,  
ისევ გამიწყდა ფიქრის გვირისტი.  
– უნდა ჩამოვჯდე ყორნის პირისპირ,  
იქნებ, მივუხვდე ოინზაზობებს,  
უნდა გავიგო ასე უგვანი  
სახე აღსავსე ოდენ მუქართი  
და ეს უნდო და ურცხვი გუგანი  
დამცინიან თუ მითანაგრძნობენ,  
დაახ, ეს ურცხვი და ეს წუნკალი  
თვალეები იქნებ მითანაგრძნობენ  
ცივი ყრანტალით „ალარასოდეს“?!

სიტყვა არ მითქვამს იმ ექიდნისთვის,  
ჩემთვის ქარაგმულ რიცხვებს ვითვლიდით  
და რბილ ხავერდზე ნაღდი მკვიდრივით  
ვიჯექი როგორც მწვანე გაზონზე,  
კიდევ კარგი, რომ გველის ნაშიერთ –  
ასეთ ბოროტ და ასე საშინელ  
სტუმრებს დარბაზში თუ წინკარშივე  
რბილ სკამ-ლოგინებს არ თავაზობენ.  
კიდევ კარგი, რომ ამ უმსგავსოებს  
ასეთ სავარძლებს არ თავაზობენ  
და არც ღირსყოფენ აღარასოდეს.

ლურჯად აცურდა უცებ საგნები,  
თითქოს უბინო და უზაკველი  
ხელით ნაკმევი ამო საკმეველის  
სურნელი ეცა ბერ-მონაზონებს,  
ვთქვი: უკეთურო, ჰა, სერაფიმმა

ნელსურნელება მით მოაფინა,  
რომ დაივიწყო ის უნაპირო  
სევდა, სახელში რაც ჩააქსოვე,  
დასძლიო ჭმუნვა, იმ უძვირფასეს  
სახელში „ლენორ“ რომ ჩააქსოვე,  
ხოლო მან ბრძანა: „ალარასოდეს“.

ისევ ავლელდი; ბილწო ხიზანო,  
იქნებ, მაცთურო თუ გულთმისანო,  
მე შენი თავი ვინ მომიგზავნა,  
ვინ დაგაცილა ბნელ დარბაზონებს?  
– ჭირში ნიადაგ იმედს მიველტვით,  
მეც ხომ ვიცოცხლებ მხოლოდ იმ ერთი,  
მხოლოდ იმ ერთი სუსტი იმედით,  
იმედით-მეთქი ხომ ვისაზრდობ,  
მარქვი, მაცთურო, მხოლოდ იმ ერთი  
იმედით-მეთქი ხომ ვისაზრდობ?  
ხოლო მან ბრძანა: „ალარასოდეს“.

ვთქვი: მოწყალება ერთხელ მოილე,  
გაფიცებ უფალს, არსთა მორიგეს,  
რომელს მდაბლად ვცემთ თავყვანს ორივე  
და ყრმობიდანვე დაგვამახსოვრეს,  
მარქვი, თუ ჩემი სული ხანდახან  
მისწვდება ლენორს გარსთა გადაღმა  
და იმ ღვთაებრივ ცეცხლით დადაღავს,  
მინას რომ ცასთან ათანასწორებს,  
თუ სიყვარულის ცეცხლით დადაღავს,  
სხეულს რომ სულთან ათანასწორებს?  
ყორანმა ბრძანა: „ალარასოდეს“.

მაშინ, ბოროტო სულო, გამცილდი,  
კვლავ გვაშორებდეს დრო და მანძილი  
და დაუბრუნდი ისევ მაცილის  
კარს, უნასები სად უნასობენ,  
აღილე შენი შავი ნისკარტი,  
გულს უმოწყალოდ რომ მისისხლავდი  
და განერიდე მიწყვი სიცხადის  
ზღვარს და სიზმარეთს მიესასოვე,  
განვედ, ცხოვრების ვით განმკიცხავი  
და სიზმარეულს მიესასოვე,  
ხოლო ყორანმა: „ალარასოდეს“.

და კვლავ ბიუსტზე შავად მბოლავი,  
როგორც ცივი და ქუში ყომრალი  
ზის დემონივით შავი ყორანი,  
მძორი მეტყველი და მოაზროვნე  
და ჩემი სული მისი ლანდისგან,  
სულ რომ იზრდება თვალნინ თანდისთან,  
ლამის მრუმეში რომ გადადის და  
ავაზასავით წევს და აზმორებს,  
იატაკზე რომ წევს და ხანდისხან  
ავაზასავით რომ გააზმორებს  
არ განიყოფა აღარასოდეს.

მარსიანი


## „გოგის მეომრის“ ვნებანი

2013 წელს „კავკასიური სახლის“ ჟურნალ „აფრაში“ დაიბეჭდა ფილოსოფოს გოჩა გვასალიას „ქართული ენის“ მანიფესტი. ამ ნაშრომმა არაერთი მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია და მოწონებაც დაიმსახურა. ამ მკითხველთა რიცხვში ვიყავი მეც. ჩემთვის აქამდე სრულიად უცნობი იყო ეს ავტორი. მომდევნო წელს, 2014-ში კიდევ ერთი ნაშრომი „მაისტერ ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი“ გამოაქვეყნა მან „აფრაში“ (ოღონდ არასრული სახით: მისი გაგრძელება რატომღაც აღარ დაიბეჭდა ჟურნალის მომდევნო ნომერში). ჩემი დაინტერესება კიდევ უფრო გაიზარდა. ორივე ნაწარმოები გამოირჩევა აზროვნების სიძლიერით, ორიგინალურობითა და სითამამით. აშკარაა ავტორის ფართო ერუდიცია. ისე, ჩანს, რომ ბ-ნი გ. გვასალია პოლიგლოტიც უნდა იყოს და არაერთ ენას უნდა ფლობდეს – გერმანულს, ინგლისურს, რუსულს თავისთავად და მგონი სომხურს, ებრაულს, ლათინურს, ბერძნულს და თვით იაპონურსა და სანსკრიტსაც კი. ყოველ შემთხვევაში, მისი ნაშრომი ამგვარ შთაბეჭდილებას ქმნის.

ქართული ენისადმი ბ-ნი გ. გვასალიას დამოკიდებულება ხაზგასმით აპოლოგეტურია (თვითონვე უწოდებს თავისთავს ქართული ენის ფანატიკოსს). იგი საკმაოდ კატეგორიულად აცხადებს, რომ ქართული ენა თავისი ღირსებებით აღემატება არაბულს, სპარსულს, რუსულს, იაპონურს, ბერძნულს თუ ლათინურ ენებს. მისი თქმით, თვით ინდოევროპულ ენათა ნარმოშობა „ღვთაებრივ სანსკრიტსაც აღემატება „უღვთაებრივეს ქართული“ – „ძელქვა ენა“, რომელსაც ნათესავი არ მოეძებნება მსოფლიო ენათა არცერთ ჯგუფში. მე სწორედ იმის გამო მგონია პოლიგლოტი ბ-ნი გვასალია, რომ იგი ქართულს ადარებს ზემოთჩამოთვლილ ენებს, შედარებისთვის კი ამ ენათა ცოდნაა საჭირო.

ნაშრომში გამოთქმულია ნუხილი იმის შესახებ, რომ დღესდღეისობით ქართული ენა ძალიან გაღარიბებული, დამდაბლებული და ვულგარიზებულია. ავტორი მიიჩნევს, რომ საგანგებო ძალისხმევას საჭირო სათანადო ინსტანციების მხრივ, რათა მივიწყებული და უარყოფილი ძველართული ენობრივი ფორმები კვლავ გაცოცხლდეს და დამკვიდრდეს ლიტერატურულ თუ ფილოსოფიურ მეტყველებაში. ერის სულიერი დეგრადაცია, რაც დღეისათვის შემადრწუნებელ მასშტაბებს იღებს, პირველ რიგში ენის აღორძინებით უნდა შეკავდეს: „ენის მცველთა კასტა უნდა იყოს თავისი სასტიკი წესებით, რათა აქ არ შემოედეს ბილწი.“-აცხადებს მანიფესტის ავტორი.

ეს საკითხი მართლაც მეტად საჭირობოტოა და ავტორის პათოსს სავსებით ვიზიარებთ. საქმე ის არის, თუ აღმოჩნდებიან ჩვენში იმგვარი პიროვნებანი, ვინც ზემოთხსენებულ „ენის მცოდნეთა კასტას“ შექმნის და თუ ექნებათ მათ სახელმწიფოსგან ან კერძო პირებისგან ხელისშეწყობა და დაფინანსება ამ დიდი მისიის აღსრულება-განხორციელების საქმეში.



ბ-ნი გოჩა გვასალია თავის მანიფესტს პირდაპირ საკუთარ ფილოსოფიურ-ლიტერატურულ თხზულებებზე საუბრით იწყებს („თერიონის ვარდი“, „მთის სახოვნება“, „შეიხის შევარდნის იგავი“) და გვამცნობს: „მიზნად დავისახე, განსაკუთრებული და აქამდე უთქმელი რამ მეთქვა იმ ენით, რომელიც დავიწყებას მისცემია და ყოვლად უსამართლოდ არის განდევნილი, როგორც ყავლაგასული და არქაული.“ ცოტა ქვემოთ „თერიონის ვარდთან“ დაკავშირებით იგი ამბობს: „ეს არ არის ქართველთათვის ჩვეული კუთხე-კუნჭულის თვალსაზრისით ნიგნი. შევეცადე, რომ ჰორიზონტი და პროსპექტუსი (გასამხერი) ქართული ლიტერატურისა და ფილოსოფიისა ძალზე შორს გამეტანა. მივიჩნე, რომ ამოდ არ დავემერი და ქართულ ლიტერატურას მშვენება შევძინე.“ ბუნებრივია, ამგვარმა თამამმა განაცხადმა ამ ნაწარმოების (საერთოდ, მის ნაწარმოებთა) გაცნობის სურვილი აღმიძრა. მოგვიანებით მართლაც ნავიკითხე „თერიონის ვარდი“ და „შეიხის შევარდნის იგავი“ და დავრწმუნდი, რომ ავტორი ამოდ როდი იქადის: სათქმელიც მასშტაბური და გამორჩეული აქვს და ენაც შესაფერისად ამაღლებულ-მარკირებული, ბიბლიის ძველქართული თარგმანებისა და საერთოდ ძველქართული ტექსტების ყაიდაზე მომართულ-განყოფილი.

ბატონი გოჩა გვასალია პირადადაც გავიცანი იკა ქადაგიძის პუბლიცისტური კრებულის „ძირს ომერტას!“ პრეზენტაციაზე. იგი აქ სიტყვით გამოვიდა, მაღალი შეფასება მისცა საპრეზენტაციო ნიგნს და იკა ქადაგიძის, როგორც ეროვნული ღირებულებების დამცველი მწერლის მიმართ მუდმივი მხარდაჭერისა და თანადგომის სურვილი გამოთქვა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ჩემი სიმპათია ბ-ნი გვასალიას მიმართ.

თითქოს ამგვარი შესავლის შემდეგ ისლა დამრჩენოდა, მისი შემოქმედებითი ნამუშავეის აპოლოგეტურ, პოზიტიურ განხილვას შევდგომოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, მიზეზთა გამო ჩემი წინამდებარე სტატია პოლემიკური ხასიათისა იქნება, თანაც მთელ რიგ საკითხებში გადაჭრით, რადიკალურად უნდა დავუპირისპირდე ავტორს. ჩემთვის მიუღებელი და სადავო არაერთი დებულება თუ მოსაზრებაა როგორც „ქართული ენის მანიფესტი“, ასევე „თერიონის ვარდსა“ და „ჰოფმანში“, მაგრამ მხოლოდ ამ ნაწარმოებთა გამო არ გადამიწყვეტია გ. გვასალიასთან

პოლემიკის ნამონყება: მე მის პუბლიცისტურ ნაწარმოებებსაც გავეცანი („რას ვფიქრობ მერაბ მამარდაშვილზე“, „კვლავ მამარდაშვილზე“, „კრიტიკული გამოხმაურება სტივენ ჯონსის ნაშრომზე“, „ჭაბუა ამირეჯიბის წინააღმდეგ“ და სხვა) ნავიკითხე აგრეთვე მისი ნაშრომი „ფორმაცია და ცივილიზაცია“; ყოველივე ამან ბლომად დამიგროვა სათქმელი, რომლის გასაჯაროება საშურ საქმედ მიმანჩნია.

დავინწყით „ენის მანიფესტი“. ქართული ენის აღმატებული აპოლოგიის, ამ ენის „ღმერთად“ წოდების შემდეგ ბ-ნი გვასაღია მოულოდნელად ამგვარ რამეს გვეუბნება: „დიდად მაკვირვებს, ამ დიდად ზნედაცემულ ხალხს ესევეთარი ძალუმი ენა ვისგან რისთვის ენიჭა? ქართველი არაა ქართული ენის ღირსი. ეს მისმა წარსულმა დასტურჰყო. სხვანიც არავინ არიან, რომ ეს ენა მიიჩქვან და მათთან იყოს“.

ამ ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ ქართული ენა ციდან ჩამოვარდნიათ ქართველებს და თვითონ მათ ამ ენის განვითარებაში არანაირი წვლილი არ მიუძღვით. კი მაგრამ, ამ ენას(ძველქართულს) ქართველ მოღვაწეთა (ქართველი ერის წარმომადგენელთა) ნაწერებით არ ვიცნობთ? აბა სხვაგან სად ჰგეის ეს „უღვთაებრივესი“ ენა? თვითონვე ამბობს ბ-ნი გვასაღია, რომ მისთვის „ძველქართული ტექსტების კითხვა არს თეოფანია და თეურგია“. და საერთოდ, განა ვინმეზე ნაკლებად მოეხსენება მას, რომ „ენა“ ძველქართულად არამარტო მეტყველებას, არამედ „ერს“, „ეროვნულობას“, „მოდგმას“ ნიშნავდა? როგორ შეიძლება ასე ურთიერთისგან გათშულად ერისა და ენის წარმოდგენა, ეს ხომ რაღაც აბსურდული წინააღმდეგობრიობის დაღს ასვამს მთელ ამ პასაჟს! ფილოსოფოსს სხვაზე მეტად მოეთხოვება აზროვნებაში თანმიმდევრულობა და ლოგიკა, ბატონი გვასაღიას ამ ემოციურ განაცხადში კი ლოგიკის ნატამალი არ მოიპოვება, ეს არის ნონსენსი.

ბატონი გვასაღია შემდეგაც ასე აგრძელებს და გვეუბნება, რომ „საქართველოში არ შექმნილა ისეთი კულტურული მონაპოვრები, რომ ეს უცხოელმა შეისწავლოს და გაითავისოს.“ მისი აზრით, თურმე უცხოელებს მხოლოდ ქართული ენის გრამატიკა-სინტაქსი ანტიერესებთ და მეტი არაფერი. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ხომ მითუმეტეს არაფერი ეგულება ჩვენს ფილოსოფოსს უცხოელთა ყურადღების ღირსი. იმედია, გამოჩაქვლისის სახით თვით ბ-ნი გვასაღიას ტექსტებს მიაპყრობენ უცხოელნი ყურადღებას: მის გარდა ხომ არავის არაფერი შეგვიქმნია ისეთი, „ქართული ლიტერატურის მშვენიერად“ შერაცხვის ღირსი რომ იყოს! (მკითხველს შევახსენებთ „თერიონის ვარდზე“ ავტორისავე თქმულს: „მივიჩნევ, რომ ამაოდ არ დაეშვერი და ქართულ ლიტერატურას მშვენიერა შევიძინე“).

ისე, მშვენიერი გამოთქმა კი გვაქვს ქართველებს: „მე ვარ და ჩემი ნაბადი!“ კაცი დარწმუნებულია, რომ უპრეტენდენტო რამ მოიმოქმედა: ქართველთა შორის მან ერთადერთმა შესძლო ლიტერატურაშიც და ფილოსოფიაშიც მსოფლიო მასშტაბებზე „გაქაჩულიყო“!

ბ-ნი გვასაღია მეტისმეტად უარყოფითად ეკიდება ილია ჭავჭავაძისეულ ენის რეფორმას და ვულგარიზე-

ბად მიიჩნევს მას. ვულგარიზება და გაღარიბება ენისა მართლა მოხდა იმ პერიოდში, მაგრამ ილიასა და აკაკის სამწერლო ენა ვგონებ არავისი დასაწინი არ არის იმის გამო, რომ ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებული, ადვილად გასაგები და, ამდენად, „დემოკრატიულია.“ რეალისტი მწერალი მეცხრამეტე საუკუნეში მეათე-მეთორმეტე საუკუნეების ენით ვერ იმეტყველებდა თავის ლიტერატურულ ნაწარმოებებში. თუ მეორეხარისხოვან მწერალთა ენა მდაბიურობისა და პროვინციალიზმის ნიშნითაა აღბეჭდილი, ეს ილიას ბრალი რატომაა, განა ილიამ დაუკანონა მათ ჩიქორთული ენით წერა? საუკუნეების განმავლობაში მტერთაგან მიმძლავრებული ერის ყოფა დაკნინებულ-დამდაბლებული იყო და ეს ენაშიც თავისთავად აისახა; სხვათაშორის, სადღაც წამიკითხავს – გარკვეული თვალსაზრისით, დროს სულს, კონკრეტული პერიოდის სპეციფიკურ თავისებურებებს დიდი მწერლებზე მეტად მეორეხარისხოვანი, წარმავალ ყოფით თემატიკაზე ორიენტირებული მწერლები გამოხატავენ, რადგან მათ ზედროულ, მარადიულ თემებთან არსებითი შეხება არა აქვთ, მთლიანად თავიანთ დროში არიან ჩაკეტილნი და ამ კონკრეტული დროის ყოფა უფრო „ახლო პლანით“ ჩანს მათთან თავისი ათასგვარი წვრილმანი; ილიას შემოქმედებაში კი, მიუხედავად ავტორის მახვილი რეალისტური ხედვისა, იმდენად მაინც არ იგრძნობა მაშინდელი საქართველოს უღიმღამო, გასაცოდავებული ყოფა, რასაც ვხედავთ მთელ რიგ მწერლებთან, რომლებიც ვერ ახდენდნენ ცხოვრებისეული მასალის მალაღმბატვრულ დონეზე გარდაქმნას. ხომ ასე დაუნდობელი სატირიკოსია ილია „კაცია-ადამიანში“, ხომ საგანგებოდ და გამოიზნულად ამხელს ლუარსაბის უმაქნისობას და მუცელმერთობას, მისი ყოფის უბადრუკობას (სულიერსა თუ ნივთიერს), მაგრამ დიდი ხელოვანის ნიჭის მაგიური ძალა მხატვრულად გარდაქმნილ სინამდვილეს, ემპირიულ რეალობაზე მალდდება, იმარჯვებს მასზე. ერისკაცმა და პუბლიცისტმა ილიამ რაგინდ არ უნდა ლანძღოს და განაქიქოს ლუარსაბი, მხატვარი ილია თავისდაუნებურად და ჩვენდაუნებურადაც გვაყვარებს ლუარსაბს! რასაკვირველია, ამას მაშინ მიგხვდებით, თუ საკუთარი გულის ხმას მივყურადებთ და მეტისმეტი მონაფური სიბეჯითით არ ვიმეორებთ ილიას შეგონებას, რომ მან „სარკეში ჩაახედა“ ქართველები; ილიამ ამაზე მეტი შეძლო – უკვდავი და ზედროული მხატვრული სახე შექმნა, რომელიც ცხოველმყოფელობას არასდროს დაკარგავს, თუნდაც „ოქროს ხანა“ დაგვიდგეს და აღარაფერი დაგვჭირდეს „სარკეში ჩასახედავი“... მგონი ეს დღესაც არა აქვს გაცნობიერებული ბევრ ჩვენგანს. კარგად თქვა დემნა შენგელაიამ: „ამ ხალხს, მგონი თვით ილიასაც, ვერ გაუგია, რომ ეს ლუარსაბი გენიალური კაცია: არავის არაფერს უშავებს, თავისი მათემატიკა აქვს, ბუზებს ითვლის“ (ციტატა ზეპირად მომყავს და შეიძლება არაზუსტია).

ბ-ნი გოჩა გვასაღია კი ბრძანებს: „ქართლში ილიას მოსვლისას რომ ყოფილიყო სალიტერატურო ნიშნული და სიმადლე, მას ერთობ გაუჭირდებოდა თავისი ადგილის პოვნა მწერლობაში. ილიას გააგდებდნენ ლიტერატურიდან.“

ერთი ის ლიტერატურული ერთობა წარმომადგენინა, რომელიც მწერლობიდან ილიას გაგდებას შეძლებდა! ვერ წარმოიდგენ ასეთ რამეს, თუ ილიას სიტყვის ძალა სათანადო სიღრმით, სრულფასოვნად გაქვს განცდილი; ბ-ნი გვასალისაც ვურჩევდით, მსგავს ინფანტილურ წარმოსახვებს ლაგამი ამოსდოს და ერთი-ორჯერ მაინც ყურადღებით გადაიკითხოს „განდეგილი“, „კაცია-ადამიანი?!“, „ოთარანთ ქვრივი“, „ელეგია“, „ყვარლის მთებს“ ან კიდევ „კაკო ყაჩაღის“ პირველი თავი; ალაზნის ველზე, ჩემდა სამწუხაროდ, არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ის დიდებული ღამის სურათი – მთვარე, მთების ჩრდილი, ურმის ჭრიალი და მეურმის მწუხარე ღუღუნე – ბავშვობიდანვე მოუშორებლად თანა მდევს თავისი ჯადოსნური იდუმალებით... როგორც თვით ილია ბრძანებს იქვე – „ღუღუნე იგი ჩამრჩენია გულს“...

ბ-ნი გვასალისა კი ამ აზრისა გახლავთ: „ილიას არ ჰქონდა დიდი მხატვრული გემოვნება. მისი ნაწერები მოიკოჭლებს მრავალი მიმართებით.“

არ იცნობთ ილიას, ბატონო ჩემო! თქვენცა და ილიასადმი სკეპტიკურად განწყობილ ბევრ სხვა ინტელექტუალსაც მისი, როგორც მწერლის, ხელახალი აღმოჩენა მოგინევთ, თუ, რასაკვირველია, ისურვებთ და მის ნაწერებს წინასწარაკვირვებულ აზრების გარეშე წაიკითხავთ!

ენის განვითარებასთან დაკავშირებით ბ-ნი გვასალისა რაღაც უცნაურ შეკითხვას სვამს: „თუ ძველ ენაზე დანერვილი სარაინდო-სამიჯნური პოემა („ვეფხისტყაოსანი“ იგულისხმება. ავტ.) დღემდე დაუძლეველი სიმალეა, როდის და როგორ, რა თხზულების შექმნით დაძლია ეს სიმალლე ახალმა ქართულმა ენამ, როდესაც ის ლაპარაკობს თავის თავზე, როგორც ენის განვითარების უმაღლეს საფეხურზე? რა ისეთი ანიგნა ახალმა ქართულმა ენამ, რომ რუსთაველის ენაზე მაღლა ავიდა?“

მე არ ვიცი აქ ვის ედავება ავტორი, ვინ თქვა, რომ ქართული ენა უმაღლეს საფეხურზე ავიდა; არ მესმის, რა „სიმალლის დაძლევაზე“ ლაპარაკი, რას ნიშნავს „რუსთაველის ენაზე მაღლა ასვლა?“ ენა იცვლება საუკუნეთა განმავლობაში, ის შეიძლება გამდიდრდეს ან პირიქით, გაღარიბდეს. მაღალი დონის ინდივიდუალური შემოქმედი კი ყველა დროში, ყველაფრის მიუხედავად შეძლებს სრულფასოვანი პროდუქტის შექმნას. ვილაცას აქვს კარგად ნათქვამი: მცენარე და გენიოსი ნებისმიერი ნიადაგიდან ახერხებენ საზრდოს მიღებას, მაშინ, როცა საშუალო რგოლი – ცხოველი და ადამიანი – მხოლოდ განსაზღვრული სახის საზრდოთი იკვებება... ერიც დაცემული იყო, ენაც გაღარიბებული, მაგრამ მოვიდნენ ბარათაშვილი, ვაჟა და გალაკტიონი და უმაღლესი დონის პოეზია შექმნეს, სწორედ რუსთაველის პოეზიის შესადარი. თუ რუსთაველი დაუძლეველი სიმალეა, ასევე დაუძლეველი სიმალეებია ბარათაშვილიც, ვაჟაცა და გალაკტიონიც; სხვაგვარად რომ ვთქვათ – ჯომოლუნგმა ერთია, მისი დამპყრობი კი-არაერთი; ეს დამპყრობნი ჯომოლუნგმას (მაქსიმალურ სიმალლეს) სძლევენ და არა ერთმანეთს; ბ-ნი გვასალისა, ჩემი აზრით, თვით კითხვას სვამს არასწორად და ამის გამო რალაცნაირი სიბრტყეების აღრევა გამოუდის; თანაც,

თუკი ქართულ კულტურაში არაფერი მნიშვნელოვანი არ შექმნილა, როგორც თვითონ ბრძანებს, გამოდის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სამი პოეტი და თვით რუსთაველიც კი ვერ ყოფილან უფალი უცხოელების ყურადღების ღირსნი... რა ვქნა, ბ-ნი გვასალისა ისე ხშირად ვარდება წინააღმდეგობებში, რომ აღარ ვიცი, რა ლოგიკით მივუდგე მის ნააზრევს და, გამოგიტყდებით, ცოტათი კიდევ ვშიშობ, თავადაც არ ჩავვარდე წინააღმდეგობებში...

ისე, რამდენადაც გამიგია, ვაჟა-ფშაველას ინგლისურ ენაზე მთარგმნელს, რონალდ რეიფოლდს უთქვამს, „ჩემს მშობლიურ ლიტერატურას სცივა ვაჟას პოეზიის გარეშე“... ისიც გამიგია, რომ ერთმა ევროპელმა რუსთაველოლოგმა (თუ მთარგმნელმა, კარგად არ მახსოვს), რუსთაველზე მოხსენება რომ წაუკითხა ევროპელ მსმენელებს, თურმე დანტეს გვერდით მოიხსენია რუსთაველი. როცა შეეკამათნენ, „რამდენად მართებულია, რომ აღმოსავლელ პოეტს დანტეს ადარებთო (ტიპიური ევროპოცენტრიზმი! ავტ.), მან უპასუხა: მე არათუ ვადარებ, არამედ დანტეზე მაღლაც ვაყენებ რუსთაველს, რადგან ის იდეები, დანტესთან რომ არის, რუსთაველმა მასზე საკმაოდ ადრე იქადაგაო“ (ციტატა ალბათ არაზუსტია, რადგან მესხიერებას ვეყრდნობი). შეიძლება ამ პასუხში პოლემიკური სიმძაფრე და გადაჭარბებაც დავინახოთ, რაკი ამ ორ გენიოსს შორის მეტნაკლებობაზე ლაპარაკი ალბათ თავისთავად არამართებულია (ჯომოლუნგმა ხომ ორივეს დაპყრობილი აქვს), მაგრამ როცა ასეთ რამეს ევროპელი კაცი ამბობს, გვონებ ცხადი ხდება, რომ ქართულ კულტურას უცხოეთშიც ჰყავს დამფასებლები!

ისიც გავიხსენოთ, რამდენიმე წლის წინ ინესა მერაბიშვილის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი გალკტიონის პოეზიით აღტაცებულმა ინგლისელმა ლიტერატორებმა ამ თარგმანის პრეზენტაციაზე საჯაროდ განაცხადეს „თურმე ქართველებს ბაირონზე დიდი პოეტი ჰყოლიათო“. ნუთუ არც ეს სმენია ბ-ნი გვასალისა?

ქართული მწერლობისადმი გულამრეზილი ბ-ნი გვასალისა კი განაგრძობს: „შესახებულ ქართველ მწერლებს – მიხეილ ჯავახიშვილს, ტიცინ ტაბიძეს, კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვებს აქვთ ცუდი ქართულით ნაწერი ადგილები.“ ვკითხავთ: დავუშვათ ასეა, მაგრამ ალბათ „კარგი ქართულით ნაწერი ადგილებიც“ ექნებათ ხომ? მაინცდამაინც ცუდი უნდა შევამჩნიოთ და კარგი არა?

ან იგივე ევროპელების მიერ ახლახანს მიხეილ ჯავახიშვილის ერთ-ერთ საუკეთესო ევროპელ მწერლად აღიარება როგორ გამოეპარა ამდენი ენის მცოდნე და ასე ფართოდ ინფორმირებულ ჩვენს ავტორს?

კ. გამსახურდიას მაშინდელი საბჭოთა კრიტიკოსები გულს უწყალებდნენ, „არქაიზმებს“ რატომ ხმარობო, „გადაპარანჭულ“ მეტყველებას რატომ ამკვიდრებო; ერთმა მათგანმა ასეთი დასათაურების წერილიც კი დაუწერა – „პროზის თუ პოზის ოსტატი“; დღესაც არაერთი მწერალი თუ კრიტიკოსი ამრეზით უყურებს გამსახურდიას ენას, საერთოდ მის შემოქმედებას, თუმცა ვეჭვობ, თვითონ რითიმე მასზე აღმატებულნი ბრძანდებოდნენ... კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე, მათზე ადრე



კი ვასილ ბარნოვი სწორედ იმ ძველ, მაღალ ქართულზე იყვნენ ორიენტირებულნი, აგრე რომ აღაფრთოვანებს ბ-ნ გვასალიას და მიკვირს, რატომ ვერაფრით დაიმსახურეს მისი სიმპათია. იქნებ მხოლოდ სტილისტურ კეკლუცობად თვლის მათ ენობრივ პოზიციას? თავის „თერიონის ვარდ-თან“ დაკავშირებით იგი წერს; „აქ რომ სტილიზატორობა და მანერულობა ყოფილიყო, მაშინ აზრი ასეთი შემადრ-წუნებელი აღარ იქნებოდა.“ მანერულობის გარკვეული წილი (ოღონდ არა უთუოდ ნეგატიური გაგებით) ნებისმი-ერ ნაწარმოებში იქნება, რომელშიც ძველ ენაზეა ორიენტ-აცია, რადგან ძველ ენობრივ ფორმებს აუცილებლად თან ახლავს მარკირებულობის ელფერი; ბარემ აქვე „აზრის შემადრწუნებლობაზეც“ ითქვას: ლევ ტოლსტოის ერთი უაღრესად მანერისანი მწერლის მისამართით განუცხა-დებია: „რა ვქნა, ეს კაცი ცდილობს შემამინოს, მე კი არ მეშინია!“

ალბათ უპრიანი იქნება „თერიონის ვარდის“ ფილო-სოფიური ღირებულება ფილოსოფოსებმა გაარკვიონ, თეოლოგებსაც უნდა გაუჩნდეთ თავიანთი პროფესიული მიდგომა-შეფასების სურვილი ამ ნაშრომისადმი. ჩემი კომ-პეტენციის ფარგლებს რაც სცილდება, იმას პროფესიულად ვერ განვსჯი, და მხოლოდ შთაბეჭდილების გამოთქმით შემოვიფარგლები. ჩემი შთაბეჭდილება კი ასეთია: ავტორს, ეტყობა, სურს ქართველ ნიციშედ მოგვევლინოს. მისი აზროვნება საგანგებოდ ნეგატივისტურია, დამანგრევე-ლი სულისკვეთებისას(ამით სურს ალბათ შეგვადრწუნოს). ბოროტების საგალობელს, სატანის ქებათა-ქებას აღა-ვლენს და ქრისტიანობის რევიზია უნებება. ერესის საჭ-იროებას ღაღადებს დიდის შემართებით(თითქოს ერესები აკლდეს დღევანდელ მსოფლიოს). არ აღიარებს, უარყოფს ქრისტიანული სარწმუნოების უმთავრეს პოსტულატს – ღმერთი სიყვარულია. მისებურ სტილში რომ ვთქვათ, ათეიზმსაც ღია სთანავს. წარსანყმედელი არის სრულყო-ფილი ალაგი შემეცნებისთვისო, ამტკიცებს. სასუფეველი მას რალაცნაირ მათხოვარ-გლახაკთა სივრცედ წარმოუდ-გენია, სადაც ნიადაგ გოლუულს მიირთმევენ განცხრომით. არ ვიცი, რის საფუძველზე აქვს ბატონ გვასალიას ამგვარი წარმოდგენები. ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, უშუალო ხილვა, გამოცხადება ჰქონდეს წინასწარმეტყველთა და-რად. თვითონ ხომ ამხელს და ამუნათებს ეკლესიის მსახ-ურთ, რომ არანაირი გამოცხადება არა აქვთ და თავი მაინც სულიერი სამყაროს უშუალო მხილველებად მოაქვთ. იგი ისე გადაჭრით წამოსწევს წინ გონებისმიერი შემეცნების როლს, რომ საეჭვოა, დიდ პატივს მიაგებდეს გონებაზე აღმატებულ უნარებს. ინდოელი რელიგიური მოაზროვნე-ნი გონებას, ინტელექტს საკმაოდ მოკრძალებულ როლს აკუთვნებენ და იმგვარ მაღალ უნარებზე მიგვიითიბებენ, ჩვენთვის ლამის ფანტაზიის სფეროდ რომ ჩანს. ბ-ნი გვასალია კი „მოცნების“, „მეცანის“, „შემმეცნეს“, „მეცნა-ვის“ პრიორიტეტულობაზე ღაღადებს ერთთავად. რალაც ვოლტერისადაა, მარქსისტული, ათეისტური შეიგრძნო-ბა ამგვარ რეფლექსიაში, თუმცა კი „ელის“ (ღმერთს) და „სატანს“ ფრიად შინაურულად ესიტყვება თავის ბნელ მონოლოგებში... ვჩქარობ გავიმეორო ზემოთქმული, რომ

ეს მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილებაა და პრეტენზია არა მა-ქვს უტყუარი დასკვნების გაკეთებისა. დიდად საინტერესო კი იქნებოდა, ბ-ნ გვასალიას სერიოზული, კომპეტენტური ოპონენტები რომ გამოუჩნდებოდნენ როგორც ფილოსო-ფოსთა, ასევე თეოლოგთა შორის. თუმცა მეეჭვება, საქა-რთველოში ბევრი იყვნენ ასეთები. საქართველო პოეტ-ების ქვეყანაა და არა მოაზროვნეთა...

პოეზია ვახსენე და ბარემ ქართულ პოეზიასთან ბ-ნი გვასალიას დამოკიდებულებასაც შევეხოთ.

როცა ბატონი გვასალია ბრძანებს, „ქართული პოეზია საარაკო რიოშობააო“, როცა აცხადებს, რომ არსად ისე არ დაცემულა და დამდაბლებულა პოეზია, როგორც საქარ-თველოში, იმედს ვიტოვებთ, რომ მას მხოლოდ ამ ბოლო პერიოდის, ოცდამეერთე საუკუნის ე. წ. „პოეზია“ აქვს მხედველობაში, საგანგებოდ წარმოჩენილ-რეკლამირებულ ავტორთა ის ტექსტები, რომლებიც თითქოსდა საგანგე-ბოდ დაცლილია ყოველივე იმისაგან, რასაც შეიძლება პო-ეტურობა, პოეზია ვუნოდოთ. ამგვარი ტექსტების ოკეანე-ში ნამდვილი პოეტური მარგალიტების მიგნება, რა თქმა უნდა, მეტისმეტად ძნელია. მაგრამ მანამდე ხომ, მეოცე საუკუნეში, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გალ-აკტიონი მოველინა ქართულ ლიტერატურას. კ. გამსახურ-დიას თქმით „ასეთი დიდი ვირტუოზი ლექსისა ჩვენს პლან-ეტას არ მოეპოვება.“ ბ-ნი გვასალია კი ერთ სიტყვასაც არ ამბობს გალაკტიონზე თავის „ენის მანიფესტში“. არადა, საინტერესოა კია, ქართული ენის ასეთი მხურვალე აპოლ-ოგეტი გალაკტიონის შესახებ რა აზრისაა? გალაკტიონი, როცა დაისაჭიროებს, ძალიან მოხდენილად, ვირტუოზული დიდოსტატობით, უტყუარი გემოვნებით იყენებს ძველქა-რთულ ენობრივ ფორმებს, თუმცა, რასაკვირველია, მის მხატვრულ მეტყველებაში ამგვარი ფორმების წილი პრო-ცენტულად არც ისე დიდია. წამყვანი როლი მაინც თანა-მედროვე ქართულს უჭირავს მასთან და რაო, ამის გამო ღარბია, ან მდაბიურია გალაკტიონის ენა? თუ პირიქით, უაღრესად მდიდარი, დახვეწილი, კეთილშობილური და არისტოკრატიული? მე მეჩვენება, რომ „თერიონის ვარდ-ის“ ავტორი საგანგებოდ არიდებს თვალს გალაკტიონის ფენომენს. მთლად პირდაპირ გაკრიტიკება-დანუნებას ვერ უბედავს და თავს აფარებს ზოგად, უაღრესად ტენდენცი-ურ განაცხადს – „არაფერია თანამედროვე ქართულ ლიტ-ერატურაში ისეთი, რომ ეს უცხოელ ქართველოლოგთა და ქართულის მცოდნეთა მიერ ჩხრეკისა და მოხსომების ღირსი იყოს.“ თუმცა იქნებ გალაკტიონი და საერთოდ, მეოცე საუკუნის მწერლობა მას „თანამედროვედ“ არც მი-აჩნია და მხოლოდ ოცდამეერთე საუკუნის ავტორთა ნაწ-ერებს თვლის თანამედროვე ლიტერატურად?

ახლა წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ყველამ იმგვარი ენით დაიწყოს დღეს წერა, „თერიონის ვარდი“ და „შეიხ-ის შევარდნის იგავი“ რომაა აღწერილი. ეს იქნებოდა, თუ იქნებოდა, „საარაკო რიოშობაცა“ და წარმოუდგენელი მასხარაობაც! კი ბატონო, ხსენებული ქმნილებანი სწორედ ამგვარად უნდა დაწერილიყო, რაკი ავტორს ესოდენ ეთ-ნევა „მაღალი შტილი“, მაგრამ ასეთი რამ ლიტერატურაში მხოლოდ გამონაკლისების სახით თუ იარსებებს. ყოველი

ცალკეული მწერლის ინდივიდუალური ენის სიმდიდრეს სხვადასხვა ფაქტორები განსაზღვრავს და ამ ფაქტორებში ძველი ენობრივი ფორმები ყოველთვის უცილობლად როდი იგულისხმება.

მოგეხსენებათ, ტექსტში ბერძნულ-ლათინური სამეცნიერო ტერმინების სიუხვე ჩვენში (იქნებ სხვაგანაც) ინტელექტუალობის ნიშნად ითვლება: ხოლო არაბულ-სპარსულ – თურქული სიტყვების ინტენსიური ხმარება ქართულ ტექსტებში იმაზე მიმანიშნებელია, რომ ტექსტის ავტორს „კარგ მოქართულეობაზე“ აქვს პრეტენზია. ეს თითქოს პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ფაქტობრივად ასეა: რაკი ძველქართულ ტექსტებში აღმოსავლური ლექსიკა ფართოდაა წარმოდგენილი, თანამედროვე „კარგი მოქართულე“ ფართოდ სარგებლობს ამ ლექსიკით.

ბ-ნი გვასაღიას ნაწერებში ბერძნულ-ლათინური განმტკიცებელი ინტელექტუალიზმიცა და არაბულ-სპარსულ-თურქული (ებრაულითაც) შემკული „კარგ მოქართულეობა“ თვალსაჩინოა. ის სწორად აღნიშნავს, რომ წარსულში ბერძნულ-ლათინურზე მეტად აღმოსავლური ლექსიკა შეითვისა ქართულმა ენამ, თანაც იმდენად, რომ ზოგი აღმოსავლური სიტყვის არაქართულ წარმომავლობას ალბათ მხოლოდ ენების სპეციალისტი თუ მიხვდება: ასეთი სიტყვებია, მაგალითად, „ფიქრი“, „ჯავრი“, „იმედი“, „სევედა“, „ნამუსი“... მგონი თვით კოიტუსის აღმნიშვნელი ქართული სიტყვაც არაბული „ტაყანა“-ს მოდიფიცირებული ფორმა უნდა იყოს (ესეც თუ არ გვექონდა საკუთარი, რა გაგვამრავლებდა ქართველებს)...საერთოდ, ხალხების ინტენსიური ურთიერთობა ყოველთვის ინვეზდა და ინვევს ნებისმიერ ენაში უცხო სიტყვების შედინება-დამკვიდრებას. ეს ბუნებრივი პროცესია. არაიშვიათად უცხო სიტყვები ავინრობენ და ხმარებიდანაც განდევნიან ავტობთონურ ლექსიკურ ერთეულებს. ასეთი, რამ, რა თქმა უნდა, ქართულ ენაშიც ხდებოდა. მაგრამ, როგორც ბ-ნი გვასაღიას აღნიშნავს, ქართულ გრამატიკას, სინტაქსს ვერ მოერია უცხოენოვანი ზეგავლენები, იგი, განსხვავებით ინდოევროპულ ენათაგან, ამ მხრივ უცვლელი დარჩა: ბ-ნი გვასაღიას ამ მომენტს მიიჩნევს ქართული ენის განსაკუთრებულობად, უნიკალობად, სასწაულადაც კი.

მაგრამ იმგვარი აღმოსავლური სიტყვები, როგორიცაა „ზულფიყარი“, „ყიბლა“, „ყალანი“, „იყლიმი“, „ყილილი“ და მისთანები, თუ ოდესმე იხმარებოდა ქართულში, დღეს უკვე მივინწყებულია და მათი ხელახლა შემოტანა-რეანიმაცია ვითომ რატომღაც „კარგი მოქართულეობა“? რაც ოდესღაც ბარბაროზი იყო და ენამ არ გაითავისა, ახლა რატომ უნდა გახდეს კანონიკური? კი ბატონო, ბ-ნი გვასაღიას თავის ტექსტებში, რამდენიც უნდა, იმდენი დაახვავოს მსგავსი სიტყვები, თუკი მათი წმინდა ქართული შესატყვისები ძველქართულშიც ვერ მოუპოვებია, მაგრამ ჩვენგანაც თუ იმავეს მოითხოვს, ამაოდ დაშვრება...

ე. ა. თ. ჰოფმანზე დანერვილ ნარკვევებში ბ-ნი გვასაღიას კვლავ ავლენს თავის მეამბოხურ-ნონკონფორმისტულ ბუნებას, რომელიც „თერიონის ვარდში“ ყოველგვარ საზღვარს გადაცდენილია; ამჯერად გერმანული ლიტერა-

ტურის უპირველესი კლასიკოსი გოეთე ამოუღია ნიშანში და აყენებს რა მასზე მაღლა თავის რჩეულს, ჰოფმანს, მისთვის ჩვეული აგრესიული ტონით აცხადებს: „როგორღაც მოხდა, რომ გოეთე დიდად გამოჩინებულ იქნა და მისი ფარფაში დღემდე არ დამთავრდა. მისი დანესტებული არშინით იზომება გერმანული ლიტერატურა.“

საკვირველია პირდაპირ: ნუთუ „როგორღაც მოხდა“, რომ „ფაუსტის“ ავტორი ესოდენ გამოჩინებულ იქნა? მთელი გერმანიისა და მთელი მსოფლიოს ლიტერატურული აზრი ორ საუკუნეზე მეტხანს ბოგინებს ამქვეყნად და აქამდე ბატონი გოთა გვასაღიას გარდა ამას ვერავინ მიხვდა? თუ „თერიონის ვარდში“ ნიცშესებური (და მის უალრესი) შემართებით ეწევა ავტორი მთელი შესაქმის, განსაკუთრებით კი ქრისტიანობის კრიტიკა-ნეგაციას, ამჯერად ტოლსტოისებური ახირებით უტევს მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთ კოლოსს; ტოლსტოი შექსპირს განაქიქებდა და მისი ვითომ ლიტერატურული „არგუმენტები“ ერთობ სუსტი იყო საიმისოდ, რომ ვინმე რაიმეში დაერწმუნებინა: ამდენად მისეული შეფასება შექსპირისა, მცდელობა შექსპირის დისკრედიტაციისა მხოლოდდამხოლოდ სუბიექტურ ახირებად, ჭირვეულობად შეიძლება იწოდოს; ბ-ნი გვასაღიას კიდევ უფრო უარესად აქვს საქმე: სხვა ვერაფერი მოუგონია და აკრიტიკებს გოეთეს დამოკიდებულებას თავის კოლეგებთან, მის ეგოიზმს, თავკერძობას, კონფორმიზმს. მაგრამ ეს ყველაფერი პიროვნულ სფეროს შეეხება და არა შემოქმედებითს.

„გოეთეს შეჩვენება ჯერ არ წარმოთქმულა. გოეთოლოგიის მოთხრა ჯერ არ დანერვილა. გოეთეანობის დიდი რევიზია ჯერ არ დანყებულა“ – აცხადებს ბ-ნი გვასაღიას იმგვარი პათოსით, თითქოს რაღაც დიდად საშური საქმის დანყება გვიანდებოდეს. ისე, არა სჯობს, თვითონვე იკისროს ეს საქმე, თუკი ასეთ აუცილებლობად ესახება? ამგვარ აქტს მეტი მსოფლიო რეზონანსი ექნება, ვიდრე „თერიონის ვარდში“ თავჩენილ „მეტაფიზიკურ მძვინვარებას“ (როგორც ამ წიგნის ანოტაციაში უწოდებს ბ-ნი თამაზ ჩხენკელი), რადგან ეს უკანასკნელი მაინც ალბათ მხატვრულ-ფილოსოფიურ ფანტაზირებად ჩათვლება და არა კონკრეტულ მსხვერპლზე თავდასხმად; ქართველობას და ქართულ კულტურას რომ უტევს, ეს ხომ მეტად მცირე ასპარეზია მისი მასშტაბისა და გაქანების მეამბოხისთვის: განა ეს „ჭამპურა“, „კოსმოსის ლაჩარი“ და „მუნუკი“ ქართველები გამოდგებიან მის ღირსეულ მონინალმდეგებად? არა სჯობს, ევროპას (და მთელ მსოფლიოსაც) დაატყვოს თავს რისხვა თერიონული? („თერიონი“ მხეცს ნიშნავს): „გოგის მეომარს“ (რომლის საქმენი საგმირონი „თერიონის ვარდში“ ახოტბა და რომელიც უთუოდ თავის „ალტერ ეგოდ“ ესახება) ფართო ასპარეზი შეშვენის, მსოფლიოში გამოჩინებულ მმეცნავთა, მეცანთა, შემმეცნეთა, მეცნაურთა, მცნეულთა დასებთან შებმა უჯობს, ღირსეულ რაყიფთა ძლევა შეჭვერის: „მოთხაროს“ გოეთეანობა თუ ჰეგელიანობა (თავის „ჰოფმანში“ მან ჰეგელსაც გაჰკრა კბილი), ვინძლო არ დაუთმონ ხსენებულ მოძღვრებათა სპარაზენ-სარანგებმა და ერთობლივად შემოებან: ამ ასპარეზზე აკისკასოს შუბი და ფარ-შიმშერი, „სატან“

იხმოს შემწედ და „ესპეტაკოს ბოროტს“, როგორც თვითონ იტყოდა!

ეგ კი არა, იქნებ უპრიანია, ვიზუალური ეფექტიც ნა-აშველოს ამ ძალისხმევას და შუბლზე თერიონის, ანუ მხეცის ნიშანი (666) ამოიტივროს: დაე, ძრწოდეს მსოფლიო!

აბა ჩვენთან რა დარჩენია: როგორც, მისი თქმით, „ძელქვა ენა ქართული ცალკე მდგარი ხეა მსოფლიოს ენათა გენეალოგიური ხის გვერდით“, თვითონაც ხომ მარტო დგას ქართველთა შორის თავისი „მზარავი საგრობითი“! რა ესაქმება მას „აზრით ცოტა, სულით უღონო და გულით მრუშ“ ქართველობასთან? დაე მან მარტომ „მიირქვას“ ენა ქართული და მისით ერკინოს მთელ ცისქვეშეთს, ვითარცა მძლე გოგის მეომარი! (ერთი კია, მაინც უცხო ენაზე, ალბათ უფრო ინგლისურზე თარგმნა დასჭირდება მის ნა-სიტყვს, თორემ თითო-ოროლა ქართველოლოგის გარდა ვინ რას გაუგებს).

ოლონდ, სანამ ესევეთარი „გოგ-მაგოგური“ შტურმით „ძლევი საკვირველი“ უქმნია, იქნებ ინებოს და მცირეხნით მოუხმოს ობიექტურობის გრძნობას, სხვისი (სხვა ქართველის) ნიჭის დანახვის უნარს (თუკი ასეთი რამ ჯერ კიდევ შემორჩენია ქართველთა მიმართ კოსმიურად გამძვინვარებულ-გაბოროტებულ მის ცნობიერებას); პოსტსაბჭოური პერიოდის ქართულ ლიტერატურაში, პოეზიაში რომ არაფერი ეგულება ღირსსახსენებელი, არ მიკვირს, ზემოთაც აღვნიშნე, რომ რეკლამირებულ ავტორთა ყოვლად ანტიპოეტური „პოეზიის“ ოკეანეში მართლაც მეტისმეტად გაძნელებულია ნამდვილი მარგალიტების პოვნა. მაგრამ მე სწორედ ამ პერიოდში (1995 წელს) დაწერილ ერთ ლექსს მოვიყვან აქ ნიშნად და ბ-ნი გვასაღიას ლიტერატურულ გემოვნებას მივანდობ მის შეფასებას: ვკითხავ-რას იტყვით, ამ ლექსში არ ხშიანებს ის დიდებული ძველქართული ლექსიკა, რომელსაც თქვენ ეგზომ ზეაღმტაცი შესხმით განადიდებთ? არ ჩანს აქ ენის არიტოკრატიზმი, რომელსაც ასე ისაკლისებთ თანამედროვე ქართულში? და ამ ლექსის ენიგმურ ხატოვანებაში არ გამოსჭვივის მალა-ლი აზრი (რომლის „თარგმანება“ ჩვეულებრივი „რაციოს“ ენაზე ერთობ ძნელია, თუ შეუძლებელი არა) და აქედან გამომდინარე, ეს ლექსი სწორედ ამგვარად, ამ ფორმით უნდა დაწერილიყო? აი ეს ლექსი:

**ლოცვა ბივრილთა**

**1. რაჟამს მოხუედ-**

მზენარევი სივრცე მოვხურე  
მერე შთავეჭარ დაუთხევად ზეცის ბივრილებს  
ქვიშამ დამღეჭა, თუმცა მაინც ველი კურთხევას,  
რწმენა რომ ვასვა უასაკო სივრცის გვირილებს

**2. რაჟამს დაეფალ-**

განვიოტნე ძარღვებით კეფა  
მზერა შეგკადრე ხვავრიელი ვითარცა- სახედ  
ფერით მშიერი ავიძაგრე, დრო რომ დამეფქვა  
და მობივრილო სისპეტაკე მოვისადაგე

**3. რაჟამს აღიძარ-**

მზე ვარისხე სივრცის თალიდან  
სხვათა სიმძიმე აღეკვართა უხსოვარ კისერს  
მოლიბრო სივრცე მოვიპეშე მზერის არხიდან  
და შევეუსიე მლილთა სულელებს ვერშეუმტკიცებს

**4. მზე მოისთულე-**

წვიმის კათხით შეესვი სირთულე  
მერე შთავეჭარ დაუთხევად ზეცის ბივრილებს  
ტვინს ვერაფერი გამიგრილებს, სიშლეგის მწდე ვარ,  
მოვედი, ელვა შევამთხვიო სივრცის გვირილებს!

ხომ არ ეცნობა ეს ლექსი ბ-ნ გვასაღიას?! რამდენადაც ვიცი, მას ხელთ ჰქონდა ლექსების, პროზისა და ესეების კრებული „დედისერთა სივრცე“ (რომელშიცაა დაბეჭდილი ეს ლექსი) და მისი ავტორის სხვა წიგნებიც. ამ ავტორს, როგორც გაბედულ ეროვნულ პუბლიცისტს, ბ-მა გვასაღიამ ზეპირ გამოსვლაშიც და წერილობითაც მალა-ლი შეფასება მისცა და მუდმივი თანადგომაც აღუთქვა... თუმცა ის კი არა ჩანს, რომ მან ამ პუბლიცისტის შემოქმედების სხვა (ჩემი აზრით უფრო მნიშვნელოვანი) მხარეები - პროზა და პოეზია სათანადოდ შეამჩნია და დააფასა. ეს ავტორი ჩვენგან ზემოთ უკვე ნახსენები იკა ქადაგიძე გახლავთ, ოთხმოცდაათიანელთა თაობის უნიჭიერესი წარმომადგენელი, რომელიც თავისი მკვეთრად გამოხატული ეროვნული პოზიციის გამო (მის მწვავე უბლიცისტიკაში რომ ჩანს) დიდად არ ეხატება გულზე დღევანდელ, ლიბერალურ ღირებულებებზე ორიენტირებულ ლიტერატურულ „ელიტას“. იკა ქადაგიძეს იგნორირებითაც უპირებენ „განიტრალებას“ და ჯგუფური თავდასხმებითაც, რაც მეტწილ შემთხვევაში, ლიტერატურული პოლემიკის ჩარჩოებს სცილდება და არაეთიკურ, არაკეთილსინდისიერ იერს იღებს...

ბ-ნ გვასაღიას, თუკი დაინტერესდება, შემიძლია მივუთითო ჩემი კრიტიკული წერილი „ნატიფ ენიგმათა მქსოველი“, რომელიც ლიტერატურულ საიტ „ლიბ. ჯე“-ზე არის განთავსებული და ჟურნალ „აფრას“ 2015 წლის ნომერშიც დაბეჭდილია: ამ წერილში მე იკა ქადაგიძეს დიდ პოეტად ვაღიარებ და შეძლებისდაგვარად ვცდილობ ვაანალიზო მისი რთული, ჰერმეტიული, ენიგმური პოეზია.

ახლა თვით ბ-ნი გვასაღიასს პუბლიცისტიკაზე გადავიდეთ. ჩემთვის მეტად საინტერესო იყო გაცნობა მისი სტატიისა „რას ვფიქრობ მერაბ მამარდაშვილზე“ ფილოსოფოს მ. მამარდაშვილის ერთობ გახმაურებულ გამოხატულებას „ჭეშმარიტება სამშობლოზე მალლა დგას“ ბ-ნი გვასაღიასს ყურადღებაც მიუპყრია. ის სტატიის დასაწყისშივე გვიცხადებს: „ვინც მოელის, რომ ამის გამო აქ მამარდაშვილის გამოხატულებას დავენიშნებ, ნულარ გააგრძელებს კითხვას.“ მამარდაშვილის ამ გამოხატულებაზე (ეროვნულ მოძრაობას რომ ეხება) ნებისმიერი გამომხატურება მინტერესებს იმის მიუხედავად, გობენ თუ მხარს უჭერენ მას. მამარდაშვილს ეკუთვნის მეორე, ასევე გახმაურებული გამოხატულება: „თუ ქართველი ერი გამსახურდიას დაუჭერს მხარს, მე მომიხდება ჩემი ხალხის წინააღმდეგ წასვლა“. სწორედ ამ ორმა გამოხატულებამ დაამწერინა სტატია

„ზვიადი და მამარდაშვილი“, რომელიც უზუნაღ „ისინდის“ პირველ ნომერში დავბეჭდე და, ბუნებრივია, მაინტერესებს, სხვები რას ფიქრობენ ამ საკითხზე.

ბ-ნი გვასალა თავის წერილში მამარდაშვილს დანაშაულად უთვლის ზ. გამსახურდიასადმი მტრულად განწყობილი ინტელიგენციის გვერდით დგომას. მისი თქმით, მამარდაშვილი „ზვიადს ექიშპებოდა და თავად სურდა ყოფილიყო ერის აზრთამპყრობელი და იდეური ბელადი“. შემდეგ დასძენს: „მამარდაშვილს უხამდა ეთქვა, რომ ინტელიგენცია ცუდად ავარდნილი იყო და ქვეყანას თავზე დაიმხოზდა. მას უნდა დაენახა, რომ მის სახელს და მის ფილოსოფიას ამოეფარებოდნენ პოლიტიკური კინტოები და ქვეყანას მოალორებდნენ. ეს იყო იმტელიგენცია, რომელიც ყველა სისაძაგლეს ჩაიდენდა გამსახურდიას მოსაკლავად და ეროვნული მოძრაობის ამოსაძირკვად“.

ამავე წერილში ვკითხულობთ: „განა ზვიადმა კი არ უწყოდა, რომ ჭეშმარიტება სამშობლოზე მალლა იდგა? ქართველთა გამოღვიძებისათვის იყო საჭირო მისი ნაციონალიზმი და მესიანიზმი“.

შემდეგ ავტორი ამბობს: „ზვიადს თავიდანვე სურდა, რომ პოლიტიკა ყოფილიყო ქრისტიანული და ზნეობით აღვსილი, როგორც ამას თავად დასავლეთი ამტკიცებდა 90-იანი წლების დამდეგს. ზვიადს სწამდა დასავლეთის ამ სიტყვისა. მერაბ მამარდაშვილს ეს უნდა დაენახა და აღენიშნა. ერთი საკეთილო სიტყვა არ თქვა მერაბმა ზვიადზე.“

კიდევ ერთი ციტატა ამ წერილიდან: „მამარდაშვილს უხამდა დაეყენებინა საკითხი: მოდის ლიბერალიზმი თავისი ექსტრემისტული ვერსიით – ლიბერტარიზმით, მაგრამ შექმნის კი ის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში რაიმე ახალს? თუ ის აქ ისევ გაიმეორებს იმავე კოლონიალიზმს, რაც მან მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში დაამკვიდრა აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში? 1989-90 წლებში ყველაზე არსებითი ეს იყო ქართული პოლიტიკისათვის. მამარდაშვილს არსად უხსენებია დასავლეთის დასავლელი კრიტიკოსები. შეუძლებელია, მას მათზე არა სცოდნოდა რა. ზვიადი გრძნობდა ამ საფრთხეს დასავლეთის მხრიდან და მას რომ დასცლოდა, საქართველო არ გაიძარცვებოდა, საქართველოში არ დამკვიდრდებოდა კაპიტალიზმი თავისი ყველაზე საძაგელი გამოვლინებებით“.

მე ამ წერილიდან საგანგებოდ ამოვკრიფე ის ციტატები, რომლებშიც ბ-ნი გვასალა მამარდაშვილს ბრალსა სდებს ზვიადისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამო. აქ ჩანს, რომ ბ-ნი გვასალა ზვიადის პოლიტიკურ კურსს მართებულად მიიჩნევს. რაც შეეხება მამარდაშვილს, მისდამი გაორებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ავტორი. თან იცავს მას მონინალდმდეგეთაგან, თან აკრიტიკებს სწორედ იმის გამო, რის გამოც მონინალდმდეგეთაგან იცავს: იგი, ერთის მხრივ, უყოყმანოდ იზიარებს მამარდაშვილის ნათქვამს – „ჭეშმარიტება სამშობლოზე მალლა დგას“, მეორეს მხრივ კი აცხადებს, რომ ეს ლოზუნგი ფილოსოფოსმა ზვიადის ეროვნულ პოლიტიკურ კურსთან დასაპირისპირებლად გადმოისროლა. საქმეც სწორედ ისაა, რა მიზანი ჰქონდა მამარდაშვილს, თორემ თავისთავად ეს

გამონათქვამი, როგორც თვით ბ-ნი გვასალა აღნიშნავს, ანტიკური ხანის ფილოსოფიიდანვე ყოფილა ცნობილი და მამარდაშვილის ორიგინალურ ნააზრევად ვერ ჩათვლება.

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა შორის მოარულ აზრს, რომ მამარდაშვილი „კრემლის აგენტი“ იყო და საგანგებოდ ჩამოვიდა რუსეთიდან რათა ეროვნულ მოძრაობაში დეზორიენტაცია შეეტანა, ბ-ნი გვასალა არ იზიარებს. ხოლო ბრალდებას მამარდაშვილის კოსმოპოლიტობაზე იმით პასუხობს, რომ ფილოსოფია(თეოლოგია) თავის არსით უფრო კოსმოპოლიტურია, ვიდრე ეროვნული და პირობითი გამოთქმებია „ბერძნული ფილოსოფია“, „გერმანული ფილოსოფია“, „ფრანგული ფილოსოფია“ და ა. შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსები რუს ფილოსოფოსად თვლიან მამარდაშვილს, (მგონი ყველაზე დიდ რუს ფილოსოფოსადაც კი) და ეთნიკური ქართველობა მას ქართული კულტურის კუთვნილებად ვერ აქცევს. აკი თვითონვე აქვს ნათქვამი – „მე ქართველობა ვერ შევძელიო“; ჰოდა, ეს კაცი ჩამოვიდა რუსეთიდან, ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში და ამ მოძრაობის უპირველეს ლიდერს ჩაუდგა კრიჭამი. არაა გასაკვირი, რომ ამას დაეჭვება გამოეწვია. შეიძლება ის კრემლს არ გაუწვრთნია და კონკრეტული დავალებით არ გამოუგზავნია, მაგრამ როცა ეროვნულ-გამათვისუფლებელი მოძრაობის კურსს უპირისპირდები და ამით კრემლის ნისქვილზე ასხამ წყალს, მაინც ნება-უნებურად „კრემლის აგენტი“ არ გამოდიხარ? ელემენტარული ლოგიკაა. რა იყო კონკრეტულად ის ე. წ. „ჭეშმარიტება“, რომელიც „სამშობლოს“ დაუპირისპირა მამარდაშვილმა? „ჭეშმარიტება“ სათანადო კონტესტში მოქცევის გარეშე აბსტრაქციაა. იქნებ „მოდმე რუს ერთან ჩახუტებულობა“ იგულისხმებოდა ამ „ჭეშმარიტებაში“? მამარდაშვილი უკვე გარდაცვლილია, მას თუ არ დაუკონკრეტებია თავისი ნათქვამი, ვერც ჩვენ დავაკონკრეტებთ.

წერილში „კრიტიკული გამონახაურება სტივენ ჯონსის ნაშრომზე“ ბ-ნი გვასალა ეკამათება ამერიკელ პროფესორს, რუსეთისა და ევრაზიის საკითხების მკვლევარს სტივენ ჯონსს, რომელიც თავის ნიგნში მეტად ტენდენციურ, უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს ზვიად გამსახურდიას ეროვნული პოლიტიკისადმი.

სტივენ ჯონსის ამ ნაშრომის სათაურია: „საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ 2012 წელი. ეს ნიგნი ქართულად გამოიცა 2013 წელს. გვინდა ბ-ნი გვასალას წერილიდან მოვიტანოთ რამდენიმე ციტატა, რომლებშიც იგი ზ. გამსახურდიას იცავს ს.ჯონსის კრიტიკისაგან:

„ზვიადი ავტორიტარიზმის გამო კი არ დამარცხდა, არამედ ის დაამარცხა ქართველთა ენითაუწერელმა გამცემლობამ, მესისხლეობამ და სიმლეგემ“.

„შეუშვდარმა მსაჯულმა – ისტორიამ გამსახურდიას სისწორე დადასტურა ძალზე ბევრ საკითხში“.

„მისი (ზვიადის. ავტ.) შეცდომები კენჭია იმ დანაშაულებებთან შედარებით, რაც შევარდნაძემ თავისი 12-წლიანი აბსოლუტიზმის დროს ჩაიდინა“.

აქვე აღვნიშნავთ: ზვიადის უმთავრეს შეცდომად ის მიაჩნია ბ-ნი გვასალას, რომ ზვიადმა შეიარაღებული

ობოზიციონერი ქართველები დასახოცად ვერ გაიმეტა, თავისი მტრები (რომლებიც ნება-უნებურად საქართველო-საც მტრებად მოეწინინენ) ფიზიკურად არ გაანადგურა.

განვავრძობთ ციტირებას:

„დასავლური ჰუმანიზმი დასამარდა დასავლეთის მიერ ზვიადის განირვითა და მოკვდინებით. ზვიადი არის კაცისა და ღმერთის ურთიერთობის საკითხი ისტორიაში. იმ კაცისა, რომელიც ცდილობს ღმერთის მცნებანი დაამკვიდროს პოლიტიკაში“.

„სტივენ ჯონსის ნიგნში არსად ჩანს კრიტიკული დისკურსი თავად დისკრედიტირებული იდეის – დემოკრატიის მიმართ. არც იმას იტყვის ამერიკელი ისტორიკოსი, რომ გამსახურდიას წინააღმდეგ მონყობილი შეთქმულებით თავად დასავლეთის იდეას მიადგა დარტყმა პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისშივე“.

„ერთი სიტყვაც არსად დაუნერია სტივენ ჯონსს, რომ გამსახურდიას დამხობა იყო დანაშაული და მან მოიტანა კატასტროფა. ის არაფერს ამბობს, რომ ოპოზიცია შეიარაღდა რუსეთის სამხედრო ბაზებიდან და დასავლეთის ნაქეზებითა და მოწონებით მან საკუთარ ქვეყანას უბედურება დამართა“.

სტივენ ჯონსის ბრალდებაზე, რომ გამსახურდია ავინრობდა ეროვნულ უმცირესობებს(რომელთაც ასიმილაცია არ სურდათ), ბ-ნი გვასალია პასუხობს: „გამსახურდია არ ყოფილა ასიმილაციური. ის ცდილობდა ქართველობის სატიტულო ნაციად ქცევას პოსტსაბჭოთა საქართველოში. „ზვიადმა სავალდებულო გახადა ქართული ენის შესწავლა და ქვეყნის პატივისცემა. რა იყო ამაში დასძრახნი? ბარემ რასისტობაში დასდონ ბრალი ზვიადს. ფაშისტი უწოდეს, კომუნისტი უწოდეს, პარანოიკი დიქტატორი უწოდეს და ეს როგორ გამოჩნათ?“

ახლა ვნახოთ ბ-ნი გვასალიას სხვა სტატია – „ჭაბუა ამირეჯიბის წინააღმდეგ“. ამ სტატიაში უცნაურ გაორებას ამჟღავნებს ავტორი: ერთის მხრივ ზ. გამსახურდიას იცავს, მეორეს მხრივ კი ასეთ რამეს ამბობს: „სუსტია ქართველი სულით. რუსმა აზულუქა და აპატივა ეს საუკუნოვანი მთხოვარა და უქნარა. რუსი აჩენდა და ასპეტაკებდა მას“. „რუსის თავზე დგომა უზურება ქართველს გულს. რუსით ეჩინებოდა კაცობა ქართველ კაცს“.

საკვირველია პირდაპირ! რა ვქნათ ახლა, ამგვარი რამის მთქმელს საწინააღმდეგოს მტკიცება დაუწყეთ და კედელს ცერცვი ვაყაროთ? იქნებ ჩვენს „ოქროს ხანაშიც“, თამარის დროს, რუსი უფლისწულის მოწვევამ სამეფო ტახტზე „შესძინა კაცობა ქართველ კაცს“?

ისე, თუ ჩვენს ფილოსოფოსს ესოდენ ეთნევა რუსის თავზე დგომა, რუსით გამოჩენა და გასპეტაკება, ნაბრძანდეს რუსეთში, იზულუქოს და იპატივოს რუსისგან: ვინძლო მამარდაშვილზე მეტადაც კი აღზევდეს რუს ფილოსოფოსთა შორის!

შევარდნადის მოლაღატური პოლიტიკის მაქებარ და მომხრე ჭაბუა ამირეჯიბს, რომელიც თავისი სიცოცხლის მინურულს ბერად შედგა, ასე საყვედურობს ბ-ნი გვასალია: „მას არა უთქვამს რა რელიგიის პროფანაციაზე შევარდნადის დროიდან. არც ის უთქვამს, რომ ზვიადი დრომ

მართლად გამოაჩინა მრავალი სიმცდარის მიუხედავად“.

კი მაგრამ, რუსი და შევარდნაძე რამ გაჰყო ერთმანეთისგან? თავისი დღე და მოსწრება სულ რუსეთს (შემდეგ დასავლეთსაც) არ ემსახურებოდა შევარდნაძე საქართველოს საზიანოდ?

ვავრძელებთ ციტირებებს ამ სტატიიდან:

„მკვდარი და ცოცხალი ულანძღეს წლობით ზვიადს და ახლა მოგონებებს წერენ მასზე. მის გინებაზე უარესი არის მოჩვენებითი მწუხარება მისი მოკვლის გამო, რასაც ბევრი შესდგომია“.

„ქართველების ნახევარზე მეტი იმის ღირსიც არაა, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც წარმოსთქვას ზვიად გამსახურდია სახელი“.

„შევარდნადის მომხრე ინტელიგენციამ 1992 წელს პოლიტიკური სპეკულაციისათვის გამოიყენა ის, რომ გამსახურდია ქართველ ინტელიგენციას არ ენდობოდა და ის ქართული სულის არმქონე კლასად მიაჩნდა. დრომ ზვიადის ამ მსჯავრის სისწორე დაადასტურა“.

სხვათაშორის, ამავე წერილში ბ-ნი გვასალია ლაპარაკობს სააკაშვილის მთავრობიდან გამოპარულ და ივანიშვილის მრჩეველბად ქცეულ პოეტთა შესახებ: „შეხმატკობილებულან და ამით ლამობენ მოაცთუნონ სააკაშვილის გადადებებს მონატრული ქართველი. ამათ უნდა უყვილო: ჰაიტ თქვენა.“ ეს ბოლო ფრაზა გენიალურია!

ამდენი ციტატა ბ-ნი გვასალიას წერილებიდან გარკვეული მიზნის გამო მოვიყვანე. საქმე ისაა, რომ მას აქვს კიდევ ერთი წერილი „კვლავ მერაბ მამარდაშვილზე“, რომელშიც ზვიად გამსახურდიასადმი ავტორის დამოკიდებულება ასოთხმოცი გრადუსითაა შეტრიალებული. ამ წერილიდანაც მომინევს ციტატების ამონერა, რომელშიც ავტორი უკვე „უკულმა პირით“ ლაპარაკობს ზვიადზე და მკითხველმა თვითონ განსაჯოს, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე.

აი ვნახოთ:

„მამარდაშვილი გამსახურდიას თავიდანვე მტრულად უმზერდა. ეს გამსახურდიას გარემოცვიდან დაუყარეს მერაბს ხმები, რომ ის აქ კრემლმა გამოგზავნა და მერაბი ადრიდანვე უშიშროების აგენტი იყო. გამსახურდია იმას არ იტყოდა, რომ მერაბი აქ კრემლმა კი არ გამოგზავნა, არამედ თავად ჩამოვიდა და ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში. ზვიადი, პირიქით, იმას იტყოდა, რომ მერაბი კაგებეს აგენტია“.

დავაკვირდეთ: ბ-ნი გვასალია ვერ ამბობს, რომ ზვიადმა რაიმე უარყოფითი თქვა ოდესმე მამარდაშვილზე. როგორც ჩანს, ასეთი არაფერი სმენია (არც მე მსმენია, სხვათაშორის, ავტ.); იგი მარჩილობს – „ზვიადი ამას იტყოდა, ზვიადი ამას არ იტყოდა“. მამარდაშვილმა კი, მოგესხენებათ, ნამდვილად თქვა ზვიადზე ის, რაც ყველამ ვიცით. რაც შეეხება ზვიადის გარემოცვას, მასში, სამწუხაროდ ცოტანი როდი იყვნენ ისეთები, რომლებიც თავიანთი არაადეკვატურობით, უმეცრებით, უკულტურობითა და აგრესიულობით სახელს უტეხდნენ პრეზიდენტს; შეიძლება მისი ერთგულნი კი იყვნენ, მაგრამ არ ესმოდათ მისი. საგანგებოდ შეგზავნილი პროვოკატორებიც არ აკლ-

და ამ გარემოცვას; ზვიად გამსახურდიას, უბრალოდ, არ შეეძლო მათი გაკონტროლება და პასუხიც არ მოეთხოვება მათ მიერ ჩადენილ საქციელზე. მაგრამ ამ გარემოცვაში პატიოსანი, გონიერი, კულტურული ადამიანებიც საკმაოდ იყვნენ, რომელთაც მამარდაშვილის ავანტიურისტულ, არაკეთილსინდისიერ გამომხდომებს ადეკვატური შეფასება მისცეს.

ბატონი გოჩა გვასალია ედავება ისტორიკოს გურამ ყორანაშვილს, რომელსაც მამარდაშვილის შესახებ წერილი დაუწერია ამგვარი სათაურით: “ვინც არა ჰგავს კახაბერსა... ბ-ნი გვასალია კატეგორიულად აცხადებს: „მამარდაშვილი დიხაც რომ კახაბერი იყო 90-იანი წლების დამდეგს. აბა გამსახურდია იყო კახაბერი“?

თურმე იყვნენ სხვა ქართველი ფილოსოფოსებიც (ჩამოთვლილია მათი გვარ-სახელები), მაგრამ კახაბერი სწორედ მამარდაშვილი ყოფილა მათ შორის. „ყორანაშვილის წერილის მიხედვით აგრე გამოდის, რომ მერაბი ზვიადს კახაბერობას ეცილებოდა“, ასკვნის ავტორი. კი მაგრამ, აკი თვითონ წერდით, ბატონო ჩემო, რომ მამარდაშვილი „ზვიადს ექიშებოდა და თავად სურდა ყოფილიყო ერის აზრთამყრობელი და იდეური ბელადი!“ ბ-ნი ყორანაშვილს არა აქვს უფლება, იგივე თქვას, რასაც თქვენ ამბობთ? იმასაც საყვედურობთ ისტორიკოსს, რომ იგი 1991 წელს ზვიადს ოპოზიციაში ედგა, ახლა კი „ცდილობს ზვიადის საქმეთა გათეთრებას“. კი მაგრამ, თუკი, თქვენივე თქმით, ზვიადის სიმართლე ისტორიამ დაადასტურა, იქნებ ისტორიკოსი ყორანაშვილიც მოგვიანებით მივიდა ქეშმარიტებამდე და თავისი მაშინდელი ოპოზიციონერობა შეცდომად მიიჩნია: ორი ათეული წლის შემდეგ თუ გადააფასა კაცმა თავისი შეხედულებები, ამაში მართლაც ისტორიას მიუძღვის გარკვეული წვლილი. განა ეს უფრო ბუნებრივი და გამართლებული არ არის, ვიდრე ის, რასაც თქვენ იქმნით? გუშინ ნათქვამი დღეს 180 გრადუსით რომ შემოატრიალეთ, რა მოხდა ასეთი, ცა გაიხსნა და ერთბაშად გადმოხეთქა ქეშმარიტების ნათელმა?

ერთი დაზუსტება: ზვიად გამსახურდია პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი, ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე იყო და მას ვგონებ ფილოსოფოსობაზე პრეტენზია არასოდეს განუცხადებია. ამ ასპარეზზე მას, არა მგონია, რაიმე სამეტოქეო ჰქონოდა მამარდაშვილთან. ეროვნულ მოძრაობაში კი, მერაბ კოსტავასთან ერთად, სწორედ ზვიადი იყო კახაბერიც, ერის აზრთამყრობელიცა და იდეური ბელადიც. აბა ერთი იმეუჭა „ელიტარული“ ინტელიგენციის კერპი მამარდაშვილი მთელ ერს რას ეტყოდა გეზის მიმცემს, შესაძლებელი რომც ყოფილიყო ამ ლექციების მოსმენა ხალხის ფართო მასებისთვის?

ბ-ნი გვასალია ბრძანებს, ზვიადს აქამდე მხარს იმით ვუჭერდი, რომ „ზვიადის კრიტიკა საქართველოს ხვედებოდა და ეროვნულ მოძრაობას კლავდაო.“ მერე აღნიშნავს, რომ ამის სანაცვლოდ ვიღაცებმა (თვითონ რომ „ზვიადისც ნაძირალებად“ მოიხსენიებს) მაღლობის მაგიერ იგი საქვეყნოდ გალანძღეს და ცილი დასწამეს, რომ კრემლისა და პუტინის დავალებით დაწერა ის პირველი წერილი მამარდაშვილზე. მერედა ეს რა ზვიადის ბრალია, ბატონო

ჩემო? მაგათ გამო შეიცვალეთ ასე რადიკალურად თქვენი შეხედულებები?

„თუ ეს ნაძირალა ზვიადისტები და ეროვნული აფერი-სტები ასე ფიქრობენ, რომ სწორედ ზვიადის დაცვით შეეძინება სახელი ჩემს ფილოსოფიას, დიდად სცდებიან“. აცხადებს ბ-ნი გვასალია.

თქვენი ფილოსოფია და მისთვის სახელის შექმნა აქ არაფერ შუაშია. თქვენს პიროვნულ იმიჯს კი, ვფიქრობ, ამგვარი უპრინციპობა კარგს არაფერს შესძენს. აკი თვითონვე ამბობთ იქვე: „ჩემს სირცხვილად იყოს, რაც ზვიადზე საკეთილო მითქვამს; მძულს ეს კოლხური კომპი და გამსახურდიები!“ ნება მომეცით, გკითხოთ: როდიდან გახლართ? მაშინაც გახლართ, როცა ზვიადის მხარდასაჭერ სიტყვებს წერდით, თუ ახლა, იმ „ვილაცების“ მიერ თქვენმა გალანძღვამ შეგაძულათ?

„დიდი შურის გამო ვერ აიტანეს, რომ ჩემი ნაზრევით გამოვიწდი. თუ ზვიადი სახელის მოპოვებისათვის მინდოდა, ახლა საპირისპიროს დავწერ და ვინმემ მითხრას, რომ რაიმე არასწორი არაა.“

გეტყვი, არხეინად ბრძანდებოდეთ!

რომ წერთ, „მისი (ზვიადის. ავტ.) კარგიც ცუდად გამოაჩინა დრომო“, რას იტყვით, ახლა ხართ მართალი თუ მაშინ იყავით, როცა წერდით, „შეუმცდარმა მსაჯულმა – ისტორიამ გამსახურდის სისწორე დაადასტურა ძალზე ბევრ საკითხშიო?“

მაშინ სტყუოდით თუ ახლა სტყუით? ხომ უდავოა, რომ ამ ორი ნათქვამიდან ერთი მართალია და მეორე ტყუილი, ორივე ერთდროულად სიმართლე ვერ იქნება: აქ დროსა და ისტორიაზე საუბარი, ანუ იმაზე, რაც ობიექტურად გვაჩვენებს ნარსულის ამა თუ იმ მოვლენის ავ-კარგს, თორემ სუბიექტური შეხედულებები ზვიადზე (დადებითიც და უარყოფითიც) წლების წინათაც იყო და ახლაც არის. რა ვქნა, გული მეთანაღრება, რომ ასეთი ნიჭისა და ერუდიციის კაცს ამგვარ კითხვას გისვამთ და ტყუილის თქმაში გამხელთ, მაგრამ ლოგიკა უღმობელია და სხვა გზას არ მიტოვებს. ზემოთაც ვთქვი, ფილოსოფოს კაცს სხვაზე უკეთ უნდა მოგვხსენებოდეთ ლოგიკის როლი კრიტიკულ დისკურსში: ამ ორი შემთხვევიდან ერთ-ერთში თქვენი ნათქვამი ტყუილია!

ბ-ნი გვასალიას ამავე სტატიაში („კვლავ მერაბ მამარდაშვილზე“) ვკითხულობთ, რომ ზვიად გამსახურდია მერაბ კოსტავას მოუყვანია ხელახლა ეროვნულ მოძრაობაში და „მერაბ კოსტავას გვერდზე დგომით ჰქონდა ზვიადს ის უდიდესი მორალური ავანსი ქართველ ხალხში, რისი ღირსიც იგი არ იყო“. „რაც მერაბ კოსტავამ ზვიადს აპატია, ეს იყო ზვიადის მიერ დისიდენტური ქსელის გაცემა, ის არ აპატია მას მერაბ მამარდაშვილმა. რუსი დისიდენტები ზვიადს იცნობდნენ როგორც СТУКАЧ-ს და ასე მოიხსენიებენ მას დღემდე.“

თუ ზვიადი რაიმეში დამნაშავე იყო და მერაბ კოსტავამ ის მაინც „ხელახლა მოიყვანა“ ეროვნულ მოძრაობაში, გამოდის, რომ კოსტავასაც დანაშაული ჩაუდენია ამით! ვერ გრძნობთ, რომ მსგავსი უპასუხისმგებლო განაცხადით მ. კოსტავასაც ჩრდილს აყენებთ? ვითომ ასე

უპრინციპო კაცი იყო კოსტავა და ეროვნულ მოძრაობას ასე ჰაიპარად ეკიდებოდა?

ახლა ის ვიკითხოთ, რა სჭირდა ზვიადს „საპატიებელი“? მაინც ვინ გასცა, ვინ დაასმინა, ვინ დააპატიმრეს მისი დასმენით? თუ ზვიადმა იმ ე. წ-ი. „მონანიების“ დროს (რაც მხოლოდ და მხოლოდ ტაქტიკური უკანდახევა იყო და სხვა არაფერი) დაასახელა ის ამერიკელი ჟურნალისტები, რომლებთანაც გარკვეული კონტაქტები ჰქონდა თავისი დისიდენტური მოღვაწეობის დროს, განა ამით ჩვენს ეროვნულ მოძრაობას რაიმე დაუშავდა? ან იმ ამერიკელ ჟურნალისტებს რა დაუშავდათ ასეთი? არ ვიცი, იქნებ ცოტა უფრო ადრე მოუხდათ უკან გაბრუნება ამერიკაში, ვიდრე განზრახული ჰქონდათ, თორემ ვაგლახად ვინ შეეხო მათ? ასეთი რამ მგონი არ მომხდარა. და საერთოდ, ზვიადი იბრძოდა თავისი სამშობლოს გასათავისუფლებლად რუსეთის იმპერიისგან, ეს იყო მისი მიზანი და არა დისიდენტური იმიჯით კეკლუცობა, ვილაც რუსი დისიდენტებისა თუ ამერიკელი ჟურნალისტების გულისმოგება! ამ წერილში, დამეთანხმებით, ერთი უხეში სიტყვაც არ წამოცდენია (განსხვავებით ბ-ნი გვასალიასგან, რომლის სტატიები სალანძღავი სიტყვებითაა სავსე), მაგრამ ამჯერად თავს ვერ ვიკავებ და ვიტყვი: მიმიფურთხებია მაგ თქვენი რუსი დისიდენტებისათვის! განსაკუთრებით ა. სახაროვს მივაგებ ამ „პატივს“, რომლის უებროდ დემაგოგიური, უსინდისო განაცხადი – „საქართველო მცირე იმპერიაა“ – საქვეყნოდ ცნობილი გახლავთ! ერთი რუსი დეკაბრისტები იყვნენ ქართველი ერის გულშემმატიკერები და მეორე ეგ თქვენი რუსი დისიდენტები! (ე. ნოვოვოლოცკაია, ალბათ უიშვიათესი გამოჩენილი იყო მათ შორის, იგი, რამდენადაც ვიცი, ბოლომდე ზვიადის მხარდამჭერი დარჩა).

ბ-ნი გვასალია რომ ბრძანებს, მ. კოსტავამ „აპატივს“ ზვიადს, ხოლო მამარდაშვილმა „არ აპატიო“, მოვასხენებთ, რომ მერაბ კოსტავა საქართველოს პატრიოტი გახლდათ და არა რუსეთისა; ხოლო მერაბ მამარდაშვილი რომელ მხარეს ეკუთვნოდა, ეს დაე მისმა საქმიანობამ და საქციელმა განსაზღვროს!

ასე რომ ზვიადისადმი, როგორც ეროვნული მოძრაობის თავკაცისადმი, ამ ორი მერაბის დამოკიდებულება რატომ იყო ესოდენ განსხვავებული, ძნელი გასაგები არაა. გამგები გაიგებს.

ამ სტატიაში ბ-ნი გვასალია ისე გაბოროტებული და ნონასწორიდან გამოსული ლანძღავს ზვიადს, ძნელია თვალებს დაუჯერო: ნუთუ ეს იგივე კაცია, სხვა სტატიებში ასე თავგამოდებით რომ იცავდა მას? შეგნებულად ვარიდებ თავს იმ უკიდურესად შეურაცხმყოფელი სიტყვების ციტირებას, რომელთაც ავტორი მიმართავს: ასეთი რამ ფილოსოფოსს კი არა ყვითელი პრესის თავგასულ, მოხუციღნო ჟურნალისტსაც არ ეკადრება. ბ-ნი გვასალიას კი მინდა ვუთხრა: ბატონო ჩემო, თქვენს სირცხვილად ზვიადზე საკეთილს თქმა კი არ დარჩება, როგორც თვითონ ბრძანებთ, არამედ ეს გაავებული, უხამსი, უკონტროლო და ყოველგვარ კეთილსინდისიერებას მოკლებული ლანძღვა ერისათვის წამებული და თავშენიერი კაცისა!

„ზვიადს სძულდა მამარდაშვილი, რადგან მამარდაშ-

ვილს ჰქონდა ის პიროვნული ავტორიტეტი რუსეთში, რაც არ ჰქონდა ზვიადს“ – განაგრძობს ბატონი გვასალია.

ჩემი შენ გითხარო: მე კი მოგახსენებთ, ზვიადს მასზე ბევრად მეტი ავტორიტეტი ჰქონდა საქართველოში! ჩემს წერილში „ზვიადი და მამარდაშვილი“ სწორედ ამ შურის ფსიქოლოგიურ მექანიზმზე მაქვს საუბარი. ოღონდ ვის ვისი შეშურდა, ეგ არის საკითხავი!

ბ-ნი გვასალია აცხადებს, რომ „ზვიადი ფილოსოფიის გაგებაში არ იყო“, რომ „ფილოლოგიურ ბანალობებს იქით არ წასულა მისი ინტელექტი“, რომ მას „თავი არასოდეს შეუწუხებია ან დასავლელი კრიტიკოსების, ან გეოპოლიტიკის თეორეტიკოსების ნაკითხვით. ის კითხულობდა პოეტებს. ცოტა იყო, რომ მან უცხოელი პოეტები თარგმნა და თავადაც პოეტობდა.“ არ ვიცი, საიდან დაადგინა ბ-მა გვასალიამ ზვიადის ცოდნა-არცოდნის საზღვრები, მაგრამ თუ მას ზვიადის ლიტერატურული ღვაწლი ეგზომ კნინად უჩანს, გამოდის, რომ სათანადო ყურადღებით ვერ წაუკითხავს მისი წიგნები (საერთოდ, წაუკითხავს კი?) თავის ნაწერებში სულ იმას წუნუნებს ბ-ნი გვასალია, რომ მის შრომას, ინტელექტს, ნიჭს, ადამიანების მიმართ გაღებულ სიკეთეს არ აფასებენ; თვითონ კი აფასებს სხვისას?

„ჯაბა იოსელიანი დიდსულოვნად არ გამოეკიდა მოსაკლავად სომხეთისკენ მიმავალ ზვიადს“, წერს ბ-ნი გვასალია. მე ცოტა სხვაგვარად გამიგია: ზვიადს ჯერ შეპირდნენ მშვიდობიანად გატარებას, როცა მთავრობის სასახლე დატოვა, შემდეგ კი პირობა გატეხეს, სწორედაც რომ „გამოეკიდნენ“ და სროლა აუტეხეს, ასე რომ ბენჯზე გადაურჩა მათ; რაც მართლია, მართალია, არ ვიცი, ჯაბა იოსელიანიც ერია თუ არა მის მდევრებში... ერთი კი მინდა ვუთხრა ბ-ნი გვასალიას: თუ ჯაბა იოსელიანის დიდსულოვნებისა გნამთ, ალბათ ხამს, მისი „მხედრონის“ საქმენი საგემირონიც არ დაივიწყოთ...

„კაცობა აკლდა ზვიადს და კაცურად მოქცევა უმძიმდა“ – ბრძანებს ჩვენი ფილოსოფოსი.

მე კი ვკითხავ: რასაც ახლა თქვენ სჩადიხართ, ის გგონიათ კაცურად მოქცევა? საკუთარი გადაფურთხებულის ალოკვა მიგაჩნიათ კაცობად?

პირველ წერილში მამარდაშვილზე იმას ამტკიცებდა ბ-ნი გვასალია, რომ ზვიადის ნაციონალიზმი და მესიანიზმი საჭირო იყო ქართველი ხალხის გამოსავლიძებლად, ახლა კი მამარდაშვილის აზრს მიმხრობია ქართული მესიანიზმის ილუზორულობაზე; ჩვენ რა ვქნათ ახლა, რომელი შეხედულება ვინამოთ ამ ორიდან?

„ქვეყანაში არ მოიპოვებინა ერისკაცები, ქართველთმოყვარე ეროვნული მოღვაწენი“ – ამბობს ბ-ნი გვასალია. ვკითხოთ პირდაპირ: „თქვენ თვითონ თუ ხართ ქართველთმოყვარე ერისკაცი“?

რაც შეეხება მერაბ მამარდაშვილს, მის მიმართ რომ გაორებული დამოკიდებულება აქვს ბ-ნი გვასალიას, ამ მეორე წერილში გამოიკვეთა. თან სხვებისგან იცავს, თან სხვებზე არანაკლებ (ზოგჯერ მეტადაც კი) უსწორებს ან-გარიშს;

აი, ვნახოთ მისი ციტატები:

„თავის გამოსვლებში მამარდაშვილი გამოდის ლიბერ-

ალიზმის პროვინციულ აპოლოგეტად“.

„მამარდაშვილმა ვერ გაუძლო დროს და ბევრი რამ მისი ნათქვამიდან დღეისობას უკვე უმნიშვნელო და უსაზრისოა“.

„მერაბის შემოქმედება რომ გავცხრილოთ, ძალზე მცირე *residuum*-ი დარჩება, რომელიც გამოსაცემად ძლივს შეიკრიბება ერთ ნიგნში.“

მერაბთან ბევრია იდეოლოგიური მომენტი, როდესაც ფილოსოფიური დისკურსით შენიღბულია იდეოლოგიური ტრუიზმები. ეს კი უკვე აღარაა ფილოსოფია.“

მკითხველი ალბათ დამთავანხმება, რომ ეს არის გამანადგურებელი შეფასება. ამასთან შედარებით უმეცარ უურნალისტთა თუ სხვათა არაადეკვატური, არაკომპეტენტური შეფასებანი და ლანძღვა-განიქიქებანი უმნიშვნელო ნიკიურტებად თუ ჩაითვლება...

მე ვეკითხები ბ-ნ გვასალიას: თუკი, თქვენზე შეფასებით, ფილოსოფიაშიც დიდს არაფერს წარმოადგენდა ეგ თქვენი მამარდაშვილი და მისი „კახაბერობა“ მხოლოდ ქართველ ვითომფილოსოფოსებზე მაღლა დგომა იყო (ანუ უძაღლო ქვეყანაში კატის აყვება), ჩვენ რაღა ვალდებულნი ვართ, მისი ნასხვისარი ლოზუნგი („ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას“) ფარზე ავიტანოთ და გაბუდმებით მასზე გვექონდეს მიპყრობილი ყურადღება? რა ვქნათ, არ არის ეს მამარდაშვილი ჩვენთვის ავტორიტეტი და თუ ვინმესთვის მაინც არის (ჩვენი ინტელიგენციის ერთ ნაწილს ვგულისხმობ), ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ და შეუძლიათ, რამდენ ხანსაც უნდათ, იმდენ ხანს იყვნენ მისი „ულრმესი ნააზრევით“ სნობურად აღფრთოვანებულნი! ბ-ნი გვასალია ისე ხშირად, ისე აკვიატებულად ატრიალებს ამ „ჭეშმარიტების სამშობლოზე აღმატებულობის“ საკითხს, ისე გვაძალებს ამ ნათქვამის აღიარებას, რომ უთუოდ რაღაც საკუთარი კომპლესი არ აძლევს მოსვენებას. თუ მამარდაშვილს არ დაუზუსტებია და დაუკონკრეტებია, იქნებ ბ-მა გვასალიამ მაინც ქნას სიკეთე და ეგ რაღაც „ჭეშმარიტება“ ჩვენთვის გასაგებ ენაზე „მოგვითარგმნოს“: იქნებ როგორმე მივხვდეთ, ეს ჩვენი საწყალი სამშობლო რით უპირისპირდება ჭეშმარიტებას, რაში უშლის ხელს?

წერილი გვარიანად გამიგრძელდა, ციტატებითაც გადაიტვირთა, მაგრამ ვფიქრობ, საკმაოდ ცხადად წარმოვაჩინე ჩვენი ფილოსოფოსის ნააზრევის უკიდურესი, ზღვარგადასული წინააღმდეგობრიობა. მე არ ვიცი, რა უნდა ეწოდოს ყოველივე ამას. ეს არა ჰგავს პოსტმოდერნისტულ თამაშს, როცა ტექსტის ავტორი საგანგებოდ, კონცეპტუალური გამიზნულობით ერთმანეთის გვერდით წარმოგიდგენს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებსა და დებულებებს, რათა თავისი მსოფლმხედველობრივი რელატივიზმის ილუსტრირება მოახდინოს ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება „კარგიც“ იყოს და „ცუდიც“, ანუ არც „კარგია“ რაღაც ცალსახა გარკვეულობა და არც „ცუდი“, საერთოდ, პოსტმოდერნული ხედვით, არაფერი ამქვეყნად მკაფიო განსაზღვრულობას არ ექვემდებარება...

მაგრამ ბ-ნი გვასალიას ნააზრევი(გინდ ფილოსოფი-

ურ-ლიტერატურულში, გინდ პუბლიცისტურში) პოსტმოდერნული დისკურსის დანახვა ალბათ გამორიცხულია, რადგან აქ ირონიულ-პაროდული ხედვა არ იგრძნობა, რაც უცილოდ თან უნდა ახლდეს ამგვარ დისკურსს: საამისოდ ბ-ნი გვასალია მეტისმეტად „სერიოზული“, „გაუცინარი“ ნატურა გახლავთ; თანაც ხომ თვითონვე აღნიშნავს – „გადავიდა პოსტმოდერნიც და მისგან მიფუჩქებული მკაცრი პლატონური რეალიები და პლატონური მიზნები ისევე დადგა კაცთა წინაშე“.

მე არ ვიცი, საკუთრივ ფილოსოფიაში როგორ ესახება ბ-ნ გვასალიას თავისი ულტრადესტრუქციული რეფლექსიით (ნიცშეანურსაც რომ სჭარბობს) პლატონურ რეალიებთან მიახლება და პლატონური მიზნების აღსასრულებლად მუშაკობა, მაგრამ პუბლიცისტიკაში ასეთი განუსჯელი, განურჩეველი, გაცოფებული შეტევა ყველასა და ყველაფერზე, მტრისა და მოყვრის, ავისა და კარგის ვერგარჩევა და ყველას ერთი მათრახით გარეკვა, წარამარა რადიკალური დაპირისპირება საკუთარსავე ნასიტყვთან და წინააღმდეგობებში უიმედო გაჭედვა ვერაფერს პოზოტიურს, სასიკეთოს ვერ დაამკვიდრებს. არათუ პუბლიცისტიკაში, თვით „თერიონის ვარდის“ უაღრესად პათეტიურ-მარკირებულ სიტყვისგებაშიც კი საკმაოდ ხშირად თავს იჩენს „ბოროტს შესპეტაკებული“ ავტორის პირადული განაწყენება კონკრეტულ პიროვნებებზე, ბიბლიურ-მნიგნობრული, „მაღალი შტილის“ მეტყველებით შეფუთვა ვერ ფარავს ბოლმასა და გაბოროტებას მავანთა და მავანთა მიმართ, ვინც მას სიკეთის წილ უმადურობითა და მტრობითაც კი მიაგო სამაგიერო: ამგვარ შემთხვევებში მის ნააზრევს აკლია ის განზოგადებულობა, რაც დათა თუთაშხიას თითქოს და გლეხურად მარტივ, მაგრამ ზუსტ, სხარტ ფორმულირებაშია გამომხატული: „ვისაც ჩავაცვი, მან გამხადა სწორედ“.

ჩვენი ფილოსოფოსი თავისი ფილოსოფიური ნააზრევით გვიპირებს „შეძრწუნებას“, მე კი ვფიქრობ, შემადრწუნებელი და სავალალო მისი პიროვნული გაორებული-გახლეჩილობაა სწორედ: იქნებ მის მიერ სატანის შესწმა-განდიდების ნაყოფია ეს, „ჯილდოა“ ამა სოფლის თავადისადმი მიგებული პატივის სანაცვლოდ? იგი ღვთისმეტყველთ საყვედურობს, რომ არ არკვევენ „რით განირჩევა კაცის სიმდაბლისაგან აღძრული ბოროტება იმ ბოროტებისგან, „რას სატანისაგან აღიძვრის“ (ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, სიდიადისა და ამაღლებულობის შარავანდიტაა მოსილი); ალბათ თვითონ, რაკი თავის კერპადქმნილ „მეცნაობას“ თუ „მოცნებას“ სატანის მაღლად თვლის, კაცებრივ სიმდაბლედ აღარ შერაცხს იმ ავსიტყვაობასა და სიძულვილს, მისი ნაწერებიდან ასე უხვად რომ იფრქვევა: მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ბ-ნი გვასალიას პუბლიცისტიკის ეს თვალსაჩინო მახასიათებელი, ეს ყოვლად მდაბიური კბილთარქენა და ენით ბილწება როგორ მივიღოთ „მზარავ საგრობად“, ამაღლებულ დემონურ-ლუციფერულ მრისხანებად?



ერეკლე საღლიანი

ლექსაჟი

\*\*\*

ყურს ვუგდებ მთელი სამყაროს მოთქმას,  
მოცარტის სულის რექვიემს ვისმენ,  
დავტირი, ვგლოვობ დაღუპულ მოდგმას,  
გარდასულ დროთა აჩრდილებს ვისევ.

ვცდილობ ფუძის წინ მუხლების მორთხმას,  
მუსიკას, როგორც მალამოს ვისმევ  
ყურს ვუგდებ მთელი სამყაროს მოთქმას,  
მოცარტის სულის რექვიემს ვისმენ.

\*\*\*

მივყვეთ ჩვენს სვანურ წესსა და ადათს,  
თუ გვსურს შვილები კაცებად ვზარდოთ,  
თორემ სიბნელეს ეხსნება მადა,  
ამბობენ, სულში გაგვიჩენს ბზარსო.

კვლავ უნდა დავდგეთ ყველანი, სადაც,  
გადის ცხოვრების შარაგზა ფართო.  
მივყვეთ ჩვენს სვანურ წესსა და ადათს  
თუ გვსურს შვილები კაცებად ვზარდოთ.

\*\*\*

შენ ქართველობის სიხარული თან უნდა გაგყვეს,  
თან უნდა გაგყვეს სადაც ნახვალ, დაიდებ ბინას,  
შენ ხომ ჯერ კიდევ ჰგავხარ შემკრთალ პატარა  
ნამყენს,

შენ ქართველობის სიხარული თან უნდა გაგყვეს.

გვასმევს საწუთრო საწამლავს და ტკბილმწარე  
ნაყენს,

გახსოვდეს „ვისი გორისა ხარ“ და მოხვდი სიდან,  
შენ ქართველობის სიხარული თან უნდა გაგყვეს,  
თან უნდა გაგყვეს, სადაც ნახვალ, დაიდებ ბინას.

\*\*\*

პოლიტიკოსებს – სერიულ მკვლელებს,  
არ სწამთ ხატის წინ ნათქვამი ფიცის,  
რა ელით ბოლოს, სიკვდილის მერე,  
ეს მარტოოდენ უფალმა იცის.

ზურგს უკან ხშირად მალავენ ხელებს,  
ქიცმაცურიც და იციან ქიციც,  
გულმანკიერთ და გონება ბნელებს  
რად უწყებთ სულში მაცილი ხიციხის.



ხალხს ბრბოდ აქცევენ და ამის მერე,  
ანყებინებენ კუდების ქიციხის,  
პოლიტიკოსებს – სერიულ მკვლელებს,  
არ სწამთ ხატის წინ ნათქვამი ფიცის.

\*\*\*

ღმერთმა არა ჰქნას ვადაში გატყდეს,  
ქართველის ხელით ნაჭედი რკინა,  
ვინ იფიქრებდა, გასწევდა ამდენს,  
მთლად გაგვისხვისა მამული ვინაც.

ჩვენ მხოლოდ უნდა წინაპარს ვგავდეთ,  
ჭირიც კი უნდა გარდავემნათ ლხინად,  
ღმერთმა არა ქნას ვადაში გატყდეს,  
ქართველის ხელით ნაჭედი რკინა.

\*\*\*

„გარუსებული ენგური ნახეთ“, –  
იტყვის კაშხალთან ქარმაგი სვანი,  
მზე დატბორილ წყალს თითქოს ხდის ნალებს,  
ელავს ქალთევზას ლამაზი ტანი.

ვერ მოვუფროთხილდით საკუთარ სახელს,  
ამის მიზეზი ჩვენ ველარ ვცანით,  
„გარუსებული ენგური ნახეთ“, –  
იტყვის კაშხალთან ქარმაგი სვანი.

\*\*\*

გიყვარდეს ქალი, რომელიც ახლა,  
მთელი სამყაროს სიყვარულს გჩუქენის;  
მისი ღიმილის სითბო თუ გახლავს,  
თუ გახლავს მისი თვალების შუქი.

სულს უდგამს ფუძეს სულს უდგამს სახლსაც,  
სურს განგარიდოს თოვლი და ბუქი,  
გიყვარდეს ქალი, რომელიც ახლა,  
მთელი სამყაროს სიყვარულს გჩუქენის.

რამაზ ქურდაძე

მანანა ჩიტვილიძის პოეზიის ლექსიკური თავისებურებანი

ცნობილი ქართველი პოეტის, მანანა ჩიტვილიძის შემოქმედება უაღრესად საინტერესოა როგორც თემატური მრავალფეროვნებით, მხატვრული სახეებით, მხატვრული საშუალებებით, ისე ლექსიკის თვალსაზრისით. მ. ჩიტვილიძის პოეზიის ენობრივი თავისებურება პოეტის მშობლიური კუთხის, ახალგორის, ქართლურისათვის დამახასიათებელი ფორმების გამოყენებაა, რაც განსაკუთრებულ ხიბლს სძენს მის ლექსებს. მეტად საინტერესო დიალექტიზმებთან ერთად პოეტი თავის ლექსებში მოხდენილად იყენებს მივინყებულ ლექსიკურ ერთეულებსაც.

მ. ჩიტვილიძის ლექსებში გამოყენებული ქართლური დიალექტური ლექსიკის ნიმუშებია:

ამოხეჩილი: „... ყველა ლექსი, ჭეშმარიტი, თუ გვიკლავს წყურვილს, მხოლოდ იმიტომ, რომ მოთქმაა და არ...ღერა, ამოხეჩილი ტირილია პოეტის სულის“.

მანანას განმარტებით, ამოხეჩილი, ამოხეჩა ნიშნავს: „უეცრად ძლიერ ამოტირებას ბავშვის ან დიდის“.

ქართლური დიალექტის ლექსიკონის მიხედვით: „ამოხეჩავ-...იდი ხმით დაიწყებს ტირილს (ბავშვი)...“

ამავე ძირიდან მომდინარე სხვა სიტყვასაც ვხვდებით პოეტის ლექსში:

„სიყვარულის ერთი წვეთიც საკმარისია, რომ მარტოობით დახეჩილმა პოეტის სულმა მწვანე რტოები აიხეთქოს, ლექსად აყვავდეს“.

ამ შემთხვევაში ამ სიტყვას პოეტი დაჩეხილის მნიშვნელობით ხმარობს. საყურადღებოა, რომ ამავე მნიშვნელობით დასტურდება ეს სიტყვა კახურში: დახეჩილ...აჩეხილი, დაპობილი. ამ ძირის სიტყვები (დახეჩილი, მოხეჩავს, მოხეჩვა, მოხეჩილი, ხეჩავს, ხეჩვა) დაჩეხის გარდა დაპობას, დაჭრას, მოტყვას ნიშნავს გარეკახურში.

დაღურბლებული: „ის მაცოდინა, ნეტავი, ჩემი მომკლავი ვინ არი — ა...ოყმე, დაღურბლებული, ა...აზაფხული, მცინარი“; ეს სიტყვა სხვა ლექსშიც გვხვდება: „არც ვინ მოდგება კაი ყმა, დაღურბლებული, დირეზე, უნდილნი ახალ-უხალნი გულსგარეთ დამიტირებენ“.

პოეტის განმარტებით, დაღურბლებული ყმას, მოყმეს განსაზღვრავს, დაღურბლებული ყმა ვაჟკაცობის სიმბოლოა: შუბლშეკრული, დანალვლიანებული სახის ან მკაცრი, კუმტი სახის მქონე ყმანვილია.

ეს სიტყვა ღრუბელს უკავშირდება. ამგვარი განსხვავებული ფორმა მეტათეზისის შედეგი... ბგერა გადაადგილებულა: დაღურბლებული დაღრუბლებული.

საყურადღებოა, რომ დაღრუბლებული ქართლურში დაბურულს ნიშნავს. პოეტმა კი ეს სიტყვა ოსტატურად გამოიყენა მხატვრული სახის შესაქმნელად.

მოიაშრე:

„ეგრე, ეგრე, ქართველო ქალო, — შეიძულე, გაბოროტდი, გაამპარტავენდი, მოიაშრე ეგ ენა-პირი“.

ეს სიტყვა ქართლურია: „მოაშრებულ-...რეს გადასული, ავი, ანჩხლი, კაპასი...“; პოეტის განმარტებაც ემთხვევა სალექსიკონო მნიშვნელობას: მოიაშრ...აავდა; ავს-იტყვაობს, აშარია.

სცუდაბრალობ:

„არა, ჩემო ქალო, ნუ სცუდაბრალობ, დარდით რას უშველი ამა იარებს“.

მ. ჩიტვილიძის განმარტებით, სცუდაბრალობ ნიშნავს: „ამაოდ ირჯები, ამაოდ იბრალებ რალაცას“, კონკრეტულად ამ ლექსში კ...ტყუილად ნუ იბრალებ კარგ განწყობას“.

პოეტს ზმნური ფორმა აქვს ნახმარი. მართალია, ქართლურის სალექსიკონო მასალებში ეს ლექსიკური ერთეული ზმნის სახით ვერ დავადასტურეთ, მაგრამ ქართლურში გვხვდება ზმნიზედა, რომლის ფუძე, ვფიქრობთ, ამ სიტყვას უკავშირდება: „ცუდუბრალო...საქმოდ, ტყუილად...“ ამ ლექსიკურ ერთეულებთან დაკავშირებით საყურადღებოა ძველი ქართულის მონაცემებიც, კერძოდ, ძველ ქართულში ცუდი- ცარეილს, ამაოს, ამაოებას, ფუჟს, ცრუს, უქმს, უს-ამართლოს ნიშნავს.

ჩამოფშხალული:

„გზა დარიალის ხეობაშ... . ორივე მხარეს ჩამოფშხალული, დაბზარული კლდეები ჩანან“.

პოეტის განმარტებით, ეს სიტყვა დაშლილს, არამკერივს ნიშნავს.

ქართლურის ლექსიკონში დასტურდება ამავე ძირის ზმნური და სახელზმნური ფორმები რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობებით: „დაიფშხალე-...აიბზარება, დასკდება (ჭურჭელი, მინა)...“; იქვე გვხვდება სიტყვა დაფშხალულიც, რომელსაც საინტერესო ილუსტრაცია ახლავს: „რამე რო დაინტგრევა, ქოთანია, ქილა, მაგრამა ისევე მთელივით არი, იმას ვეტყვით დაფშხალულსა“.

მანანა ჩიტვილიძის ლექსებში გვხვდება დიალექტური სიტყვები, რომლებიც ქართლურის გარდა ქართული ენის სხვა კილოებშიც დასტურდება. მაგალითად:

დილაბანდზე: „თუ დილაბანდზე შეირტყამ მახვილს,...“; ასევე:

„ბებიჩემივით ბუზლუნებს ქარი და დილაბანდზე წამომდგარი შეუსვენებლად მთების ვეება საჩეჩელზე ნისლის თეთრ ფთილებს ჩეჩავს და ჩეჩავს“.

პოეტის განმარტებით, დილაბანდზე დილაუთენიას ნიშნავს. ამ მნიშვნელობით ქართულ კილოებში სხვადასხვა ვარიანტის მქონე კომპოზიტები გამოიყენება: „დილაბნელზე დილით ადრე, გარიჟრაჟზე, ალიონზე...“; შდრ.: ჯავახური: „დილაბნელ-...ლიონი, გარიჟრაჟ...“; გურული: „დილაბნელ...ილით ადრე, გათენებისას“. პოეტის მიერ გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულთან, მართალია, მცირედი



ფონეტიკური ცვლილებით, მაგრამ მაინც ყველაზე ახლოს დგას მოხეურში დადასტურებული სიტყვა: „დილბანდ...იჟრაჟი, ალიონი...“

მარმარებს: ეს სიტყვა გვხვდება ლექსში, რომლის სათაურია „ლექსის წერის დროს“:

„გენადოს, სიტყვას ვერ მისწვდე,  
ამაოდ ჰკრავდე კამარებს,  
ნინ გედოს თეთრი ფურცელი,  
თოვლივით რომ გწვავს, მარმარებს,  
დაჰმზერდე გამტერებული,  
როგორც საკუთარ სამარეს“.

სხვა ლექსში:

„ამ მიწაზე სტუმარვით არ მივიღია,  
გული ცისკრად ანთია და მარმარებს...  
ეს ღიმილი სიყვარულის ყვავილია,  
ცრემლ...ნარე მარტოობის სამარე“.

მანანა ამ სიტყვას მარმარილოს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ დიალექტიდანაა აღებული. მისივე განმარტებით, ლექსში ნახმარი მარმარებს ნიშნავს: „ქათქათებს, მარმარილოსავით ქათქათებს, ბზინავს“. პოეტი აღნიშნავს, რომ მას გაგონილი აქვს გამოთქმები: „ეზო დაამარმარა“, რაც ეზოს დალაგება-დასუფთავებას ნიშნავს; „ჯამ-ჭურჭელი დაამარმარა“, რაც ჯამ-ჭურჭლის დანკრიალებას ნიშნავს, ხოლო მნიშვნელობები: „მარმარილოსავით ქათქათებს, ბზინავს“ პოეტისეულია.

ქართლური სალექსიკონო მასალები გვიდასტურებენ სიტყვის ამ მნიშვნელობას, ოღონდ ლექსიკონში სახელური ფორმაა დადასტურებული, უფრო ზუსტად, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი: „მარმარი გაა...ალიან სუფთაა, კარგად მოვლილია (სახლი, ვენახი...)...“

საინტერესოა ქართული ენის ინგილოური დიალექტის მონაცემებიც: „მარმარა... ხელი თეთრი მიტკალი. მარმარალივ... ალიან თეთრი, სუფთა. მარმარალივი დარეცხა, სარეცხის გაკამკამება, სუფთად დარეცხვა“.

ნაგრილი:

„და მზის ჩასვლისას ბებერი რცხილა  
ცახცახებს, როგორც ნარბენი ბავშვი,  
მერე ერთბაშად მოისხეპს ნაგრილს  
და ანკესივით ჩაჰკიდებს წყალში“.

ეს სიტყვაც დასტურდება ქართლურში და ჩრდილს ნიშნავს. საყურადღებოა, რომ ქართლურის გარდა იგი ამავე მნიშვნელობით მთის კილოებშიც გვხვდება, კერძოდ, მოხეურში, მთიულურსა და ხევსურულში.

მოხეური დიალექტის მასალების მიხედვით, ნაგრილი დაჩრდილული ადგილია, რომელსაც ამა თუ იმ მომენტში მზე არ ადგას. ფშაურში ნაგრილი აჩრდილს ნიშნავს.

უმსნელად:

„ათასი ჯურის მომხდურის  
ხმალი მიცვეთა უზანგებს,  
რა ლექსნი გადამირჩინე,  
დროს რა უმსნელად უსაგზლე“.

ქართლურში ეს სიტყვა შემდეგი მნიშვნელობით გვაქვს: „უმსნელ – ...ხმარი (ჭურჭელი)...“

ფშაურში ეს სიტყვა წყაროდან ან მდინარიდან დილით ადრე აღებულ წყალს, შეუბილწავს, შეურყვნელს ნიშნავს. გვხვდება თუშურშიც: მთელს, დაუზიანებელს ნიშნავს.

საყურადღებოა, რომ ეს სიტყვა ქიზიყურში გარეცხილის, ახალთახლის მნიშვნელობით გვხვდება და მასვე უნდა უკავშირდებოდეს ქიზიყურშივე დადასტურებული ზმნური

ფორმაც: „გამომსნ...ხელი წყლითა და სხვა საშუალებით (ჭინჭრით, მარილითა და სხვ.) ჭურჭლის გამორეცხვა...“ გვხვდება გამომსნელიც, რაც ჭინჭრითა და ცხელი წყლით გამორეცხილ ჭურჭელს ნიშნავს.

პოეტი აღნიშნავს, რომ მასაც ეს სიტყვა უმსნელი წყლის, უმსნელი ანუ სპეტაკი თოვლის მნიშვნელობით აქვს გაგონილი და იყენებს კიდეც ერთ ლექსში: „კარგა ხანია, დევს კარებთან უმსნელი თოვლი“, ხოლო ზემოთყვანილ ლექსში: „დროს რა უმსნელად უსაგზლე...ნიშნავს: „დროს რა სუფთად, ნირმეუცვლელად, ხელდაუდებლად უსაგზლე“.

მანანა ჩიტიშვილის პოეზიის ლექსიკიდან ზოგი სიტყვა ქართლურში ვერ დავადასტურეთ, თუმცა სხვა დიალექტებისათვის ისინი არ არის უცხო, ასეთია მაგალითად:

ავშავი:

„ისევ ცეცხლად ვარ მღვიარი,  
ბნელო, პირბნელო, ავშავო,  
დამაცა, ფრთა ნატყვიარი

კვლავ არნივით გავშალო“ (მ. ჩიტიშვილი, 2005, 306).

ეს სიტყვა გვხვდება ფშაურში: „ავშავ...ლიერ ავი, ავზე ავი...“ ფშაურის გარდა, გვხვდება მოხეურშიც თავხედის, ურცხვის, შეუპოვარის მნიშვნელობით. გაბედიტებით:

„მზე ჩადიოდა

უცნაური გაბედიტებით ...“ (მ. ჩიტიშვილი, 2005, 199).

ეს სიტყვა გვხვდება მთის კილოებში, კერძოდ, ფშაურში. თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას ნაწარმოებებში ის გამოყენებულია დამცირების, ფასის დაკარგვის მნიშვნელობით.

ამ სიტყვის ზმნური ფორმაა დადასტურებული ხევსურულში: „გაბედიტები...ალიან დაილღება, დაოსდება...“

ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“: „გაბედიტა სიხარული, ჩალანა და ჩანგი ტუბილი“. ნ. ნათაძის განმარტებით, რუსთველი-სეული გაბედიტა ნიშნავს: გაცუდდა, გაუქმდა.

მანანა ჩიტიშვილი ამ სიტყვას განმარტავს, როგორც იმედგაცრუებას; გაბედიტებულ...მედგაცრუებულს. მაცელი:

ეს სიტყვა რამდენიმე ლექსში გვხვდება:

„... მოდგა მაცილი ლამისფერ ნაბდით...“;

„... ვერ ნაუხვალ ვერსით მაცილ...“;

„... გახე, მაცილი სატევარს ლესავს...“;

„ჩემი სახლი და საქვალე

რჩება დუშმანს და მაცილსა,

ლამით ქსნის ბებერ ციხიდან

გმინვა მოისმის კაცისა“.

მაცილი, ძირითადად, მთის კილოებში გვხვდება, მისი

მნიშვნელობაა: ეშმაკი, მავნე, ავისული.

მოხელვა:

„შენს ნახვას მონატრებული

ზვავად ჩამოვსკი ქარაფებს,

ვერც შენი გული მოვხელე,

ვერც სხვისი მოვილაფე“.

ეს სიტყვა მთის დიალექტებში...შაურში, ხევსურულსა და მთიულურში...ოვნას, მოძებნას ნიშნავს, დადასტურებულია მისი მიმღებობური ფორმებიც: „მოხელელებული, მოცე-ლილი – ...აპოვნი, მოძებნილი“.

საინტერესოა მანანა ჩიტიშვილის განმარტება, რომ მას ეს სიტყვა ზემოაღნიშნულ ტაეპში მოვიხელეთეს მნიშვნელობით გამოუყენებია. მოხელეთება (ხელში მოგდება) და მოხელვა (მოძებნა, პოვნა) სემანტიკურადაც ახლოსაა ერთმანეთთან და წარმომავლობითაც საერთო ჩანს.

უნდომანდო:

„... ეხლა კი ზიხარ,  
ნიგნს რასმე ჰკითხულობ,  
რავი, ლექსია თუ ზღაპარია...“

აეგ უნდომანდო სიცილი სახეზე  
დამტვრეულ კრამიტით გაფარია...“

უნდომანდო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ქართლურია და უუნარო, უგერგილო, მოუხერხებელ ადამიანს ნიშნავს.

მეტ-ნაკლებად განსხვავებული ფორმით და მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა ინგილოურში: „უნდომ(ურ...ოუნდომებელი; უნდომურ-უნდომურ(ს...აზარებით, სურვილის გარეშე, უხალისოდ“.

შესაძლებელია ამ ლექსიკურ ერთეულებს უკავშირდებოდეს ძველი ქართულის: „უნდ...რარა, ცუდი, უხმარი, გამოუსადეგარი, საძაგელი; გამოუყენებელი...“

პოეტის მიერ ნახმარი უნდომანდო სიცილი, ავტორის განმარტებით: „უნადინო, ნაძალადევი სიცილს“ ნიშნავს.

მანანა ჩიტიშვილის პოეტური ლექსიკის ერთ-ერთი თავისებურება ძველი სიტყვების გააქტიურებაა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გამოყოფენ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ერთგვარად განსხვავდება არქაიზმებისაგან და ახლავს მითითება ძველი. ისინი ძველია, მაგრამ ხმარებიდან გამოსული არაა. აი, სწორედ ასეთ სიტყვებს ააქტიურებს პოეტი მანანა ჩიტიშვილი, მათი მოხმარების არეალს აფართოებს და თავის პოეტურ ქმნილებებს დაუფინყარ ხიბლს სძენს. ქვემოთ წარმოვადგენთ პოეტის ლექსებიდან ასეთ სიტყვებს:

ამოდ (სამოდ):

„ზოგისთვის მართლაც ამოდ  
მიდის და მოდის უამი,  
ოცდაათ ვერცხლის გამო  
სისხლით ივსება ჯამი“.

თვალხენეში (შურიანი; თვალხარბი):  
„უამი, გულცივი და თვალხენეში,  
დაგვცინის, განა იმედს გვაშველებს,  
ჩვენც ჩაგვატანეს ციხის კედელში  
და ციხე მანც ვერ ააშენეს“.

ეს სიტყვა კომპოზიტია, რომლის მეორე ნაწილი ძველ ქართულში გვხვდება: „ხენემ-...უდი, ავი, საძაგელი; უსაქციელო...“

ძველ ქართულშივე გვხვდება სიტყვა სიხენეზე განსხვავებული, მაგრამ ასევე უარყოფითი მნიშვნელობებით: „უგუნურობა, გლისპობა, უსაქციელობა, სიბინძურე; სიმყრალე...“

თვით პოეტის განმარტებით, თვალხენეში ავთვალს, თვალბოროტს ნიშნავს.

ყანდი (სპარ.არაბ. კანდ „შაქარი“...ვ. დანმენდილი, თეთრი შაქარი)

„სხვებმა მოგახურეს ფარჩა,  
სხვებმა გაგიშალეს ყანდი,  
შენი გზისკენ მაცქერალი  
ყველა გზაზე დავგვიანდი“.

ჩინი და მაჩინი

... . გემუდარები,  
ნუ მპირდები ჩინსა და მაჩინს,ნუ დამპირდები  
სიყვარულის გარდა ნურაფერს“.

ჩინი და მაჩინი დასტურდება ქართულ ხალხურ ზღაპრებში. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის

მიხედვით, იგი სასაუბრო მეტყველებაში გამოიყენებოდა ძველად და ჩინეთს აღნიშნავდა.

მანანა ჩიტიშვილის ლექსებში ისეთ სიტყვებსაც ვხვდებით, რომლებსაც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არა აქვთ მითითება...ველი, მაგრამ ისინიც თანამედროვე ქართულში იშვიათად გამოიყენება და მათი გააქტიურება ნამდვილად საშური საქმეა. მანანას ლექსებში ამ სიტყვებმა ახალი სიცოცხლე შეიძინეს და განსაკუთრებული ხიბლი შემატეს პოეტის შემოქმედებას. ქვემოთ სწორედ ასეთ სიტყვებს წარმოვადგენთ:

არჯალი (ავი, კაპასი)

„მერე კი გადავუნვები  
ქარებს, ავსა და არჯალსა,  
სულს გადმოგიგდებ მე თვითონ,  
როგორც გატეხილ ხანჯალსა“

იგივე სიტყვა სხვა ლექსიდან:  
„ჩემთვის ხან ისე სასტიკად თოვდა,  
ისე მკორტინდა ქარი, არჯალ...“

საბას განმარტებით, არჯალი „ურცხუად ანჩხლს“ ნიშნავს. ცნობილია ფრაზოლოგიური შესიტყვება: არჯალი მოუფ...ლსასრულის დღე დაუდგება. არჯალი გავრცელებული სიტყვაა ფშაურში, იგი კომპოზიტშიც გვხვდება: გულარჯალ...ულბოროტი. მანანა ჩიტიშვილის განმარტებით, არჯალს ავი, კაპასი ქალის შესახებ ამბობენ და მოუთვინიერებელ ცხოველზეც ითქმის.

ირაო (უპატრონო, დაკარგული):

„ირაო ვიყავ და სხვა რა მეტიალ...“.

მარამში (თხელი გამჭვირვალე ქსოვილი, ასეთი ქსოვილის სამოსი):

„გამიფრინდა ცისკენ წერო,  
ფრთა გაშალა მარამაშებად...  
რას ჩურჩულებს ხის კენწერო,  
ნიავეს რას ეთამაშება?“

„ჩემს ორლობეში ბალბა და ლოლო,  
შენს გზაზე ახლა ვარდი მარამაშობს  
და როგორც უნინ, მე ვკვდები მხოლოდ,  
შენ მარტოოდენ წარსულს თამაშობ“.

უამური (უსიამოვნო, უამურა...სიამოვნოდ).

„უამი მიდის უამურად,  
სხვას ვის შერჩა დროება...“

ჰა, ჯაგლაგი სიბერისა

შენს ლობესაც მოება“.

ეს სიტყვა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გარდა ორ, საკმაოდ დაშორებულ და განსხვავებულ დიალექტშიც დასტურდება...ურულსა და ხევსურულში: უამურ...რომ არაფერს გასიამოვნებს ისეთი ადამიანი“, გურ.; „უამურ...სიამოვნო, ცუდი; არ-მოსანდომებელი...“ ხევს.

ქობა (1. სამოსელის ბოლოზე შიგნიდან ხელის სიბრტყედ შემოვლებული სარჩული... 2. გადატ. საერთოდ, ზოლი რისამე კიდეზე).

„აპრილია და ხევში წყალი კაცივით ხენების,  
დაუგვირისტა გაზაფხულმაამ მინდვრებს ქობა“.

ბუნებრივია, ერთ სტატიაში შეუძლებელია პოეტის შემოქმედების ლექსიკურ თავისებურებათა სრულად წარმოჩენა. ჩვენი მიზანი იყო მხოლოდ გვეჩვენებინა, რომ დიალექტური თუ მოძველებული ფორმების გამოყენება განსაკუთრებულ ხიბლს მატებს მანანა ჩიტიშვილის პოეზიას, რომლის შთამბეჭდავი ძალის წყალობითაც თავად ეს სიტყვები ახალ სიცოცხლეს იძენენ.

გიორგი შიშნაშვილი

ლექსები

\*\*\*

მთვარე მოვა გათენების შემდეგ,  
 მზე კი ღამით მოაკითხავს მიწას...  
 სძინავს დილას და წვერებზე შესდექ,  
 უხმაურო სიზმარეთებს ინადს.

სძინავს დილას და ღამეა იგი,  
 გათენებას ადრიანად იწყებს,  
 ნუ შეაკრთობ, ნუ დაუფრთხობ სიზმრებს  
 შენებურად, ნაზად გაუფრთხილდი.

ბუნებასაც აერია თავგზა,  
 შენ კი ჩემგან მსხვერპლშენირვას ითხოვ...  
 მეც ჭკუიდან შევიშალე ალბათ,  
 რადგან მძიმე სინამდვილე იყო.

მთვარე მოვა გათენების შემდეგ,  
 მკრთალი შუქი გადასცდება სამანს  
 და ვიქნები ასე, სანამ შევძლებ,  
 სამუდამოდ დაღამდება სანამ.

ზამთარში

ხე არის თეთრი და ცივი,  
 ტოტებზე ასხმული მძივი  
 ფიფქები სიცივის, ყინვის.  
 ცა – ისიც თეთრი და ცივი,  
 მზე არ ჩანს,  
 სად არის მზე?  
 ფიფქები ძალიან მშვიდად  
 ბარდნიან უამრავ ხეს...  
 ტოტზე ზის ბედურა ჩიტი,  
 ჟივჯივით რაღაცას მღერს.

\*\*\*

აღრე თუ გვიან  
 მეც წარვსდგები უფლის წინაშე,  
 რომ ჩემს ცოდვებზე  
 სათითაოდ პასუხი ვაგო...  
 დრო უსწრაფესად მიაქანებს  
 ჩემს მატარებელს  
 და გზად, რელსებზე  
 უკან ტოვებს თითოეულ ვაგონს.



დედას

შემოდგომაა, მოაწია გრილმა სიცივემ,  
 დრონი ერთმანეთს უმოწყალოდ ისევ სცვლიან და...  
 რეალობაშიც შენ გიპოვე დედა, იგივე  
 და შენზე ფიქრში ორივე თვალი მომიწყლიანდა.  
 ასეთი ცივი არ ყოფილა, როგორც ახლაა  
 მზე და ყოველი დანახული არე სამყაროს...  
 მე შენს გარეშე სუნთქვამ ისე ძლიერ დამლალა,  
 რომ უმოწყალოდ მინდა სული სხეულს გავყარო!  
 შემოდგომაა, მოაწია გრილმა სიცივემ,  
 სცივა სამყაროს, მცივა მე და ყველა მინიერს.

ქარი ადგა

მოდის, მარტი ჩემს ლექსებში უკვე დადგა,  
 ფიქრებს მირევს ეს სიგიჟე მღვრიე ფერთა,  
 ქარი ადგა და ძნელია მის შემყურეს  
 შენც სიგიჟე არ მოგინდეს მასთან ერთად.

ქროლვით ქარმა ჩემს ლექსებში დაივანა,  
 ალბათ ახლა სადღაც სხვებიც წერენ მარტზე...  
 ქარი ადგა, ჩამჩურჩულა: „იმ გზით წავალ,  
 ჩვენს პოეტებს ჩამოვუვლი მისამართზე“.

## ციალა არდაშელია

## „ძა – შეცთომილი“

აფხაზეთში სისხლი დაიღვარა. დაიღვარა სისხლი ქართველთა და აფხაზთა. ეს ტრაგედია გახლდათ, საშინელი, საზარელი, თუმცა... მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, რაც ნასაზრდოები და საგულდაგულოდ გეზმომართული იყო ათეული წლების განმავლობაში, როგორც ე. წ. აფხაზური ინტელიგენციის გარკვეული ძალების მიერ, ისე ქვეყნის ფარგლებს გარედან.

გადმოსკდა და გადმოპირქვავდა დიდი ხნით დაგუბებული ბოღმა და სიძულვილი და როგორც უგუნურ, ბნელ ბრბოს სჩვევია, ერთიანად წალეკა გონიერებისა და თავმეკავების სამანები, დაილუპნენ უდანაშაულო ადამიანები, მაგრამ აფხაზთა ერთი ნაწილის მხრიდან – ნიშანწყალიც კი არ ჩანს რაიმე მონანიების. პირიქით, უტიფრად, ურცხვად გვესვრიან ქვას და ტალახის გუნდას – ნაქეზებულნი მათი აშკარა თუ ფარული ლიდერებისგან. აქეთ გვადანაშაულებენ ყველაფერში: თურმე ჩვენ, ოთხმილიონიანი ერთი ვებრძვით 80-ათას „დაჩაგრულ, შევიწროებულ“ აფსუას; ჩვენ პირველნი დავესხით მათ თავს, ჩვენ გვინდოდა ამოგვეწყვიტა ისინი, ჩვენ პირველნი შევეცვივდით სახლებში და დავხოცეთ ბავშვები, ქალები... ავრცელებენ თითქოსდა ჩვენ მიერ შედგენილ რაღაც რუკებს, სადაც თავდასასხმელი პუნქტები წინასწარ გვექონია შემოხაზული და ა. შ. ერთი სიტყვით, ადრევე დაწერილი სცენარის მიხედვით მიმდინარეობს სპექტაკლ-ფარსის გათამაშება. ყოველი დეტალი გაუთვლიათ ჩვენს „მოძმებს“: რას რა უნდა მოჰყოლოდა, სად რა უნდა ეთქვათ და დაეწერათ, ანუ როგორ შეეყვანათ შეცდომაში მსოფლიო საზოგადოებრიობა ოპერატიულად მიწოდებული დეზინფორმაციით, სად რა კადრები გადაეღოთ, რა დაეფიქსირებინათ „შთამომავლობისთვის“ და ა. შ.

დიახ, კარგად ყოფილან მომზადებული ჩვენი მოძმეები „ახალი ფერლანას“ მოსაწყობად. წინასწარვე ეყოლებოდათ ალბათ მონიშნული თავიანთი მსხვერპლნიც, ვოვა ვეკუას – ამ უსპეტაკესი და მართალი ვაჟკაცის ჩათვლით (ვოვას ტრაგიკული სიკვდილით თავზარდაცემულნი, მაშინ რას წარმოვიდგენდით, რომ წინ უფრო დიდი უბედურებები გველოდა: ჯერ იყო და, ჩვენი სათაყვანებელი მერაბ კოსტავას დაღუპვა, შემდეგ სოსო ადამიას და ბოლოს უკანასკნელი ტრაგიკული აკორდი – ზურაბ ჭავჭავაძის გარდაცვალება) და, თუმცა ყველა მუხლი ვერ შესრულდა ამ ვერაგულად შედგენილ სცენარში, მაგრამ ეს უკვე მათი ბრალი არ არის – ზოგ რამეში, მათთვის მოულოდნელად, ქართველობამაც იმარჯვა. ამასთან, მართალია, სისხლის ფასად (ეტყობა, უმსხვერპლოდ და უსისხლოდ არაფერი გამოგვდის ქართველებს), მაგრამ მაინც მოიპოვა აქამდე ტაბუდადებული სიმართლის თქმის უფლება, უფლება იმისა, რომ საგანს თავისი სახელი დაერქვას.

აფხაზი სეპარატისტი ინტელიგენციის ერთი ნაწილი წერილის თავში „ეგრეთ წოდებულით“ მოვიხსენიე, რადგან განა შესაძლოა ჭეშმარიტმა ინტელიგენტმა მეთოდურად, დაჟინებით ზარდოს თავისი ხალხი სიძულვილის გრძნობით სხვათა და, მით უფრო, თანამომძმეთა მიმართ? კაცთაკვლისკენ გააქეზოს და ნაახალისოს? რასაკვირველია, არა. მხოლოდ ცრუ ინტელიგენციას – ნახევრად

განათლებულს, ნახევრად კულტურულს, ნახევრად პატიოსანს (რაც არცთუ იშვიათი გახლავთ საბჭოთა სინამდვილეში) და კორუმპირებულ თანამდებობის პირთ, ბნელ საქმოსნებს ძალუძთ ჩაიდინონ ეს სისასაგლე. მხოლოდ მათ ძალუძთ, წლიდან წლამდე, თანისთანობით, წვეთწვეთობით მოშხამონ თანამემამულეთა გონება და გული ცრუ, ყალბი ინფორმაციებით, რამეთუ მათ, ამ უკეთურ ბოროტგანმზრახველთ, თავისი ხალხის სატკივარი ისე აწუხებთ სინამდვილეში, როგორც, ვთქვათ, ჩინელს ისლანდიის გამრავლების საკითხი.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ – 15-16 ივლისი!..

წარმოდგენილი მაქვს, როგორ იფუნტდნენ ხელებს, რა იქედნურად ხითხითებდნენ „ახალი ფერლანას“ მთავარი ინსპირატორები. აბა, რა გვეგონა ქართველებს, ასე აშკარად, ჯიქურად რომ დაეუპირისპირდით და დავეტაკეთ უზარმაზარ ურჩხულს! სად წაუფიქროდით მძლავრთა ამა ქვეყნისათა ყოვლისშემძლეობას, მათ შურისგებას? ეს მესამე თუ მეოთხე ძალები, ერთმანეთთან შეკრულ-გადაფსკენილნი, ოსტატურად რომ მართავენ და არეგულირებენ აფხაზურ თუ სხვა მცირე ხალხების ე. წ. ეროვნულ მოძრაობებს საქართველოში თუ სხვაგან, ახლაც, თითქმის სამი თვის გასვლის შემდეგ ამ სისხლიანი აქციიდან, როგორც ჩანს, სულაც არ აპირებენ ხელი აიღონ თავიანთ განზრახულზე, ანუ „აფხაზურ კოზირზე“, ნაღმის ასაფეთქებლად რომ არის გამოიზნული. ნაღმები კი ერთიანი საქართველოს სხეულში თავის დროზე ისე მარჯვედ და „ნიჭირად“ ჩადეს ბოლშევიკმა, ორჯონიკიძეებმა, რომ ნებისმიერ დროში შეუძლიათ მისი აფეთქება საქართველოს საზიანოდ, ანუ, როცა ეს ურჩი ქართველები მეტისმეტად გათავხედდებიან, როცა მეტისმეტად თავს გავლენ, მყისვე ამოქმედდება ნაცადი მექანიზმი და... მზად არის საქართველოში მორიგი „ცხელი წერტილი“. ილაღადონ მერე ქართველებმა თავიანთ სიმართლესა და სამართლიანობაზე: დარჩება მათი ხმა ღალადებად უდაბნოსა შინა.

შეშფოთებული და შენუხებული ქალბატონი ქეთევან ლომთათიძე თუ ქალბატონი მარია ბარათაშვილი ამაოდ ელოდებიან გულისტკენის დამაყურებელ საღბუნს თავიანთ შეგირდთა თუ თანამოკალმეთაგან. ასევე, ამაოდ ელოდება ზოგიერთი ჩვენი რომანტიკოსი ინტელიგენტი მადლიერების გრძნობას იმათი მხრიდან, ვისაც მართებს თურმე მისი გამოჩენა. მაგრამ... ამაოა ყოველგვარი მოწოდებანი, შეგონებანი, შესხენება ელემენტარული ზნეობრიობისა, ძველი ტრადიციული „ალამისის“ კოდექსებისა და მაინც, ამისდა მიუხედავად, გრძელდება ჩვენი ღალადი:

გამოგვეხმაურეთ, ჩვენო მავანნო და მავანნო დებო და ძმებო, სად ხართ, რად არ იღებთ ხმას, რატომ დუმხართ ამ ტრაგიკულ სიტუაციაშიო. არა. არ დუმან. იღებენ ხმას, როგორ არა. ოღონდ... სულ სხვა მიმართულებით! არა კაენის ცოდვის მოსანანიებლად, არამედ ახალ-ახალი ცილისწამებისა და სიცრუის კორიანტელის დასაყენებლად, სხვათათვის, საქმეში ჩაუხედავ შინაურთა და გარეშეთათვის თვალში ნაცრის შესაყრელად, სრულად დაიმედებულნი და დარწმუნებულნი იმაში, რომ ამჯერადაც დაუსჯელი დარჩება მათი ქმედებანი, რომ უკანონობა კვლავაც იზეიმებს კანონიერებაზე, უსამართლობა –

სამართლიანობაზე, ბოროტება – სიკეთეზე. ზოგს კიდევ პირში წყალი ჩაუგუბებია იმის მოლოდინში, თუ საიდან დაუბერავს ქარი იქ, „ზემთო“, რათა ამისდა მიხედვით „იმოღვანეოს“ შემდგომში. ასე რომ, ყველაფერი გაანგარიშებულია. – თითოეული წვრილმანიც კი. უწყიან, რასაკვირველია, მშვენივრად უწყიან. გაუდით და იმიტომ სტირიან, ანდაზისა არ იყოს. ბევრს მშვენივრად მოეხსენება ისიც, რომ მარიონეტია ამ ბინძურ თამაშში, მაგრამ ხელს აძლევს ეს დამქაშობა, რადგან იგი ხელ-ფეხს უხსნის თავისი პირადული ზრახვებისა და სურვილების აღსრულებაში.

ამიტომ და კიდევ ბევრი სხვა რამის გამოც მიმაჩნია, რომ არ დამთავრებულა 15 ივლისი. თუმცა ექსტრემისტთა გარკვეულ ჯგუფს კარგად მოეხსენება, რომ წაგებული აქვს ეს ბრძოლა მორალურ-ზნეობრივ და, თუ გნებავთ, ფიზიკურ ასპექტში. ანუ იციან, ფიასკო რომ განიცადა მათმა ძირითადმა პროგრამამ, ქართველების დამინებას, მათ გაუღეტას, დაქსაქსვა-აყრას და ბოლოს, გადასახლებას რომ გულისხმობდა. ამისდა მიუხედავად, მაინც არ ეუბებიან სინამდვილეს, არ ყრიან ფარ-ხმალს-მეთქი. პირიქით, ჩემი აზრით, შეეცდებიან ახლო მომავლისთვის მოამზადონ ახალი „ბართლომეს ლამე“. შესაძლოა, უკვე გახაზირებულიც აქვთ სადმე ლაჟვარდოვანი ზღვის რიომელიმე ფეშენებლურ ვილაში ანდა რაიკომის მდივნის რომელიმე უწყინარწარწერებიან „პანსიონატში“ ძველის ანალოგიური „ახალი“ სცენარი მცირეოდენი კორექტივებით.

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, რომ პირიქით მოხდეს ყველაფერი – იმძლავროს საღმა, ჯანსაღმა აზრმა, რომ მართლა მოინანიონ ცოდვილებმა, რომ დადგეს სულიერი კათარზისის ჟამი, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება, ალბათ, დიალოგი ორივე მხარეს შორის და, ვინ იცის, იქნებ ადდგეს კიდევ ჩატეხილი ხიდი. მე, იქაურ მკვიდრს, იქ დაბადებულს და გაზრდილს, სისხლითაც აფხაზთა ნათესავს, მთელი ჩემი არსებით მწადა ეს, მწადა ძე შეცთომილის მობრუნება მშობლიურ ნიაღში. მიინდა დავიჯერო, რომ ღმერთი არ განირავს ჩვენს ოდინდელ თანამოძმეებს, კვლავ ღვთისმშობლის კალთის ქვეშ მოუყრის თავს თავის გზაბნეულ შვილებს. ღვთისმშობლის ქვეყნიდან უნდათ გასვლა, ამაზე დიდი სასჯელი და უბედურება, აბა, რა უნდა იყოსო, – უთქვამს ერთ მორწმუნე კაცს.

ღვთისმშობლის კალთა ვახსენე ზემოთ. ჰო, მაგრამ, დღევანდელ „აფხაზთა“ უმრავლესობა ქრისტეს რჯულის მიმდევარი არ გახლავთ. აკი, ამიტომაც იყო „ახალ ფერლანას“ მოვანყობოთ, რომ იქადდნენ მათი მეთაურები.

კარგად ვიცით, პანისლამიზმი, ისლამური ფუნდამენტალიზმი ერთ-ერთი რგოლი რომ არის იმ ჯაჭვისა, რომელსაც მარჯვე ხელი მართავს არამარტო საბჭოთა კავშირში. ეს ასეა და მაინც, როგორ მოხდა, აგერ, ჩვენს თვალწინ, ჩვენი ოდინდელი მოძმე მოსისხლე მტრად რომ გვექცა? ასე უწყალოდ რომ გაგვწირა და სასიკვდილოდ გაგვიმეტა? ხომ თითქოს ვიცოდით ამ სიძულვილის წყარო-სათავე. ვიცოდით, რომ იგი ბოლოს და ბოლოს სადინარს იპოვიდა. 1978 წლის ამბებიც გვახსოვდა, წლევეანდელი მარტი და აპრილის პირველ რიცხვებში – რბევა, „ლიხნის წერილი“ და მაინც... მოსალოდნელი თითქოს მოულოდონელი აღმოჩნდა ჩვენთვის. მოწმენდილ ცაზე

მეხის გავარდნასავით აღვიქვით ყოველივე. ვერ წარმოვიდგინეთ, არ გვეგონა თუ ამ ზომამდე – სისხლის ღვრამდე, მოძმის ასე უღვთოდ განირვამდე მივიდოდა საქმე.

რატომ არ გვეგონა?

თავში ვთქვი, იქაური მკვიდრი ვარ-მეთქი, იქ დაბადებული და გაზრდილი, ნახევრად აფხაზი, მაგრამ მოხდა ისე, რომ პირველად უნივერსიტეტში სწავლის დროს შევხვდი გააფსუებულ მეგრელებს: გურგულიას, კაციას, ფაჩულიას, კობახიას...

ჩემი მამიდაშვილები – დაგარგულიები, ლალიძგის პირას მცხოვრებნი, და აფსუა გურგულია, ძირისძირობამდე რომ ჩავსდიეთ წარმომავლობას, ერთი ფესვისანი აღმოჩნდნენ. ანდა, რა ისეთი დიდი აღმოჩენა სჭირდებოდა გურგულიას თუ ფაჩულიას გვარის გენეალოგიის დადგენას? მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა – ერთი ფაჩულია აფხაზი, უფრო სწორად – აფსუა რომ იყო, მეორე ქართველი გახლდათ, ერთი კობახია რომ აფსუობდა, მეორეს – ქართველად მიაჩნდა თავი. მიჭირდა გამერჩია – ვინ ვინ იყო, ისევე, როგორც 15-16 ივლისს დაღუპულთა სიიდან ვერ შევძელი გამერკვია, რომელი მათგანი იყო ქართველი და რომელი „აფხაზი“! ალბათ, ყველა დამეთანხმება, ეს იმ დაღვრილ სისხლზე არანაკლები ტრაგედიაა, ეს ჩვენი ბედუკუდმართი ისტორიის დანაშრეგია, მისი წყლულია მოაქჟამამდე მოღწეული. ძალაუნებურად ხშიანდებოდა გულში უიარაღოს უკვდავი ფრაზა: „ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო ვენეციელი და არც მეორე – ეგვიპტელი. ორივე ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ!“ ოღონდ აქ უფრო სხვა კონტექსტში, უფრო მწარედ ჟღერდა იგი – ცხადია, უნებლიე და ნებაყოფლობითი მამულუქობის ფენომენი განსასხვავებელია ერთიმეორისგან.

ღროთა განმავლობაში „აფსუა“ წერეთელსაც გადაეყარე და დოლიძესაც. რაც უფრო საყურადღებოა: გააფსუებული კოლონია, პაპასკირი თუ კვინინია აფსუაზე უფრო „მართლმორწმუნე“ აფსუები იყვნენ, უფრო სწორად – რუსული ყაიდის, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთუმე აფსუებს წარმოადგენდნენ და, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, განსაკუთრებული მოძულეობით გამოირჩეოდნენ ყოველივე ქართულის მიმართ. აი, ეს სიძულვილი მაოგნებდა. კი ბატონო, მეგრელი, ოდინდარი აფსუა გაგხადეს, აღარ ქართველობ, მაგრამ შენი ძირისა და ფესვისადმი ეს უსაშველო სიძულვილი რაღაა? და საერთოდ, არის კი სიძულვილის გრძნობა სიკეთის მომტანი იმისთვის, ვინც მას ატარებს?.. მერე და მერე ფსიქოლოგიურად „გასაგები“ შეიქმნა ჩემთვის ამ ქართველთმოძულეობის საფანელი იმათი მხრიდან, ვინც, ასე ვთქვათ, ნებაყოფლობითი მამულუქობის სინდრომს შეეპყრო: გადარჯულებული კაცი, ნებსით თუ უნებლიეთ თავის ეროვნებას, რჯულს, ადათ-წესებს მონყვეტილი, განსაკუთრებული თავგამოდებით ცდილობს, ერთგულეობა დაუმტკიცოს თავის ახალ სამშობლოს თუ ახალ თანამოძმეებს. სულ ახლახან, ნებაყოფლობით სულგაყიდული „ღამურაც“ კვალის დასაფარავად, უფრო უპრიაანია ვთქვათ, თავისი ლალატის საკომპენსაციოდ მეტისმეტი ერთგულების გამოჩენით ლამობს ფონს გავიდეს, ასე „გამოსიყიდოს ცოდევა“ – თავისი თუ წინაპრის. მოკლედ რომ ვთქვათ: გასპარსელებული, გათურქებული თუ გარუსებული ქართველი სპარსზე, თურქზე და რუსზე უფრო დიდი

მტერი იყო და არის თავისი ყოფილი სამშობლოსი, თავისი გვარის და ჯილაგის მიმართ. სხვათა შორის, ამას ლენინიც აღნიშნავდა გარუსებულ ე. წ. ნაცმენების მისამართით – ისინი თვით ყველაზე ველიკოდერჟაველ რუსებზე უფრო რუსები არიანო. ასევე, რამდენიც უნდა იფიცოს აჯინჯალმა (ჯინჯოლიამ) აფსუა ვარო, როგორადაც უნდა გადაიკეთოს გვარი – ჯინჯს მაინც ვერ ამოაგდებს თავისი გვარიდან – მეჯლანუაშვილის ჯლანისა არ იყოს. (ჯინჯი მეგ. ძირს ნიშნავს). ვერა, ველარ დაფარავს თავის ძირს და ფესვს ვერასდობით. ძირი თუ არა, გვარის მანარმოებელი უცვლელი რჩება: ეს სქუადან –უა– იქნება, სკირი, ია, თური, ში, ხი თუ ბა და სხვა. გინდ ა-მარშანი იყავი, გინდა გოგუა თუ ჩაჩხალია. ჰო, ჩაჩხალიაზე გამახსენდა: თურმე ერთ აფსუა ჩაჩხალიას ხელი გაუჭრია და სისხლი ღვარად წამოსვლია. როცა სისხლის დენა შეუნწყიტეს, „უხუმრია“: კარგია, მეგრული სისხლისაგან რომ დავიცალეო (დედა ჰყოლია მეგრელი). ისე გამოდიოდა, რომ დედის სისხლი „ანუხებდა“, თორემ სხვა მხრივ, კერძოდ, მამის მხრიდან, წმინდა სისხლის ჰამსბურგის ანდა ჰოჰენშტაუფენის გვარისა იყო (ჩაჩხალია, ისევე როგორც ფაჩალია, ფაჩულია, პაპასკირი, კვინინია, კოლონია და მისთანანი – მეგრული, ანუ კოლხური სიტყვისგან წარმომდგარი გვარებია).

... ამ რამდენიმე წლის წინათ სოხუმში რომ ვმუშაობდი აღმანახ „რინაში“, ჩემთან ოთახში შემოვიდა ერთი მოხუცებული კაცი და გამეცნო – მეო ესა და ეს ვარ, წარმოშობით ბედიდანიო. თურმე კარზე ჩემი გვარი რომ უნახავს წაწერილი დაინტერესებულა, რადგან ჩვენი ნათესავის, 37-ში რეპრესირებულის მეგობარი ყოფილა. რუსულად მელაპარაკებოდა. გვარი რომ მითხრა, მორიდებულად ვკითხე, ქართველი პოეტი ბრძანდებით-მეთქი თუ... „Я Абхазец!“-ო, – რიხიანი კილოთი მითხრა. – თქვენი გვარი ხომ მეგრულია-მეთქი, – ერთობ ფრთხილად შევეწინააღმდეგე. – Да, мои предки были мингрельцами, но Я – абхазец!-ო, – მიპასუხა. თუკი თქვენი წინაპრები (იგულისხმება: ბებია, ბაბუა ან სულაც დედა, მამა) მეგრელები იყვნენ, როგორღა გახდით აფხაზი, უფრო სწორად, აფსუა-მეთქი, მინდოდა მეკითხა (თანაც ბედიდანი ყოფილა), მაგრამ თავი შეეკავა. ჯერ ერთი, არ ეგებოდა მოხუცთან დავა-კამათი და მეორეც – მაინც წყლის ნაყვა გამოვიდოდა (ახლახანს ტელევიზიით ვუსმენდი, თუ როგორ ცხარობდა ორი „აფხაზი“, უფრო სწორად, ორი აფსუა ახალგაზრდა იმის გამო, გალის რაიონში აფხაზური გვარის ანი თარბაია, ქეცბაია, ზუხბაია – ქართველებად არიან თურმე ჩაწერილებიო. ტელევიზიის კორესპონდენტმა ბოლოს ჰკითხა ერთობ გაფიცებულ ახალგაზრდას, თქვენ რა გვარის ბრძანდებითო?

– Я — Чкадуа! – განაცხადა ახალგაზრდამ რიხიანად. ახლა მეორეს მიუტანა მიკროფონი – თქვენო?

– Я — Микава! – მიუგო იმანაც ნირშეუცვლელად (ალბათ, უტუ მიქავაც არ წარმოთქვამდა ასე თავის გვარს!). კორესპონდენტმა სასწრაფოდ მოაცილა მიკროფონი ორთავეს. ისე ცხადი და ნათელი იყო ყველაფერი, კომენტარს არც საჭიროებდა ეს ეპიზოდი. მაგრამ ეს ჩვენთვის იყო ნათელი და გასაგები, ხოლო იმ ორს, ვგონებ, არც უგრძნიათ უხერხულობა. ძალაუნებურად უნდა იფიქრო, რომ ასეთები თავიანთ გარდა სხვას ყველას ბრწყინვალედ თვლიან, ან არადა... უმეცრება და უტიფრობა, როგორც

წესი, თავდაჯერებული და შემტევია ყოველთვის.

...უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე მხოლოდ ერთი სემესტრი გვიკითხავდნენ საქართველოს ისტორიას. რასაკვირველია, ეს საკმაოდ მცირე დრო გახლდათ საიმისოდ, რომ საქართველოს ისტორია ზედმინეებით, სრულად სცოდნოდა სტუდენტს. ამ მხრივ არც ახლაა უკეთესი მდგომარეობა, თუმცა ცდა კია, გამოსწორდეს ეს ვითარება (ჩემს თაობას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ სკოლაში ვსწავლობდით ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის და ნ. ჯანაშიას მიერ შედგენილი ბრწყინვალე სახელმძღვანელოთი, რომელიც მერე „რატომღაც“ ამოიღეს ხმარებიდან). აქამდე ყოველგვარი მცდელობა საქართველოს ისტორიის სწავლების გაუმჯობესებისა ხელისუფლების მიერ აღიქმებოდა ლამის ანტისახელმწიფოებრივ, ანტისაბჭოურ ქმედებად და ამ მოთხოვნათა ავტორები სასტიკად იღვენებოდნენ, ვითარცა დისიდენტები. შედეგი ის გახლდათ, რომ ბევრ უმაღლესდამთავრებულს წარმოდგენა არ ჰქონდა თავისი ქვეყნის წარსულზე.

ამ ვითომდა ერთიანად წიგნიერ რესპუბლიკაში, უმაღლეს თუ საშუალო დამთავრებულთა რიცხვის მიხედვით პირველი ადგილი რომ გვიჭირავს ლამის მთელ მსოფლიოში, ახალგაზრდობის უმრავლესობამ არ იცის: ვინ არის, საიდან მოდის მისი ფესვი და ძირი, ანუ ვისი გორისაა. აქედან, ამ უმეცრებიდან იღებს სათავეს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა ურთიერთუპატივცემულობაც, უნდობლობაც, ქედმაღლობაც, აგრესიულობაც კი.

თვითგანათლებისთვის უნდა მიგვეყო ხელი და ასეც ვიქმოდით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი ვმუშაობდი ჩემს მშობლიურ ქალაქში, გალში. ამჯერად უკვე სამსახურებრივი საქმიანობის გამო უფრო ხშირად მინევდა ურთიერთობა სოხუმელებთან (სოხუმში, ბებია-ბაბუასთან მაქვს გატარებული ბავშვობა).

...ზოგჯერ შესაძლებელია ადამიანმა იმ ერის წარმომადგენლად იგრძნოს თავი, სადაც აღიზარდა, ოღონდ ეს კია: ფაჩულიამ თუ ფაჩალიამ, როგორადაც არ უნდა მიიჩნიოს თავისი თავი, გვარის წარმომავლობას მაინც ძვრას ვერ უზამს-მეთქი. ლერმონტოვი რუსი პოეტი, მართალია, მაგრამ გვარი ლერმონტი – არარუსული გახლავთ, კერძოდ, შოტლანდიურია და სხვ.

დღევანდელ ზოგ აფსუა-მეგრელებს ადილიელებზე რომ არაფერი ვთქვა, რომელთაც მეგრული გვარები დაურიგეს, არაფრით არ უნდათ, სიმართლეს თვალეში შეხედონ: რუსეთის – „ცარიზმის“ ვერაგული პოლიტიკის წყალობით, მათ ნებსით თუ უნებლიეთ თავს მოახვიეს ან, თუ გნებავთ, თავს მოიხვიეს აბაზინური, ანუ აფსუური ენა, თორემ სისხლით, ხორციით, წარმოშობით, ანთროპოლოგიურად, რჯულით, ადათ-წესით მეტწილად კოლხური შტოსანი არიან, ანუ ჭეშმარიტი აფხაზები არიან და არა ადილეური ტომის წარმომადგენლები. ისტორიულად როგორ მოხდა ბევრი მათგანის გააფსუება, ამაზე ცოტა ქვემოთ მექნება საუბარი, მაგრამ, როგორც უნდა იყოს, საიდანაც არ უნდა მივუდგეთ, სიმართლეს ვერსად გავექცევით. შექსპირის თქმისა არ იყოს, დედამიწაც რომ გადაეფაროს, სიმართლე მაინც არ დაიმალება. ანდა, როგორც ერთ ჩემ ადრინდელ ნარკვევში ვწერდი, რა დიდი ლარი და ხაზი სჭირდება, ვთქვათ, ზუგდიდის, გალის,



ოჩამჩირის თუ გულრიფშის მოსახლეობის მსგავსების და-  
ნახვას? რა ისეთი მკვეთრი ზღვარია ამათ სიმღერებსა,  
ცეკვებსა, წეს-ჩვეულებებსა თუ ხასიათებს შორის? რა  
ისეთი უფსკრული ძვეს სი-ვარადასა, ა-ზარსა თუ ჩელას  
შორის, რომლის ამოვსება ვითომცდა ვერაფრით ვერ ხე-  
რხდება? არაფერი, გარდა იმისა, რომ „აფხაზობა“ დროთა  
ვითარებაში პრივილეგიად აქციეს. ეს არის და ეს. აქ არის  
ძალის თავი დამარხული!

აფხაზეთში ასეთი ანეკდოტი დადის: აფხაზს ეკ-  
ითხებიან, რა პროფესიის ბრძანდებითო და გაკვირვებუ-  
ლი პასუხობს: Я \_ Аджарца! დიახ, აფხაზობა ვერაგულად,  
გამიზნულად კარგა ხანია პრივილეგიად არის ქვეული,  
ხოლო პრივილეგიებს, კარგად მოგვეხსენება, როგორ  
არის დახარბებული ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის ზოგიერთი  
წარმომადგენელი. პრივილეგია უგამოცდოდ უმაღლეს-  
ში ჩარიცხვის, პრივილეგია დეპუტატობის, პრივილეგია  
რაიკომის მდივნობის, მაღალი თანამდებობის, უფროსო-  
ბის და ათასი სხვა მსხვილმანი თუ წვრილმანი შეღავათი  
(ადრე, პრივილეგია ჯარში არ წაყვანის და ა. შ.), ანუ, რო-  
გორც ძველად, ახლაც მატერიალურ სიკეთეს ვერა და ვერ  
შელევიან ჩვენი თვისტომნი. აფხაზობა, უფრო სწორად,  
აფსუობა კი ამ „კაი ცხოვრების“ გარანტიაა (ერთი ჩემი  
მეგობრის ახლობელი, ოჩამჩირელი ახალგაზრდა კაცი ამ  
რამდენიმე ხნის წინათ მეუბნებოდა, წლების განმავლობა-  
ში უსამსახუროდ ვიყავი. არ მაძლევდნენ ადგილს. არადა,  
ოჩამჩირეში ვცხოვრობ, იქ დავიბადე, გავიზარდე. სხვაგან  
არსად არ მიწადა წასვლა. ავდექი და პასპორტში აფხაზ-  
ად ჩავეწერე. მაშინვე პარტიამიც მიმიღეს და სამსახურიც  
მყისვე გამოიძებნა ჩემთვისო. და ეს ახალგაზრდა კაცი  
სულაც არ არის გამოჩაქვნილი ამ ბოლო ათწლეულებში!).

დიახ, როჭიკისთვის, ულუფისთვის სულგაყიდულები  
არ გვაკლდნენ არც ძველად და არც ახლა. როჭიკისთვის  
ანუ ულუფისთვის მიყვებოდნენ ხოლმე ხან ხონთქარს,  
ხან ყაენს და ხანაც რუსთ ხელმწიფეს. იგივე ხდება ახლა  
ცოტათი განსხვავებული ფორმით, მაგრამ არსი ერთია.  
ამასთან, ახლა ეროვნების თუ რჯულის შეუცვლელადაც  
ახერხებს ზოგ-ზოგი გაყიდოს თავისი ბედკრული სამშობ-  
ლოს მიწა-წყალი ფიორ-ფიორ, ნაწილ-ნაწილ და სასჯე-  
ლის ნაცვლად ერთი თბილი, სარფიანი ადგილიდან მეორე,  
არანაკლებ თბილ და სარფიან ადგილზე მოყუჩდეს, რო-  
გორც ნომენკლატურული პირი. ამ იუდა ისკარიოტელები-  
სთვის ყოველგვარი დემოკრატია, თუნდაც მოჩვენებითი  
– მომაკვდინებელია. ამიტომაც გატრუნულნი, კბილების  
ჩუმი კრაჭუნით ელოდებიან თავიანთ ჟამს, ელოდებიან იმ  
ნანატრ დროს, როცა შესძლებენ ანგარიში გაუსწორონ ამ  
„პერესტროიკით“, საჯაროობითა და დემოკრატიით გა-  
თამამებულ წინამასწარა, უჩინო და ურანგო „ვიაპატრი-  
ოტებს“, როგორადაც იყვნენ და არიან ისინი შერაცხილი  
ოფიციალის და ე. წ. პარტიული ელიტის მიერ. ასეთები  
იყვნენ „ახკომში“ 9 აპრილამდე გამოგზავნილ წერილებში  
ბოლშევიკურ რეპრესიებზე მეოცნებენი, ინტელიგენციის  
გაჟუჟვას რომ მოითხოვდნენ: ასეთი იყო ის ვიგინდარა,  
ერთი ახლა გაზი მიმაშვებინა ამათთვისო, რომ ნატრობდა  
მთავრობის სახლის წინ, 1978 წლის 14 აპრილს შეკრებილ  
ახალგაზრდებზე, იმ ახალგაზრდებზე, ხელში სახელდახე-  
ლო პლაკატები რომ ეჭირათ, რომლებზეც „აი ია“, „დედა  
ენა“ და ამდაგვარი „ლოზუნგები“ ეწერა. განა ჩვენს

თვალწინ არ ხდება ზოგი მათგანის მეტამორფოზა, იმათი,  
ვინც ჯერ კიდევ გუშინ თითს გვიქნევდა „მაღალი“ ტრი-  
ბუნებიდან და პრესის თუ ტელევიზიის მეშვეობით ერის  
მტრებად გვრაცხდა იმ სიმართლის თქმისთვის, რასაც  
ახლა თავად „ქადაგებს“ იმავე ტრიბუნებიდან – „მგზნე-  
ბარე პატრიოტის“ პოზაში მდგარი! და, რაც უფრო სა-  
გულისხმოა, ასეთებს ვაგლახად სიტყვას ვერც შეუბრუნებ  
„პატრიოტულ თემაზე“. ისინი სულიერად თანაზიარნი  
არიან თავიანთი „აფხაზი“ კოლეგებისა, ისევ ისე ძველე-  
ბურად პოსტებზე წამოჭიმულნი, ფარულად თუ აშკარად  
რომ ეწვეიან თავიანთ შავბნელ საქმიანობას.

...ერს, მცირე იქნება ის თუ მრავალრიცხოვანი,  
რომელიც ეროვნული თავისუფლებისა და თვითგა-  
მორკვევისთვის იბრძვის, ბუნებრივია, მოკავშირედ ჰყავს  
ამავე მიზნებისთვის მებრძოლი სხვა ხალხები. ბუნე-  
ბრივი მოკავშირენი უნდა ყოფილიყვნენ ჩვენთვის თუნ-  
დაც მცირერიცხოვანი აფსუები, აფხაზეთად წოდებულნი,  
თუნდაც ოსები, თუკი ისინი მართლაცდა თავისი ხალხის  
ბედ-იღბლით არიან დაინტერესებულნი.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ, ქართველები, მა-  
ვან აფსუათა განცხადების თანახმად, ხელს ვუშლით მათ  
გარუსებაში, თვითმყოფობის დაკარგვის საფრთხის წინაშე  
მდგართ, წინ ველობებით, ეს კი, ჩანს, ქვეცნობიერ ბოლ-  
მასა და ღვარძლს ზადებს მათში. შენ იბრძვი, მამასადამე,  
შენ შანსი გაქვს გადარჩენის, მამასადამე, შენ ერი ხარ.  
მე კიდევ არა მაქვს ეროვნულობის არანაირი სურვილი,  
რამეთუ ჩემთვის მთავარია შევინარჩუნო ის უპირატესი  
თანამდებობრივი მდგომარეობა, რაც მომანიჭა ხელისუ-  
ფლებამ შენთან ჯიბრში და შენი გამოისობით, შევინარჩუ-  
ნო ჩემი მატერიალური სიკეთე, უზრუნველყოფილებისა  
და პიროვნული თვითკმაყოფილების გრძნობა, თუნდაც  
ამბიციები დავარქვათ ამას. შენ კი ხელს მიშლი ამაში, ე.  
ი. მტერი ხარ ჩემი! ამას ემატება ქვეცნობიერი შურიც:  
აჰა, შენ შეიძლება გადარჩე, ე. ი. შენ მჯობნისარ მე? ჰკა  
მაგას!

ამასთან, მოქმედებდა და დღემდე მოქმედებს, ასე  
ვთქვათ, არაკეთილშობილური ნაკადი ცნობიერებისა:  
მოსკოვიდან მხარდაჭერის იმედით „დაბალ ლობედ“ მიჩნე-  
ვა საქართველოსი! დიახ, დიახ – საქართველოს შეიძლება  
გადაუარო, გადათელო, წაღეკო, დააქუცმაცო, გამკითხა-  
ვი მაინც არავინ იქნებაო. ცენტრის მორჩილი საქართვე-  
ლოს მთავრობა ვერ გაბედავს ხმის ამოღებას, ვერ და-  
იცავს რესპუბლიკის ინტერესებს, ვინაიდან ეს ცენტრს  
ხელს არ აძლევს.

არის კიდევ ერთი გარემოება: პანისლამიზმს სრულე-  
ბითაც არ დაუთმია პოზიცია ამ ბოლო ათწლეულებში.  
პირიქით, იგი შეტევაზეა გადმოსული და, მამასადამე, არც  
იმ ე. წ. ეფემერულ ილუზიაზე – კავკასიის ჩრდ. დასავ-  
ლეთით ისლამური რესპუბლიკის შექმნაზე – აუღია ხელი.  
ყოველივე ეს კი, ერთ-ერთი, თუ გადამწყვეტი არა, ძირ-  
ითადი კოზირი გახლავთ აფხაზურ „სინდრომში“.

შემდეგ: სიძულვილსაც „საბუთები“, მტკიცებანი  
სჭირდება – მოსაჩვენებელი იქნება ეს თუ „რეალური“. აფხაზთა მხრიდან, როგორც ცნობილია, ერთი უმთავრე-  
სი ბრალდებათაგანია სტალინისა და ბერიას ბოროტმოქ-  
მედებანი მათ მიმართ. აფხაზეთში პარტიულმა კადრებ-  
მა რომ ერთმანეთი ამოჟლიტეს – ეს ხელისუფლებას კი  
არა, ქართველ ერს ბრალდება, რაკი სტალინი და ბერია

წარმოშობით ქართველები არიან. საინტერესოა ერთი გარემოებაც – აფხაზეთი თურმე ერთადერთი კუთხეა, სადაც პარტიულ კადრებს არანაირი დანაშაული არ მიუძღვით საკუთარი ხალხის წინაშე. ისინი, ასე ვთქვათ, „უცოდველები“ არიან იმ რეპრესიებში, აფხაზეთში რომ დატრიალდა. ეშხასა და ლაკობას შორისაც თურმე არანაირი კონფლიქტი არ არსებობდა და არც ერთმანეთს აბეზღებდნენ – ისინი თურმე სრული „თანხმობით“, ბოლშევიკურად „იღვწოდნენ“ ხალხის საკეთილდღეოდ!

ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლების და ბოლშევიკური პარტიის ყველანაირი ცოდო-ბრალი ჩვენმა თანამომემებმა ქართველ ერს აპკიდეს ზურგზე, მხედველობაში, რა თქმა უნდა, არაა მიღებული ქართველობის დანაკლისი მთელ იმ სამიწელ ბაქანალიაში. ნათქვამია, თუ კაცს არ უნდა, რიყეზე ქვას არ დაინახავსო. ქვებს ვინ ჩივის, ჩვენი მოძმეები ლოდებსაც ვერ ამჩნევენ და მთებსაც, რამეთუ ქართველი ერის უმძიმესი დანაკარგის დანახვა და კონსტანტაცია ვერაფერიშვილი არგუმენტი იქნება დაპროგრამებული სიძულვილის განსამტკიცებლად. აფსუთა უმეტესობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია გახლავთ ისიც, ჩვენს ტერიტორიაზე ქართველებს ასახლებნო. ისე გამოდის, რომ საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში დასახლების უფლება ყველასა აქვს ქართველის გარდა. არადა, დროა ყველამ უწყოდეს – ქართველს საქართველოში, რომელი კუთხეც არ უნდა იყოს, არ სჭირდება არავის ნებართვა დასახლებლად. ისე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ჩემი წინაპრები ოდითგან მკვიდრობდნენ იქ, სადაც ახლა ცხოვრობენ, ე. წ. სამურზაყანოში, ანუ საბუდინოში და თუ საჭიროებამ მოითხოვა, უნდათ, გაგრის ზონაში დაიდებენ ბინას და, უნდათ – სიღნაღის რაიონში. მაგრამ ისე, ზოგი აფსუთას გასაგონად დავქენ: დღევანდელი აფხაზეთის მინა-წყალზე მითაჟამიდან უცხოვრიათ სვანებს და ზანურენოვან ტომებს (და იცხოვრებს კიდევ მომავალში). ამის დასტურია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისტორიული წყაროები, „ქართლის ცხოვრება“, – უტყუარი და მართალი დოკუმენტები, რომლის ცოდნასაც ესოდენ უგულუბელყოფენ, უფრო სწორად, გაურბიან პატივცემული ისტორიკოსები აფხაზეთიდან, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე – ტოპონიმიკა, რომელიც აბსოლუტურად მეგრულ-ლაზურ-სვანურია!

ერთ-ერთი ბრალდება აფსუთა მხრიდან გახლავთ აგრეთვე ის, რომ ქართველებმა მათ თურმე ეროვნული სკოლები დაუხურეს, რომ 1946 წელს მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის თანახმად აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ქართული ენის სწავლება შემოიღეს, რაც ნიშნავდა თურმე ყველა აფხაზური სკოლის დახურვას და მათ შემდგომ ქართულ ენაზე გადაყვანას, ხოლო სტალინის სიკვდილის შემდეგ აფხაზეთს დაუბრუნეს თითქოს მისი ენა – აფხაზური, უფრო სწორად, აბაზინური. როგორც ცნობილია, ამ აქციის გამო ბოდიშის მოხდაც მოითხოვა ქართველების მხრიდან ბატონმა ჰოიტიმ (არც მეტი, არც ნაკლები, ქართველ ერს და არა მთავრობას მოსთხოვა აფხაზების წინაშე ბოდიშის მოხდა).

მე ვეკითხები „აფხაზი“ ინტელიგენციის გარკვეულ ჯგუფს, იმით, ვინც ამკარად თუ ფარულად აქეზებს თავის თანამომემებს ქართველების წინააღმდეგ:

თუკი ისინი მართლა არიან ძველი აფხაზების შთამო-

მავალნი, რატომ აქვთ ალერგია იმ ენისადმი, რომელიც ათასი წლის წინათ მათი სახელმწიფოებრივი ენა იყო, კულტურისა და რელიგიის ენა იყო და რომელ ენაზეც, სხვათა შორის, ლექსებს წერდა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი გიორგი შარვაშიძე? და შემდეგ: სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, აფხაზეთის სამთავროზე და, საერთოდ, ამ კუთხის ისტორიაზე ცნობები ხომ, უპირველეს ყოვლისა, ქართულ ენაზე დაწერილ წყაროებში და, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში“ შემონახული? და შემდეგ: თუკი არ თავილობენ თავიანთ დედა ენას დაარქვან „ანბან“, დიახ, სწორედ ასე: „ანბან“-ი, თუკი არ თავილობენ ბევრი ქართული ტერმინოლოგიის და სიტყვის ხმარებას, მათ შორის არის „ადგილიც“, – „აიდგილარას“ ლიდერებს ვთხოვდი, განემარტათ, სანამ აფხაზური უფრო სწორად, აბაზინური ენაზე საშუალო სკოლა შეიქმნებოდა (რომლის წინააღმდეგი თავად არიან), რა ისეთი მიუტყვებელი დანაშაული, რა კრიმინალი იყო იმაში, რომ, როგორც ჭემ-მარიტ აფხაზებს, ისე გააფსუებულეს ანდა სუფთა წყლის აფსუებს, შეესწავლათ ქართული ენა? ენა, რომლის დამკვიდრებისთვის იბრძოდა ლეონ II, რომელ ენაზეც არის წარწერები თავად ლიხნის ტაძარზე, სხვებს რომ თავი დავანებოთ? ეგებ, ერთი ნაკანრი მანც მოუთითონ სადმე რომელიმე ადილურ ენაზე? მაშინ, როცა არამცთუ აფხაზეთში – საქართველოს ამ განუყოფელ კუთხეში, არამედ ჩრ. კავკასიის ტაძრების ნანგრევებზე არაერთი ქართული წარწერაა დაფიქსირებული. ეგებ ესეც ქართველების „დანაშაულზე“ მეტყველებს?. ან ეგების გაუჭირდებათ ქართულ ასო-ნიშნითა: ნ, ყ, ჭ, ჯ, თ-ს და მისთანათა გამოთქმა, რასაც ახლა ესოდენ „უადვილებს“ თურმე მათ დამახინჯებული რუსული ალფავიტი? ნაცვლად იმისა, რომ მართლა ეზრუნათ აფხაზური სკოლებისთვის, აფსუა და, აგრეთვე, ოსი ინტელიგენციის ნაწილიც ამჯობინებდა და დღესაც ამჯობინებს მთელი თავიანთი, ასე ვთქვათ, მქეფარე ენერგია და უნარი, მთელი თავიანთი ძალისხმევა წარმართონ ყოველივე ქართულის საწინააღმდეგოდ, ოღონდაც როგორმე ქართველობა გააშავონ, ოღონდაც როგორმე „მჩაგვრელ და დამპყრობელ“ ერად წარმოაჩინონ მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე – ამ „ბრწყინვალე“ მიზნისთვის არაფერს ერიდებიან, არანაირ სიყალბეს, სიცრუეს, ფაქტების დამახინჯებას, დეზინფორმაციას. ის, რომ პირველი ე. წ. აფხაზური (უფრო ზუსტად – აბაზინურ-აფსუური) ანბანის შემდგენელი სწორედ ქართველი დიმიტრი გულია იყო, რომ პირველად ქართველმა იაკობ გოგებაშვილმა მოითხოვა, დაწყებით კლასებში სწავლება „აფხაზურ“ – აბაზინურ ენაზე ყოფილიყო – ამ ფაქტების გახსენება არამც და არამც ხელს არ აძლევთ ექსტრემისტებს და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მზად არიან კვლავაც სიცრუითა და სიყალბით კვებონ არა მარტო თავიანთი გულუბრყვილო თანატომელები, არამედ მთელი მსოფლიო შეიყვანონ შეცდომაში. ამისთვის მარტო 120 წლის ბებია ასინეთს კი არ იყენებენ მხოლოდ, არამედ გახაზირებული ჰყავთ დაქირავებული „მეცნიერები“ – მათ შორის თავიანთი ძვირფასი სიძე ჰოიტიც! ხოლო ის, რომ ჩვენი მეფეების ტიტულატურა ადილურ ენაზე მოლაპარაკე რომელიმე ტომის სახელწოდებით არ შეიძლებოდა დაწყებულიყო – მსგავსი რამ არსად, არასდროს მოხდა-რა მსოფლიოში – ცხადზე უცხადესია. ქართლის მემა-

ტიანეებმა ისიც მშვენივრად უწყოდნენ თუ რას ნიშნავდა, როცა წერდნენ – აფსართა ენაზე ეწოდა გიორგის ლამას სახელიო. მემატინეს რომ დაეწერა აფხაზთა ენაზეო, ეს იგივეს ნიშნავდა – ქართველურ ენაზეო, რადგან ძველი აფხაზური ისეთივე ქართველური ენაა, როგორც მეგრული, ჭანური, სვანური, ანუ კოლხური და ა. შ. (ადილეურ ენაზე სახელის დარქმევა უფლისწულისთვის, ცხადია, დიპლომატიური და, ამასთან, კეთილგანწყობის უქსტი გახლდათ ჩრ. კავკასიელი ტომების მიმართ!).

...ეთონიმი „აფხაზი“, აკად. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, კულტურულ-ისტორიულად საქართველოში იმდენადვე (და არა უფრო მეტად) არსებობდა, რამდენადაც ქართი, ჰერი, კახი, მესხი, ჯავახი, კლარჯი, ეგრი, სვანი და სხვა. რომ ფეოდალური აფხაზეთი მხოლოდ ქართული შეიძლება ყოფილიყო, რომ აფხაზეთი კულტურულ-ისტორიულად „ქართველი იყო“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII. 1956 წ. გვ. 280).

როგორც არაერთხელ თქმულა, დღევანდელი აფხაზეთის ტოპონიმების აბსოლუტური უმეტესობა სვანურ-მეგრულით იშიფრება, რაც უტყუარად აფიქსირებს, ვინ ბინადრობდა ამ ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან, უფრო სწორად, ისტორიულად მოსახილველ ეპოქებში, ხოლო მანამდე თუ შემდეგაც ვინ გაიარა-გამოიარა ამ ტერიტორიებზე, ვინ რა კვალი დატოვა (ან დატოვა კი?), ჰიპოთეზების დონეზე რჩება მხოლოდ. და ზოგი ჩვენ ისტორიკოსი, სანამ რომელიმე თეორიას თუ კონცეფციას გაიზრებდეს, იქნებ ჯობს, პ. ინგოროყვას დარად ჩანვდეს და გაერკვეს ქართველური ენების სტრუქტურაში, იცოდეს და სათანადოდ მოიმარჯვებდეს ხოლმე სვანურ-მეგრულს სიმართლის დასადგენად (სხვათა შორის, როცა დასჭირდა, ნ. მარმა ერთ კვირაში შეისწავლა ორივე!).

ეთნიკური პრობლემები ამ რეგიონში, როგორც ცნობილია, ჩნდება სწორედ რუსეთის გაბატონების შემდეგ. თანმიმდევრულად, მეთოდურად, ვერაგული ხრიკებითა და ფანდებით ატარებდა იგი „დაპყავი და იბატონეს“ პოლიტიკას. ცარიზმი და შემდეგ ბოლშევიკური იმპერია ყოველნაირად ცდილობდა ეთნიკურად განსხვავებულ კავკასიელთა ურთიერთდაპირისპირებით მიეღწია თავისი მიზნისთვის. აკი შვერახმელი ვოსტოროგოვი პირდაპირ წერდა: „სამწუხაროდ, მათ, ქართველებს აქვთ ტრადიცია, ეროვნული თვითშეგნება, მაგრამ ჩვენ ყველგან ვცდილობდით, რომ ძმა აღმდგარიყო ძმის წინააღმდეგ, ტომი-ტომის წინააღმდეგ“-ო. სწორედ ამ ძალებმა სხვადასხვანაირი მანიპულაციით, ხელოვნურად შეაკონინეს „სოციალისტური აფხაზი ერი“.

...ქართველი საზოგადოების სურვილი იყო და დღესაც არის, გაიმართოს დიალოგი ორ მხარეს შორის (რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც საკადრისი მიეზღვებათ დამნაშავეებს), გაიმართოს მრგვალი მაგიდა, რომელსაც მიუსხდებიან როგორც ქართველი, ისე აფხაზი ისტორიკოსები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, კავკასიოლოგები როგორც საბჭოთა კავშირიდან, ისე საზღვარგარეთიდან. ერთი სიტყვით, შედგეს „არბიტრაჟი“ და ბოლოს და ბოლოს გაირკვეს ის საკითხები, რაც ორივე მხარეს აინტერესებს, გაირკვეს – ვის რა პრეტენზია აქვს და რატომ — რა საფუძველზე, რა მოტივებზეა, ასე ვთქ-

ვით, აგებული ეს მოთხოვნები? რა არგუმენტები გააჩნია ორივე მხარეს და ა. შ. სხვათა შორის, ეს მიზნები ამოძრავებდა ი. ჭავჭავაძის საზოგადოებას, როცა მიტინგები ჩაატარა როგორც შარშან, დეკემბერში, სოხუმში, ისე წლეულს, 25 მარტსა და აპრილის თვეში. ვინაიდან, ვინმეს სურს თუ არა ეს, ხელს აძლევს თუ არა, ამ ორმა ხალხმა ერთმანეთის გვერდიგვერდ უნდა იცხოვროს ქართულ მიწა-წყალზე თუ სიყვარულით არა, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთშემწყნარებლობის გრძნობით მაინც. ერთ-ერთი ინიციატორთაგანი სოხუმში ამ მიტინგებისა გახლდათ სწორედ ვოვა ვეკუა, კაცი, რომელიც ძმობისკენ, მეგობრობისკენ, დიალოგისკენ მოუწოდებდა აფხაზებსაც და ქართველებსაც, ამასთან პრინციპული, მტკიცე და ბოლომდე ერთგული იყო თავისი მრწამსისა. სწორედ იგი მოიკლა აფხაზი ექსტრემისტების მიერ, სწორედ იგი არ დაინდეს გარეუბრებმა, თავი გაუჩვენეს სასიკვდილოდ იმას, ვინც გამშველებლად, მოზავედ ჩადგა გააფთრებულ, ვეულურ ბრბოში!

...ისევ ვეკითხები აფსუა ლიდერებს, მათ შორის ბატონ ა. გაგუას, ვ. არძინბას და სხვებს: რატომ იყვნენ (და დღესაც არიან) კატეგორიული წინააღმდეგი მრგვალი მაგიდისა, დიალოგისა ქართველებთან? დავიჯერო, ისე დარწმუნებული ბრძანდებიან თავიანთ „სიმართლეში“, რომ დიალოგს შეურიგებლობა, კონფრონტაცია ურჩევნიათ? ანუ: თავიანთი ღირსების დამცირებლად მიაჩნიათ დიალოგის გამართვა „დამპყრობლებთან“ და ამჯობინებენ დაბალ ლობედ მიჩნეული ამ „მწავრელი“ ერის დაბეზლებას საკავშირო მთავრობისა თუ მსოფლიოს წინაშე? ამჯობინებენ ზურგში მახვილის ჩაცემას იმ ერისთვის, რომელიც ცდილობს, თავი გადაირჩინოს და ამ ბრძოლით ობიექტურად ეხილება სხვებსაც, ანუ ჭეშმარიტ მამულიშვილებს?

თუმცა, ბატონი ა. ჩოჩიევის „დოქტრინით“, პოლიტიკური ძმობა არ არსებობს ხალხებს შორის. მაშინ ეგებ ჩვენც მიგვებაძა ჩოჩიევის და მის მსგავს „ფილოსოფოსთათვის“ და ჩვენც გვეთქვა: რაკი ასეა, თქვენი პოლიტიკური საყრდენი ეძებეთ თქვენსავე მკვიდრ მიწა-წყალზე და ჩვენ თავი დაგვანებეთ!

დასასრულ, დავესხებები ი. ანთელავას სიტყვებს მისი წერილიდან, „მამულში“ რომ გამოაქვეყნა: „კონფრონტაციისა და შემდგომი მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად იქნებ ჯობდეს ქართულს ქართული დაერქვას და აფხაზურს – აფხაზური. ნამდვილი, ისტორიული და ეთნიკური აფხაზეთი ხომ ყოველთვის იყო გუდაუთის რეგიონი, სადაც ისინი წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ მოსახლეობის შედარებით უმრავლესობას. იქნებ არც ისაა შემთხვევითი, რომ სწორედ გუდაუთა აფხაზური ექსტრემისტების პუდე“.

წინასწარვე ვაცხადებ იმათთვის, ვინც მიჩვეულია იარლიყების მიკერებას – ჩვენში ხომ უხვად ვარიგებდით და დღესაც „ინერციით“ გრძელდება დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით ადამიანის შემკობა (თუმცა ოფიციალურად რა გასაკვირია, როცა ჩვენი ე. წ. არაფორმალურ გაერთიანებათა ზოგიერთი წარმომადგენელიც არ თაკილობს ამ უმსგავსობას და, ვინც თუნდ ოდნავდაც არ ეთანხმება მათ მოსაზრებას, მაშინვე გამზადებულია მისთვის სათანადო იარლიყი. როგორც

ჩანს, უკვალოდ არ ჩაუვლია ტოტალიტარიზმს თუნდაც მის მონინალმდეგეთა ცნობიერებაშიც. ანდა შესაძლოა, აქ უფრო ღრმა ფესვებია ჩამარხული, უფრო შეფარული ნაკადები მოქმედებენ, მაგრამ ამაზე სხვა დროს!

დიახ, ამ მეთარლიყეთა გასაგონად საქვეყნოდ და ხმამაღლა ვაცხადებ: არა ვარ ვინმეს დაჩავგრის მომხრე, პრინციპულად მონინალმდეგე გახლავართ ვინმესი, მით უმეტეს, მოძმე ხალხის უფლებების შელახვისა, როგორი მცირერიცხოვანიც იყოს იგი. მით უფრო, ღმერთმა დამიფაროს სიძულვილის გრძნობისგან, მაგრამ მიმაჩნია და მტკიცედ მწამს, რომ ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს ამ ცისქვეშეთში. ყველას უნდა მიეცეს მხოლოდ ის, რაც მას ჭეშმარიტად ეკუთვნის. კეისარს კეისრისაო, ბრძანებს უფალი.

...დიდი რუსი მწერალი და ფილოსოფოსი ა. ბელი წერს: „ხშირად მსმენია თითქოს თავაშვებული ქართველები ავიწროებენ რუსებს: არ ვიცი, არსად მინახავს ასეთი რამ... ქართველი ერი დარჩა ჩემს ხსოვნაში, როგორც უმშვენიერესი, სიცოცხლით სავსე ერი, რომელიც ათავსებს უძველეს კულტურას (ო, ჩვენსაზე გაცილებით ძველს) დიდებულ მომავალთან. შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, როდესაც ვისმენ დღემდე მოარულ უღაზათო ანეკდოტებს, სადაც დასცილიან „აღმოსავლელ ხალხს“. ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ ქართველებისგან: ტაქტი, გულითადადობა, თავშეკავება, რომელიც შერწყმულია ჭეშმარიტ და არა სასაცილო პირდაპირობასთან. როდესაც მე მესაუბრებიან ქართველთა „ნაციონალიზმზე“, მე ყურს არ ვუგდებ, ვგრძნობ დაფარულ „რუსულ მახათს“, ეს დამალული წვეტია ნამდვილი რუსული „რქისა“. ქართული „რქები“ მე არ მინახავს; მე მინახავს სხვაგვარი რქები: მათი ყანწები, რომლითაც, ძველი ჩვეულების თანახმად, ღვინოს შეექცევიან მეგობრულ საუბარში. რუსებთან ქართველებს ძლიერ მეგობრული დამოკიდებულება აქვთ. ჩვენი ხელოვნების მეშვეობით, პუშკინის, ვრუბელის, ლერმონტოვის მეშვეობით – ჩვენ უკვე ძმადნაფიცები ვართ; ვისაც ისინი უყვარს – საქართველოც უყვარს, ვისაც საქართველო უყვარს, ის ახლოს არის ქართველის გულთან. ასე რომ, როდესაც მესმის, თითქოს ქართველები ვინმეს ავიწროებენ, ვფიქრობ, „სხვას ნურას აბრალებ, ძმაო, თუ თავად მახინჯი ცხვირ-პირი გაქვს...“

ხომ ცხადზე უცხადესია, ჩვენში შემოხიზნულთაგან ერთადერთი ერი ებრაელობაა, რომელსაც რაიმე პრეტენზია არ გამოუცხადებია საქართველოს მიმართ, არც მისი ტერიტორიის მითვისება უცდია, არც სხვა რამ უმადურობა გამოუჩენია მასპინძელი ხალხისადმი, რომელმაც იგი შეიფარა და ვისთანაც გვერდიგვერდ ძმურად იზიარებდა ჭირსა და ღვინოს 26 საუკუნის განმავლობაში. თუმცა, ეს ფაქტიც კი აღიზიანებთ ჩვენს მოძულეებს, ამ მოვლენაშიც ცდილობენ, რაღაც ქვენა აზრები თუ გრძნობები გამოჩნდნენ, ანუ თავიანთი ცივამტკავლური გონებით ზომავენ ყოველივე კეთილსა და მშვენიერს, იმას, რაც მიუწვდომელია მათი მდაბალი სულისთვის.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ამდენი ლალატის, ვერაგობის, გაუტანლობის, სისასტიკის ფონზე ქართველი ერი თავისი შინაგანი ბუნებით, გულისგულში მოყვას ერად რჩება. იგი მოკლებულია სიძულვილის გრძნობას იმათ მიმართ, ვინც ამდენი უბედურება დაატეხა თავს და ვინც

პირდაპირ გამზადებულია, ყოველ ხელსაყრელ მომენტში ზურგში დანა ჩასცეს. აკი, უძველესი დროიდანვე ცნობილი იყო ქართველი ერის ეს განსაკუთრებული თვისება. ჯერ კიდევ მე-11-13 საუკუნეებში მისი სწორუპოვარი შვილები იჩენდნენ ტოლერანტიზმს და ამით გამოირჩეოდნენ სწორედ დასავლეთით თუ აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების წარმომადგენელთაგან, კაცთმოძულეობისა და რჯულთშეუწყნარებლობის ნიშნებს რომ იძლეოდნენ თანამედროვე თუ მომდევნო თაობათა თვალში.

შესანიშნავად აქვს დანახული ჩვენი ერის ეს თვისება გერმანელ ქალს ლინა ლიზისაც, რომლის სიტყვებითაც მინდა დავამთავრო ეს, შესაძლოა, ცოტა აბურდულ-დაბურდული წერილი, წერილი, რომლის დამთავრებას თითქმის სამი თვე მოეუწინა, რადგან ერთობ გამიჭირდა მომეთოკა ემოციები. საშინლად მტკივნეული აღმოჩნდა ჩემთვის (როგორც, ალბათ, ბევრი სხვისთვისაც) აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია (სხვებზე რომ არაფერი ვთქვა!), ვითარცა სამურზაყანოს მკვიდრისთვის, წერილი, რომელიც შეიძლება საერთოდ არც დაიბეჭდოს მიზეზთა გამო. მაშ ასე, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, როგორ აფასებს, როგორ აღიქვამს გერმანელი ქალი ქართულ ხასიათს, მის უშინაგანეს თვისებას:

„ჩვენსა და... ქართველებს შორის დიდი განსხვავებაა... ჩვენ შეგუებული ვართ ბედისწერას და ვემორჩილებით მას. ქართველებს შეუძლიათ ტრანსფორმირება, შეუძლიათ ბედისწერის გვერდის ავლა. შეუძლიათ გასაჭირს გაუძლონ, მათი დაჩაგვრა შეუძლებელია. შეიძლება მათი ქვეყანა დაიპყრო, მაგრამ მათ ვერ დაიმორჩილებ. მათი ენა და სული მათი ცხოვრების უმადლესი ინტელიგენტურობის გამოსახულებაა. მათი მუსიკაც ამაზე მეტყველებს. მათი სული ისე წმინდა და ნათელია, ისეთი ღრმა სპირიტუალურია, რომ წარმოდგენელია მათი დამორჩილება. ისინი სულით ცხოვრობენ და არა გონებით. მაგრამ ეს არ მეტყველებს იმაზე, რომ მათ ინტელიგენტურობა აკლიათ. პირიქით, მათ მაღალი ინტელიგენტურობა აქვთ, სულის ინტელიგენტურობა, სიცოცხლის ინტელიგენტურობა. თუნდაც ის საოცარი უნარი ადამიანში, ყველა ადამიანში დანახონ მოკეთე. საოცარია. ქართველ ხალხს განსაკუთრებული მისია აკისრია – სიყვარულის მისია. მათი ენა მათი სიყვარულის მისიის, გულის ანარეკლია. ბევრი ვერ გაუგებს ქართველს. მე კი მგონია, მსგავსი ხალხი არსად არ არის“.

მთელ ამ გრძელ ციტატაში გამოყოფილი სწორედ იმ აზრს, რომ ქართველ ხალხს სიყვარულის მისია აკისრია ამქვეყნად. გეორგიანელთა მოდგმამ დასაბამიდანვე უწყობდა ქართველ ტომთა ამ მისიის შესახებ. ჩემი აზრით, დროა გავიხსენოთ იგი. დროა გავიხსენოთ, რომ ყველანი ტოტები ვართ ერთი დიდი მძლავრი მუხისა, იბერიულ-კავკასიური ოჯახი რომ ჰქვია. ამ წერილისთვისაც შემთხვევით არ შემირჩევია სათაური, რადგან ვიტოვებ იმედს, რომ გზაბნეული შვილები კოლხ-იბერიულ-კავკასიური მოდგმისა დაუბრუნდებიან თავიანთ დიდ წიაღს, თუკი გადარჩენა სურთ – სულიერი იქნება ეს თუ, გნებავთ, ფიზიკური, რამეთუ, „ყოველმან ხემან, რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“.

1989 წ.

ჟურნალი „ცისკარი“

1990 წ.

ნინო ბაქანიძე

### ფლავის სურნელი

ნოემბრის ცივი, სევდიანი დილა იდგა. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში საკვირაო დილის წირვა ისიც იყო მთავრებოდა, როცა ეკლესიის კარი ვიღაცამ ფრთხილად შემოაღო და ზღურბლიდანვე გამალებით შეუდგა მრევლის თვალთვლებას, თუმცა სანთლების ლიცილიცი და ხალხის სიმრავლე შეუძლებელს ხდიდა ვინმე კონკრეტულის გამოჩენას, მით უფრო ზურგიდან. მამაკაცი უჩუმრად მიდგა კუთხეში და მოთმინებით დაელოდა წირვის დასრულებას. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, ერთი ადამიანიც არ შემობრუნებულა. სამაგიეროდ უცნობის გამოჩენა მხედველობიდან არ გამოპარვია ეკლესიის მოხუც მსახურს, რომელიც იმავე ბნელ კუთხეში მიყუჟულიყო. იგი გაოცებით აკვირდებოდა უცნაურ სტუმარს, რომელიც რატომღაც არც პირფარას ინერდა და როგორც ეტყობოდა, არც სანთლის დანთებას აპირებდა.

– ჩაცმულობით შორი გზიდან მოსულსა ჰგავს, – ფიქრობდა მოხუცი მსახური, – სახეს კი წესიერად ვერ ვარჩევ. ნეტა, აქაური თუა?

ამ დროს უცნობი შეტორტმანდა. მსახური მაშინვე გამოსხლტა სიბნელიდან და ხელი შეაშველა. – ნუ გეშინია, შვილო ჩემო, ალბათ სული შეგეხუთა ამ უჭაერობაში. მომყე, კარში გაგიყვან.

მამაკაცმა უხმოდ დაუქნია თავი და მსახურს მკლავზე დაეყრდნო. მან კი უმალ შეამჩნია, რომ მოულოდნელი სტუმარი სიარულისას კოჭლობდა. ჰაერზე უცნობი ოდნავ მოცოცხლდა. მსახურმა იგი ფრთხილად ჩამოსვა იქვე, რომელიღაც საფლავის კიდეზე და მათარით წყალი მიანოდა – მიირთვით, ბატონო, სული მოითქვით, ცოტა კი ცივა, მაგრამ ჰაერი მოგიხდებათ... ისე, აქაური ბრძანდებით, თუ...

– აქაური ვარ, აქაური, – ამოიღულულა უცნობმა, როცა სული მოითქვა და მათარა პატრონს დაუბრუნა – სწორედ დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ძია-კაცო. გადაქანცულობის ბრალია ყველაფერი. წუხანდელს აქეთ გზაში ვარ. ძლივს მოვალნიე სოფლამდე. ასეთმა მიმართვამ ეკლესიის მსახური კვლავ შეაცბუნა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და დაჟინებით განაგრძო – მაინც, ფლაველი ხარ თუ ფლავისმანელი? რავი, ამ ეკლესიაში დავბერდი და რატომ ვერა გცნობ? ოდითგანვე ხომ აქ ამოდის სალოცავად ორივე სოფელი და განა მაინც რომლიდანა ხარ?

უცნობმა აღარაფერი უპასუხა და სასაფლაოს ისე მიმოავლო მზერა, თითქო აქაურობას მართლა პირველად ხედავსო. მოხუცი კი თავად ამ უცნაურ კაცს ათვალთვლებდა. ეს იყო საშუალო სიმაღლის, გახუნებულ, გრძელ ლაბადაში გამოხვეული ორმოც წლამდე მამაკაცი. სახეზე ჩამოზრდილ თმებსა და წვერში მაინც გამოკრთოდა ლამაზი, დახვეწილი ნაკვთები. მარჯვენა ხელში ძველი, შელახული სამგზავრო ჩანთა ჩაებლუჯა, მარჯვენა ხელზე კი ვერცხლის დიდი, უცნაური ჩუქურთმებით დამშვენებული ბეჭედი უჩანდა.

– მოიცა, მოიცა, – და მსახურმა უეცრად შუბლზე იტყვიცა ხელი – ღმერთო ჩემო, თავადო ნიკოლოზ, როგორ ვერ გიცანით?! განა ნიკოლოზ ერისთავი არა ბრძანდებით, კნიაზ ივანე ფილოსოფოსის ვაჟი?...  
უცნობმა ხმა არ გასცა და ბეჭედიანი ხელი ჯიბეში ჩამალა – აქ მართლა ცივა. ნეტა წირვა კიდევ არ დამთავრებულა? –

– ჩაილულულა მცირე ხნის შემდეგ. – როგორც იქნა, გამოჩნდით, – თავისას გაიძახოდა აღელვებული მსახური. – რა ხანია, სოფელს აღარაფერი სმენია თქვენზე. ცოცხალი ყოფილხართ... ოჯახმა იცის, რომ დაბრუნდით?!

ამ დროს ეკლესიიდან ხალხი გამოიშალა. ნიკოლოზი ადგილიდან წამოიჭრა და კოჭლობით სასაფლაოს სიღრმისაკენ დაიძრა. მსახურიც უკან აედევნა – შეჩერდით, ბატონო, დამელოდეთ...

ნიკოლოზი მალალ, ტოტებგაფარჩხულ ბუჩქს მოეფარა და თავის კეთილისმყოფელს ხრინწიანი ხმით წასწორწულა: – ჩუმად, მოხუცო, ჩუმად. უბრალოდ, არ მიინდა ასეთ მდგომარეობაში მნახოს ვინმემ. ამიტომ ერთი სიკეთეც მიყავ. ვიცი, ჩვენებიც აქ იქნებიან. წადი, მონახე ჩემი უფროსი ძმა, გიორგი და ამ ადგილზე მომიყვანე. მერე ჩემზე იყოს, ვალში არ დაგრჩები. ოღონდ იცოდე, კრინტი არავისთან დაძრა და არც არავინ არაფერი შეგამჩნიოს.

– კარგი, ბატონო, როგორც ინებებ. ემ საათში წავალ. – საშინლად აფორიაქებული მოხუცი თავის კანტურით წატუსტუსდა ხალხისაკენ – რა ქნას, ერცხვინება თავისი საქციელისა. სახლში არ მიესვლებოდა და პირდაპირ აქ მოაკითხა ძმასა. – ბუტბუტებდა გზადაგზა – ღმერთო, შენ გვიშველე...

ნიკოლოზი კი ისეთი გაფაციცებით განაგრძობდა მიდამოს თვალთვლებას, თითქოს ეკლესიის სასაფლაოზე კი არა, წარმტაც ბაღნარში იმყოფებო. ამ წუთში ვეღარც დაღლილობას გრძნობდა, ჩამქრალ თვალეში სხივიც კი ჩაუდგა. ხარბად ისუნთქავდა სუსხიანი დილის ჰაერს, მშობლიური სოფლის სურნელს და მალი-მალ ახედავდა საავდროდ ჩამოქუფრულ ზეცას, თითქოს რაღაც მინიშნებების ამოკითხვას ცდილობსო. მერე უეცრად თვითონაც სახე მოეღრუბლა და იქვე, ბუჩქთან ჩაიმუხლა, ფეხის ტკივილმა თუ შეახსენა თავი. – ამ ხალხის დაშლასაც აღარ დაადგა საშველი. – ნიკოლოზს ერთბაშად კვლავ ბრაზი შემოაწვა გულზე, რამაც ერთბაშად გაუნელა მშობლიურ კუთხეში დაბრუნების სიხარული. – დგანან აქა და უაზროდ ლაქლაქებენ. ეეჰ, უსაქმურები, ფარისევლები, ჭორი-



კნები. ისევ იგივე და მუდამ იგივე... სწორად კი მოვიქეცი, რომ დავბრუნდი?! უკვე ვატყობ, დიდხანს ვერ ვიდგომინებ აქა. მთავარია, გიორგი ვნახო. ჯერ-ჯერობით ალბათ მაგას გავყვები მეჯვრისხევში... ჰო, ვინ ამბობს, დამნაშავე ვარ, მართლა ნაძირალასავით მოვიქეცი, მაგრამ ვიცი, ბოლოს მაინც გამიგებს და მაპატიებს. და-ძმებში ეგ მაინც მუდამ სხვანაირი იყო...

როგორც იქნა, ხალხი შეთხელდა. აი, გაჩქარებული ნაბიჯების ხმაც გაისმა და ნიკოლოზმა დაინახა მისკენ მომავალი, სახეგაფითრებული ძმა, რომელსაც წინ ენერგიულად მოუძლოდა ეკლესიის მსახური – აქეთ, ბატონო, აქეთ. აი, იმ ბუჩქთან გელოდებით.

გიორგიმ მოსუცი მოშორებით შეაჩერა. ხელში რაღაც ჩაუჭურთა და უკან გაბრუნება უბრძანა. თავად კი მითითებული ადგილისაკენ გაეშურა. წამიც და ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

– ნიკო, ცოცხალი ხარ, ბიჭო? ეს რა გვიქენი, რა დღეში ჩავყარე... დედა მაინც არ გებრალეობდა?! აი, შე უღმერთო, შე მართლა უღმერთო...

– ჰო, ჰო, გიორგი, ჩემო ძმაო, ჩემო ერთადერთო იმედო, – გულამოძვდარ ნიკოს ცრემლები დაბალუპით სდიოდა თვალთაგან და ვერა ძლებოდა ძმის ხვევანა-კოცნით. მერე, როგორც იყო, დაშოშმინდა და ძლივს გაბედა, სახეში შეეხედა მისთვის – ისევ ისეთი ხარ, ჩემო ძმაო, როგორც დაგტოვე. სხვები?! სომ კარგადაა ყველა?! არც კი ვიცი, მაქვს თუ არა მათი ნახვის უფლება...

გიორგი უეცრად შეცბა. სახეზე ჩრდილმა გადაუარა და მძიმედ ამოიხვნეშა – ეგენი მერე, სჯობს, ნავიდეთ ძმაო, აქ სომ არ ვიდგებით...

ნიკოლოზმა დაბნეულად გადააქნია თავი.

– რა იყო, მამ ნადირივით ხომ არ დაიწყებ მაღვანა? აგე, რა დღეში გხედავ, – დაუტია უცებ გიორგიმ – ეს ეკადრებოდა ჩვენ გვარს? მაგრამ რალა იქნება?! ერთი, როგორმე სახლამდე მივალნით. დაიბან, მოწესრიგდები და მერე ვილაპარაკოთ ყველაფერზედა.

– არა, გიორგი, ეგრე ვერ მოვალ. რა პირით უნდა ვეჩვენო ოჯახს? რამე უნდა მოიფიქრო. იქნებ ნავსულიყავით შენთანა და მერე ვნახოთ... თუ არა და, რა ვიცი, იქნებ ჯობდეს კიდევ, რომ არც გამოვჩნდე და ისევ მკვდარი ვეგონო ყველას?

– ეგრე არ გამოვა ძმაო. – შუბლი შეიჭმუხნა გიორგიმ – დედა შეუძლოდაა. მის უნახვად ვერ გავბრუნდები. ქალები თავზე ადგანან, თორემ ისინიც ხომ ახლა აქ იქნებოდნენ და მერე რალას გახდებოდი?

– მამ დედა ავადაა?! დები? გრიგოლი? ეგენი როგორლა არიან?

– ეეჰ, გეტყვი ბარემ. ვიცი, მაინც არ მომეშვები. ეკატერინე აღარა გყავს. წინა თვეში დავასაფლავეთ. ჯერ მარიამი, მერე ეგა, ახლა შენი ამბავი კიდევ და აბა, დედა როგორლა იქნება?!

ამის გამგონე ნიკო ისევ ნაბარბაცდა და მიწაზე ჩაიჩოქა. გიორგის არც უცდია მიშველება. გაქვავებული სახით დაჰყურებდა ზემოდან და მერე ესლა ამოთქვა – გეყოს ესლა გოდება. უარესია, ვინმე გაიგონებს, ან თავზე ნამოგვადგება. ადვილად, მერეც მოას-

წრებ ტირილსა.

– მითხარი, გიორგი, მომიყვი, შენი ჭირიმი, რა შეემთხვა ეკატერინეს? რამ მოუსწრაფა ეგრე დღე? – სულს ვერ იბრუნებდა ნიკო. – როგორც ვატყობ, ჩემთვის უკვე სულერთია ყველაფერი. ვინც გინდა, მოვიდეს, მნახოს...

– შენთვის უკვე გვიანია ყველაფერი. – კუშტად შეაგება გიორგიმ – მაგრამ რა გაენყობა. იქნებ კიდევ გამოდგე ამ ცხოვრებაში... ადვილად, კაცო, აქ სიცვი-ისაგან გავითოშებით, სხვა თუ არაფერი... რა მოუვიდა და, რავი, ზაფხულში გორში იყო სტუმრად ელისაბედ ერისთავთან. დედამისი ქეთევანი, მგონი უკვე მეექვსე წელია, ლოგინადაა ჩავარდნილი და მისი მონახულება უნდოდა. იმათ ამბავს განიცდიდა ძალიან. არადა, იქედან რომ დაბრუნდა, არ ვიცი, გზაში გაცივდა თუ რა მოხდა, მალევე მიეჯაჭვა ლოგინსა. ექიმებმაც ვერაფერი გაუგეს და ეგრე უბრალოდ მიაბარა სული უფალს. ეეჰ, ან რა იყო მაგისი ცხოვრება. ქალი რომ 24 წლის მანძილზე მეუღლისგან განცალკევებით იცხოვრებს! დღემდე ვერ გამიგია, რა მოხდა მათ შორის. ალექსანდრე ნერეთელი ღირსეული ადამიანია, ვერაფერს ვიტყვი. ისიც ძალიან განიცდის... მაგისი ნიჭი მენანება, ნიკო, რამდენი აუხდენელი ოცნება და გეგმა წაიღო თანა. არადა, მართლა რა კარგ ლექსებს წერდა... ეხლახანს „ცისკარში“ კიდევ დაიბეჭდა მაგისი ლექსები... ადვილად, ეგრევე გადავჭრათ სასაფლაოს გზითა და მერე დიდი სავალიც აღარ არის. – უცებ გამოერკვა გიორგი – იმედია, გახსოვს ეს გზა. ხალხიც ამ სიცვივში უკვე სახლებში იქნება შეყუჟული. ძან ნადრევი ზამთარია; რომ იტყვიან, ძალი არ გაიგდება კარში.

ამასობაში ნიკო ნელ-ნელა მოვიდა გონს და ძმას მუდარით ახედა – მომეშველე, ბიჭო, ამაყენე. შენ ჯერ კიდევ ვერ შემამჩნევდი, რომ ხეივანი ვარ. სიარული მიჭირს.

– ეგლა გაკლდა და ეგეც დაგმართნია, – ბრაზით შეხედა გიორგიმ – რა იყო, უბედური შემთხვევა თუ...

– ჰო, რა, ცდას ვატარებდი და ამ დროს სინჯარა ამიფეთქდა. გახურებული სითხე კი ფეხზე შემომესხა. კიდევ კარგი, სახე გადამირჩა, თვალის ჩინი რომ არ დავკარგე, მაგაზეც მაღლობელი ვარ.

– სად მოხდა ეგა?

– პრაღაში. ბოლოს პრაღაში ვცხოვრობდი. ორდენის ძმებმა მიბატრონეს, როცა ვენიდან მანდ გადავედი...

– ეგ საქმე დაგლუპავს შენა. – ცივად შეანყვეტინა გიორგიმ. მხარში შეუდგა ძმას და ნელ-ნელა წამოაყენა. – ნავედით, დასუსტებული იქნები შიმშილისა და სიცვისისაგან.

– ეგრეა, ჩემო ძმაო და ეხლა კიდევ ეკატერინეს ამბავმა სულ მომითავა ხელი.

– რას ვიზამთ, – გიორგი თითქოს მოღბაო და ძმას ნაღვლიანად გაუღიმა – მოდი ისევ ეკატერინეს ლექსით გეტყვი ერთსაც და მოვრჩეთ: „ზამთრით ჩაგრულნი გაზაფხულს ველით, ვიხარებთ ყოველნი“. იცანი ეს ლექსი? დღესაც სიმღერად დადის ხალხში.

– ესეც ნუგეშია, – ძლივს ამოთქვა ნიკომ – ჩვენი მარიამიც ეგრე არ იყო? გახსოვს, გიორგი, როგორ უხაროდა დედასა, „ცისკრის“ თითქმის ყველა ნომერში მაგისი ლექსები რო იბეჭდებოდა. სათაურებიც კი დღემდე მაგონდება ზოგიერთისა: „არშიკის მოშორება“, კიდე „ვაების უფსკრულს“. ახლა „იკორთა“ რა იყო, ისტორიულ-პატრიოტულ თემაზე?! რა აჟიოტაჟი გამოიწვია ხალხში და საერთოდ რამხელა პატივს სცემდნენ ჩვენი გამოჩენილი ადამიანები, თუნდა გრიგოლ ორბელიანი აიღე...

ამ ლაპარაკითა და მოგონებებით გალიეს ძმებმა სასაფლაოს გზა და დიდი სიფრთხილით შეუყვინნ სოფლის შარას. მათ ბედზე ერთხანს არავინ შეხვედრიათ. სახლამდე ოციოდ ნაბიჯზე კი უეცრად ორი მოხუცი შემოეყარათ. მოხუცები გაცხოველებული მასლაათით სწორედ მათკენ მოემართებოდნენ და გვერდის ავლა ყოვლად შეუძლებელი იყო. შემცბარი ნიკოლოზი ძმას ამოეფარა. გიორგიმ კი ისტობარი არ გაიტყუა და ყურში უჩურჩულა – ნუ გეძინია, რამეს მოვიფიქრებ. მაგათი ხნისა ქვაც კი აღარ დაგორავს და შენ რას გიცნობენ?

– ვინ არიან მაინც? – ჩურჩულითვე გამოეპასუხა ნიკო.

– ვერ იცანი? ჩვენი აზნაურები გახლავან. აქეთა, შავ ლაბადაში ჯაბა დაფქვიაშვილია, მეორე კი, უფრო მოხრილი, ზაურია უთნელიშვილი. ქვემო უბნელები არიან.

– ჰო, როგორ არა, ეხლა ვიცანი. – თავი დაუქნია ნიკოლოზმა.

– გიორგი, შვილო, გამარჯობა, როგორ გიკითხო? – ღიმილით მიესალმა ჯაბა გიორგის – დედაშენი როგორა ბრძანდება? გავიგე, სუსტად არისო. არც კია გასაკვირი.

– გმადლობთ, არა უშავ-რა. გუშინ ჩამოვედი სანახავად და ეხლა პირდაპირ წირვიდან მოვდივარ, რომ დავემშვიდობო. ძალიან მეჩქარება... თქვენ ხომ კარგად ბრძანდებით?

– ჩვენც ვართ ესე, ჯერ კიდევ ვძალაობთ. – კვლავ ღიმილით მიუგო ჯაბამ. – ეს ბატონი ვინ არის? ვერ შევიცანი.

– სტუმარია, დასავლეთიდან... ჩემი ძველი მეგობარია... – უხერხულად შეიმშუშნა გიორგი. მოხუცებმა იჭვნეულად აათვალიერ-ჩაათვალიერეს ნიკოლოზი და თავი დაუკრეს. იმანაც უხმო სალამი მისცა.

– გიორგი, შვილო, შენი ძმისგან არაფერი ამბავია? – ახლა ზაური ჩაერთო საუბარში.

– არა, არაფერი.

– ეუჰ, მაგისმა გადაკარგვამ და შენმა დებმა დაანელებს საბრალო დედაშენი. – განაგრძო ზაურმა – არადა, რო მახსოვს, რა ქალი იყო! მაგისმა ახალგაზრდობამ ჩვენ თვალწინ არ გაიარა? მამაშენმა, ცხონებულმა ივანემ რომ შეერთო, მაშინ ნინიას ვეძახდით მამაშენსა, თვითონ ხო როგორი განათლებული კაცი იყო, – მთელი ქვეყნიერება სწავლულსა და ფილოსოფოსს ეძახდა. ჰოდა, ცოლიც ეგეთი გამაადგა, თავისნაირი მწიგნობარი, ულამაზესი თინათინ ამილახვარი.

– დედაჩემს კიდე კონიას ეძახდნენ. – ირონიულად

ჩაურთო გიორგიმ – აბა, ეხლა კი ბოდიში...

– მართლა, კაცო, როგორ დავაყენეთ ეს ხალხი ამდენ ხანსა, მაინც რამხელა ყინვა აქვს ამ დალოცვილ ბუნებას? – შეიცხადა ჯაბამ. – წავიდეთ ზაურ, ისეც გვაგვიანდება.

– დაიცა, კაცო, განა რა ხშირად ჩვენ ვხვდებით ერთმანეთსა. – არ გატყუა ზაური – არადა, ჩვენ თვალწინ დაზრდილები ხართ ყველა და-ძმები. ვინ იფიქრებდა, რო ესე უკუღმა დატრიალდებოდა თქვენი ოჯახის სეე-ბედი? – მოხუცი ენად გაიკრიფა და ეტყობოდა, კარგა ხანს არ აპირებდა ადგილიდან დაძვრას. – მახსოვს, რა ძმობა გქონდათ შენ და ნიკოსა. იმას „დედამზეს“ ვეძახდით, შენ კიდე, გიორგი, „მამამზესა“. კიდევ კარგი, მამათქვენი ვერ მოესწრო ამ ყველაფერს. ჯერ იმ 1832 წლის ამბებმა ლამის დაანელებს კაცი და შვილების უბედურობის მომსწრეს რალა მოუვიდოდა?

– ეგრეა, ეგრე, – დაუდასტურა ჯაბამ – მაგრამ დრო-ჟამი ულმობელია. კაცმა არ იცის, ვის რას უშზადებს. აბა, ველოდით ჩვენა, ამდენ ხანს თუ გამოვეკერებოდით დედამინასა?! ეგ ყველაფერი ღმერთის ნებაა.

ნიკოლოზმა თავი ველარ შეიკავა და ჩუმად ჩაეცინა. მოხუცებმა ხელად მასზე გადაინაცვლეს და დიდის დაკვირვებით შეუდგნენ მის თვალიერებას. – აბა, ამდენს ვლაპარაკობთ და სტუმარი კი არ გაგვაცანი. – მიმართა ზაურმა გიორგის – წირვაზე ერთად იქნებოდით. მოენონა ჩვენი ეკლესია? ან სოფელი თუ ნახა უკვე?

– ნახა, ნახა, ახლა კი გვაპატიეთ, გამეხარდა კია, რომ შეგხვდით, კარგად ბრძანდებოდით! – გიორგიმ ხელკავი გამოსდო ძმას და მოხუცებს გაეცალა. ისინიც თავიანთ გზას დაადგნენ.

– ცოტა ამინდი არ გვივარგა, თორე სანახავს ჩვენს მხარეში რა გამოლევს. – მოსძახოდა ჯაბა. – ის თუ იცის შენმა სტუმარმა, ფლავი რად ჰქვია ჩვენს სოფელსა? ეგრე იტყვიან, თამარ მეფე დაბანაკდა აქ თავისი ლაშქრითაო. ვახშმად ფლავი მოხარშეს, თავი მოხადეს და სათავითაო კერძი დედოფალს მიართვესო. იმასაც ამბობენ... მაგრამ გიორგი და ნიკოლოზი უკვე კარგა მანძილზე ჩამოშორებოდნენ აბეზარ მოხუცებს.

– მგონი, გადავრჩით. – სული ძლივს მოითქვა გიორგიმ.

– ამათ კი გადავრჩით, მაგრამ ეხლა რა იქნება? – უმწეოდ გაშალა ხელები ნიკოლოზმა – აგე, ჩვენი სახლის ჭიშკარიც...

სოფელი ფლავი ლამის უკუნში გახვეულიყო. მხოლოდ აქა-იქ თუ გამოკრთოდა ლამფის შუქი. ერისთავების სახლი კი ერთიანად გაეჩირალდნებინათ. ემოციებისაგან ღონემიხდილ თინათინს კარგა ხანია, ღრმა ძილით ეძინა. ნინა ოთახში, კი ჩაის სუფრას ჯერ კიდევ შემოსხდომოდნენ დები – ბარბარე და ანიკო. ოლგაც იქვე ტრიალებდა, ჭურჭელი გაჰქონდა სამზარეულოში.

– მოდი, ოლგა, ჩვენთან დაჯექი, შეეშვი მაგ ჭურჭელსა. ცოტა კიდევ ვილაპარაკოთ. ხომ ხედავ, ჯერ ვერ მოვსულვართ გონზე. – მიმართა ბარბარემაც დას. ოლგა უსიტყვოდ მოტრიალდა და სკამზე ჩამოჯდა, ისიც ერთიანად გაფითრებული და აკანკალებული.

– და მაინც, სულ ვფიქრობ, მაგრამ ვერ გამიგია, – განაგრძო ბარბარემ – რა გამოგვეპარა? სად დავუშვით შეცდომა? როგორ შეიძლება ნიკოლოზი ეგრე ასცდენოდა გზასა?

– იქნებ რომელიმე მეგობარმა უბიძგა ამ ეშმაკი-სეული გზისაკენ და ჩვენ კი არ ვიცით. – გამოეპასუხა ოლგა.

– ძალიან მეეჭვება, – თავი გააქნია ბარბარემ – ჩვენს ძმებს მუდამ საუკეთესო მეგობრები ესვიათ გარს. აბა, ჩვენი მშობლების ოჯახში უღირსი კაცი როგორ შემოდგამდა ფეხსა?!

– მართალი ხარ, მართალი, ჩემო ბარბარე, – ამოიოხრა ანიკომ – ჩვენი ნიგნიერი ოჯახი მაგითაც ბედნიერი იყო, რომ ყოველთვის საინტერესო და ჭკვიანი ხალხი სტუმრობდა. გახსოვს, დაო, დედაჩვენი მაქსიმე აღმსარებლის თხზულებებს რომ გადაწერდა, რა გატაცებით ვენაფებოდით მის აზრებსა. ესლა გამახსენდა სწორედ მაქსიმეს ერთი გამონათქვამი მეგობრობაზე: „ერთგული მეგობარი არის მძლავრი ზღუდე. მის მომპოვებელს განძი უპოვნია“. ჰოდა, ჩვენი ოჯახი ამგვარი განძით მუდამ მდიდარი იყო.

– არ ვიცი, რა ვთქვა, არ ვიცი, – ამოიოხრა ბარბარემ. – მარტო ის ვიცი, რომ ძალიან მძიმე წელი გამოდგა ჩვენთვისა ეს 1870 წელი და ესე მძიმე-მძიმედაც იწურება...

– მართლა, ჩვენს ძმას, გრიგოლს რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავაგებინოთ ნიკოს მოსვლის ამბავი. – წამოიძახა ოლგამ. – ნეტა, რატომ არ გვესტუმრა ამ შაბათ-კვირას?

– სამხედრო სამსახურმა ეგრე იცის, – ამოიოხრა ანიკომ. – მაგისას რას გაიგებ? ალბათ იმ კვირას მოვა. წარმოგიდგენიათ, ნიკოს დანახვისას რა დაემართება? – ანიკომ უეცრად ხმამაღლა გადაიკისკისა. – ამ ჩვენს უკუღმართ ძმაზე რომ ვფიქრობ, იცით, რა გამახსენდა? შარშან „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში რომ მიმინვიეს, რამხელა სჯა-ბაასი გამოიწვია ასო „ჰ“-ს გაუქმება-არგაუქმების საკითხმა.

– მერე ჩვენ მდგომარეობასთან მაგას რა კავშირი აქვს? – გაიოცა ოლგამ.

– აი, გეტყვით. მაშინ მე წამოვდექი და ვთქვი, ეგ ამბავი არ იქნება-მეთქი. აბა, წარმოიდგინეთ, თუ გინდათ ვინმეზე თქვათ: „ამის თავში ტვინი ჰქონიაო“, ასო „ჰ“ რომ გამოვაკლოთ, რა გამოვა?! რა და: „ამის თავში ტვინი ქონია“. მთელი კომისია გამხიარულდა და ეს საკითხიც დადებითად გადაწყდა. ჰოდა, სწორედ ჩვენ ნიკოსთან დაკავშირებით გამახსენდა ეს ყველაფერი. მართლაც რომ ქონი ჰქონია თავში ტვინის ნაცვლად.

– ცოტა ჩუმად, ანიკო, არ გაგვიგოს. – შემფოთდა ბარბარე.

– ალბათ სძინავს, რალა დროსია, – ხელი ჩაიქნია ანიკომ. – წავიდეთ, ჩვენც დავწვეთ, ძალა მოვიკრიბოთ. დები წამოიშალნენ. – მე ჯერ დედას დავხედავ, საბრალო დედა... – ამოიკვნესა ოლგამ.

ქალები ცდებოდნენ. გიორგი და ნიკოლოზი მამის კაბინეტში განმარტოვებულებიყვნენ და მასლაათობდნენ. ნიკოლოზი წიგნებით გაჭედნილ თაროებს ათვალიერებ-

და, გიორგი კი მაგიდას მისჯდომოდა, ღრმად ჩაფიქრებული.

– მაინც არ მესმის, ნიკო, როგორ შეგეძლო ჩვენი რწმენისა და ადათებისთვის გელაღატა?! რამ შეგცვალა ასე რადიკალურად? რა ბედისწერა იყო? ან რა გარანტია გაქვს, რომ სწორ გზაზე დგახარ?

– ეს გზა სწორია თუ არა, რთული სათქმელია, – გამოეპასუხა ნიკოლოზი – ეს ის გზაა, ჩემო ძმაო, რომელზეც მხოლოდ შესაძლებლობები გეძლევა და არა გარანტიები. ისე, შენ მართალი ხარ, ამ გზას უფრო ფატალური შეიძლება ეწოდოს, ვიდრე გონისმიერი... რაც შეეხება რწმენას, ეს ძალზედ ინდივიდუალური საკითხია. ამ გზას ზოგი ქრისტემდე მიჰყავს, ზოგი – ბუდამდე და რა ვიცი, კიდევ ვის საით უკრავს თავსა.

– მერე და, შენ რა მოგიტანა მაგ გზამ? როგორც ვატყობ ევროპაში ხეტიალით არც სიმდიდრე გიმოვია და არც სახელი. – მკვახედ უპასუხა გიორგიმ.

– სრული სიმართლეა, – ამაყად განაცხადა ნიკომ – ალქიმია არც კარიერის გაკეთების საშუალებაა და არც სიმდიდრის მოპოვებისა. ეს მართლაც რომ ღვთაებრივი, ნმინდა ხელოვნებაა, რომელსაც ყველა ალქიმისკოსი უანგაროდ, უჩუმრად და თავგანწირულად ემსახურება, ქურუმების მსგავსად. ძალიან მინდა შეგახსენო, გიორგი, თუ რად ვერ ვჩნდებოდი ამდენ ხანსა. რა ვქნა, ეს დაუნერეელი კანონია – ალქიმისკოსი მარტოსულ ადამიანად ყალიბდება. ის თავისთვის ზის ლაბორატორიაში და გამუდმებით თავის სამუშაოში ჩაფლული. შენა გგონია, ორდენის წევრები მუდამ ერთად არიან და საიდუმლო თათბირებში და დებატებში ფლანგავენ ძვირფას დროს? არამც და არამც, იცი კია, ალქიმისკოსობა რამხელა ცოდნასა და განთლებას მოითხოვს?! – ნიკო სულ უფრო და უფრო შედიოდა ეშხში – შენ გგონია, მეტაფორული ენა, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, ყველასათვის შეიძლება გასაგები იყოს? ისევ – არამც და არამც! – ალელვებულმა ნიკომ უნებლიეთ წიგნების კარადისკენ გაიშვირა ხელი და განაგრძო – ამ ცოდნის მიღება მხოლოდ ღვთით მომადლებული უნარის მქონე ადამიანებს ძალუძთ. უმეცრები კი პირდაპირ იგებენ ჩვენს მეტაფორულ ნაწერებს და მცდარ გზას ადგებიან...

– მაშ, ჩვენ ყველანი უმეცრები ვყოფილვართ, – მწარედ ჩაეცინა გიორგის – იქნება, რაკი პატივი დავვდე და მოხვედი, როგორმე გაგვანათლო ყველანი, სახელმძღვანელოც გექნებათ რამე.

ნიკოლოზს ძმის ირონიული ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია და სერიოზულადვე გამოეპასუხა – არც იფიქრო, რომ ალქიმის შესასწავლად რამე კონკრეტული წიგნი არსებობდეს. უამრავი უნდა იკითხო ქეშმარიტების შესაცნობად. როგორც ერთი დიდი მაგისტრი ამბობს: „ერთი წიგნი არის გზა დანარჩენისაკენ“.

– რაც ჩვენს მშობლებსა და იმათ წინაპრებს უკითხავთ და უწერიათ, სხვებზე რომ აღარცა ვთქვათ, გამოდის, რომ სულ ტყუილად დამამწრალან. – კვლავ ირონიულად ჩაურთო გიორგიმ.

– უფრო მეტიც! – გაცხარებით შესძახა ნიკომ –



მარტო კითხვაც არა კმარა; ჭეშმარიტებისაკენ სავალ გზაზე, ესეც მინდა იცოდეთ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიზმარს. ხშირად ღვთაებრივი ჭეშმარიტება, ფილოსოფიური ქვის მიღების გზები და საშუალებები ალქიმოსებს ძილში ეზმანებათ და მერე ნანახის ცხადში გადმოტანას ცდილობენ...

– კარგი, ნიკო, გეყოს რაღა! – მოთმინება დაეკარგა გიორგის. – მართლაც რომ ძილისა და სიზმრების დროა ახლა. წავიდეთ, მოვისვენოთ.

– არა, ასეთ მდგომარეობაში რა დამაძინებს, – ხელები გაასავსავა ნიკოლოზმა და ძმას დაუყვავა – გიორგი, ჩემო მამამზევ, შენ წადი მოისვენე. მე ცოტა ხანს კიდევ ვიქნები, კიდევ ვიფიქრებ...

– შენ ესხლა აქ ცდების ჩატარებას არ შეუდგე – და, – კვლავ გაეღიმა გიორგის. – გეყოს ამდენი ფუჭი ოფლის ღვრა... ისე, მართლაც დარჩი და იფიქრე. ოღონდ იფიქრე იმაზე, თუ როგორ იცხოვრებ მომავალში, რით დასაქმდები, ფულიც ხომ საჭიროა ბოლოს და ბოლოს, ან ოჯახს როდისღა უნდა მოეკიდო? ამაზე არ გიფიქრია?!

– ჰმ, ფული, არა? – ჩაეცინა ნიკოს – მაგაზეც გაპასუხებ ჩემო მამამზევ. მხოლოდ ერთ მაგალითს მოგიყვან. ჯერ კიდევ იხკები ოქროს „მზის ოფლს“ უწოდებდნენ და ოქროს ფულს უფრო საკულტოდ და სარიტუალოდ იყენებდნენ, ვიდრე გამდიდრების საშუალებად, თუმცა ამხელა კულტურა კი შექმნეს. ჰოდა, როგორც უკვე გითხარი, ალქიმოსიც მათ მსგავსად უყურებს ცხოვრებას. ახლა ერთსაც გეტყვი და წადი მერე, დაიძინე. მზე რომ დედამინას მილიონჯერ შემოუვლის, მის წიაღში ოქროს ჩააქსოვს. მზე ღმერთის სახე-ხატია, გული კი – მზის ანაბეჭდი ადამიანში. დიახ, ღმერთი ოქროში შეიცნობა. სწორედ ამიტომ ვიდრე ვით ოქროს მიღებისთვის და არა გამდიდრების მიზნით...

– სწორე გითხრა, ვერაფერი გავიგე – ხელები გაშალა გიორგიმ – სჯობს, ხვალ განვაგრძოთ ჩვენი საუბარი. ისე, რას იზამ? რა გადაწყვიტე? მეჯვრისხევიში წამომყვები თუ დარჩები? ხომ იცი, ივლიტას და ყველას ძალიან გაეხარებდათ შენი ნახვა.

– ვნახოთ, ვნახოთ, – შეცბუნდა ნიკო – თავიდან ხომ მეც ეგრე ვფიქრობდი, მაგრამ რაკი ასე გულისხმიერად მიმიღეს ჩვენებმა, აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. დედასთანაც მინდა გავჩერდე, დების საფლავებიც ხომ უნდა მოვიწახულო.

– სოფელი ფლავიც ხომ უნდა დაათვალიერო, როგორც გირჩიეს ძველმა მეზობლებმა! – კვლავ ირონია შეეპარა ხმაში გიორგის.

– დათვალიერებაზე არ არის, – ხუმრობაში ისევ არ აპყვა ნიკო – მაგრამ კიდევ ვამბობ, ერთხანს მინდა გავჩერდე აქა, დავტყუებ ოჯახთან ყოფნითა, მინდა ხელახლა შევიგრძნო მშობლიური სურნელი, ბავშვობის სურნელი...

– ფლავის სურნელი! – კვლავ იხუმრა გიორგიმ.

– მინდა კარგად ჩავიბეჭდო ეს ყველაფერი ჩემს მეხსიერებაში, – განაგრძობდა ნიკო – რომ მერე გზის გაგრძელება შევძლო. ვინ იცის, კიდევ მოვესწრები თუ არა აქაურობის ნახვას?! დრო ისე მიჰქრის, უკან

მოხედვას ვეღარც ასწრებს ადამიანი...

დრო მართლაც სწრაფად, უღმობლად მიჰქროდა... ნიკოლოზ ერისთავი, ღრმად დამწუხრებული, კოჭლობ-კოჭლობით ისევ სასაფლაოს გზას ადგა, ოღონდ ამჯერად მეჯვრისხევის სასაფლაოს გზას. ამჯერადაც მამაკაცს ეყრდნობოდა მკლავზე... ერთი კვირის წინ მიაბარეს სამუდამო სავანეს უსაყვარლესი ძმა, გიორგი, გიორგი „მამამზე“. აი, მიუახლოვდა კიდევ ძვირფას საფლავს. გიორგის მეუღლე, ივლიტა აბაშიძე მოახლესთან ერთად იქ ელოდა. ქალმა მაშინათვე ცრემლიანი თვალები შეაგება მაზლს.

– შენ გელოდებოდი, ჩემო ნიკოლოზ, ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. ჩვენები უკვე წავიდნენ სახლში, ვიდრე მივალთ, სუფრას გაშლიან.

ნიკოლოზმა მძიმედ ამოიხრა და ცრემლები მოიწმინდა – ეს რა დღეში ვართ, ჩემო ივლიტა, გინდაც მზე ჩამქრობოდა. უკანასკნელი საყრდენი ეგ იყო და ეგეც გამომეცალა. მანამდე დედა, მერე გრიგოლი, დები... ვეღარ გავიგე, ეს რა წყევლაა ჩვენი ოჯახის თავსა. ნუთუ ჩემი ცოდვებისათვის ვისჯებით ყველა ასე მწარედ?!

– რას ამბობ, ნიკო, – დაუყვავა ივლიტამ – ეგრეც ნუ იტყვი. ეს წელი შენთვის მაინც ძალიან კარგი წელია.

– ჰო, რა თქმა უნდა, ასეა. უფრო სწორად, ამ ყველაფერში რაღაც მისტიკური ურევია. გიორგი გარდაიცვალა, მე კი ვაჟი შემეძინა – ნაღვლიანად მიუგო ნიკომ.

– წყეული და ბედნიერი 1882 წელი! – ამოიხრა ივლიტამ.

– ნატალიასაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ ჩვენი პატარა ლადო ჭინჭყლობდა, ვეღარ ანდო ძიძასა. – განაგრძო ნიკოლოზმა, – ოჰ, მართლა, ჩემო ივლიტა, ნება მიბოძე წარმოგიდგინო ჩემი ცოლის ძმა, პეტრე ნაკაშიძე, ჩვენში ძალზე ცნობილი საზოგადო მოღვაწე. პეტრე წინ წამოდგა და თავი დაუქრა ივლიტას.

– ორი დღეა პეტერბურგიდან დავბრუნდი, ქალბატონო და ვწუხვარ, რომ დაკრძალვას ვერ დავესწარი. მონაწილე ვარ თქვენი დიდი მწუხარებისა.

– გმადლობთ, ძალიან კარგი, რომ მობრძანდით. – თავაზიანად მიმართა ივლიტამ. – სულ მინდოდა თქვენი გაცნობა, მაგრამ გიორგის ავადმყოფობის გამო ვეღარ მოხერხდა. ნატალია კი სწორედ შესანიშნავი ქალბატონია. გთხოვთ, წამობრძანდით ოჯახში, ერთად ვისადილოთ. კიდევ მოვიგონოთ ჩვენი გიორგი... – აქ ივლიტას კვლავ გული ამოუჯდა და სიტყვა გაუწყდა.

– წავიდეთ, რაღა გაეწყობა, – მძიმედ ამოიხრა ნიკომ. – იცით რა, მოდი, ჩემი ცხოვრებული დის, ეკატერინეს ლექსით დავამთავროთ აქა ეს სამწუხარო საუბარი. როცა გზაკვალარეულმა და სულით დაცემულმა ძლივს ჩამოვალწიე სამშობლოში, ჩემმა გიორგიმ სწორედ ამ ლექსით გამამხნევა და თითქო გეზიც მიჩვენა. ახლაც ყურში ჩამესმის მისი ხმა: „ზამთრით ჩაგრულნი გაზაფხულს ველით, ვიხარებთ ყოველნი“...

სერგეი ესენინი (1895-1925)

**წერილი დედას**

შენ კვლავ ცოცხლობ, ჩემო ტკბილო ბებერო?  
 ცოცხლობ მეცა, სალამი შენ, სალამი!  
 მსურს, რომ დიდხანს, შენს ქოხს ისევ ეფეროს,  
 ღამეული შუქის ის სხვა ალამი.

მწერენ, თითქოს, გამოუთქმელ წუხილს,  
 დარდში აქსოვ და ჩემს ბედზე ნაღვლობ,  
 რომ, გხედავენ გზის პირს გასულს ახლოს,  
 ძველმოდური კოფტითა და წულით.

ღამეული ბინდის ლურჯ საფირით,  
 მუდამ ერთი ხილვა გზაფრავს თანაც,  
 ვაი, ვილაც სამიკიტნოს ჩხუბში,  
 გულში მიყრის პირბასრ ფინურ დანას.

ნუ იწუხებ, შემოგველე! იმშვიდე  
 ეს ხომ მხოლოდ გულისმკვლეელი ლოდია,  
 რომ სანუთროს, შენს უნახავ გავშორდე,  
 არც იმგვარი სულწამხდარი ლოთი ვარ.

ვარ ფაქიზი ისევ ადრინდებურად  
 და ვოცნებობ ბავშვურად, ძველებურად  
 განვეშორო სევდის ხორშაკ ქარებს,  
 კვლავ ვეახლო ჩვენი სახლის კარებს.

დავბრუნდები, როს ფიქრთა აშლით,  
 ჩვენი ბალი კვლავ რომ მკლავებსგაშლის,  
 ოლონდ, შეგთხოვ დილით როცა ინათს,  
 ძილს ნუ მიფრთხოვ, როგორც რვა წლის წინათ.

ნუ აღვიძებ ოცნებათა კრებულს,  
 ნუ აღელვებ, მას რაიც ვერ ახდა,  
 დანაკარგი რომ ვიგემე ადრე,  
 განსაცდელად ცხოვრებას რომ ახლდა.

ნუღარც ლოცვებს ნუ მიმაჩვევ, ნუ მეგეშავ!  
 გარდასულს ხომ უკან ვერ დაიბრუნებ,  
 ერთი მყავხარ სიამედ და ნუგეშად,  
 ეს ვიდრემდის დღის ნათელი იბრუნებს.

მეტადრე გთხოვ, ნუ აყვები წუხილს,  
 მეტისმეტად ჩემს ბედზე ნუ ნაღვლობ,  
 ნუღარ ივლი ხშირად გზის პირს ახლოს,  
 ძველმოდური კოფტითა და წულით.



ბორის პასტერნაკი (1890—1960)

\* \* \*

თებერვალია. მოიძევ მელანს,  
 წერ თებერვალზე ოხვრით, ქვითინით.  
 ვიდრემდის ჭყაპი სიავით ლელავს,  
 შავ გაზაფხულად ინვის, იცინის.  
 იშოვი მარხილს ექვსშაურიანს,  
 ბორბლების ხმათა მიღმა გასხლტები,  
 მოთქმაზე მძლავრი სხვა ხმაურია,  
 გადავილიან სადაც თავსხმები.  
 დანახშირებულ მსხლეზად ასხია  
 ხეებს ჭილყვავნი გაათასებით,  
 ხისტ გულისწუხილს თავს დაახლიან,  
 ტბორდება ფსკერი თვალთა თასების.  
 ქვეშ ლილოები პირებს აფჩენენ,  
 ქარიც ყვირილით არის დაღლილი,  
 შემთხვევითობა კვლავ თავს გაჩვენებს:  
 ლექსს წერ ქვითინით, თვალეზდახრილი.

ბელა ახმადულინა

**სიზმრები საქართველოზე**

სიზმრებით საქართველოზე ვხარობ,  
 გამთენიას რა დაწმენდილია,  
 ბადაგის დარად ბაგე ტკბილია.  
 არც რას ვნანობ,  
 და არც რა მინდა —  
 ოქროცურვილ სვეტიცხოველში  
 დავანთებ სანთელს საღვთოს და წმინდას.  
 მცირე კენჭებსაც მოფენილს მცხეთას  
 მივაგებ კრძალვით პატივს და ქებას.  
 უფალო გვედრი, ამ სიცხოველით  
 ამყოფე მარად ესე ყოველი.  
 დე მექნეს მუდამ გასაოცებლად  
 და მჯადოქრობდნენ სულთამპყრობელნი,  
 მსუსხავ სუფევით ქუფრი სამშობლო  
 და სხვისი სამშობლო სინაზის სულთფენით.

ბრუნო ვოიგტი

ჰოკუსაი

გერმანულიდან  
თარგმნა ლელა ხორნაული

ზეცას კიდეც ხუთი, ათი წლის სიცოცხლე რომ მოეცა, ნამდვილი დიდი მხატვარი გავხდებოდიო, – ეს არის 90 წელს მიღწეული იაპონელი ხელოვანის, ჰოკუსაის ნათქვამი, რომელიც არასოდეს თავისი თავით კმაყოფილი არ ყოფილა. ამ გამონათქვამში იგრძნობა ის, რაც ნამდვილი ხელოვანის შემოქმედებას ახასიათებს: გამოხატვის ახალი ფორმების მუდმივი ძიება, ტრადიციებიდან თავის დაღწევა, თამამი ექსპერიმენტები და რკინისებური ნებისყოფა. მისი შემოქმედება გამსჭვალულია იუმორით (ავილოთ სცენები „ასი მოთხრობიდან“); მძიმე სიტუაციებში ჰოკუსაის ოპტიმიზმი შევლოდა, ახლის ქმნის ძალასა და შრომის სიხარულს უნარჩუნებდა.

უდიდეს იუმორზე ისიც მეტყველებს, რომ სიკვდილამდე, რომლის გარდუვალობას თვითონაც ხედუბოდა, ცოტა ხნით ადრე ის თავის მეგობარ ტაკაგის სწერდა: „მეფე ემა (ქვესკნელის მბრძანებელი) დაბერდა და ტახტიდან გადადგომას აპირებს. ამასთან დაკავშირებით პატარა ლამაზ სახლს იშენებს და კაკემონოს დასახატად დამიბარა. ასე რომ, რამდენიმე დღეში გავემგზავრები და ჩემს ნახატებსაც თან წავიღებ. ქვესკნელის ერთ-ერთი ქუჩის კუთხეში ბინას დავიქირავებ და თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ დროს გამონახავ და შემომივილი“.

ჰოკუსაის ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული შემოქმედებასთან და მისი შთაგონების წყაროს წარმოადგენდა. ამ მხატვრის შთაბეჭდილებებისა და გრძნობების გამოხატვის ფორმები ყოველთვის ინვეზიდა კამათს. მთელი ცხოვრება დაუღალავად შრომობდა, თითქოს სადღაც ჩქარობსო, ახალ საშუალებებს ეძებდა შთაგონების გამოსახატავად. ცხოვრების აზრად ის მიაჩნდა, რომ გარემომცველი სამყარო ნამდვილი ხელოვნების ნიმუშად ექცია. მისთვის არაფერი იყო არც უმნიშვნელო და არც იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მისი გამოხატვა ფერით და კონტურით შეუძლებელი ყოფილიყო. თავის თავს არასოდეს იმეორებდა, არასოდეს ჩერდებოდა და არ კმაყოფილდებოდა მიგნებული ფორმით, ყოველთვის წინ მიისწრაფოდა.

ასე ჩაეყარა საფუძველი ინდივიდუალური სტილის იაპონური ხელოვნების განვითარებას.

ტრადიციებისათვის გვერდის ავლა მისთვის მაინც ძნელი აღმოჩნდა. მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისში, ორმოცი-ორმოცდაათი წლის ასაკში შესძლო მან საკუთარი სტილის შექმნა. ეს გრძელი გზა შინაგანი წინააღმდეგობებისა ტრადიციებსა და საკუ-

თარ ხედვას შორის ნათლად გვიჩვენებს თუ როგორ ერწყმის მისი შემოქმედების საფუძველი ხელოვანის სინდისს.

1823-1829

წლებში ჰოკუსაიმ კაცობრიობას თავისი ყველაზე მდიდრული და ნაყოფიერი გრავიურები აჩუქა. ყველაფერი, რაც მანამდე ჰქონდა შექმნილი, ამ ციკლების საფუძველს წარმოადგენდა. მისი აქამდე შექმნილი ნაწარმოებები მაღალ დონეზე იყო შესრულებული.

შემდეგი ციკლი რვა გრავიურისგან – „ჩანჩქერი“, შეიქმნა 1827 წ. ამ ნაწარმოებში ჰოკუსაიმ სრულყოფილად წარმოაჩინა მხატვრობის შესაძლებლობანი და იაპონური პეიზაჟის გრანდიოზულობა. მან საინტერესოდ დაუპირისპირა ერთმანეთს მოძრავი წყალი და გაქვავებული კლდეები. რითაც შეძლო მქუხარე ჩანჩქერის აღწერა. მიუხედავად ხშირად გამოყენებული მკვეთრი ფერებისა, ამ ნაწარმოებში მაინც არ ჩანს მოქმედება.

ორივე ციკლი – „ფუჯის ოცდათექვსმეტი ხედი“ და „ჩანჩქერი“ ფორმალურად შეიცავდა მოძრაობისა და მარადიულობის ურთიერთდაკავშირებას, ყველაფერს, რასაც ხელოვნების ჯადოქარი ჰოკუსაი სრულყოფდა. ამ ნამუშევრებში განსაკუთრებით იგრძნობა ჰოკუსაის ხელოვნებისთვის დამახასიათებელი კონტურები. მათში ნახატის შინაგანი კომპოზიცია სიმსუბუქითა და მომხიბვლელიობით არის გადმოცემული, მაგრამ მაინც აქვს თავისი დასრულება და სიმყარე. პეიზაჟის გადმოცემის თავისებურებები კონტურების ინტენსიურ გამოხატვასთან ერთად სივრცის ილუზიასა და ატმოსფეროს უფრო ნათლად გვიხატავს.

ჰოკუსაის, როგორც ხელოვანის პრინციპი იყო რწმენა სამყაროს რეალურობისა, რაც მის ციკლებში ყოველთვის ჩანს. მას არასოდეს მოსურვებია თვალთ ხილული სამყარო თავისი გამოხატვის ფორმებით რაღაც ჩარჩოებში ჩაესვა. მის ნამუშევრებში ვერასოდეს იგრძნობდით არადამაჯერებელ აბსტრაქციებს.

თავისი პეიზაჟების ციკლის შესავსებად ჰოკუსაიმ შექმნა სერია „ხიდები“ (1827-დან 1830-მდე). მან ამ ციკლისთვის თერთმეტი გრავიურა მოგვცა. გენიალურად გადმოსცა ხელოვანის ხელით შექმნილმა შედეგმა ბუნების ჰარმონია.

მის ნაკეთობებში ცხოვრებას და ბუნებას მისი



ხელოვნების განვითარებისა და ბედის კვალი ატყვია. აქ წარმოდგენილი ხიდებიც გარკვეულ ხასიათს ატარებს. ისინი ნათლად გვაჩვენებს მათი აღმშენებლის ჩანაფიქრს.

ერთ-ერთი პირველი რეპროდუქცია „ასი მოთხრობის“ სერიიდან (ჰაიკუ მონოგატარი). შემზარავი და დამთრგუნველია მთლიანად ამ ციკლის შინაარსით და გამოსახვის ფომით. ერთი ლამპიონი, ოივას საფლავზე. ეს ქალი ქმარმა მოკლა. ქარისგან დაგლეჯილი ქალაქის ლამპიონიდან ქალის აჩრდილის შეწუხებული სახე მოჩანს, ჰოკუსაიმ ამ სურათზე აჩრდილიც კი რეალისტური ფორმებით დაგვიხატა. მან შემადრწუნებელი სევდა დაგვანახა. წარწერა ლამპიონზე ბუდისტური ლოცვაა. ნახატის ერთ ნაწილში სახეა მსხვილი ფორმით წარმოდგენილი, რომელსაც, ალბათ არანაკლები მნიშვნელობა აქვს. კომპოზიციის ელემენტებს შეადგენენ ლურჯი ბამბუკის ტოტები ლამპიონის უკან და სახეზე ჩამოყრილი თმები. ლამპიონიდან გამოძვავალი ნათელი კვამლის სვეტი ზეცისკენ მიავლენს მიცვალებულის ღალადს.

რვა გრაფიურისაგან შემდგარი იუკუეს სერია წარმოგვიდგენს იაპონიის სამხრეთით არსებული რიუკუის კუნძულების იდილიურ, შთამბეჭდავ ბუნებას. ამ პატარა სერიის ფურცლები მკვეთრი ფერებითა და უბრალო ნათელი კონტურებით არის შესრულებული, რაც ტიპურია ოსტატის შესრულების ადრინდელი მანერისთვის. სერია 1830 წ. შეიქმნა.

79 წლის ასაკში შექმნილ ნახატზე ფონის გაუბრალოება მხატვრის ოსტატობაზე მეტყველებს. სურათის ცენტრში წარმოდგენილია ზამთრის დაბურული ტყის შავი სილუეტი. ეს მუქარით აღსავსე სიშავე წინა პლანზე გამოსახული თოვლის სითეთრით ბათილდება. უზარმაზარმა კოცონმა სურათს რომანტიულობა შესძინა. კოცონთან მყოფ ხალხის ველური



გამომეტყველების მიუხედავად, ნახატი იუმორს მოკლებული არ არის. ოსტატურად არის დახატული ფიგურების მოძრაობა. მიუხედავად მშვიდი, აუღელვებელი ფონისა, მამაკაცების ტანსაცმელიც კი ირხევა მათ მოუსვენარ მოძრაობასთან ერთად, შთამბეჭდავი ხერხებით არის გადმოცემული ცეცხლის თავზე მოლიცლიცე ჰაერი. ცეცხლის მწველი ენები დამაჯერებლად ერწყმის მის გარემომცველ ფიგურებს.

ამ ფირფიტის შესახებ ნათქვამია:

„ასი ადამიანიდან  
ყველა თავის სიმღერას მღერის.  
ჩვენთვის მთა ჩვენი სახლია.“

სერიიდან „ასი პოეტი“ (იგივე „ასი ლექსი“)

ჰაიკუნის ისიჰიუ.

საუნჯე 1989/5 სექტემბერი-ოქტომბერი

გერმანულიდან თარგმნა ლელა ხორნაულმა

